საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ
მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

მ. კეკელიძე

გორის სამასწავლებლო სემინარია

ინსტიტუტის გამომცემლობა
თბილისი
1955

წინასიტყვაობა

საქართველოში სახალხო განათლების ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რევოლუციამდე არსებულ სასწავლო დაწესებულებათა მუშაობის გაცნობასა და ძირითადი პროფილის მოხაზვას. ეს ეხება სამასწავლებლო სემინარიებსაც, რომლებიც მასწავლებელთა კადრებს ამზადებდნენ სახალხო სკოლებისათვის. ჩვენ მიზნად დავისახეთ დიგვეწერა მიმოხილვა „ამიერკავკასიის (გორის) სამასწავლებლო სემინარიის“ შესახებ, რომელიც 1876 წელს დაარსდა.

ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიამ 42 წლის მანძილზე რამდენიმე ასეული ახალგაზრდა მასწავლებელი გამოუშვა და ამით მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია თავის დროზე საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის სკოლებს.

ცარიზმის ბატონობის დროს, როდესაც რუსეთის იმპერიაში მოქცეული პატარა ერები მწვავედ განიცდიდნენ სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას, როდესაც სწავლა-განათლების სისტემა მიზნად ისახავდა „ტახტის და ეკლესიის“ ერთგული მსახურების აღზრდას, მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ გორის სამასწავლებლო სემინარიაში მოწინავე რუსი, ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მასწავლებლები ახერხებდნენ მოსწავლე ახალგაზრდობაში კეთილშობილური მისწრაფებების დანერგვასა და ხალხისადმი უანგარო სამსახურისა და სიყვარულის გრძნობის გამომუშავებას.

განსაკუთრებით ეს ითქმის მთელ რიგ რუს მასწავლებლებზე, რომლებიც დიდი ჰუმანურობით, სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობოდნენ ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ მოსწავლე ახალგაზრდებს, მათ მშობელ ხალხს, ენას, ლიტერატურასა და კულტურას, ისტორიასა და ტრადიციებს.

ეს არცაა გასაკვირველი, რადგანაც დიდი ბელადები ლენინი და სტალინი ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ არსებობდა რეაქციული და რევოლუციური რუსეთი, კონსერვატიული და პროგრესული რუსეთი. სწორედ ამ პროგრესული რუსეთის წარმომადგენლები არიან ის მასწავლებლები, რომლებიც ისევე იყვნენ დაინტერე-

სებული არარუსი წარმოშობის ბავშვების სწავლა-აღზრდით, მათი სამშობლოს აყვავების სურვილით, როგორც თავიანთი სამშობლოს წინსვლითა და წარმატებით.

ის მუშაობა, რომელიც სემინარიამ ჩაატარა სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდების სახალხო მასწავლებ'ლებად მომზადების საქმეში, ცალკე შესწავლას მოითხოვს. ამ საკითხის საფუძვლიანი შესწავლისათვის „ამიერკავკასიის (გორის) სამასწავლებლო სემინარიის“ არქივში, რომელიც საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, საკმაო მასალებს პოვებს დაინტერესებული მკვლევარი.

წინამდებარე ნარკვევში ჩვენ მხოლოდ სემინარიის ზოგადი პროფილი მოვხაზეთ, ცალკეული მომენტები შრომაში წინ წამოვწიეთ და განსაკუთრებით შევეხეთ იმ საკითხებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო საინტერესო უნდა იყოს ქართველი საზოგადოებისათვის.

სემინარიის მუშაობის მიმოხილვას საფუძვლად უდევს სემინარიის არქივის შესწავლა (ეს არქივი 1812 საქმეს შეიცავს და მასში ფურცელთა რაოდენობა ასი ათასს აღწევს), აგრეთვე ნაბეჭდი წყაროები (ჟურნალ-გაზეთები, ოფიციალური ცირკულარები, ანგარიშები და სხვ.).

გარდა ამისა ჩვენს ხელთ იყო მთელი რიგი „მოგონებები“, რომლებიც ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია და დაცულია საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმში. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. ავალიშვილის, ს. გოგლიჩიძის, სოკრ. ძიმისტარიშვილის, ბ. ჩიქობავას, პლ. ლეჟავას, ილ. რუხაძის და სხვ. „მოგონებები“, რომლებიც ძვირფას ცნობებს შეიცავენ გორის სამასწავლებლო სემინარიის მუშაობისა და მისი მასწავლებლების შესახებ.

თუმცა მასალები საკმაოდ უხვად არსებობს, მაგრამ ზოგიერთი საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველია და დამატებით შესწავლას მოითხოვს, რადგანაც მათ შესახებ ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობები მოგვეპოვება. ამიტომ მომავალში ეს საკითხები შესაძლებელია გადაისინჯოს და უფრო დაზუსტდეს.

მიუხედავად ამისა და სხვა ნაკლოვანებებისა, რომლებიც ამ შრომას უეჭველად ექნება, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ამ სახითაც ეს წიგნი მკითხველი საზოგადოებისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება.

ავტორი

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲝ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐ

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საერთოდ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში აქტუალურად დადგა საკითხი ისეთი სპეციალური სასწავლებლების დაარსებისა, რომელთაც უნდა გამოეშვათ პედაგოგიურად კარგად მომზადებული სახალხო მასწავლებლები. სკოლების და მოსწავლეთა რიცხვის ზრდა გადაუდებლად აყენებდა ამოცანას, რომ ამ მხრივ დაუყოვნებლივ გადადგმულიყო პრაქტიკული ნაბიჯები.

1875 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭო, ადგილობრივი საზოგადოების და პროგრესული პრესის ზეგავლენის შედეგად, რომლებიც მოითხოვდნენ სპეციალური პედაგოგიური სასწავლო დაწესებულებების გახსნას, საკითხს აყენებს ამიერკავკასიაში სამასწავლებლო სემინარიის გახსნის შესახებ და სათანადო შუამდგომლობას უგზავნის ზემდგომ ორგანოებს. ყუბანის სამასწავლებლო სემინარია, რომელიც დაარსდა 1871 წლის 14 იანვარს, სახალხო მასწავლებელთა კადრებით ჩრდილო კავკასიასაც ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ ამიერკავკასიაში სამასწავლებლო სემინარიის გახსნა დადებითად გადაწყდა 1875 წლის 8 იანვარს. მაგრამ 1875 წელი მთლიანად და 1876 წლის რვა თვე (12 სექტემბრამდე) მოუნდა სემინარიის დებულებისა და შტატის დამტკიცებას და სემინარიის ადგილის შერჩევას.

ფორმალური ნებართვის მიღების შემდეგ კავკასიის სასწავლო ოლქის მაშინდელმა მზრუნველმა ი. ნეველროვმა ფაქტიურად ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორად დანიშნა ს. დივარი და დაავალა მას პირველ რიგში ორგანიზაციული საკითხები მოეგვარებინა.

1875 წლის 29 დეკემბერს ი. ნეველროვმა ს. დივარს გაუგზავნა ასლები იმავე წლის 8 აპრილს პეტერბურგში „უმაღლესად დამტკიცებული“ დებულებისა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის, მისი საშტატო ერთეულებისა და სახელმწიფო საბჭოს აზრი ამიერკავკასიაში სემინარიის გახსნის შესახებ[1].

---

[1] ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის არქივი, ფონდი № 11. საქმე № 1, ფ. 5. არქივი დაცულია საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში. ქვემოთ, სადაც კი ვუთითებთ საქმის ნომერს, ყველგან ზემოდასახელებული არქივი იგულისხმება. მ. კ.

ეს დებულება შემდეგი მუხლებისაგან შედგებოდა:

„1. ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიას მიზნად აქვს დასახული მისცეს პედაგოგიური განათლება ახალგაზრდებს, ამიერკავკასიის მკვიდრთ, რომლებსაც სურვილი აქვთ მასწავლებლობისა ადგილობრივ დაწყებით სასწავლებლებში.

შენიშვნა: სანამ დაარსდებოდეს განსაკუთრებული მაჰმადიანური სამასწავლებლო სკოლა, მანამ მაჰმადიანებს არ ეკრძალებათ შევიდნენ ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში და მასთან არსებულ სასწავლებელში.

2. სემინარია ხელმძღვანელობს 1872 წლის 27 მარტს უმაღლესად დამტკიცებული დებულებებით ყაზანისა და ირკუტსკის სამასწავლებლო სემინარიების შესახებ, ამასთან ერთად დაცული უნდა იქნეს ქვემოაღნიშნული განსაკუთრებული წესები.

3. სემინარიაში სახელმწიფო ხარჯზე უნდა იმყოფებოდეს 25 აღსაზრდელი, აქედან 20 ადგილობრივი მკვიდრი და 5 რუსი.

4. სემინარიის აღსაზრდელების სწავლებაში პრაქტიკული ვარჯიშის ჩასატარებლად სემინარიასთან არსებობს სამი დაწყებითი სასწავლებელი: რუსული, ქართული და სომხური.

5. გარდა სახელმწიფო ხარჯზე მყოფი აღსაზრდელებისა, სემინარიაში, შესაძლებლობის მიხედვით, დაიშვებიან ერობების, ქალაქისა და სოფლის საზოგადოებების, კერძო პირების სტიპენდიატები, აგრეთვე თავის ხარჯზე მყოფი აღსაზრდელები.

6. სახელმწიფო ხარჯზე აღზრდილნი, სემინარიის კურსის დამთავრების შემდეგ, ვალდებულნი არიან იმსახურონ 6 წელი, უფროსთა მითითებით, სახალხო სასწავლებლების, ან სხვა სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლებად.

7. სწავლების კურსი სემინარიაში განისაზღვრება სამი წლით, ხოლო სემინარიაში ადგილობრივ მკვიდრთათვის შესვლის გაადვილების მიზნით, მათთვის სემინარიასთან არსდება განსაკუთრებული მოსამზადებელი კლასი.

8. სემინარიის დირექტორს ირჩევს სასწავლო ოლქის მზრუნველი იმ პირთაგან, რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება და თანამდებობაზე ამტკიცებს კავკასიის მეფისნაცვალი.

9. სემინარიისა და მასთან არსებული სასწავლებლების მასწავლებლებს თანამდებობაზე ამტკიცებს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი.

10. სემინარიაში მოსამსახურენი სარგებლობენ საერთოდ სახალხო განათლების სამინისტროს სახელმწიფო სამსახურის ყველა უფლებით, აგრეთვე არსებული კანონმდებლობის საფუძველზე — ყველა უფლე-

ბით და უპირატესობით, რაც მინიჭებული აქვთ, კერძოდ, კავკასიის სასწავლო ოლქის სასწავლებლების მოსამსახურეებს.

სემინარიასთან არსებული დაწყებითი სასწავლებლების მასწავლებლებზე ვრცელდება ყველა უფლება და უპირატესობა, რომლებიც მიცემული აქვთ საერთოდ დაწყებითი სასწავლებლების მასწავლებლებს ამიერკავკასიაში. ამასთან პენსია და ერთდროული დახმარება, როგორც მათ, ისე მოსამზადებელი კლასის მასწავლებელს დაენიშნებათ ხელფასის განაკვეთით, რომელიც 1853 წლის 28 ოქტომბრის შტატით ეკუთვნით სამაზრო სასწავლებლების მასწავლებლებს ამიერკავკასიაში" [1].

შემდეგში ამ „დებულებას" ძირითადი ცვლილება არ განუცდია, თუმცა სტრელეცკის, სლოვინსკის და მიროპიევის დირექტორობის დროს იყო ცდები „დებულების" ზოგიერთი მუხლის შეცვლისა. ასე, მაგალითად, 1902 წლის 26 ივნისს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა მოხსენებითი ბარათი[2] გაუგზავნა „სახალხო განათლების მმართველს", რომელსაც თხოვდა მესამე მუხლის შეცვლას და ასეთი რედაქციით წარმოდგენას, „სემინარიაში სახელმწიფო ხარჯზე იზრდება 50 აღსაზრდელი განურჩევლად ეროვნებისა" და ამას იმით ასაბუთებდა, რომ რუს მოსწავლეთა სემინარიაში მიღება წინანდელი მუხლით შეზღუდულია, მაშინ როდესაც ჩვენს მიზანს სწორედ რუსი მასწავლებლების აღზრდა უნდა შეადგენდესო. მანამდე დ. სემიონოვის წარდგენითა და მოთხოვნით იგივე მუხლი შეცვლილ იქნა ახალი შტატის შესაბამისად ნაცვლად 25 აღსაზრდელისა სახელმწიფო ხარჯზე მყოფთა რიცხვი გადიდდა 50-მდე.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: იმავე „მოხსენებით ბარათში", რომელიც ზევით მოვიხსენიეთ, სასწავლო ოლქის მზრუნველი კატეგორიულად მოითხოვს კავკასიის სემინარიებში მასწავლებლებად არ დაუშვან არარუსი ეროვნების წარმოშობის პირები. იგი ცინიკურად წერს:

„თუ საერთოდ კავკასიაში სამსახური საფუძვლიანად ითვლება მძიმე სამსახურად, მაშინ მით უმეტეს ასეთად უნდა ვცნოთ ის სასწავლო დაწესებულებებში და განსაკუთრებით სემინარიებში, რომელთაც საქმე აქვთ ისეთ მოსწავლეებთან, რომლებიც საესებით უკულტურონი და რუსული მოქალაქეობრიობისათვის საესებით უცხონი არიან. სემინარიის დამრიგებლები (наставники) უნდა ებრძოლონ თავიანთი მოწაფეების — ქართველების, სომხების, თათრების,

---

[1] საქმე № 1, ფ. 6.

[2] საქმე № 79, ფ. 116.

სხვადასხვა მთიელების და სხვათა მრავალნაირ უკულტურო ჩვეულებსა და მიდრეკილებებს, უნდა შეასწავლონ მათ არა მარტო ის საპროგრამო მასალა, რომელიც ერთნაირია მოცულობით ყველა სემინარიისათვის, არამედ ასწავლონ აგრეთვე სწორი რუსული ლიტერატურული მეტყველება, დააუფლონ რუსულ ენაზე სწავლების ხერხებს ადგილობრივი მოსახლეობის სკოლებში. ამიტომ კავკასიის სემინარიების მასწავლებლები უნდა იყვნენ გამოცდილნი, უმაღლესი განათლებით, გამოწრთობილნი და შრომისმოყვარენი.

კავკასიის სემინარიების მასწავლებელნი უნდა იყვნენ რუსები დაბადებით, აღზრდით და რწმენით, რათა მათ აღზარდონ სემინარიის მოსწავლეები რუსეთისადმი ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობით“ [1].

მაგრამ ამ რეაქციული მოთხოვნის ცხოვრებაში გატარება მეფის ერთგულმა დამქაშებმა ვერ შეძლეს.

სემინარიის პირველ დამტკიცებულ შტატში ითვლებოდა: დირექტორი (1), მეცნიერებათა მასწავლებლები (3), მოსამზადებელი კლასის მასწავლებელთაგან (1), დაწყებითი სკოლის მასწავლებლები (3), სიმღერის მასწავლებელი (1), საღვთო სჯულის მასწავლებელი (2), ექიმი (1). გარდა ამისა გათვალისწინებული იყო ხარჯები 25 აღსაზრდელის შესანახად, მებაღეობის შესასწავლად, გიმნასტიკისა და ხელობათა შესასწავლად, კურსდამთავრებულთა დასასაჩუქრებლად და სხვ.[2] სულ შტატით გათვალისწინებული გასავალი შეადგენდა 21.500 მანეთს წელიწადში. ეს თანხა სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით გაღებული უნდა ყოფილიყო ამიერკავკასიის ადგილობრივი შემოსავლიდან[3].

1876 წლის 9 მარტს სასწავლო ოლქის მზრუნველმა ი. ნეველროვმა კავკასიის სამეფისნაცვალოს მთავარი სამმართველოს უფროსს მიმართა განცხადებით, რომლითაც აცნობებდა, რომ სახელმწიფო საბჭოს ნებართვით ამიერკავკასიაში უნდა გაიხსნას სამასწავლებლო სემინარია და საჭიროა სათანადო ადგილის შერჩევაო.

სემინარიის ადგილის შერჩევის შესახებ ადგილობრივ პრესაშიც იყო გამოთქმული მოსაზრებები. გაზ. „დროების“ კორესპონდენტი 1876 წელს წერდა: „ამბობენ, რომ კავკასიის სამასწავლებლო მთავრობას ამჟამად სჯა აქვს იმის თაობაზედ, თუ სად უნდა გაიხსნას ეს მეორე სამასწავლებლო სემინარია, რომლის დაარსებაც ჩვენში ამ ერთი წლის წინათ გადაწყდა.

---

[1] საქმე № 78, ფ. 116.
[2] საქმე № 1, ფ. 7.
[3] საქმე № 1, ფ. 10—11.

სხვადასხვა ქალაქები და სოფლები ჰქონიათ მხედველობაში: მანგლისი, ახალქალაქი, გორი და, მგონი, ალბულაღიც. მაგრამ ბოლოს კი გორზე და ქუთაისზე შეჩერებულან და ახლა ამ ორ ქალაქში — ერთ-ერთში უნდა გახსნას ეს სასწავლებელი"[1]. თეოთონ კორესპონდენტი ქუთაისს ემხრობოდა.

გორმა და ქუთაისმა კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოს მიმართეს წინადადებებით, რომლებითაც მთელ რიგ შეღავათებსა და დახმარებას ჰპირდებოდნენ, თუკი სემინარია მათ მიერ შემოთავაზებულ ადგილებში გაიხსნებოდა. ამ პირობების გაცნობის შემდეგ სამეფისნაცვლოს მთავარი სამმართველოს უფროსს ი. ნეველოვი სწერდა: „სასწავლო დაწესებულების გახსნისათვის აუცილებელია ისეთი ადგილის ამორჩევა, სადაც ქართველებისა და სომხების მოსწავლე კონტინგენტთან ერთად, იქნება შესაძლებლობა სემინარიაში მუსულმანი მცხოვრებლების ბავშვების შესვლისა; მაშასადამე აუცილებელია, შეძლებისდაგვარად შერჩეულ იქნეს ამ მხარის ცენტრალური ადგილი. მაგრამ იმის გამო, რომ ამ დაწესებულებამ უნდა მოამზადოს სოფლის მასწავლებლები, მოუხერხებელი იქნება მისი გახსნა დიდ ქალაქში, რადგან სასურველია, ახალგაზრდები დარჩნენ ისეთ გარემოში, რომელიც უბრალო იქნება და მათთვის მკვეთრ განსხვავებას არ შექმნის სოფლის პირობებში საცხოვრებლად გადასვლის დროს. ამ მიზნით მე მივავლინე სემინარიის დირექტორი დივარი და თბილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექტორი ღოღობერიძე თბილისის ახლო-მახლო ადგილებში მომავალი სემინარიისათვის ბინის შესარჩევად.

გაიგო რა ამის შესახებ ქუთაისის ქალაქის მმართველობამ, განსაკუთრებული დეპუტაციის მეშვეობით, წინადადებით მოგვმართა, რომ ის სემინარიას დაუთმობს ქალაქის მიწის ნაკვეთს, რომელიც უჭირავს ქუთაისის ფერმას და კისრულობს ვალდებულებას ააგოს სემინარიისათვის საჭირო ყველა შენობა. იმ პირობით, რომ, თუ აგება ამ შენობებისა გეგმით და ხარჯთაღრიცხვით მოითხოვს 20 000 მანეთს, მაშინ ბინის ქირა (დაქირავების ვადა თუ 37 წელი იქნება) არ უნდა შეადგენდეს 2 000 მანეთზე ნაკლებს. გარდა ამისა მმართველობამ დაადგინა ყოველწლიურად გადასდოს 700 მან. სემინარიის დასახმარებლად.

ამავე დროს გორის ქალაქის საზოგადოებამ, აგრეთვე დეპუტაციის მეშვეობით, განმიცხადა თავისი სურვილი ქ. გორში სემინარიის გახსნისა, რისთვისაც მხედველობაში აქვთ ბინა ერთ კერძო

---

[1] გაზ. დროება, 1876, № 11.

სასლში, რომელიც ჩემ მიერ მივლინებულმა დირექტორებმა შესაფერისად ცნეს სემინარიისათვის. გარდა ამისა თბილისის გუბერნატორმა გადმომიგზავნა გორის ქალაქის საზოგადოების, თებერვლით დათარიღებული განაჩენი, რომლითაც საზოგადოება კისრულობს დაგვიქირაოს ბინა 1 500 მან. წელიწადში, ხოლო, თუ ქირა იმ თანხაზე მეტი იქნება, მას თვით საზოგადოება გადაიხდის.

ორივე წინადადება ქუთაისისა და გორისა განიხილა ჩემდამი დაქვემდებარებულმა სამზრუნველო საბჭომ და ხმების უმრავლესობით მოიწონა სემინარიის გახსნა ქ. გორში იმ პირობების თანახმად, რომლებიც წამოაყენა ქალაქის საზოგადოებამ"[1].

მოახსენებდა რა ამ მდგომარეობის შესახებ კავკასიის სამეფისნაცვლოს მთავარი სამმართველოს უფროსს, ი. ნეველოვი სთხოვდა მას, განეხილათ ეს საკითხი და საბოლოოდ გადაეწყვიტათ, თუ სად გახსნილიყო სემინარია. რამდენიმე ხნის შემდეგ მეფის ნაცვალმა ნება დართო გორში ამიერ კავკასიის სამასწავლებლო სემინარიის გახსნის შესახებ.

ამ ნებართვის მიღების შემდეგ მზრუნველმა ნეველოვმა კოლეგიის მრჩეველი ს. დივარი, რომელიც გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორად იყო დანიშნული, მიავლინა ყაზანში, ბელგოროდში, ოდესასა და მოსკოვში იქაური სამასწავლებლო სემინარიების მუშაობის გასაცნობად და გამოცდილების მისაღებად.

1876 წლის 10 აპრილს ნეველოვი ატყობინებდა მეფისნაცვლის სამმართველოს, რომ ქ. გორში სემინარიის ბინისათვის დაქირავებულია სახლი შტაბს-კაპიტან ზუბალაშვილისა, 10 წლის ვადით, და თხოულობდა ნებართვას მასწავლებლების დანიშვნის შესახებ, ხოლო იმავე წლის 6 მაისს მან განკარგულება გაუგზავნა ს. დივარის, მეცადინეობა დაეწყო 1876 წლის 1 სექტემბრიდან.

სემინარიის განკარგულებაში იყო: ა) ერთი ქვის ორსართულიანი სახლი — 11 ოთახით; ბ) ერთი ქვის ორსართულიანი ფლიგელი — 4 ოთახით და გ) აშენების პროცესში მყოფი ერთსართულიანი სახლი — 8 ოთახით, რომელშიც უნდა მოთავსებულიყო სემინარიისა და მასთან არსებული სამი დაწყებითი სასწავლებლის კლასები[2].

მეცადინეობა გორის სამასწავლებლო სემინარიაში ნაცვლად პირველი სექტემბრისა დაიწყო თერთმეტი დღის დაგვიანებით, პირველი გაკვეთილები ჩატარდა მხოლოდ 1876 წლის 12 სექტემბერს.

---

[1] საქმე № 1, ფ. 29—30.

[2] საქმე № 809, ფ. 1.

ქ. გორის ხედი XIX საუკუნის მეორე ნახევარში

სემინარიაში ამ დროს ითვლებოდა 48 მოსწავლე, რომელთაგან 31 ქართველი იყო. ახლადგახსნილ სემინარიაში მხოლოდ ორი ქართველი მასწავლებელი იყო — საღვთო სჯულისა ლაზარე ალექსის-ძე ტურიაშვილი, რომელიც ამავე დროს ისტორიასაც ასწავლიდა პირველ კლასში და ფარნაოზ სიმონის-ძე ნათიშვილი, ქართული დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, რომელიც ამავე დროს სემინარიაში სიმღერასა და გიმნასტიკას ასწავლიდა.

გორის სამასწავლებლო სემინარიის პირველი დირექტორი სპირიდონ დიმიტრის-ძე დივარი ასწავლიდა მათემატიკას, ს. კ. სოკოლოვი — ბუნებისმეტყველებას, სუფთა წერას და ხაზვას, მოსამზადებელი კლასის მასწავლებლად დანიშნულ იქნა ა. ვ. ილჩენკო. დროებით იგივე ასწავლიდა პირველ კლასში რუსულ ენასა და გეოგრაფიას. სომეხ-გრიგორიანთა სარწმუნოებას ასწავლიდა სტ. ტერ-სტეპანოვი, სემინარიის ექიმად მოწვეულ იქნა პ. ბ. კლიმანტი. ვაკანტური დარჩა ადგილები რუსული ენის, ისტორიისა და მათემატიკის მასწავლებლებისა[1]. გამოურკვეველია აგრეთვე, თუ ვინ ასწავლიდა პედაგოგიკას.

გორის სამასწავლებლო სემინარიის გახსნას მოწინავე ქართველი საზოგადოება დიდი კმაყოფილებითა და სიხარულით შეხვდა. ჯერ კიდევ 1875 წლის, აპრილში, როდესაც ცნობილი გახდა სემინარიის დებულების დამტკიცების ფაქტი, ს. მესხმა გაზ. „დროებაში“ გამოაქვეყნა საგულისხმო წერილი „სამასწავლებლო სემინარია“, რომელშიც, სხვათა შორის, წერდა: „სიღარიბისაგან შეეიწროებული ხალხი არავითარ ღონისძიებას არ ზოგავს, უკანასკნელ გროშს აძლევს, ოღონდ კი სკოლა გახსნან და შვილებს ასწავლონ რამე. ფეხშიშველა, უქუდო გლეხის ყმაწვილები ორი-სამი ვერსიდან დაიარებიან სკოლებში... მაგრამ ამასთანავე ისიც შენიშნულია, რომ ლტოლვილება და თანაგრძნობა სკოლისა სოფელში დიდხანს ვერა სძლებს... რა არის ამის მიზეზი? პირველი და უმთავრესი ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ სკოლა ჯერჯერობით სრულებით ვერ აკმაყოფილებს ჩვენი გლეხის მოლოდინსა. სამი-ოთხი წლის შემდეგ გლეხი-მამა ხედავს, რომ იმის შვილი ისეთივე უსწავლელი და თითქმის ანბანის უცოდნელია, როგორც სკოლაში შესვლამდინ იყო. სამი წელიწადი მოაცდინა გლეხმა თავის შვილი სოფლის მუშაობას, სამი წელიწადი იმ იმედით იყო, რომ მცოდნე და ოჯახის დამხმარე შვილი გამოეზრდებოდა და ბოლოს ვერაფერს ნაყოფს ჰხედავს, ანუ უკეთ რომ

---

[1] საქმე № 13, ფ. 1.

ვთქვათ, ჰხედავს, რომ იმის შვილმა სულ ტყუილ-უბრალოდ დაჰკარგა დრო"[1].

სერგეი მესხის აზრით, ეს ყველაფერი იმით არის გამოწვეული რომ ჩვენს სახალხო სკოლებში შეუფერებელი, საქმის უცოდინარი და პედაგოგიურად სრულიად მოუმზადებელი პირები ასწავლიან. „ჩვენი სოფლის სკოლების მომეტებულ ნაწილში ისეთი მასწავლებლებია ახლა, რომ ამაზედ მეტს არაფერს არ უნდა მოველოდეთ. გარდამდგარი სალდათებისა, უნტერ-აფიცრებისა და გადამწერლებისაგან მეტს რას უნდა ველოდეთ?

სადაც კარგი მასწავლებელია, იქ სკოლაც რიგიანად მიდის, სადაც მასწავლებელი პატიოსნად და საქმის ცოდნით ასრულებს თავის მოვალეობას, იქ ყმაწვილებიც სწავლობენ რასმე და გლეხებიც მადლიერნი და კმაყოფილნი არიან.

...იმედი გვაქვს რომ ეს სემინარია გაამრავლებს ჩვენში რიგიანი მასწავლებლების რიცხვს და ამით უანგარიშო სარგებლობას მოუტანს ჩვენი ხალხის განათლებას"[2].

ხოლო, როდესაც სემინარია უკვე ფაქტიურად გაიხსნა და 1876 წლის 12 სექტემბრიდან მასში მეცადინეობა დაიწყო, ამან კიდევ უფრო მეტი სიხარული გამოიწვია და მისი გახსნიდან ოთხი თვის შემდეგ ილ. ალხაზიშვილი წერდა: „კეთილს მოვლენათაგანს გორისათვის სხვათა შორის შეადგენს სამასწავლებლო სემინარია, რომელმაც წელს გაუღიმა ჩვენს საქართველოს და რომელზედაც არის დამოკიდებული ჩვენი ხალხის იმედი, რომ იქიდგან ოთხიოდე წლის შემდეგ უეჭველად გამოვლენ ახალი თაობის განმანათლებელი მასწავლებელნი"[3].

მაგრამ ჩვენი მოწინავე საზოგადოების ეს პირველი აღტაცება მალე გულგატეხილობით და უკმაყოფილებით შეიცვალა. თუ რით იყო ეს გამოწვეული, ამას მოკლედ ქვევით შევეხებით.

გორის სამასწავლებლო სემინარია მისი არსებობის პირველ წლებში (1876—1878 წწ.)

ს. დივარიმ ვერ შესძლო სემინარიის წესიერ კალაპოტში ჩაყენება. მისი დანიშვნა სემინარიის დირექტორად შეუფერებელი არჩევანი აღმოჩნდა. როგორც საქმეებიდან და მაშინდელი ქართული პრესიდან ჩანს, სემინარიის მუშაობის წესრიგზე მოყვანისათვის მას არც ცოდნა აღმოაჩნდა და არც ორგანიზატორული ნიჭი.

[1] გაზ. დროება, 1875, № 65.

[2] იქვე.

[3] გაზ. დროება, 1877, № 4.

გაზ. „დროების“ კორესპონდენტი ბარველი დივარის შემდეგნაირად ახასიათებს: „უფ. დივარი დირექტორი სემინარიისა ასწავლის მათემატიკას, რომლისთვისაც კვირაში ოთხი საათი არის დანიშნული. მაგრამ ვაი ამისთანა სწავლას. ის, თუმცა თვისის აზრით, კარგად ასწავლის ზემოაღნიშნულს საგანს, მაგრამ ისე ნელა და მდაბლად ლაპარაკობს, რომ წინა სკამებზედ მსხდომარე შაგირდებმა რომ ძლიერ ყური დაუგდონ, ეგებ გაიგონონ, თუ რას ამბობს.

ამას გარდა ერთს ლუკმას არითმეტიკიდან იტყვის, მეორეს ალგებრიდან და მესამეს კი გეომეტრიიდან — თეორემებს, რომლებსაც ექვს-შვიდამდინ აუხსნის ამ ერთ საათში. იმას კი არ უცქერის და არც ჰკითხავს არავის, რომ შეიტყოს: გაიგეს თუ არა. ამასთან ის ძლიერ უშვებს გაკვეთილებს, განსაკუთრებით ზამთარში, რომლის ნაცვლად ისეთ გეომეტრიის „ზადაჩებს“ გამოუგზავნის მოსწავლეებს, რომ თითქმის უნივერსიტეტშიაც ვერ გააკეთებენ“[1].

ცუდად ყოფილა პანსიონერ მოსწავლეთა კვების საქმეც დაყენებული. არავითარ ყურადღებას ამ გარემოებას არ აქცევდა სემინარიის დირექცია. იმავე გაზეთის კორესპონდენტი გორიდან იწერებოდა: „სემინარიის ეზოში რომ შეველ, დავინახე გროვა მოსწავლეებისა. მე ისინი ვერ ვიცანი მოსწავლეებად. მაგრამ ამ გროვიდან გამოვარდა ჩემი ნათესავი და მომეგება, სხვა შაგირდებიც შემომეხვივნენ.

ჩვეულებრივის მშვიდობის, ამბავის გამოკითხვის შემდეგ პატარა შაგირდმა გამითამაშა და მკითხა:

— კარებში შენი ბიჭი დგას? პურები ხომ არ გაქვთ ხურჯინში?

— ჩემი ბიჭია, მაგრამ პური რად იკითხე?

— ისე გვშიან, ლამის ფერდი-ფერდზე მიგვეკრას, ქვებიც პურად გვეჩვენება!

ცოტა პური და შეჭამადი გვეძლევაო, მაგრამ რაც გვეძლევა, იმის ნახევარსაც არ გვაღირსებენ ჩვენი მოსამსახურეებიო“[2].

ამას უნდა დავუმატოთ კიდევ ის გარემოება, რომ ს. დივარის დროს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სემინარიაში ძლიერ დაბალ დონეზე იდგა. სასწავლებელი შესაფერისი კადრებითაც არ იყო უზრუნველყოფილი. ზოგიერთ მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის დაჭიმული ურთიერთობა არსებობდა. ჩაგონებისა და კეთილი სიტყვის ნაცვლად ფართო გასაქანი ჰქონია ფიზიკურ დასჯას. მოსწავლეთა ეროვნულ ნიადაგზე შეურაცხყოფასა და აბუჩად აგდებასაც ხშირად ჰქონია ადგილი.

---

[1] 1878, № 7.

[2] დროება, 1877, № 196.

ასეთი მდგომარეობის გამო „ივერიაში“ შემდეგს ვკითხულობთ: „სემინარიაში არის ერთი მასწავლებელი სხვადასხვა საგნებისა, რომელსაც უჩივიან შეგირდები და რომლისგანაც ყმაწვილები დაჩაგრულნი არიან, რაღა დაჩაგვრა უნდა შიმშილისაგან კუჭ-გამხმარ შეგირდებს!

იგი მასწავლებელი გახლავთ ნამდვილი იმ წესისა და დროს მიმდევარი, როდესაც სუფევდა ნერგის წკეპლა, ლაზათიანი სილა და დედ-მამის გინება“[1].

ს. დივარის ორი წლის დირექტორობას ისეთი შედეგი არ მოჰყოლია, რაც რაიმე მხრივ სასარგებლო იქნებოდა სემინარიისათვის. პირიქით, ის პირველი სიხარული და იმედი, რომლითაც შეხვდა ქართველი საზოგადოება ამ სასწავლებლის გახსნას, განელდა და მალე უკმაყოფილებად გადაიქცა. სამასწავლებლო სემინარიას მოსახლეობაში თანდათან ეკარგებოდა ავტორიტეტი.

გარდა ამისა იყო ერთი გარემოება, რომელიც ქართველი საზოგადოების დიდ აღშფოთებას იწვევდა: სემინარიაში, რომელიც გორში იყო გახსნილი და ამიერკავკასიის სახალხო სკოლებისათვის მასწავლებლები უნდა მოემზადებინა, არ ისწავლებოდა ქართული ენა. ამ საკითხთან დაკავშირებით დიდმა ქართველმა მწერალმა ილია ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა წერილი „ვიცინოთ თუ ვიტიროთ“, რომელშიც წერდა: „გორში არსებობს შარშანდელს აქეთ საოსტატო სემინარია, ესე იგი იმისთანა სასწავლებელი, რომელმაც უნდა მოამზადოს ოსტატები, მასწავლებელნი ჩვენის სახალხო სასწავლებელთათვის. რასაკვირველია, თქვენ იფიქრებთ, რომ აქ ქართულს ენას პირველი ადგილი ეპირება სხვათა შორის. მაგრამ ეგ აგრე არ არის. სემინარიის გულისხმიერს გამგეობას გადაუწყვეტია, რომ ქართველთა ბავშვების ოსტატს ქართულის ცოდნა გულს აუსუყებსო. ამის გამო იმ სემინარიაში ქართულს ენას არ ასწავლიან, ასე რომ ქართულის სახსენებელიც გაუქრიათ. როგორ მოგწონთ? შუაგულს ქართლში მთავრობამ სემინარია გახსნა, მერე იმისათვის, რომ ქართულის სოფლის ბავშვებისათვის ოსტატები გამოსწურთნოს და მაინც კიდევ ქართულს არ ასწავლიან. ვიცინოთ ამაზედ, თუ ვიტიროთ?

... სემინარიასთან არსებობს მოსამზადებელი კლასი, რომელსაც პროსემინარიას უწოდებენ. წესდებულების ძალით, სემინარიასთან უნდა დაარსებულიყო სამი პროსემინარია: ერთში უნდა ისწავლონ ქართველებმა, მეორეში — რუსებმა და მესამეში — სომხებმა. შარშან

---

[1] ივერია, 1877, № 41.

სექტემბერში დაარსდა მხოლოდ ქართული პროსემინარია[1]. ყოველის ეჭვის გარეთ იყო ყველასათვის, რომ ამ სასწავლებელში, რომელიც განსაკუთრებით ქართველებისათვის არის დანიშნული, ჯეროვანი გზა მიეცემოდა ქართულს ენას. მაგრამ აქაც უკუღმა დატრიალებულა საქმე. ამ პროსემინარიის მეორე განყოფილებაში ქართულის ენის ხსენებაც არ არის; მისთვის ერთი საათიც არ არის კვირაში დანიშნული და მოწაფენი ქართულს წიგნებსაც მოკლებულნი არიან. შესაძლებელია, რომ გორის სემინარიის გამგეობას ქართულის ენისათვის დრო არა ჰქონდეს, რადგანაც გვარ-ტომობის გამოკვლევას ეგრე წარჩინებულად შესდგომია თვისდა სასახელოდ და იმ გამოკვლევაშია გართული. ჩვენ აქ არა გვეთქმის-რა, მაგრამ ქართულს სასწავლებელში რომ ქართულს არ ასწავლიდნენ—ეს მაინცდამაინც დაუჯერებელია"[2].

ამავე წერილში ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ პროსემინარიის (ქართული დაწყებითი სასწავლებლის—მ. კ.) პირველ განყოფილებაში თუმცა ქართულს ასწავლიან, მაგრამ ისე დამახინჯებულად და უმსგავსო მეთოდით, რომ ქართულის შესწავლის ნაცვლად ბავშვებს ისიც დაავიწყდებათ, რაც იცოდნენო. „ამ მეთოდის მომგონებელი გახლავთ ქართულის პროსემინარიის მასწავლებელი უფ. ნათიევი. ეს მეთოდი აი რაში მდგომარეობს: ერთსა და იმავე დროს ბავშვმა უნდა გაიკვეთოს ქართული ასოები, რუსული ასოები, ისწავლოს მათი გამოხატვა, მათგან მარცვლების, სიტყვების და ფრაზების შედგენა, ამასთან მათ უნდა დაიხსომონ რუსული სიტყვები და ახსნან რუსული ფრაზები. ... ვაი თქვენი ბრალი საწყალო ბავშვებო! არ გეყოფათ განა ამდენი ანბანები, რომ „ნათიაური" ანბანიც, თქვენდა საუბედუროდ არ გამოჩენილიყო?!"[3].

ფ. ნათიშვილმა ილ. ჭავჭავაძეს უპასუხა გაზ. „დროებაში", რომელშიც სრულიად უსუსურად თავს იმართლებდა, რომ მის მიერ შედგენილი „მეთოდით" ქართულ-რუსული წერა-კითხვის შესასწავლი „ანბანი" კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოში ირჩევა და თუ მოწონებული იქნება, შემდეგ ცალკე წიგნად დაიბეჭდება; სახელმძღვანელოს გამოსვლამდე კი არავის არა აქვს უფლება მის შესახებ იმსჯელოსო. შემდეგ ქართული ენა პროსემინარიაში ისწავლება, ამ მხრივ კარგი შედეგებიც არის მოპოვებული და ილ. ჭავჭავაძის საყვედური სრულიად უსაფუძვლოა[4].

---

[1] აქ ილია ჭავჭავაძე გულისხმობს სემინარიასთან არსებულ ქართულ დაწყებით სასწავლებელს, რომელიც 1876 წლის სექტემბერში გაიხსნა.

[2] ივერია, 1877, № 10.

[3] იქვე.

[4] დროება, 1877, № 59.

ფ. ნათიშვილის ამ პასუხმა გამოიწვია ილ. ჭავჭავაძისა და ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლის იაკობ გოგებაშვილის საპასუხო წერილები. ილ. ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა სტატია: „ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებს“, რომელშიც კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა, რომ 1) სამასწავლებლო სემინარიაში ქართული ენა არ ისწავლება და ეს დიდი უსამართლობაა, 2) პროსემინარიაში (სემინარიასთან არსებულ ქართულ დაწყებით სასწავლებელში — მ. კ.) მეორე განყოფილებიდან ქართული ენა არ ისწავლებოდა და 3) პროსემინარიის პირველ განყოფილებაში ქართული ენა თუმცა ისწავლებოდა, მაგრამ ისე დამახინჯებულად, რომ უკეთესი იქნება სრულიად არ ისწავლებოდეს და ამაში ბრალი მასწავლებელ ნათიშვილს მიუძღვისო[1].

ი. გოგებაშვილი საკითხს სხვა კუთხით მიუდგა. როგორც ჩანს, მან ფ. ნათიშვილის „ანბანი“ ნახა კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოში და ის გაარჩია პედაგოგიკურ-მეთოდური ღირებულების თვალსაზრისით.

ი. გოგებაშვილი ფ. ნათიშვილის დაუბეჭდელი „ანბანის“ შესახებ წერს: „რა გვარია უ. ნათიევის სახელმძღვანელო? იმ გვარია, რომ პირველი იეზუიტისათვის რომ გეთქვათ, შეგვიდგინე იმისთანა პირველდაწყებითი სახელმძღვანელო ქართული ენისა, რომ არამც თუ ქართულის სწავლებას სრულიად აბრკოლებდეს, არამედ ქართული ანბანის გაუქმებასაც მიეხმაროსო, და ბავშვებიც დასცეს ძირს გონებითაო, სწორედ ისე შეადგენდა წიგნსა, როგორც შეუდგენია ფ. ნათიევსა.

მოისმინეთ, ანბანი იწყება სამი ქართული ასოთია: ა, ი, ს (რატომ ათით არა? უფრო მომეტებული არ იქნებოდა!) თქვენ იფიქრებთ, რომ ამის შემდეგ ამ ასოებისაგან მარცვლები და სიტყვები იქნებიან შემდგარნი, როგორც ეს მიღებულია ყველგან. სრულიადაც არა. ფ. ნათიევს შეშინებია: ვაი თუ ამ სამ ასომ ფეხი მაგრა მოიკიდონ ბავშვის გონებაში, თუ მისი ყურადღება შევაჩერე მათზედაო, და ამიტომ ქვეშ დაუწერია რუსული ასოები: а, и, с. ასე რომ ბავშვმა ერთბაშად უნდა შეისწავლოს ექვსი სხვადასხვაგვარი ასო. ამის შემდეგ დომხალივით აურევია ქართული მარცვლები, რუსული მარცვლები, მერე მოუყვანია ქართული და რუსული სიტყვები, ასე რომ რუსული ქართულს უშლის, ქართული რუსულს, ორივე თვალს უკრიალებს ბავშვსა, ერთი ჩაბეჭდილება მეორეს არ აც-

---

[1] ივერია, 1877, № 16

დის ფეხი მოიკიდოს ბავშვის გონებაში,და შლის მას და თავის რიგზედ მისგანვე იშლება"[1].

ამ პოლემიკის შედეგი ის იყო, რომ „მახინჯი ჩანასახი" — როგორც ი. გოგებაშვილმა უწოდა ფ. ნათიშვილის[2] „ანბანს"—„დედის მუცელშივე გაწყალდა" და დღის სინათლე არ ღირსებია. მეორეც. ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ მკვეთრად დააყენა საკითხი სემინარიაში ქართული ენის შემოღების შესახებ. ამ საკითხის დასმა და გადაჭრა არ შეეძლო სემინარიის მაშინდელ ხელმძღვანელობას, რომელიც ყოველმხრივ მოუძზადებელი აღმოჩნდა სემინარიაში სწავლა-აღზრდის გონივრულ, პედაგოგიურად სწორ ნიადაგზე დაყენებისა და წარმართვისათვის. ამის განხორციელება წილად ხვდა დიდი რუსი პედაგოგის კ. დ. უშინსკის სახელოვან მოწაფეს დიმიტრი დიმიტრის-ძე სემიონოვს, რომელსაც ყველაზე მეტი ღვაწლი მიუძღვის ამიერკავკასიის (გორის) სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლე-პანსიონერთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, მოწინავე მასწავლებელთა კადრების თავის გარშემო შემოკრებისა და სემინარიაში ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენების, როგორც საგალდებულო საგნების შემოღების საქმეში.

---

[1] ი. გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, I, 1952, გვ. 49, გ. თავზიშვილისა და დ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით, ტექსტი დასაბეჭდად მომზადებულია ზ. კიკნაძისა და ვ. ქაჯაიას მიერ. ი. გოგებაშვილის ამ წერილის შესახებ იხ. შენიშვნები I ტომისა, გვ. 523.

[2] ფარნაოზ სიმონის-ძე ნათიშვილი დაიბადა 1846 წ. 1867 წელს, სათანადო გამოცდების შემდეგ, მიღებულ იქნა თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სკოლის II კლასში. ეს სკოლა დაამთავრა 23 წლისამ 1869 წლის ივნისში, როგორც ატესტატშია აღნიშნული, მას უსწავლია: საღვთო სჯული, პედაგოგიკა, რუსული ენა, რუსეთისა და მსოფლიო გეოგრაფია, რუსეთისა და მსოფლიო ისტორია, არითმეტიკა და გეომეტრია, ბუნებისმეტყველება, ჰიგიენა და პოპულარული მედიცინა, ხაზვა, სუფთა წერა, სიმღერა, გიმნასტიკა, ხელობა. გარდა სუფთა წერისა ყველა საგანში აქვს „Отличные" და „Очень хорошие". პირველად მასწავლებლობა დაუწყია გორის სამაზრო სასწავლებელში. 1876 წლის 1-ლი ივლისიდან დანიშნეს გორის სემინარიასთან არსებულ ქართული დაწყებითი სკოლის მასწავლებლად; იმავე წლის 14 სექტემბრიდან სემინარიის კლასებში ასწავლიდა სიმღერასა და გიმნასტიკას. სემინარიაში მასწავლებლობას თავი დაანება 1883 წლის 1 სექტემბრიდან (საქმე № 1633, ფ. 3, 10, 11; საქმე № 163[illegible], ფ. 6, 7).

1884 წელს მან მოსწავლეებთან ერთად დაათვალიერა ილ. წინამძღვარიშვილის მიერ დაარსებული სამეურნეო სკოლა და გულთბილი წერილი გამოაქვეყნა გაზ. „კავკაზში" (1884 წ. № 140) „Несколько слов о Цинамцгваровской сельскохозяйственной школе".

ფ. ნათიშვილი ცოცხალი იყო 1911 წელს, რასაც ადასტურებს მისი განცხადება სემინარიის დირექტორის სახელზე — თხოულობდა ცნობას თავის ნამსახურობის შესახებ (საქმე № 1630, ფ. 7).

დ. დ. სემიონოვი — გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორი

1878 წელს ზაფხულში სამსახურიდან განთავისუფლებული დივარის ნაცვლად, ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორად დაინიშნა ყუბანის სემინარიიდან გადმოყვანილი დიმიტრი დიმიტრის-ძე სემიონოვი.

დ. სემიონოვს დიდი და დაძაბული მუშაობის ჩატარება მოუხდა, რათა სემინარიის საქმეები წესრიგზე მოეყვანა. 1878 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი გაგზავნილ „ანგარიშში“ დ. სემიონოვი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თუმცა სემინარია ორი წელია გახსნილი, მაგრამ ის ჯერ კიდევ ჩამოყალიბება-ორგანიზაციის პერიოდშია და დიდი ნაკლოვანებანიც ახასიათებს. განსაკუთრებით უარყოფით მოვლენად მიაჩნდა დ. სემიონოვს მასწავლებელთა ხშირი ცვალებადობა სემინარიაში. „ასე, მაგალითად, სემინარიის არსებობის 2 წლის მანძილზე უკვე მეორე დირექტორი დაინიშნა, რუსული ენისა და ისტორიის 4 მასწავლებელი გამოიცვალა, მათემატიკისა — სამი, გეოგრაფიისა — სამი, პედაგოგიკისა — ორი. მასწავლებელთა ძლიერ შემცირებულმა რიცხვმა გამოიწვია სასწავლო პროგრამის შეზღუდვა“[1].

ამ „ანგარიშში“ დ. სემიონოვი კატეგორიულად მოითხოვს სახელმწიფო სტიპენდიატების რიცხვის გადიდებას 50-მდე მაინც, ხოლო თითოეული მოსწავლის შენახვის ხარჯების გადიდებას 130 მანეთამდე ნაცვლად 100 მანეთისა.

1878 წლის ნოემბერში დ. სემიონოვს დაუწერია: „Записка о средствах более быстрого и прочного развития народного образования в Закавказском Крае“. ეს არის ერცელი მოხსენებითი ბარათი, რომელშიც გადმოცემულია დ. სემიონოვის შეხედულებანი სასწავლო ქსელის გაფართოების საშუალებებისა და სემინარიებში სწავლების მოგვარების შესახებ.

ეს მოხსენება დ. სემიონოვს გაუგზავნია კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოში. რას მოითხოვს სემიონოვი თავის მოხსენებაში?

უპირველეს ყოვლისა ის აღნიშნავს, რომ „თანამედროვე სასწავლო სტატისტიკაში მიღებულია, რომ სახალხო განათლების დონის საზომად მოცემულ მხარეში ითვლება ის შეფარდება, რომელიც არსებობს სემინარიების რიცხვისა მოსახლეობის რიცხვთან“[2].

---

[1] საქმე № 26, ფ. 1, 2.
[2] საქმე № 44, ფ. 1.

სასწავლებლებისა და მოსწავლეების რიცხვის შედარების საფუძველზე ყუბანის, სტავროპოლის, თერგის, თბილისის, ქუთაისის, ერევან-ელისავეტპოლისა და ბაქო-დაღესტნის დირექციებში, დ. სემიონოვი დაასკვნის: „ყუბანის დირექციის სახალხო სკოლების აშკარა უპირატესობა კავკასიის სასწავლო ოლქის სხვა დირექციებთან შედარებით აიხსნება იმით, რომ მარტო ყუბანის ოლქისათვის 1871 წლიდან არსებობს ორი სასწავლო დაწესებულება — ყუბანის სამასწავლებლო სემინარია და ქალთა პედაგოგიური კურსები, რომლებიც ამზადებენ სახალხო მასწავლებლებს"[1].

მაგრამ რუსეთის იმპერიის სხვა ადგილებისა და საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული სემინარიების რიცხვის შეფარდება მოსახლეობის რიცხვთან ადასტურებს, რომ კავკასიაში არსებული ორი სემინარია (ყუბანისა და ამიერკავკასიისა) მოდის 5.388.000 მოსახლეზე ე.ი. ერთი სამასწავლებლო სემინარია 2 მილიონზე მეტ მცხოვრებზე. ამგვარად, სახალხო განათლების საქმე საერთოდ კავკასიაში უფრო ცუდ მდგომარეობაშია, ვიდრე რუსეთის იმპერიის სხვა ადგილებში. ხოლო, თუ ყუბანის დირექციას გამოვრიცხავთ, მაშინ „სახალხო განათლების საქმე ამიერკავკასიაში უფრო საეალო მდგომარეობაში აღმოჩნდება. აქ ერთი სემინარია მოდის სამნახევარ მილიონ მცხოვრებზე"[2].

ასეთი მიმოხილვის გაკეთების შემდეგ დ. სემიონოვი წერს: „ყოველივე ზემოთქმულიდან იმ საშუალებებზე, რომლებიც მიმართულია სახალხო განათლების გავრცელებისათვის კავკასიაში, აუცილებელია შემდეგი ხუთი დასკვნის გაკეთება:

1. ამიერკავკასიაში სახალხო განათლების სწრაფი და სწორი განვითარების მიზნით, აუცილებელია ვიზრუნოთ ადგილობრივ მკვიდრთათვის სემინარიების დაარსების შესახებ, ყოველ გუბერნიაში თითო-თითოსი მაინც.

2. ამ ზომის გატარებამდე საჭიროა გადიდდეს რიცხვი ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში ქართველ, სომეხ და რუს სახელმწიფო სტიპენდიატებისა, ხოლო მუსულმანი მასწავლებლების მოსამზადებლად გაიხსნას სემინარიასთან განსაკუთრებული მუსულმანური განყოფილება.

3. ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში, შემდეგ კი ადგილობრივ მკვიდრთათვის გახსნილ ყოველ სემინარიაში შემოღებული უნდა იქნეს ადგილობრივი ენების სწავლება, რასაც მოითხოვს პედაგოგიური, რელიგიური და სახელმწიფო ინტერესები.

---

[1] საქმე № 44, ფ. 1.
[2] საქმე № 44, ფ. 4, ბ.

4. სახალხო მასწავლებლები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ სამსახურებრივი და მატერიალური მხრით — მათთვის ზოგიერთი სამსახურებრივი უფლების მიცემით, განსაზღვრული წლიური ხელფასით და 20 წლის სამსახურის შემდეგ, თუნდაც მცირე, მაგრამ მუდმივი პენსიის დანიშვნით მათთვის და მათი ოჯახებისათვის.

5. სემინარისტ-მასწავლებლებისათვის დროდადრო უნდა მოეწყოს მასწავლებელთა ყრილობები იმ მიზნით, რათა მათ შორის დამყარდეს მორალური კავშირი, მოქმედებათა ერთიანობა მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და პედაგოგიური საკითხების გარკვევისათვის, რომლებიც სახალხო სკოლების ორგანიზაციას ეხება"[1].

დ. სემიონოვის ეს მოხსენება კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოს გადაუცია მეფისნაცვლისათვის. ამ უკანასკნელს გაუზიარებია დ. სემიონოვის მოსაზრებანი და მის საფუძველზე მოხსენებითი ბარათი გაუგზავნია ე. წ. „კავკასიის კომიტეტში" (პეტერბურგში).

1879 წელს 23 აპრილს გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორს დ. სემიონოვს სასწავლო ოლქის კანცელარია ატყობინებს, რომ მას ეგზავნება „Извлечение из журнала Кавказского Комитета 13-го марта 1879 года".

„კავკასიის კომიტეტს" მოუწონებია ის შეხედულებები, რომლებიც გამოთქმულია სასწავლო საკითხებზე „მისი უმაღლესობის მეფისნაცვლის მიერ". კერძოდ, სახალხო განათლების მინისტრს განუცხადებია, რომ ყველაზე უფრო ქმედითი საშუალება ადგილობრივ მკვიდრთა განათლებისათვის არის „Учреждение инородческих семинарий, с целью приготовления учителей из туземцев для начальных школ. С этого и следует начать дело образования туземного населения на Кавказе. Опыт показал, что обучение инородцев шло неуспешно до тех пор, пока не были открыты инородческих учительских семинарий. Бывшее до того времени первоначальное обучение инородцев на русском языке, обременяя лишь память учащихся заучиванием чуждых, непонятных им слов, не привело ни к каким успешным результатам"[2].

თავისი მოსაზრებები „კავკასიის კომიტეტმა" განსახილველად და კავკასიის სამეფისნაცვლოში გასატარებლად წარუდგინა „მის.

---

[1] საქმე № 44, ფ. 16.

[2] საქმე № 44, ფ. 30, 31.

იმპერატორობით უდიდებულესობას“, რომელმაც 1879 წლის 19 მარტს, მოხსენებაზე დააწერა: „Исполнить“[1].

დ. სემიონოვის ღვაწლიცაა, რომ 1881 წელს დაარსდა ორი სემინარია: ქუთაისისა (დაბა ხონში) და ერევნისა — ქ. ერევანში. ხოლო გორის სამასწავლებლო სემინარიასთან 1879 წლის 23 სექტემბრიდან დ. სემიონოვმა გახსნა ე. წ. „თათრული განყოფილება“ (ამ განყოფილების გახსნას სემინარიის „დებულებაც“ ითვალისწინებდა). 1879 წლის სექტემბრიდან სემინარიაში შემოღებულ იქნა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენების სწავლება. გადიდდა სახელმწიფო სტიპენდიატების რიცხვი. თითოეული აღსაზრდელის შესანახად ნაცვლად 100 მანეთისა დაწესდა 130 მანეთი.

ასეთი შედეგი მოჰყვა დ. სემიონოვის პირველი წლის დირექტორობას გორის სამასწავლებლო სემინარიაში.

1880 წლის 15 ივნისს სემინარიის კურსდამთავრებულთა მეორე გამოშვების აქტზე დამსწრე საზოგადოებას დ. სემიონოვმა სიტყვით მიმართა, რომელიც ერთგვარ ანგარიშს წარმოადგენს 1879 წლის პირველი გამოშვების შემდეგ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

„ყველა შარშანდელი მოსაზრება წელს განხორციელებულ იქნა ასე: 1. სემინარიის დაპროექტებული ახალი შტატით, რომელიც უმაღლესად დამტკიცებულია მიმდინარე წლის მაისში, სემინარიის ბიუჯეტი გაიზარდა 21.500 მანეთიდან 52.000 მანეთამდე, ე. ი. თითქმის 2-ჯერ.

ამის მეოხებით:

ა. მასწავლებელთა რიცხვი გაიზარდა 9-დან 20-მდე. ამასთან მოწვეულია მაჰმადიანური სარწმუნოების ორი მასწავლებელი-სუნიტური და შიიტური სექტისა, ზოგად მეცნიერებათა ერთი მასწავლებელი და სამი მასწავლებელი ადგილობრივი ენებისა: ქართულის, სომხურის და თათრულისა; ერთიც განსაკუთრებული მასწავლებელი დაბალი მოსამზადებელი კლასისა.

ბ. წინანდელი შტატით სახელმწიფო სტიპენდიატების რიცხვი იყო 25, ახალი შტატით 110[2], ე. ი. ოთხჯერ მეტი“[3].

დ. სემიონოვის გულმოდგინე ზრუნვამ გორის სამასწავლებლო სემინარიის კეთილმოწყობისა და განვითარებისათვის შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. სასწავლებელმა მოსახლეობაში თანდათან მოიპოვა ავტორიტეტი და სიყვარული. მასწავლებლებსა და აღსაზრდელებს შორის გულთბილი და ჰუმანური დამოკიდებულება

[1] საქმე, № 44, ფ. 34.
[2] დ. სემიონოვი გულისხმობს „თათრული განყოფილების“ სახელმწიფო სტიპენდიატებსაც.
[3] საქმე № 78, ფ. 1.

დამყარდა. გაკვეთილები მაღალ დონეზე ტარდებოდა და მოსწავლეებს საფუძვლიან ცოდნას აძლევდა. ყოველივე ამის გამო მოსწავლეთა რიცხვი სემინარიაში განუხრელად მატულობდა. დ. სემიონოვის სიტყვით, ასეთი მუშაობისა და განხორციელებული ღონისძიებების შედეგად 1880 წლის ზაფხულისათვის მდგომარეობა სემინარიაში ასეთი იყო:

	1878/79 სასწავლო წლის ბოლოს	1879/80 სასწავლო წლის ბოლოს	განსხვავება
მოსწავლეთა რაოდენობა სემინარიასა და დაწყებით სკოლებში სულ . .	164	211	47
სემინარიის ხუთ კლასში სულ	58	110	52
აქედან:			
გამოსაშვებ კლასში იყო .	7	14	7
მეორე კლასში . .	16	21	5
პირველ კლასში	16	33	17
უფროს მოსამზადებელ კლასში .	19	27	8
უმცროს მოსამზადებელ კლასში	—	15	15
რუსულ დაწყებით სასწავლებელში .	33	35	2
ქართულ დაწყებით სასწავლებელში . .	53	49	—4
სომხურ დაწყებით სასწავლებელში .	20	17	—3
თათრულ დაწყებით სასწავლებელში	—	—	—
აქედან:			
რუსი .	35	16	—19
ქართველი .	94	123	29
სომეხი . .	27	34	7
თათარი[1] . .	2	28	26
მთიელები	4	8	4
ბერძენი	2	2	—
სემინარიასთან არსებულ ორ პანსიონში ცხოვრობდა			
ქრისტიანულში . .	40	56	16
მაჰმადიანურში	—	35	35[2]

[1] იგულისხმება აზერბაიჯანელები, თუმცა მათთან ერთად სხვა ეროვნების მაჰმადიანი ბავშვებიც სწავლობდნენ.

[2] საქმე № 78, ფ. 3—4.

დ. სემიონოვის დირექტორობის დროს გორის სამასწავლებლო სემინარიას ჰქონდა 6 გამოშვება—სულ 100 ახალგაზრდამ მიიღო სახალხო მასწავლებლის წოდება. პირველ გამოშვებაზე, 1879 წელს, კურსი დაასრულა 6 მასწავლებელმა. მათ შორის 3 ქართველი იყო (ნესტორ მინდელი, ნიკოლოზ ტატიშვილი, ბართლომე ხუციშვილი), ერთი რუსი (ეგნატე სუდაკოვი), ერთი სომეხი (ალექსანდრე ტერ-აბრამოვი) და ერთიც ჩერქეზი (ალექსანდრე შარალუკოვი)[1].

შესანიშნავად დააყენა დ. სემიონოვმა სწავლა-აღზრდისა და პედაგოგიური პრაქტიკის საქმე სემინარიაში. თუ როგორ ჰქონდა მას წარმოდგენილი ამ მუშაობის ხასიათი, ნათლად ჩანს მისი შრომიდან „Основы и программа специально-педагогического образования в Закавказской учительской семинарии", რომელიც შეიცავს პედაგოგიკის პროგრამას და მასზე დართულ განმარტებით ბარათს[2].

დ. სემიონოვის ღრმა განათლების, ორგანიზატორული ნიჭისა და პროგრესულ-ლიბერალური შეხედულების მეოხებით გორის სამასწავლებლო სემინარიამ დიდი პოპულარობა მოიპოვა მოსახლეობაში და კავკასიის სხვა სამასწავლებლო სემინარიებს შორის საპატიო ადგილი დაიკავა.

გორის სამასწავლებლო სემინარიიდან დ. სემიონოვის წასვლა გამოიწვია იმ დაძაბულმა ურთიერთობამ, რომელიც დამყარდა დ. სემიონოვსა და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ კ. იანოვსკის შორის სემინარიის ქართული ენის მასწავლებელ მ. ქ. ყიფიანის დაპატიმრების გამო. მაგრამ მისი წასვლის შემდეგაც დ. სემიონოვის ტრადიციები იყო ძირითადად განმსაზღვრელი შემდგომი მუშაობისა გორის სამასწავლებლო სემინარიაში[3].

სამასწავლებლო სემინარიის დებულების მიხედვით სემინარიასთან უნდა გახსნილიყო ე. წ. „თათრული განყოფილება", რომელსაც უნდა მოემზადებინა მაჰმადიანური სარწმუნოების აღმსარებელი ახალგაზრდები სახალხო სკოლების მასწავლებლებად. თათრული განყოფილება[4] გაიხსნა დ. დ. სემიონოვის დირექტორობის დროს, 1879 წლის 23 სექტემბერს. განყოფილების დებულება და შტატი

---

[1] საქმე № 609, ფ. 1, აგრეთვე გაზ. დროება, 1879 № 119.

[2] ამ პროგრამისა და განმარტებითი ბარათის შესახებ იხ. ამავე წიგნში თავი—„სემინარიელთა პედაგოგიური პრაქტიკა".

[3] უფრო ვრცლად იხ. ჩვენი შრომა „დ. დ. სემიონოვის პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოში", საიდანაც არის ამოღებული ეს თავი შემოკლებით. მ. კ.

[4] აქ უნდა შევნიშნოთ, რომ მკითხველმა სიტყვა „განყოფილება" არ უნდა გაათანაბროს ტერმინ „სექტორთან" იმ გაგებით, როგორც დღეს გვესმის. სწავლა სემინარიაში ყოველთვის რუსულ ენაზე მიმდინარეობდა „თათრულ განყოფილების" ჩამოყალიბების მიზანი იყო განსაკუთრებით შეეწყო ხელი მაჰმადიანი ბავშვების მომზადებისათვის, რათა სემინარიის პირველ კლასში მისაღები გამოცდები მათ წარმატებით ჩაებარებინათ.

კი დაპტკიცებულ იქნა 1880 წლის 13 მაისს. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი 1880 წლის ანგარიშში წერდა: „Это отделение семинарии исключительно предназначено для подготовления учителей из татар в татарския начальныя училища. При обеих (იგულისხმება ყუბანისა და გორის სამასწავლებლო სემინარია. მ. კ.) имеются 1) приготовительные с двугодичным курсом классы для основательнейшей подготовки к поступлению в семинарию мальчиков, окончивших курс в народной школе и не достигших установленного возраста, и, сверх того, 2) особыя образцовыя школы для упражнения семинаристов в преподавании. Таких школ при Закавказской семинарии, по числу главнейших национальностей, из которых приготовляются учителя, устроено 4: русская, грузинская, армянская и татарская; последняя открыта 1 сентября отчётного года"[1].

თათრული განყოფილების გახსნის შემდეგ, რომელიც ძირითადად აზერბაიჯანელებისაგან კომპლექტდებოდა, სემინარიამ ასეთი სახე მიიღო: ქრისტიანული პანსიონის გარდა ცალკე გაიხსნა მაჰმადიანური პანსიონი, სემინარიასთან. უკვე არსებობდა ოთხი დაწყებითი სასწავლებელი: ქართული, რუსული, სომხური და თათრული (აზერბაიჯანული—მ. კ.). სემინარიის თათრული განყოფილების გახსნის შემდეგ ჩამოყალიბდა მოსამზადებელი კლასი, რომელშიც მხოლოდ და მხოლოდ მაჰმადიანებს ღებულობდნენ. ასეთივე მოსამზადებელი კლასი არსებობდა საკუთრივ სემინარიასთანაც. ამ უკანასკნელში მიღება შეზღუდული არ ყოფილა სარწმუნოებრივი და ეროვნული მხრივ. მოსამზადებელი კლასები რომ განესხვავებინათ ერთმანეთი. საგან, პირველს უწოდეს უმცროსი მოსამზადებელი კლასი და მეორეს—უფროსი, მოსამზადებელ კლასში სწავლის კურსი ერთი წლით განისაზღვრებოდა. უმცროსი მოსამზადებელი კლასიდან ბავშვები გადადიოდნენ უფროს მოსამზადებელ კლასში, ხოლო მისი დასრულების შემდეგ სემინარიის პირველ კლასში მისაღებად საჭირო იყო სათანადო გამოცდების ჩაბარება[2].

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თათრული განყოფილების გახსნას გარდა ეროვნული ნიშნისა, რელიგიური საფუძველიც ედო. ამით აიხსნება, რომ თათრულ განყოფილებაში ხშირად გვხვდება სხვადასხვა ეროვნების მაჰმადიანი ბავშვები.

---

[1] Отчёт попечителя Кавказского учебного округа о состоянии учебных заведений за 1880 год. Тифлис, 1881, стр. 66.

[2] საქმე № 381, ფ. 5.

ასე, მაგალითად, 1879 წელს თათრულ განყოფილებაში მიღებულთა შორის 4 ქართველია: მემედ აბაშიძე, ჰასან ვაჩნაძე, ისკანდერ ფალავანდიშვილი და შეეკეთ ფალავანდიშვილი. ყველას აღნიშნული აქვს თავიანთი ქართული ეროვნება, ხოლო სარწმუნოებაში უწერიათ „მაჰმადიანი"[1].

ასეთივე მდგომარეობას სხვა წლებშიც აქვს ადგილი. გარდა ამისა, თათრულ განყოფილებაში სხვადასხვა დროს სწავლობდნენ ლეკები, ყაბარდოელები, ჩერქეზები, ჩეჩნები და სხვა. მაგრამ უმრავლესობას ყოველთვის შეადგენდნენ ჩვენი მოძმე აზერბაიჯანელი ხალხის ბავშვები. თათრულ განყოფილებაში 1879 წლის სექტემბერში პირველმიღებულთა რიცხვი 34 აღწევდა. ამათ შორის, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ქართველი მაჰმადიანებიც იყვნენ. თათრული განყოფილების გახსნასთან დაკავშირებით დირექტორი დ. დ. სემიონოვი წერდა: „სემინარიაში მიღებული 34 მუსულმანიდან, 24 მოწვეული და შერჩეული იყო ბატ. ჩერნიავსკის[2] მიერ, ხოლო 10 თავისი სურვილით გამოცხადდა. ეს სანუგეშო მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ მომავალში უკვე აღარ იქნება საჭიროება მივმართოთ ხელოვნურ ღონისძიებებს სემინარიაში მუსულმანების მოსაზიდად.

განსაკუთრებით ბევრი განცხადება შემოვიდა ქართველი მუსულმანებისაგან, მაგრამ მათი დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა ან იმის გამო, რომ მსურველნი ძლიერ სუსტად იყვნენ მომზადებულნი, ან მათი მცირეწლოვანების გამო. ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია, ამიერკავკასიის სემინარიასთან დაარსებული განსაკუთრებული თათრული სკოლის გახსნასთან ერთად, ჩამოყალიბდეს ქართველ მუსულმანთა განყოფილება, რასაც შეუძლია ხელი შეუწყოს განათლებას ქართველი მუსულმანებისას, რომლებიც ახლად შემოერთებულ ოლქებში ცხოვრობენ და მათში წესიერად მოწყობილი სკოლების გავრცელებას.

სემინარიაში მიღებული 25 ქრისტიანიდან, მხოლოდ ერთია რუსი, სამი სომეხი, დანარჩენი ქართველი, სხვადასხვა ტომისა. მაგრამ განსაკუთრებით ბევრი განცხადება შემოვიდა ქუთაისის გუბერნი-

---

[1] საქმე № 809. „Список лиц, обучавшихся в Закавказской учительской семинарии с 1876 года". ფ. 1—69.

[2] ა. ო. ჩერნიავსკი დანიშნული იყო თათრული განყოფილების ინსპექტორად. მანამდე მსახურობდა ყუბანის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორის თანაშემწედ. ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში ჩერნიავსკი მოიწვია დ. სემიონოვმა, რომელიც მას, როგორც შესანიშნავ და გულისხმიერ პედაგოგს, დიდად აფასებდა.

იდან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აუცილებელია, უმოკლეს ხანში ქუთაისის გუბერნიაში გაიხსნას ცალკე სემინარია"[1].

სემინარიასთან გახსნილმა „თათრულმა" განყოფილებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თათრული (აზერბაიჯანული და ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ეროვნებათა) სახალხო სკოლების კარგად დახელოვნებული მასწავლებლების მომზადების საქმეში. ბევრმა მათგანმა ისახელა თავი შემდეგში საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თავის ხალხს უანგარო სამსახური გაუწია. ნიჟიერმა აზერბაიჯანელმა ახალგაზრდებმა, რომლებმაც დაასრულეს ამიერკავკასიის (გორის) სამასწავლებლო სემინარია, დიდად შეუწყვეს ხელი თავის ხალხში განათლების გავრცელებისა და წარმატების საქმეს. ზოგიერთი მათგანი კი კულტურის თვალსაჩინო და უაღრესად პოპულარული მოღვაწე შეიქნა. საკმარისია დავასახელოთ ცნობილი კომპოზიტორი ჰაჯიბეკოვი[2], აზერბაიჯანული ეროვნული ოპერის ფუძემდებელი, რომელიც გორის სამასწავლებლო სემინარიაში სწავლობდა 1899—1904 წ. წ. და სხვა.

დასასრულ, გვინდა შევნიშნოთ, რომ დამოკიდებულება „თათრული" და „ქრისტიანული" პანსიონების მოსწავლეთა შორის ყოველთვის გულთბილი იყო და ჩვენ მიერ გასინჯული არც ერთი დოკუმენტი არ გვიჩვენებს, რომ ამ მხრივ რაიმე ინცინდენტს ჰქონოდეს ადგილი.

ამ მოსაზრებას ვერ მიაყენებს ჩრდილს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კ. პ. იანოვსკის 1880 წლის „ანგარიშში" გამოქვეყნებული პროვოკაციული განცხადება: „... в Закавказской Семинарии национальная рознь, которая прежде вовсе не замечалась между воспитанниками, стала заметно проявляться особенно во второй половине отчётного года. Такое грустное явление нельзя не приписать влиянию местной прессы, статьи которой, проникая в среду учащихся, хотя не произвели открытой вра-

---

[1] საქმე № 51. „ანგარიში ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის მდგომარეობის შესახებ, 1879 წელს". ფ 62.

[2] უ. ჰაჯიბეკოვი სემინარიის უმცროს მოსამზადებელ კლასში მიღებულ იქნა 1899 წლის სექტემბერში. მისი პირველი მასწავლებელი სემინარიაში იყო კონსტანტინე ზურაბის-ძე გარაყანიძე, რომელმაც ასეთი დახასიათება მისცა მომავალ კომპოზიტორს: „უნარიანი და უფრო გულღიაა, ვიდრე მისი ამხანაგები. უყვარს ბატვა და წიგნების კითხვა. თავისი სურვილით ვარჯიშობს თათრული ენიდან რუსულ ენაზე და რუსულიდან თათრულ ენაზე სტატიების თარგმნაში. მხიარული ხასიათისაა, ცოცხალი ბავშვია. ყოფაქცევა—5" (საქმე № 1422. იხ. „საკონდუიტო ფურცელი").

გარდა უ. ჰაჯიბეკოვისა გორის სამასწავლებლო სემინარიაში სწავლობდნენ ცნობილი აზერბაიჯანელი მწერლები ჯალილ მამედყულიზადე (1869—1932), სულეიმან სანი ახუნდოვი (1875—1939) და სხვ.

жды между воспитанниками разных национальностей, но тем не менее порождали между ними безплодные споры о преимуществе той или другой национальности, того или другого языка"[1].

არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ იანოვსკის ეს განცხადება მიზნად ისახავს ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერას. ჯერ ერთი, მას, როგორც ჩანს, არაფრად სიამოვნებდა სემინარიაში ადგილობრივი (ქართული, სომხური, აზერბაიჯანული) ენების სწავლების შემოღება, რაც 1879 წლის სექტემბრიდან განხორციელდა და ეს პედაგოგიურად საესებით სწორი გადაწყვეტილება რომ დაამციროს, აღნიშნავს, თითქოს მოსწავლეთა მშობლიური ენების სწავლებამ მათ შორის ეროვნული შუღლი გამოიწვია, რაც ბავშვების წარმატებით სწავლას ხელს უშლისო. ამ განცხადებით იგი არაპირდაპირ აღნიშნავს, რომ მოსწავლეებისათვის ის დრო ჯობდა, როდესაც სემინარიაში მათი მშობლიური ენები არ ისწავლებოდა და შენიღბულად სვამს საკითხს: მოაქვს თუ არა სარგებლობა სემინარიაში ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენების სწავლების შემოღებას? როგორც დავინახეთ, იმ ფაქტს ის უარყოფითად აფასებს „ეროვნული შუღლის" გაღვივების მომიზეზებით, რასაც სინამდვილეში ადგილი არა ჰქონია.

მეორეც. იანოვსკი ცილსა სწამებს ადგილობრივ პრესას, თითქოს ის ქართველ-სომეხ-აზერბაიჯანელთა შორის ხელს უწყობდა ეროვნული შუღლისა და სიძულვილის გაღვივებას და ამით მას სურდა დაემცირებინა კავკასიის პრესის მნიშვნელობა, უნდობლობა გამოეწვია მკითხველთა შორის მისდამი და მიზნად ისახავდა ასეთი პროვოკაციული განცხადებით მართლაც გაეღვივებინა შუღლი, ერთი მხრივ, ქართველ-სომეხ-აზერბაიჯანელთა შორის, მეორე მხრივ, რუსებსა და ქართველ-სომეხ-აზერბაიჯანელებს შორის. ამგვარი პოლიტიკა საესებით შეეფერებოდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს და მის ბიუროკრატ ხელქვეითებს, რომლებიც თვითმპყრობელობის ერთგული აგენტები იყვნენ.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მათ ამ მიზანს ვერ მიაღწიეს: ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში მოსწავლე სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდებს შორის განხეთქილებასა და სიძულვილს ეროვნულ ნიადაგზე ადგილი არ ჰქონია.

---

[1] Отчёт попечителя Кавказского учебного округа о состоянии учебных заведений от 1880 года, Тифлис, 1881, стр. 76—77.

სემინარიასთან არსებული დაწყებითი სასწავლებლები

მომავალი სახალხო მასწავლებლების სწავლების მეთოდებსა და ხერხებში დახელოვნებისა და პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარებისათვის გორის სამასწავლებლო სემინარიასთან, დებულების თანახმად, დაარსებული იყო დაწყებითი სასწავლებლები: ქართული, რუსული, სომხური და თათრული. ქართული დაწყებითი სასწავლებელი გაიხსნა 1876 წელს, სომხური — 1877 წელს, რუსული — 1879 წელს და თათრული — 1880 წელს. ყველა ეს სასწავლებელი ერთკლასიანი იყო და თითოეული შედგებოდა სამი განყოფილებისაგან (უმცროსი, საშუალო და უფროსი). ყოველ განყოფილებაში სწავლის ხანგრძლივობა თითო წელს უდრიდა[1].

დაწყებით სასწავლებლებში ძირითადად ღებულობდნენ იმ ეროვნების ბავშვებს, რომელთათვისაც ის იყო განკუთვნილი. მაგრამ გამონაკლისს აქაც ჰქონდა ადგილი: ქართულ დაწყებით სასწავლებელში ქართველებთან ერთად სწავლობდნენ რუსებიც, სომხებიც და ოსებიც. რუსულ დაწყებით სასწავლებელში — რუსები, ქართველები, სომხები და სხვა ეროვნების ბავშვები. მაგალითად, 1900—1901 სასწავლო წელს რუსულ დაწყებით სკოლაში 27 მოსწავლე ითვლებოდა. აქედან რუსი — 8, ქართველი — 7, სომეხი — 6, დანარჩენი სხვადასხვა ეროვნებას ეკუთვნოდნენ[2]. მოსწავლეთა ამ რიცხვიდან 16 ითვლებოდა პირველ განყოფილებაში, 8 — მეორეში და 3 — მესამეში. ასაკობრივად ისინი ასე ნაწილდებოდნენ: პირველ განყოფილებაში იყვნენ 7—8 წლის ბავშვები, მეორეში — 8—10 წლისა, ხოლო მესამეში — 9—11 წლისა[3].

ასეთივე სურათი იყო ქართულ, სომხურ და თათრულ დაწყებით სასწავლებლებშიც. სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, მხოლოდ ქართულ-სომხურ-თათრული დაწყებითი სკოლების მასწავლებლებს უფლება ეძლეოდათ საჭიროების შემთხვევაში მიემართათ მოსწავლეთა მშობლიურ ენისათვის.

გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორი ს. სტრელეცკი 1890 წლის „ანგარიში“ წერდა: „В русском начальном училище, в которое принимаются исключительно дети русского происхождения или же, если не русского происхождения, то

---

[1] საქმე № 381, ფ. 39. საქმე № 293, ფ. 5.

[2] „Закавказская учительская (в г. Горн) семинария на юбилейной выставке в Тифлисе осенью 1901 года“, 1901, стр. 125.

[3] იქვე, ვ3. 126.

в достаточной мере владеющие русским языком, преподавание происходит исключительно на русском языке; в армянском же, грузинском и татарском начальних училищах, в которых принимаются дети, владеющия лишь или армянским, или грузинским, или татарским языком, но совершенно незнакомыя с русским языком, преподавание происходит тоже на русском языке но при помощи местного языка, соответственно наименованию каждого училища, при чём учителя сих училищ, знающие местные языки тех училищ, в коих они преподают, обращаются постоянно к местному для уяснения детям непонятных им слов и выражений русского языка"[1].

პირველ განყოფილებაში მოსწავლეები წერა-კითხვის შესწავლას იწყებდნენ მშობლიურ ენაზე და ამავე ენაზე მიმდინარეობდა მეცადინეობა. მაგრამ მეორე განყოფილებიდან უკვე, როგორც ილია ჭავჭავაძისა და ფ. ნათიშვილის პოლემიკიდან ირკვევა, სწავლა მთლიანად რუსულ ენაზე წარმოებდა[2] და მშობლიური ენა აღარ ისწავლებოდა.

რაც შეეხება რუსული ენის შესწავლის დაწყებას, ეს საკითხი სხვადასხვანაირად იყო გადაჭრილი: ზოგჯერ ის პირველი სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან იწყებოდა, ზოგჯერაც მეორე წლიდან.

ხოლო ს. სტრელეცკის დროს ყოველგვარი პედაგოგიური მოთხოვნა იქნა დარღვეული და ბავშვებს, რომლებსაც ჯერ მშობლიური ენის ასოებიც არ ჰქონდათ გაცნობილი, რუსული წერა-კითხვის შესწავლას აწყებინებდნენ. ს. სტრელეცკი თავის 1893 წლის „ანგარიშში" კმაყოფილებით აღნიშნავს: „იმ მიზნით, რომ ადგილობრივ მკვიდრთა ბავშვები, რაც შეიძლება მალე გაეცნონ რუსულ ენას, სომხურ, ქართულ და თათრულ დაწყებით სასწავლებლებში რუსული ენის შესწავლა იწყება სასწავლებელში მათი შემოსვლის 2 კვირის შემდეგ"[3].

---

[1] საქმე № 381, ფ. 38.

[2] ეს გარემოება გაუმართლებლად უცვნია დ. დ. სემიონოვს და კავკასიის სასწავლო ოლქში დაუსვამს საკითხი დაწყებით სასწავლებელში ყველა საგნის მშობლიურ ენაზე სწავლის შესახებ. ს. მესხისადმი გაგზავნილ თავის წერილში, იგი აღნიშნავს: „პირველდაწყებით ქართულ სკოლაში, რომელიც სემინარიასთან არის გახსნილი, მე ვთხოულობ, რომ პირველდაწყებითი სწავლა სამშობლო ენაზედ იყოს და შემდეგ ორივე ენის სწავლება ერთად, თანასწორად მიდიოდეს" (დროება, 1890, № 222), მაგრამ ამ გონივრულ მოთხოვნას განხორციელება არ ღირსებია.

[3] საქმე № 450, ფ. 48—49.

ცხადია, ასეთ ვითარებაში დაწყებითი სკოლის მოსწავლეებს დიდი გაჭირვების გადალახვა უხდებოდათ, რათა დაეძლიათ ერთდროულად ორი ენის ანბანი და წერა-კითხვა შეესწავლათ. ბევრი მათგანი ვერ ამთავრებდა დაწყებითი სკოლის კურსს და ხშირად პირველივე განყოფილებიდან გადიოდა სკოლიდან. ამას ხელს უწყობდა კიდევ ის გარემოება, რომ რუსული ენის შესწავლა ა. სლოვინსკის დირექტორობის დროს წარმოებდა ეგრეთ წოდებული „ბუნებრივი მეთოდით", რომელსაც მოწინავე ქართველი პედაგოგები „მუნჯურ მეთოდს" უწოდებდნენ, რადგანაც ამ მეთოდით სწავლების დროს უგულებელყოფილი იყო მშობლიური ენის როლი უცხო ენის დაუფლების საქმეში და სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენებამ უაღრესად მახინჯი ფორმები მიიღო. ეხება რა ამ მეთოდს ა. სლოვინსკი წერს: „Преподавание в трех туземных училищах, с первых же дней ведётся в 1 отделе, по так называемому „естественному методу". Первый опыт таких занятий был начат с сентября 1897 г."[1].

ა. სლოვინსკი ხოტბა-დიდებას ასხამს ამ მეთოდს, მაგრამ ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილია, თუ რა სავალალო შედეგები მოიტანა ყველგან ჩვენს სკოლებში, სადაც კი „მუნჯური მეთოდით" ასწავლიდნენ რუსულ ენას.

მიუხედავად ამისა სემინარიასთან არსებულ დაწყებით სასწავლებლებს ჰქონდათ გარკვეული მნიშვნელობა იმ მოსწავლეთა მომზადების საქმეში, რომლებიც შემდეგ სემინარიაში აპირებდნენ შესვლას, რადგანაც მასწავლებლები მიუხედავად შეზღუდვისა, მაინც ფართოდ იყენებდნენ მოსწავლეთა მშობლიურ ენას და გარკვეულ წარმატებებს აღწევდნენ. გარდა ამისა დაწყებითი სკოლების მასწავლებლები უმრავლეს შემთხვევაში კარგად მომზადებულნი და დახელოვნებულნი იყვნენ, ბევრ მათგანს სემინარიის კლასებშიც ჰქონდა გაკვეთილები და მეცადინეობა ყოველთვის დაწყებით სკოლებში სემინარიის გამოცდილ მასწავლებელთა მეთვალყურეობით და რჩევა-მითითებით წარმოებდა. ამიტომ ჩვენი საზოგადოება ძლიერ შეაწუხა იმ ხმებმა, რომლებიც სემინარიასთან არსებული დაწყებითი სასწავლებლების გაუქმებას და ერთი ორკლასიანი რუსული დაწყებითი სასწავლებლის გახსნას ითვალისწინებდა. ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი 1895 წელს წერდა: „გორის საოსტატო სემინარიასთან დაარსებულ-

---

[1] „Закавказская учительская семинария на юбилейной выставке в Тифлисе осенью 1901 года", 1901, стр. 30

ნი არიან სამნი პირველდაწყებითნი სასწავლებელნი: ქართული, სომხური და თათრული. ამათი დანიშნულება ორგვარი იყო და არის: პედაგოგიურად ემზადებინა სამივე ტომის მოსწავლეები ესრეთ წოდებულ პროსემინარიისათვის[1], რომელიც თავის მხრივ ამზადებს საოსტატო სემინარიაში შესასვლელად.... ამ დაწესებულებას, დიდად სასიკეთოს ქვეყნისათვის და სასიქადულოს მთავრობისათვის, ახლა თურმე მოშლას უპირობენ, როგორც შეგვატყობინა გორის კორესპონდენტმა. დაბადებულა ამისთანა განზრახვა, სამივე პირველდაწყებითი სკოლა დაიკეტოს და მათი მოწაფენი შეერთდნენ ერთმანეთში და შეადგინონ ერთი სკოლა, ერთი სასწავლებელი. თუ ეს პროექტი განხორციელდა, გონივრული და სასარგებლო მოწყობილება ჩვენის სახალხო სკოლებისა სათავეში დაშრება"[2].

ეს ხმები მართალი გამოდგა, მაგრამ კავკასიის სასწავლო ოლქმა დაწყებითი სასწავლებლების გაუქმება მხოლოდ 1903 წელს შესძლო. 1903 წლის 3 თებერვალს კავკასიის ოლქის მზრუნველმა სემინარიის დირექტორს გაუგზავნა შემდეგი მიმართვა: „სახელმწიფო საბჭომ... განიხილა სახალხო განათლების სამინისტროს წარდგინება ამიერკავკასიის სემინარიასთან ორკლასიანი დაწყებითი რუსულ სასწავლებლის შექმნის შესახებ და დაადგინა:

1. ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიასთან არსებული დაწყებითი სასწავლებლები: რუსული, ქართული და სომხური გაუქმდეს და მათ მაგივრად დაარსებულ იქნეს ერთი რუსული ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი"[3].

ამის შემდეგ სემინარიასთან დარჩა თათრული და რუსული ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი. ახლად გახსნილი რუსული ორკლასიანი სკოლის ზედამხედველად და მასწავლებლად დაინიშნა სიმონ გოგლიჩიძე, რომელიც მანამდე გორის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლობდა.

თავის „მოგონებაში" ს. გოგლიჩიძე ამ პერიოდთან დაკავშირებით წერს: „სამი დაწყებითი ერთკლასიანი სასწავლებელი: რუსული, ქართული და სომხური გააერთიანეს და გადააქციეს ორკლასიან რუსულ სანიმუშო სკოლად, სადაც მე დამნიშნეს ზედამხედველად. ამ სასწავლებელში იყო ორი კლასი, რომლებიც შედგებოდა 5 განყოფილებისაგან: სამი განყოფილება I კლასში და ორი II კლასში.

---

[1] ილ. ჭავჭავაძისაგან განსხვავებით ი. გოგებაშვილი პროსემინარიას უწოდებს სემინარიის უმცროს და უფროს მოსამზადებელ კლასებს.

[2] ივერია, 1895, № 149.

[3] საქმე № 763, ფ. 7.

გარდა საღვთო სჯულის მასწავლებლისა აქ იყო ორი მასწავლებელი: ერთი მუშაობდა პირველ კლასში და მეორეში კი მე ვასწავლიდი ყველა საგანს. მეცადინეობა რუსულ ენაზე წარმოებდა. ქართულ ენას არ ასწავლიდნენ.

... პირველ კლასში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: რუსული ენა, მათემატიკა, მოკლე ცნობები ბუნებიდან და გეოგრაფიიდან, ხატვა, სიმღერა-მუსიკა... მეორე კლასში (4 და 5 განყოფილება) ისწავლებოდა რუსული ენა, არითმეტიკა, გეომეტრია, ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, ისტორია, ხატვა-ხაზვა და სიმღერა-მუსიკა"[1].

27 წლის არსებობის შემდეგ გაუქმდა სემინარიასთან არსებული ქართული დაწყებითი სასწავლებელი. სემინარიასთან შენარჩუნებულ იქნა მხოლოდ თათრული ერთკლასიანი და რუსული ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებლები, რომელთა ცხოვრებაში რაიმე არსებით ცვლილებას შემდეგში ადგილი არ ჰქონია. სემინარიის მოსწავლეები პედაგოგიურ პრაქტიკას შემდეგში ამ სასწავლებლებში გადიოდნენ.

მოსწავლეთა კონტინგენტი. სწავლების კურსის ხანგრძლივობა. სასწავლო წელი. გაკვეთილების ხანგრძლივობა. გამოცდების წესი. შეფასების ნიშნები

„დებულების" მიხედვით ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიას ძირითადად უნდა მოემზადებინა სახალხო მასწავლებლები ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებთაგან ამიერკავკასიის სკოლებისათვის და გარდა ამისა იმ რუსთაგან, რომლებიც ამიერკავკასიაში ცხოვრობდნენ და მუშაობას ამ მხარეში აპირებდნენ. ამიტომაც სემინარიის მოსწავლეთა კონტინგენტი უმთავრესად შედგებოდა ქართველი, რუსი, სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდობისაგან. ამათ გარდა სემინარიაში სხვადასხვა პერიოდში სწავლობდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ერთა წარმომადგენლებიც: ოსები, ყაბარდოელები, ბალყარელები, ლეკები, ჩერქეზები და სხვ., აგრეთვე უკრაინელები, პოლონელები, გერმანელები, ბერძნები და სხვ.

1879 წლიდან 1901 წლის ჩათვლით სემინარიას 23 გამოშვება ჰქონდა და 373 მასწავლებელი გამოუშვა. აქედან ქართველი იყო 120, რუსი—44, სომეხი—54 და აზერბაიჯანელი („თათარი"). 108[2]. ამავე ხნის განმავლობაში სულ უსწავლია 658 მოწაფეს,

---

[1] ს. ბოგლიჩიძე, „მოგონებები", გვ. 12—14 („მოგონებები" დაცულია საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში).

[2] ა. სლოვინსკი, „Закавказская учительская семинария...", Тифлис, 1901, გვ. 4—5.

რომელთაგან კურსის დაუსრულებლად სემინარიიდან თითქმის ნახევარი გასულა[1].

შემდეგ წლებშიც (1902—1918) ქართველები შეადგენდნენ კურსდამთავრებულთა დაახლოებით ერთ მესამედს. დამოკიდებულება ქართველი მოსწავლეებისადმი ეროვნების განსაზღვრის დროს მეტად თავისებური იყო და რუსიფიკატორულ ხასიათს ატარებდა. თუ იმას არ მივიღებთ მხედველობაში, რომ „შვილზე“ დამთავრებულ ქართულ გვარებს რუსულ დაბოლოებას აძლევდნენ (რაზიკაშვილი—რაზიკოვი, ავალიშვილი—ავალოვი, თარხნიშვილი — თარხანოვი და სხვ.), პირდაპირ გასაოცარია ის გარემოება, რომ ამა თუ იმ კუთხიდან გამოსული ქართველების ეროვნებას კუთხეების მიხედვით განსაზღვრავდნენ და ეროვნებაში აღნიშნული ჰქონდათ: „ქართლელი“, „იმერელი“, „მეგრელი“, „კახელი“, „ფშაველი“, „გურული“ და ა. შ.

სანიმუშოდ ჩვენ მოვიყვანთ 1885 წ. III კლასის მოსწავლეთა სიას[2].

№№	მოსწავლეთა გვარი და სახელი	წლოვანება	ეროვნება
1	ავალოვი ივანე	20	ქართლელი
2	ალიბეკოვი ისკანდერი	20	თათარი
3	ასლანოვი ზაქარია	20	თათარი
4	ბაბაევი მოსე	19	სომეხი
5	ბაგიროვი ჰასან	18	თათარი
6	ვეჭილოვი ისმაილ	20	თათარი
7	გარაყანიძე ზურაბ	20	ქართლელი
8	გორბუნოვი პეტრე	19	რუსი
9	დგებუაძე ფარნაოზ	20	მეგრელი
10	ზავგოროდნი ივანე	18	რუსი
11	ისრაილოვი გრიგოლ	24	სომეხი
12	ყაითმაზოვი ალექსანდრე	19	ოსი
13	კანდელაკი სამსონ	21	იმერელი
14	ქაჩარლინსკი ფერიდუნ	23	თათარი
15	კერესელიძე დავით	21	რაჭველი
16	მაისურაძე ექვთიმე	21	რაჭველი
17	მგელაძე ალექსანდრე	21	გურული
18	მესხი ნიკოლოზ	22	იმერელი
19	მურადოვი ზაქარია	19	სომეხი
20	მუსტაფაევი ახმედ	20	თათარი
21	პოლოსოვი მიხეილ	23	სომეხი
22	რაზიკოვი ნიკოლოზ	19	ფშაველი
23	თაბუხიძე დავით	22	ქართლელი
24	ციმაკურიძე ალექსანდრე	20	ქართლელი
25	ციციანოვი ივანე	22	ქართლელი
26	შავერდოვი სიმონ	22	სომეხი
27	შონია კონსტანტინე	22	აფხაზი[3]

[1] საქმე № 809, „Список лиц, обучавшихся в Закавказской учительской семинарии с 1876 г.“ ფ. 1—69.

[2] სემინარიის დირექტორად მაშინ ს. სტრელეცკი იყო.

[3] საქმე № 238, ფ. 1.

როგორც ვხედავთ, გვარების გადაკეთებას აზერბაიჯანელებისა და სომხების მიმართაც აქვს ადგილი, მაგრამ ისეთი მდგომარეობა კი, როდესაც „სომეხი“ სომხად არ იყოს აღიარებული არსად არ ვხვდებით. რაც შეეხება „აზერბაიჯანელებს“ ჩვენ აქ სხვა მდგომარეობა გვაქვს. სემინარიის ადმინისტრაცია „თათრული განყოფილების“ ჩამოყალიბების დროს გარდა ეროვნული ნიშნისა, ხელმძღვანელობდა რელიგიური მოსაზრებით და მაჰმადიანური სარწმუნოების მიმდევრები ყველა „თათრებად“ ჰყავს ჩათვლილი. სინამდვილეში კი „თათრების“ ქვეშ, მცირეოდენის გამოკლებით, ყველგან აზერბაიჯანელები უნდა ვიგულისხმოთ.

სიტყვა „ქართველის“ (грузин) გამოყენებას კი სემინარიის ზოგიერთი ხელმძღვანელი აშკარად შეგნებულად გაურბოდა. შემდეგში ამ სიტყვას ოფიციალურ დოკუმენტებში იყენებდნენ, მაგრამ უხეშ დამახინჯებას მაინც ჰქონდა ადგილი.

მაგალითად, ა. სლოვინსკი წერდა: „По национальностям эти 373 выпущенных учителя распределяются следующим образом: Грузин (в том числе: карталинцев, кахетинцев, имеретин). . . 111
Гурийцев . . 6
Сванов 1
Мингрельцев . . . 2“ [1]

რუსიფიკატორული პოლიტიკა სემინარიაში იქამდე მიდიოდა რომ სლოვინსკის დროს სხვადასხვა კუთხის ქართველს ქართული ენის გაკვეთილსაც არ ასწრებდნენ.

სოკრ. ძიმისტარიშვილი თავის „მოგონებაში“ წერს: „ამიერკავკასიის სემინარიაში ქართული ენის კათედრა არსებობდა, ე. ი. ქართულის მასწავლებელი შტატით იყო გათვალისწინებული. უნდა აღვნიშნო, რომ მეგრელები და სვანები სამინარიაში ქართველებად არ ითვლებოდნენ. რუსები სწავლობდნენ ქართულს და მეგრელ—სვანებს კი არ ჰქონდათ ნება დასწრებოდნენ ქართულის გაკვეთილს. მე თუმცა მეგრელი ვარ, მაგრამ ჩემი გვარის წყალობით ჩამრიცხეს ქართულის გაკვეთილზე, ჩემი ამხანაგი კვარაცხელია არა. ჩემი გვარი მერე გამირუსულეს—ძიმისტაროვი დამარქვეს“[2].

სწორედ ასეთი ფაქტების გამო იყო, რომ დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი აღშფოთებით წერდა: „გაიძახიან, რომ ქართველები წარმოადგენენ არა ერსა, არამედ თემთა გროვასაო. ბოლო დროს

---

[1] „Закавказская учительская семинария...“ Тифлис, 1901, стр. 5.

[2] მოგონებანი, 1934, გვ. 15 (გამოუქვეყნებელია).

ეს აზრი გაჰყავთ სასწავლებლებშიაც, სადაც ხშირად ამნაირად ჰყოფენ მოწაფეებსა: რუსები, სომხები, ქართველები, იმერლები, გურულები, რაჭველები, მეგრელები და სხვები.

... ჩვენ, რომელთაც ერთი—ორად მეტი საბუთი გვაქვს ვატაროთ სახელი ერისა, რომლითაც გვიხსენიებდნენ და გვიხსენიებენ ყოველნი ისტორიკოსნი, გეოგრაფნი, მოგზაურნი, გვართმევენ ამ სახელსა და ველურ თემების სიმდაბლეზედ ჩამოვჰყევართ. რა დავაშავეთ?"[1].

მაგრამ ასეთი იყო საერთოდ თვითმპყრობელობის პოლიტიკა პატარა ერებისადმი და იაკ. გოგებაშვილის სამართლიანი მოთხოვნით ამ პოლიტიკის წინააღმდეგ ყველას თავდაუზოგავად უნდა ებრძოლა[2].

ზევით ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ სემინარიაში მილება გამოცდებით წარმოებდა და ბავშვებს, მათ მიერ გამომჟღავნებული ცოდნის მიხედვით შესაბამის კლასებში სვამდნენ.

საკუთრივ სემინარიას სამი კლასი გააჩნდა: პირველი, მეორე და მესამე. მაგრამ იმ ბავშვებისათვის, რომლებიც სემინარიის პირველ კლასში მისაღებ საკირო ცოდნას ვერ გამოიჩენდნენ, რიცხავდნენ მოსამზადებელ კლასში. მოსამზადებელი კლასი ორი იყო: უმცროსი და უფროსი. უფროს კლასს „თათრული განყოფილების" გახსნამდე უბრალოდ „მოსამზადებელი კლასი" ეწოდებოდა, ხოლო „თათრული განყოფილების" გახსნის შემდეგ (1879 წ.) მას „უფროსი მოსამზადებელი კლასი" უწოდეს, „თათრულ განყოფილებასთან" გახსნილ „უმცროსი მოსამზადებელი კლასისაგან" განსხვავებით. ამ უკანასკნელში მხოლოდ მაჰმადიან ბავშვებს ღებულობდნენ.

ამგვარად, თუ მოსამზადებელ კლასებს მივიღებთ მხედველობაში, მაჰმადიან მოსწავლეებს სწავლის კურსი ხუთი წელი გამოუდიოდათ: უმცროსი მოსამზადებელი კლასი, უფროსი მოსამზადებელი კლასი, I, II და III კლასები, ხოლო ქრისტიან მოსწავლეებს ოთხი: უფროსი მოსამზადებელი კლასი, I, II და III კლასები. იმ მოსწავლეებს კი, რომლებიც გამოცდების შედეგად სემინარიის პირველ კლასში ხვდე-

---

[1] რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, ტ. I. 1910, გვ. 300—301.

[2] უნდა აღინიშნოს, რომ პირადად დ. დ. სემიონოვი თავის ანგარიშებში და ოფიციალურ გამოსვლებში არ ხმარობდა ქართველ მოსწავლეთა ეროვნების აღსანიშნავად ქართველი, იმერელი, კახელი, მეგრელი, ფშაველი და სხვა. მისთვის, ყველა ესენი იყვნენ „грузины", მხოლოდ ფრჩხილებში ემატებოდა „различных наименований" (იხ. საქმე № 78, ფ. 4).

ბოდნენ (განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიისა). სემინარიაში სამი წელი უნდა ესწავლათ (I, II და III კლასი).

სწავლების კურსის მთელ მანძილზე მოსწავლე შეიძლება განმეორებით დატოვებულიყო იმავე კლასში მხოლოდ ორჯერ: в продолжении своего пребывания в семинарии, воспитанник может оставаться на два года в приготовительном классе и в одном из трёх нормальных классов семинарии; при повторении же подобного случая, он уже увольняется из заведения"[1].

სასწავლო წელი ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში იწყებოდა ყოველი წლის სექტემბერში და მთავრდებოდა მომდევნო წლის ივნისის პირველ ნახევარში. მაისში სემინარიაში ტარდებოდა გამოცდები, ხოლო ივნისში წარმოებდა ატესტატების გაცემა.

აქ გაკვეთილების ხანგრძლიობასაც გვინდა შევეხოთ. როგორც ჩანს, საერთოდ, სამასწავლებლო სემინარიაში მეცადინეობის ხანგრძლიობა ერთნახევარ ასტრონომიულ საათს უდრიდა. ეს გარემოება მოწინავე პედაგოგებს არ მიაჩნდათ მიზანშეწონილად და მის შემცირებას მოითხოვდნენ.

კერძოდ დიდი რუსი პედაგოგი კ. დ. უშინსკი წერდა: „Известно педагогическое наблюдение, что чем моложе возраст учащихся, тем менее способны они выносить продолжительное занятие одним и тем же предметом, и тем вреднее для них и в умственном и в физическом отношениях продолжительное сидение в классе. Всякая постоянная и однообразная деятельность как умственная, так и физическая утомляет дитя именно своим постоянством и однообразием: но ребёнок резвится целый день, беспрестанно переменяя деятельность,— и не устает. Тот же самый закон действует и в духовной природе дитяти. Занимаясь с ним одним и тем же предметом полтора или два часа сряду, можно бесполезно утомить ребёнка и достичь с ним весьма небольших результатов"[2].

ამიტომ, მისი სავსებით სამართლიანი აზრით, სწავლა-აღზრდის საქმეში უკეთესი წარმატებები უნდა მოგვეპოვებინა: „Не увеличением продолжительности каждого урока, но учащением самых уроков". ამ შეხედულებათაგან გამომდინარე კ. უშინსკი რჩევას იძლეოდა $1^1/_2$ საათიანი გაკვეთილების ნაცვლად შემოღებული ყოფილიყო 1 საათიანი გაკვეთილები[3].

---

[1] საქმე № 121, ფ. 29.

[2] К. Д. Ушинский, Собрание сочинений, 1948, т. 2, стр. 292—293, (Объяснительная записка к проектам программ учебного курса в воспитательном обществе благородных девиц в СПБ Александровском училище").

[3] იქვე, გვ. 293.

გაკვეთილების ხანგრძლიობა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში თავიდანვე 1 საათს უდრიდა. ასეთივე დარჩა ის დ. დ. სემიონოვის დროსაც. მაგრამ სემიონოვმა გორის სემინარიაში მოღვაწეობის ბოლო წელს უფრო მეტად გადადგა ნაბიჯი წინ.

ვ. ავალიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგს გადმოგვცემს: „1884 წლის მაისის პირველ რიცხვებში დიმიტრი დიმიტრის-ძემ ბაღის ჩარდახში, ნასადილევს, გვითხრა:

— საშინლად ჩამოცხა და ვიცი თქვენც ძალიან გიჭირთ ამ სიცხეში კლასში ხანგრძლივად ყოფნა... არც ჩვენა ვართ ხალისზე გაკვეთილების დროს. ჩვენც თქვენზე ნაკლებ არ ვიტანჯებით. ამიტომ ასე გადავწყვიტე: რადგან გასავლელი საგნები ყველა კლასში გავლილია და ამ სიცხეშიც აუტანელია მთელი ექვსი საათის განმავლობაში კლასში ყოფნა როგორც მოწაფეთათვის, ისე მასწავლებელთათვის, ხვალიდან დღეში მხოლოდ ორ გაკვეთილზე ვიმეცადინებთ, გაკვეთილი ნაცვლად 60 წუთისა 45 წუთიანი იქნება. დანარჩენ დროს თქვენ იმეცადინებთ თავისუფლად, ეგზამენებისათვის მოემზადეთ და წიგნები იკითხეთ!

დირექტორის ამ განცხადებამ ჩვენ ძალიან გაგვახარა. მაგრამ სემიონოვის ეს გადაწყვეტილება ჩატარდა მხოლოდ იმ მიმდინარე მაისში და ივნისში... შემდეგში სემიონოვის ადგილას დაინიშნა სტრელეცკი, რომელიც „სალდათივით“ ასრულებდა ყოველ ნაკარნახევ ბრძანებას.

ასე რომ ხანგრძლივი გაკვეთილის შემოკლება, 60 წუთის მაგივრად 45 წუთი, პირველად 1884 წელს სცნო საჭიროდ გორის საოსტატო სემინარიის დირექტორმა დიმიტრი დიმიტრის-ძე სემიონოვმა და შემოიღო კიდეც დასახელებულ პედაგოგიურ სასწავლებელში“[1].

მაგრამ შემდეგში, როგორც ვ. ავალიშვილიც აღნიშნავს, სტრელეცკიმ 45 წუთიანი გაკვეთილები გააუქმა. ასევე მოიქცნენ სლოვინსკი, მიროპიევი და სხვ. მაგრამ საათიანი გაკვეთილების ნაცვლად, მისი ხანგრძლიობა 55 წუთით განისაზღვრა.

აქ ჩვენ სანიმუშოდ მოვიყვანთ გაკვეთილების დაწყება-დამთავრების განრიგს.

---

[1] ვ. ავალიშვილი, მოგონებები, 1935, გვ. 33—34 (გამოუქვეყნებელია).

		გაკვეთილების დაწყება	დამთავრება
I	გაკვეთილი	8 ს.	8 ს. 55 წ.
II	„	9 ს. 5 წ.	10 ს.
III	„	10 ს. 10 წ.	11 ს. 5 წ.
IV		12 ს.	12 ს. 55 წ.
V	„	1 ს. 5 წ.	2 ს.
VI	„	2 ს. 10 წ.	3 ს. 5 წ.[1]

1902 წლის 2 აპრილის პედსაბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი გამოცდების ჩატარების შესახებ. დირექტორი მიროპიევის შეკითხვაზე, თუ როგორ ტარდებოდა სემინარიაში მის მოსვლამდე გამოცდები, დამრიგებელმა პიასეცკიმ მოახსენა, რომ „გამოცდები მესამე კლასში ხდებოდა შემდეგნაირად: 4 საგანში იყო ზეპირი გამოცდა: საღვთო სჯულში, რუსულ ენასა, მათემატიკასა და პედაგოგიკაში და 2 საგანში წერითი — რუსულ ენისა და არითმეტიკაში. დანარჩენ საგნებში, გარდა ბუნებისმეტყველებისა, ტარდებოდა რეპეტიციები 2-დან 3 საათამდე.

ბატ. დირექტორმა აღნიშნა, რომ III კლასის მოსწავლეებმა უნდა ჩააბარონ გამოცდები ყველა საგანში, მათ შორის ბუნებისმეტყველებაშიც, და ამიტომ საჭიროა თითოეულმა მასწავლებელმა მომავალი სასწავლო წლიდან დაიწყოს გამეორება თავის საგანში და შეჩერდეს უფრო დიდხანს ძნელ ადგილზე. საბჭომ ხახელმძღვანელოდ მიიღო ეს განცხადება"[2].

იმავე წლის 2 მაისს პედაგოგიურმა საბჭომ დაამტკიცა გამოცდების განრიგი სემინარიის III (გამოსაშვები) კლასისა და დაწყებითი სასწავლებლების მესამე განყოფილებათა მოსწავლეთათვის. ამასთან ერთად საბჭომ დაადგინა 20 მაისისათვის დაემთავრებინა გამოცდები დაწყებითი სასწავლებლების მესამე განყოფილებებში და ბავშვები გაეშვა საზაფხულო არდადეგებზე სემინარიის იმ მოსწავლეებთან ერთად, რომლებიც წლის განმავლობაში წარმატებით სწავლობდნენ და ყველა საგანში ჰქონდათ კარგი ნიშნები[3].

როგორც აქედან ჩანს, სემინარიის წარჩინებული მოსწავლეები გამოცდებისაგან თავისუფლდებოდნენ.

გამოცდები სემინარიაში დაიწყო 15 მაისს და დამთავრდა 5 ივნისს. გამოცდების ეს თარიღები მეტნაკლებად ყოველ თვის დაცული იყო.

---

[1] საქმე № 614, ფ. 2. 1897—98 სასწავლო წელი.
[2] საქმე № 790, ფ. 8.
[3] საქმე № 790, ფ. 24.

იმ კლასებისათვის, რომლებშიც გამოცდები ტარდებოდა, დგებოდა საგამოცდო ბილეთები. ასე, მაგალითად, 1900 წლის 7 ივნისისათვის პედაგოგიკაში დანიშნული გამოცდისათვის შემდეგი შინაარსის ბილეთებია შედგენილი (მოგვყავს სანიმუშოდ რამდენიმე).

IV ბილეთი

1. 1886 წლის ცირკულარი „მოსწავლეთა სწორი აღზრდის ზომების შესახებ".

2. შენიშვნები რუსოს სისტემის შესახებ და რამდენიმე მოსაზრება მისი იდეების წინააღმდეგ.

XV ბილეთი

1. ფიზიკური აღზრდა ლოკის მიხედვით.

2. განათლების ბუნების შესაბამისობის პრინციპები კომენსკის მიხედვით.

XVIII ბილეთი

1. დისტერვეგი.

XIX ბილეთი

1. ფრებელის რამდენიმე მნიშვნელოვანი დებულება და მისი დამსახურება.

2. განათლების მიზანი კომენსკის მიხედვით[1].

სულ 19 ბილეთია შედგენილი და თითოეული მათგანი შეიცავს 1, 2 ან 3 კითხვას. გამოცდების შემდეგ მესამე კლასის მოსწავლეები ღებულობდნენ ატესტატებს, რომელთა მიხედვით მიკუთვნებული ჰქონდათ სახალხო მასწავლებლის წოდება და სახალხო სკოლებში მასწავლებლობის უფლება.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ მასწავლებლის წოდების მიღება შეეძლოთ იმ პირებსაც, რომელთაც სემინარიაში არ უსწავლიათ, მაგრამ მოისურვებდნენ სპეციალური გამოცდების ჩაბარებას. აი ერთი ასეთი გამოცდის ოქმიც:

„1895 წელს, 5 ოქტომბერს, ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის პედსაბჭოს სხდომაზე, სპეციალური გამოცდების წესების საფუძველზე, ჩატარდა შემოკლებული გამოცდა (Сокращённое испытание) მებაღეობისა და მევენახეობის ნიკიტის სკოლის კურსდამთავრებულის თეოდორე ექვთიმეს-ძე მეგრელიშვილისა, 21

---

[1] საქმე № 716, ფ. 22—23 (ბილეთები შედგენილია პედაგოგიკის მასწავლებლის ა. სლოვინსკის მიერ — მ. კ.).

წლის, მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმსარებლის, ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის სოფ. ფარცხმის მცხოვრები გლეხისა, სოფლის სამრევლო ან დაწყებითი სახალხო სასწავლებლის მასწავლებლის წოდების მისაღებად და აღმოჩნდა შემდეგი: ა) რუსულ ენაში — წერითი ნამუშევარი, დამაკმაყოფილებელი, ბ) არითმეტიკაში — იგივე, გ) ორი საცდელი გაკვეთილი რუსულ ენასა და არითმეტიკაში, რომლებიც გადაცემულ იქნა ქართულ სასწავლებელში, დამაკმაყოფილებელი და დ) წერითი ნამუშევრების შესახებ საუბრის დროს მოცემული განმარტებანი, დამაკმაყოფილებელი. ამიტომ 1868 წლის 22 აპრილს უმაღლესად დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს აზრის საფუძველზე სპეციალური გამოცდების შესახებ, პედაგოგიურმა საბჭომ ღირსად ცნო მეგრელიშვილი მიიღოს მოწმობა სოფლის სამრევლო ან დაწყებითი სახალხო სასწავლებლის მასწავლებლის წოდებისა"[1].

სემინარიის კურსდამთავრებულ ახალგაზრდებს, რომლებიც სახელმწიფო ხარჯზე იზრდებოდნენ, სავალდებულო წესით უნდა ემსახურათ სკოლებში 6 წლის განმავლობაში. თუ ვინიცობაა რომელიმე მათგანი კურსის დამთავრების შემდეგ აღარ მოისურვებდა მასწავლებლობას, მას განთავისუფლება შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს მიერ გაღებულ თანხას ისევ უკანვე დაუბრუნებდა ასეთი ანგარიშით: წელიწადში 130 მან., რაც სამი წლის განმავლობაში (თუ მოსწავლე პირველი კლასიდან სწავლობდა) შეადგენს 390 მანეთს. ამას უნდა მიმატებოდა 30 მან. მოსწავლის სემინარიაში შესვლის დროს გაწეული პირველადი მომსახურებისათვის[2].

როგორც ჩანს, ასეთ მსურველთა რიცხვი ძალიან მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც ყოფილა[3].

დასასრულ, გვინდა შევეხოთ შეფასების ნიშნებსაც. სემიონოვის დროს გაცემულ ატესტატებში ნიშნები იწერებოდა სიტყვიერად და ფრჩხილებში მოთავსებული იყო მათი ციფრობრივი მნიშვნელობაც. 1880 წელს მოსწავლე ნასარიძეს ატესტატში უწერია: „весьма удовлетворительные"(5), „удовлетворительные" (4),[4] ლ. რაზიკაშვილის ატესტატშიც „весьма удовлетворительные" უდრის „5"-ს, ხოლო „удовлетворительные" — „4"-ს[5].

---

[1] საქმე № 126. ფ. 1.
[2] საქმე № 121, ფ. 139.
[3] საქმე № 471, ფ. 20.
[4] საქმე № 1635, ფ. 1.
[5] ატესტატი გაცემულია 1882 წ.

იმავე სემინარიის დროს, 1884 წლის ივნისში გაცემულ მოსწავლე კვიციანაძის ატესტატში „весьма удовлетворительные“ უდრის „5“-ს, „удовлетворительные“ — „4“-ს[1].

1889 წელს სტრელეცკის დირექტორობის დროს ნიშნები ატესტატში მარტო სიტყვიერად (მაგრამ არა ყოველთვის) არის წარმოდგენილი „весьма удовлетворительные“ და „удовлетворительные“[2].

1914 წელს ნიშნები ასეა წარმოდგენილი „отличные“ (5), „весьма удовлетворительные“ (4) და „удовлетворительные“ (3).

როგორც აქედან ჩანს, სიტყვიერად გამოხატული ნიშნები სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა მნიშვნელობისა იყო და აქ დადგენილი წესი არ არსებობდა. ეს გარემოება მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, როდესაც სემინარიის მოსწავლეთა აკადემიური წარმატების საკითხი გვაინტერესებს.

რაც შეეხება საკლასო ჟურნალებში მიმდინარე აღრიცხვის დროს დაწერილ ნიშნებს, ისინი ყოველთვის ციფრებით არის გამოხატული (2, 3, 4, 5).

სემინარიის სასწავლო გეგმები და პროგრამები

ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: პედაგოგიკა, რუსული ენა და ლიტერატურა, ადგილობრივი ენები (ქართული, სომხური, აზერბაიჯანული,) ფიზიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ისტორია, საღვთო რჯული, გეოგრაფია, სასკოლო ჰიგიენა, ბუნებისმეტყველება, სუფთა წერა, ხაზვა, ხატვა, გიმნასტიკა, სიმღერა-მუსიკა; გარდა ამისა ტარდებოდა პრაქტიკული გაკვეთილები პედაგოგიკაში და ისწავლებოდა სოფლის მეურნეობა და სახელოსნო საქმე.

სემინარიის არსებობის სხვადასხვა პერიოდში ცხრილში შეტანილია გაკვეთილი „მათემატიკისა“, რომელიც ამ შემთხვევაში გარდა გეომეტრიისა გულისხმობს ალგებრასაც და ნაწილობრივ ტრიგონომეტრიასაც.

ძალიან ფართო შინაარსის შემცველია აგრეთვე „ბუნებისმეტყველებაც“. 1904—5 სასწავლო წელს მ. ზაალიშვილის მიერ წარმოდ-

---

[1] საქმე № 1228, ფ. 9.

[2] საქმე № 1526, ფ. 9. სემინარიის პედაგოგიური საბჭოს ოქმებიდან ირკვევა, რომ იმავე სტრელეცკის დროს მოსწავლეებს ყოფაქცევაში ნიშნები ნაწევრების სახითაც ეწერებოდათ, მაგალითად „4½“ (იხ. ამ შრომის 80 გვ.).

გენილი ბუნებისმეტყველების პროგრამა სემინარიის I და II კლასებისათვის შეიცავს: ფიზიკას, ადამიანის ანატომიას და ფიზიოლოგიას, ზოოლოგიას, ბოტანიკას და მინერალოგიას[1].

პროგრამები ცალკეულ საგნებში დგებოდა საგნის მასწავლებლების მიერ და ირჩეოდა კედსაბჭოს სხდომაზე, რის შემდეგაც მათ ამტკიცებდა დირექტორი. ასე, მაგალითად, 1896 წლის 10 სექტემბერს პედსაბჭოს სხდომაზე „წაკითხულ და გარჩეულ იქნა ქართული ენის პროგრამა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიისა. პროგრამა შედგენილ იქნა ქართული ენის მასწავლებლის ნ. ი. ლომოურის მიერ.“ საბჭოს წევრებმა მთელი რიგი შენიშვნები გამოთქვეს ამ პროგრამის შესახებ, რაც ლომოურმა მიიღო.

1898 წელს მასწავლებელთა განსაკუთრებულმა კომისიამ განიხილა ხატვის პროგრამა I, II და III კლასებისათვის და სათანადო შესწორებების შემდეგ მიიღო ის[2].

1902 წლის 5 აპრილს „პედაგოგიურმა საბჭომ, რომელმაც მიიღო ბატ. დირექტორის მითითება, სასურველად ცნო გეოგრაფიისა და ბუნებისმეტყველების სწავლება უმცროს მოსამზადებელ კლასში და დაადგინა: ეს საგნები შემოღებულ იქნას მომავალი სასწავლო წლიდან და დაავალა ბატ. გარაყანიძეს შეადგინოს პროგრამა გეოგრაფიაში“[3].

რადგანაც პროგრამებს საგნის მასწავლებლები ადგენდნენ, ამიტომ ყოველი პროგრამის ღირსება და შინაარსი განისაზღვრებოდა საგნის მასწავლებლის განათლებით, გამოცდილებით და მსოფლმხედველობით, აგრეთვე იმ საათების რაოდენობით, რომლებიც ამათუ იმ საგანს ჰქონდა დათმობილი სასწავლო გეგმის მიხედვით.

სემინარიის არქივში დაცულია თითქმის ყველა საგნის პროგრამები სხვადასხვა წლებისა და ბევრ მათგანს საკმაოდ დასაბუთებული განმარტებითი ბარათებიც ახლავს.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს (და ეს შეუძლებელიც არის) ყველა საგნის პროგრამების განხილვა და ანალიზი, მაგრამ სანიმუშოდ საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ პედაგოგიკისა და ქართული ენის პროგრამას. მათი მიმოხილვა საშუალებას მოგვცემს წარმოვიდგინოთ სემინარიის არსებობის სხვადასხვა მონაკვეთში, თუ რა ისწავლებოდა ამ საგნებში და რით განსხვავდებოდა, ვთქვათ, დ. სემიონოვის მიერ შედგენილი პედაგოგიკის პროგრამა სტრელეცკის ან სხვების პროგრამებისაგან.

---

[1] საქმე № 869, ფ. 18—26.
[2] საქმე № 641, ფ. 1—2.
[3] საქმე № 790, ფ. 3.

რაც შეეხება სასწავლო გეგმებს, ძირითადად ის რუსეთის სხვადასხვა სამასწავლებლო სემინარიების სასწავლო გეგმებს ემთხვეოდა, მაგრამ მათგან ზოგიერთ საკითხში განსხვავდებოდა, რაც გამოწვეული იყო გორის სემინარიის სპეციფიკური დანიშნულებით. როგორც ვიცით, გორის სამასწავლებლო სემინარიას უნდა მოემზადებინა სახალხო მასწავლებელთა კადრები ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებთაგან, რომელთათვისაც სასწავლო ენა არამშობლიური იყო. ამიტომ საჭირო გახდა რუსული ენის საათების გადიდება. გარდა ამისა სემინარიაში თუმცა შეზღუდულად, მაგრამ მაინც ისწავლებოდა მოსწავლეთა მშობლიური ენები: ქართული, სომხური და თათრული (აზერბაიჯანული—მ. კ.), რასაც სასწავლო გეგმით გარკვეული ადგილი ჰქონდა დათმობილი.

დროდადრო, იმის მიხედვით, თუ ვინ იყო სემინარიის დირექტორი, უმნიშვნელოდ იცვლებოდა სასწავლო გეგმაც: საგანი ერთი კლასიდან გადაჰქონდათ მეორეში, ხანდახან რომელიმე საგანს აკლდებოდა საათები და ემატებოდა მეორეს და ა. შ.

სანიმუშოდ, ჩვენ აქ ერთ სასწავლო გეგმას წარმოვადგენთ.

სასწავლო გეგმა

1897—98 სასწავლო წლიხათვის სემინარიის უმცროს მოსამზადებელ, უფროს მოსამზადებელ და I, II და III კლასებისა

საგნები	კლასები				
	უმცროსი მოსამზ.	უფროსი მოსამზ.	I	II	III
1. საღვთო რჯული	3	3	4	3	2
2. პედაგოგიკა	—	—	—	2	3
3. რუსული ენა	9	6	6	5	3
4. არითმეტიკა	5	4	4	3	2
5. გეომეტრია	—	2	1	2	2
6. ისტორია	—	2	2	3	2
7. გეოგრაფია	—	2	3	2	2
8. ბუნებისმეტყველება	—	—	2	3	3
9. სუფთა წერა და ხაზვა	5	3	4	3	3
10. ადგილობრივი ენები (Туземные языки)	3	3	3	2	2
11. გიმნასტიკა	2	2	2	2	2
12. პრაქტიკული გაკვეთილები	—	—	—	1	6
13. სოფლის მეურნეობა	—	2	1	1	—
14. სიმღერა	—	2	—	—	—
	27	31	32	32	32[1]

[1] საქმე № 614, ფ. 1—4.

ამ გეგმის მიხედვით ადგილობრივ ენებს კვირაში ყველა კლასში თითქოს 13—13 საათი უწევს. მაგრამ მკითხველს უნდა მოვაგონოთ, რომ უმცროს მოსამზადებელ კლასში მხოლოდ მაჰმადიან ბავშვებს ღებულობდნენ და ამ კლასში მარტო აზერბაიჯანული ენა ისწავლებოდა. ამგვარად 13 საათი მხოლოდ აზერბაიჯანულ ენას ჰქონდა დათმობილი ყველა კლასში, ხოლო ქართულსა და სომხურს 10—10 საათი თითოეულს.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ დ. სემიონოვის დროს, 1879 წელს, ქართულ ენას 14 საათი ჰქონდა დათმობილი, ხოლო 1883 წლიდან 10 საათი (იხ. საქმე № 14, ფ. 18).

* * *

ერთ-ერთი მთავარი საგანი, რომელიც გორის სამასწავლებლო სემინარიაში ისწავლებოდა, პედაგოგიკა იყო. ამ საგანს როგორც წესი სემინარიის დირექტორები[1] ასწავლიდნენ და პროგრამებსაც თვითონვე ადგენდნენ. მაგრამ ისე როგორც ყოველი სასწავლო საგნის პროგრამა კლასობრივ საზოგადოებაში კლასობრივ ხასიათს ატარებს, პედაგოგიკის პროგრამებიც ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენდა. მაგრამ იმის მიხედვით, თუ რა მსოფლმხედველობისა იყო ამ საგნის მასწავლებელი, პროგრამებიც ერთმანეთისაგან განსხვავებულ შინაარსს ღებულობდა. დ. სემიონოვის, სტრელეცკის, სლოვინსკის, მიროპიევის და სმირნოვის მიერ შედგენილ პედაგოგიკის პროგრამებში შეტანილია მთელი რიგი ერთნაირი საკითხებისა, მაგრამ მათი გაშლა და დანაწევრება კარგად ამჟღავნებს მათ მსოფლმხედველობას და საკითხებისადმი დამოკიდებულებას. ასე, მაგალითად, ყველა პროგრამაში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი რელიგიურ აღზრდას. მაგრამ თუ ეს საკითხი პროგრამაში დ. სემიონოვს მარტო ამ სახით აქვს მოცემული „ზნეობრივი და რელიგიური აღზრდის საფუძვლები“, სამაგიეროდ სტრელეცკი განსაკუთრებით უსვამს ხაზს „სიყვარულის აღზრდას ღვთისა და მოყვასისადმი. ქრისტიანულ ზნეობას... ზნეობრივ და რელიგიურ განწყობილებას თვით მასწავლებლისას, მოთხოვნილებებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ჩვენი სახალხო სკოლის მასწავლებელი როგორც ადამიანი საერთოდ და როგორც რუსი ადამიანი კერძოდ — რელიგიურობა, ზუსტი შესრულება მართლმადიდებელი ქრისტიანის ყველა ვალდებულებისა და ერთგულება ტახტისა და სამშობლოსადმი“[2] და ა. შ.

---

[1] გამონაკლისს აქედან წარმოადგენს მხოლოდ ს. დივარი.
[2] საქმე № 420, ფ. 15.

ასეთივე რელიგიური სულითაა გაჟღენთილი სლოვინსკის, მირო-პიევისა და სმირნოვის პედაგოგიკის პროგრამებიც. კერძოდ სმირნოვის შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზევით, რომ სმირნოვი, რომელიც პედაგოგიკას ასწავლიდა „მეტწილად ისე წარმართავდა გაკვეთილს, რომ ის არსებითად საღვთო რჯულის დამატებითს შეცადინეობას წარმოადგენდა“[1].

საუკეთესოს პედაგოგიკის პროგრამებს შორის დ. დ. სემიონოვის პროგრამა წარმოადგენს, რომელსაც წინ უძღვის ფრიად მნიშვნელოვანი განმარტებითი ბარათი „საფუძვლები და პროგრამა სპეციალურ-პედაგოგიური განათლებისა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში“.

დ. სემიონოვის სიტყვით, სამასწავლებლო სემინარიებში პედაგოგიკის სწავლების პრაქტიკული მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მომავალ სახალხო მასწავლებლებში განვავითაროთ მისწრაფება შეგნებულად დაიწყოს სასწავლო-საალმზრდელო მოღვაწეობა და მივცეთ საშუალება გაიგოს პედაგოგიური თხზულებანი და ამით შემდეგში შეავსოს თავისი პედაგოგიური განათლება, რასაც სემინარიაში მხოლოდ პირველი საფუძვლები ეყრება. მეორეც, ახალგაზრდა მასწავლებლებს უნდა მივცეთ საშუალება სასწავლო დაწესებულებებიდან გამოსვლისას, წარმატებით, დიდი წვალებისა და უხეში შეცდომების გარეშე, შეუდგეს ბავშვების აღზრდას და პირველ დაწყებით სწავლებას“.

მაგრამ ამ მიზანს რომ მივაღწიოთ, ამისათვის საჭიროა მომავალ სახალხო მასწავლებლებს მიეცეთ სათანადო ცოდნა პედაგოგიკის თეორიიდან, პედაგოგიკის მონათესავე მეცნიერებათაგან და აგრეთვე აუცილებელი პედაგოგიური ჩვევები, რომლებიც გამოადგებათ მათ სკოლებში მუშაობის დროს. ამიტომ თავის პროგრამაში დ. სემიონოვს შეტანილი აქვს: საკუთრივ პედაგოგიკა, დიდაქტიკა, სპეციალური მეთოდიკა თითოეული საგნისა, აღზრდის ისტორია, ცნობები ფსიქოლოგიიდან და ლოგიკიდან.

პედაგოგიკის პროგრამა დ. სემიონოვმა ააგო კონცენტრულ სისტემაზე, რადგანაც მას გარკვეულ უპირატესობას აძლევდა. ლაპარაკობს რა სასწავლო მასალის განაწილების შესახებ ცალკეული კლასების მიხედვით, დ. სემიონოვი წერს: „ამ მხრივ პედაგოგიკის მასწავლებელი უპირატესობას აძლევს კონცენტრულ სისტემას, რომელსაც ძლიერ მნიშვნელოვანი პედაგოგიური უპირატესობანი გააჩნია. უპირველეს ყოვლისა კონცენტრული სისტემა იძლევა იმის

---

[1] ბ. ჩიკობავა, მოგონებები, გვ. 41.

შესაძლებლობას, რომ სასწავლო მასალა გადაცემულ იქნეს მოსწავლეთა მომზადებისა და განვითარების დონის შესაბამისად. მეორეც, ამ სისტემით ისპობა აუცილებლობა ერთისა და იმავის სიტყვა-სიტყვითი და მოსაწყენი განმეორებისა და მესამე — ერთი და იგივე ცნობები და ფაქტები, რომლებიც რამდენჯერმე შედიან სასწავლო კურსში, მაგრამ განხილულნი არიან სხვადასხვა თვალსაზრისით და ახალ კომბინაციებში, ამა თუ იმ ასოციაციის საფუძველზე, სამუდამოდ მტკიცდება მეხსიერებაში და ხდება აღმქმელი სუბიექტის შეგნებულ კუთვნილებად".

რაც შეეხება პედაგოგიკის ისტორიას, ამის შესახებ დ. სემიონოვი შენიშნავს, რომ „ეს ნაწილი პედაგოგიკისა თავისი დიდი მოცულობისა და პედაგოგიკის სწავლებისათვის მცირე საათების გამოყოფის გამო, სრულიად არ ისწავლება. ამიტომ მასწავლებელი თავის მსმენელებს აცნობს მხოლოდ იმ პედაგოგების ბიოგრაფიებს, რომლებმაც ყველაზე მეტი ღვაწლი დასდეს სახალხო განათლებას და რომლებსაც თავიანთი მოღვაწეობით შეუძლიათ კეთილისმყოფელი ზეგავლენა მოახდინონ ახალგაზრდების ზნეობრივ მსოფლმხედველობაზე".

ამ მოღვაწეთაგან დ. სემიონოვს პროგრამაში[1] შეტანილი აქვს: იან ამოს კომენსკი, ჰენრიხ პესტალოცი, ფრიდრიხ ფრებელი და ადოლფ დისტერვეგი, რომელთა პედაგოგიური მოღვაწეობა და პირადი ცხოვრება, სემიონოვის აზრით, საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ახალგაზრდა მასწავლებლებისათვის, თუ როგორი თავდადებით, ლანგაროდ და გულწრფელად უნდა ემსახუროს მასწავლებელი ბავშვების აღზრდის საქმეს.

ამ პროგრამის მიხედვით ირკვევა, რომ დ. სემიონოვი სათანადო ყურადღებას აქცევდა ჰიგიენის საკითხებსაც, თუმცა, ეს საგანი ცალკე ისწავლებოდა სემინარიის ექიმის მიერ. ცალ-ცალკეა წარმოდგენილი მეთოდიკა იმ საგნებისა, რომლებიც სახალხო სკოლებში ისწავლებოდა (რუსული ენა, არითმეტიკა, გეოგრაფია, საღვთო რჯული) და ყურადღება გამახვილებულია თვალსაჩინო სწავლებაზე.

შემდეგში დანიშნულმა დირექტორებმა პედაგოგიკის პროგრამებში ბევრი თავისებურება შეიტანეს. მაგალითად, მ. ა. მიროპიევმა პედაგოგიკის ისტორიის საკითხები და გამოჩენილი პედაგოგების ცხოვრება-მოღვაწეობის მიმოხილვა პროგრამიდან სრულებით ამოიღო[2], მისმა წინამოადგილემ სლოვინსკიმ კი გამოჩენილი პედა-

---

[1] პროგრამა გამოქვეყნებულია ჩვენს შრომაში „დ. დ. სემიონოვის პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოში", 1954, გვ. 75—87.

[2] საქმე № 796, ფ. 25—30.

გოგები პროგრამაში დატოვა, ჟან-ჟაკ რუსოც დაუმატა და მთელი რიგი საკითხების გადაჯგუფება მოახდინა. მაგრამ მთავარი იყო არა მარტო ის, თუ რა ისწავლებოდა, არამედ, თუ როგორ ისწავლებოდა, რა იდეურ გაშუქებას აძლევდა პედაგოგიკის მასწავლებელი პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებს და ა. შ.

ამ მხრივ ყველაზე უფრო პროგრესული მასწავლებელი იყო დ. დ. სემიონოვი და პედაგოგიკაც მის დროს საფუძვლიანად ისწავლებოდა.

სემინარიელთა პედაგოგიური პრაქტიკა

პედაგოგიური პრაქტიკის გავლის იმ წესს, რომელსაც ადგილი ჰქონდა სემინარიაში მისი არსებობის მთელ მანძილზე, საფუძველი ჩაუყარა დ. დ. სემიონოვმა (1878 — 1884). სემიონოვი ამ შემთხვევაში ძირითადად ემყარება თავის დიდი მასწავლებლის კ. დ. უშინსკის შეხედულებებსა და იმ მდიდარ გამოცდილებას, რომელიც მან მიიღო სმოლნის ინსტიტუტში მასწავლებლობისა და ყუბანის სამასწავლებლო სემინარიაში დირექტორობის დროს. გორის სემინარიის არც ერთ დირექტორს, რომლებიც სემიონოვის შემდეგ ხელმძღვანელობდნენ ამ სასწავლო დაწესებულებას, განურჩევლად თავიანთი მსოფლმხედველობისა, არ გადაუხვევიათ მათი წინამორბედის მიერ შემუშავებული წესისაგან, ან თუ ჰქონდა რაიმე გადახვევას ადგილი, ეს იმდენად უმნიშვნელოა, რომ მასზე საგანგებოდ შეჩერება არც ღირს.

პედაგოგიური პრაქტიკის გავლის წესი კი იმდენად მოფიქრებით, გონივრულად და ზუსტად იყო შემუშავებული, რომ სემინარიის თითქმის ყველა კურსდამთავრებულს თავისუფლად და გაბედულად შეეძლო სახალხო სკოლებში მასწავლებლობის დაწყება.

თავისი შეხედულებები პედაგოგიური პრაქტიკის მიზანშეწონილად ჩატარების შესახებ სემიონოვმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა მრავალმხრივ საყურადღებო წერილში: „საფუძვლები და პროგრამა სპეციალური-პედაგოგიური განათლებისა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში“[1].

ჩვენ ქვემოთ გადმოვცემთ პრაქტიკული მუშაობის იმ სახეებს, რომლებიც საჭიროდ მიაჩნდა დ. სემიონოვს მომავალი სახალხო მასწავლებლის პედაგოგიურ საქმიანობაში დასაოსტატებლად.

---

[1] საქმე № 121, ფ. ფ. 39—51. დაუთარიღებელია, მაგრამ ჩვენი აზრით დაწერილი უნდა იყოს 1879 —1880 წლებში, რადგანაც მასში მოხსენებულია „თათრული დაწყებითი სასწავლებელიც“, რომელიც 1879 წელს გაიხსნა, ხოლო დებულება— 1880 წელს დამტკიცდა.

ეცნობოდნენ რა პირველ კლასში პედაგოგიკის თეორიულ ნაწილს, მოსწავლეები მეორე კლასიდან უკვე გადიოდნენ პედაგოგიურ პრაქტიკას. ამ კლასში აღსაზრდელებს ევალებოდათ: სახელმძღვანელოების გარჩევა, საცდელი გაკვეთილების კონსპექტების შედგენა, პირველი საცდელი გაკვეთილების გადაცემა და დაწყებითი სასწავლებლების მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრება.

გასარჩევი სახელმძღვანელოების სიას წინასწარ ადგენდა პედაგოგიური საბჭო. ამასთან მხედველობაში იღებდნენ იმ გარემოებას, რომ ძირითადად გარჩეულიყო მხოლოდ ის სახელმძღვანელოები, რომლებსაც უმთავრესად იყენებდნენ სახალხო სკოლებში და არც ერთი საგანი არ უნდა დარჩენილიყო უგულებელყოფილი.

გასარჩევი სახელმძღვანელოები მოსწავლეებს ეძლეოდათ მეორე კლასში გადასვლის შემდეგ, რათა მათ საშუალება ჰქონოდათ საზაფხულო არდადეგების პერიოდში უფრო გულდასმით ეწარმოებინათ მუშაობა. მოსწავლეებისაგან მოითხოვდნენ წარმოდგენა ჰქონოდათ: სახელმძღვანელოს შინაარსზე, მასალის განლაგების სისტემაზე, უნდა აღენიშნათ სახელმძღვანელოს ის ადგილები, რომლებიც რაიმე ნიშნით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდნენ და ის ადგილები, რომლებიც მათ სუსტად მოეჩვენათ, რამდენად შეეფერებოდა გარჩეული სახელმძღვანელო მოსწავლეთა ასაკს და როგორ უნდა ესარგებლა მასწავლებელს მოცემული სახელმძღვანელოთი.

მოსწავლეთა ანგარიშების მოსმენა სახელმძღვანელოების შესახებ ხდებოდა არდადეგებიდან დაბრუნების შემდეგ — სასწავლო წლის პირველ ნახევარში, საგანგებო კონფერენციებზე, რომლებსაც ხელმძღვანელობდა სათანადო საგნის მასწავლებელი (თუ რუსული ენის სახელმძღვანელო ირჩეოდა, მაშინ კონფერენციას ხელმძღვანელობდა რუსული ენის მასწავლებელი, თუ არითმეტიკისა — არითმეტიკის მასწავლებელი და ა. შ.) კონფერენციებს ყოველთვის ესწრებოდა სემინარიის დირექტორი. მოხსენებას მოსწავლე აკეთებდა ზეპირად, მაგრამ მას ის წერილობითი სახითაც უნდა ჰქონოდა.

სახელმძღვანელოების გარჩევა ხდებოდა მეორენაირადაც: ერთი მოსწავლე გაარჩევდა რა რომელიმე სახელმძღვანელოს — მოხსენებას აკეთებდა მის შესახებ, ხოლო მეორე მოსწავლე ოპონენტის როლში გამოდიოდა და ცდილობდა ეჩვენებინა რა იყო მართებული მისი ამხანაგის მოხსენებაში და რა უმართებულო სახელმძღვანელოს გარჩევასთან დაკავშირებით. მოხსენების გარჩევაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მოსწავლეები. საბოლოო შეფასებას მოხსენებას აძლევდნენ საგნის მასწავლებელი და სემინარიის დირექტორი.

რადგანაც თითქმის ყველა სახელმძღვანელო შეიცავდა მეთოდურ

მითითებებს მასწავლებელთათვის (როგორ უნდა ესწავლებინათ მოცემული საგანი), მოსწავლეები მეთოდიკის საკითხებსაც ეცნობოდნენ, ეს ცოდნა კიდევ უფრო ღრმავდებოდა საგნის სპეციალისტ მასწავლებელთა განმარტებებით. ასე, რომ სასწავლო წლის მეორე ნახევრის დასაწყისში მოსწავლეებს უკვე შეეძლოთ გაკვეთილის მარტივი კონსპექტის შედგენა. კონსპექტების გარჩევა ხდებოდა პედაგოგიკის გაკვეთილებზე. მათგან დირექტორი შეარჩევდა რამდენიმე საუკეთესო კონსპექტს და მოსწავლეებს ნებას აძლევდა ჩაეტარებინათ პირველი საცდელი გაკვეთილები დაწყებითი სკოლის ბავშვთა მცირე ჯგუფთან. ასეთი გაკვეთილის მიზანი იყო სემინარიის აღსაზრდელი პირისპირ შეხვედროდა მოსწავლეებს და გადაედგა პირველი ნაბიჯი მასწავლებლის როლში. თუ დაწყებული საცდელი გაკვეთილი არასწორად წარიმართებოდა, საქმეში დირექტორი ერეოდა და გაკვეთილი მას მიჰყავდა. შემდეგში ანალიზი უკეთდებოდა მარცხის მიზეზებს და ისახებოდა სათანადო ღონისძიებანი მომავალში მის უკეთ ჩასატარებლად.

მესამე კლასში გადასულ მოსწავლეებს ევალებოდა: დაწყებითი სკოლის მასწავლებლის თანაშემწის როლის შესრულება, დამოუკიდებელი გაკვეთილების გადაცემა, მონაწილეობის მიღება გასარჩევი გაკვეთილების კონფერენციებში, კვირეული პროგრამისა და ოქმების შედგენა და საბოლოო გაკვეთილების გადაცემა დაწყებითი სკოლების სამ განყოფილებაში.

როგორც დ. სემიონოვი აღნიშნავს, სემინარიის მესამე კლასის თითოეული მოსწავლე ვალდებულია ერთი თვის განმავლობაში ესწრებოდეს დაწყებითი სკოლის მასწავლებლის გაკვეთილებს, შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში უნდა შეასრულოს მასწავლებლის თანაშემწის როლი, მეორე კვირის განმავლობაში იყოს პრაქტიკანტად მესამე კვირაში ასისტენტად.

„დაწყებითი სკოლის მასწავლებლის თანაშემწეს ევალება: ა) მისცეს მასწავლებლის ნაცვლად გაკვეთილები, როცა ის (მასწავლებელი) ესწრება პრაქტიკანტის გაკვეთილებს; ბ) მოამზადოს მასწავლებლის მოსვლამდე ყველა სასწავლო ხელსაწყო; გ) აწარმოოს საკლასო ჟურნალი; დ) უხელმძღვანელოს ბავშვების თამაშს დასვენების დროს; ე) თვალყური ადევნოს სისუფთავეს და წესრიგს კლასში ვ) გაასწოროს ბავშვების წერითი ნამუშევრები და ზ) საერთოდ შეასრულოს დაწყებითი სკოლის ყველა დავალება, რომლებიც მიმართულია დაწესებულების კეთილმოსაწყობად.

მასწავლებლის თანაშემწემ რომ შეგნებულად შეასრულოს თავისი მოვალეობა, ის ვალდებულია წინასწარ მოემზადოს გაკვეთი-

ლისათვის მასწავლებლის დახმარებით. ამნაირად მოსწავლე პრაქ-ტიკულად ეცნობა და ეუფლება სახალხო სკოლის მასწავლებლის მომზადების სიძნელეებს, ყოველი გაკვეთილის კეთილსინდისიერ მომზადებას, სასწავლო ხელსაწყოების გამოყენების ჩვევას, გაკვეთილების კონსპექტების კარგად შედგენას, სასწავლო მასალის სწორ განაწილებას გაკვეთილებისა და განყოფილებების მიხედვით.

პრაქტიკანტის მოვალეობის შემსრულებელმა წინასწარ უნდა შეადგინოს თავის მომავალ მეცადინეობათა დაწვრილებითი გეგმა და წარუდგინოს ის დაწყებითი სკოლის მასწავლებელს.

ასისტენტმა თვალყური უნდა ადევნოს პრაქტიკანტის გაკვეთილის მსვლელობას, აღინიშნოს გაკვეთილის როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარეები, რათა საშუალება ჰქონდეს კონფერენციაზე სრულად დაახასიათოს მისი ამხანაგის გაკვეთილი, ფაქტებით დადასტურებული. პრაქტიკანტები სასწავლო წლის პირველ ნახევარში გაკვეთილებს აძლევენ მხოლოდ ერთ უმცროს განყოფილებაში.

წლის მეორე ნახევარში მესამე კლასის აღსაზრდელებმა უნდა მისცენ საცდელი გაკვეთილები გრამატიკაში, არითმეტიკაში, გეომეტრიაში, გეოგრაფიასა და ისტორიაში რუსული დაწყებითი სკოლის უფროს განყოფილებაში იმ მიზნით, რომ პრაქტიკულად გაეცნონ სოფლის ორკლასიანი სასწავლებლის კურსს, ამასთან დაწვრილებითი კონსპექტი ასეთი გაკვეთილებისა თავის დროზე უნდა წარედგინოს რუსული დაწყებითი სკოლის მასწავლებელს"[1].

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ამის შემდეგ პრაქტიკანტი, სასწავლო წლის ბოლოს, დაწყებითი სკოლის სამივე განყოფილებაში ვალდებული იყო გადაეცა სამი სავსებით დამოუკიდებელი გაკვეთილი — მასწავლებელთა მხრივ ყოველგვარი წინასწარი დახმარებისა და ჩარევის გარეშე. უკანასკნელ სამ გაკვეთილს ესწრებოდა პედაგოგიური საბჭოს ყველა წევრი, რომელთაც პრაქტიკანტი შემდეგ უდგენდა მეცადინეობის მთელი დღის ანგარიშს, გაკვეთილების ვრცელ კონსპექტს და აღნიშნავდა თავისი გაკვეთილების როგორც სავარაუდო, ისე პრაქტიკულად მიღებულ შედეგს. უკანასკნელი დამოუკიდებლად გადაცემული გაკვეთილების კონსპექტს საგანგებოდ იხილავდა პედაგოგიური საბჭო და საბოლოო შეფასებას აძლევდა პრაქტიკანტის მუშაობას. მხოლოდ ამის შემდეგ ეძლეოდა უფლება მოსწავლეს გამოსაშვებ გამოცდებზე გასვლისა.

---

[1] საქმე № 121.

ყოველივე ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, პედაგოგიური პრაქტიკის გავლის გზა გორის სამასწავლებლო სემინარიაში ასეთი იყო:

1. პედაგოგიური პრაქტიკა იწყებოდა მეორე კლასში გადასვლის შემდეგ.

2. ყოველ მოსწავლეს ეძლეოდა გასარჩევად რომელიმე სახელმძღვანელო (ეს სამუშაო სრულდებოდა პირველი კლასიდან მეორეში გადასვლის შემდეგ — საზაფხულო არდადეგების დროს).

3. მოსწავლის მოხსენების მოსმენა გარჩეული სახელმძღვანელოს შესახებ ხდებოდა საგანგებო კონფერენციებზე, სასწავლო წლის პირველ ნახევარში. მოხსენება კეთდებოდა ზეპირად, მაგრამ მოსწავლეს ის წერილობითი სახითაც უნდა ჰქონოდა შესრულებული. მოხსენების შეფასებაში მონაწილეობას ღებულობდნენ საგნის მასწავლებელი, დირექტორი და მოსწავლეები.

4. მოსწავლეს უნდა შეედგინა გაკვეთილის კონსპექტი, რომელსაც პედაგოგიკის გაკვეთილზე არჩევდა დირექტორი.

5. საუკეთესო კონსპექტის შემდგენ მოსწავლეს დირექტორი ნებას აძლევდა პირველი საცდელი გაკვეთილი ჩაეტარებინა დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა მცირე ჯგუფთან (არა მთლიანად კლასთან). ამ გაკვეთილს ყოველთვის ესწრებოდა დირექტორი.

6. მესამე კლასში გადასვლის შემდეგ მოსწავლე ერთი თვის განმავლობაში ესწრებოდა დაწყებითი სკოლის მასწავლებლის გაკვეთილებს და სპეციალურ რვეულში აღნიშნავდა, თუ როგორ ტარდებოდა გაკვეთილები.

7. შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში ასრულებდა მასწავლებლის თანაშემწის როლს. ყოველი გაკვეთილისათვის, მასწავლებლის დახმარებით, ის წინასწარ ემზადებოდა.

8. მეორე კვირაში ის პრაქტიკანტად ითვლებოდა, ე. ი. დამოუკიდებლად ატარებდა გაკვეთილს, მაგრამ მასწავლებლის დახმარებით.

9. შემდეგში ის ასისტენტის როლში გამოდიოდა (ესწრებოდა რომელიმე თავისი პრაქტიკანტი ამხანაგის გაკვეთილებს და რვეულში აღნიშნავდა გაკვეთილის როგორც უარყოფით, ისე დადებით მხარეებს).

10. სასწავლო წლის მეორე ნახევარში აღსაზრდელს უნდა გადაეცა გაკვეთილები ცალკეულ საგნებში. გაკვეთილების კონსპექტს წინასწარ გულდასმით იხილავდნენ სათანადო საგნის მასწავლებლები.

11. სასწავლო წლის ბოლოს მესამე კლასის მოსწავლეს უნდა მიეცა სამი სავსებით დამოუკიდებელი გაკვეთილი. მოსწავლეს იმ

შემთხვევაში დახმარებას არც ერთი მასწავლებელი არ უწევდა, ის უკვე თავისი ცოდნისა და წინათმიღებული გამოცდილების საფუძველზე მოქმედებდა. ამ გაკვეთილების გარჩევა და საბოლოო შეფასება ხდებოდა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, რის შემდეგაც გამოჰქონდათ დადგენილება მოსწავლის გამოსაშვებ გამოცდებზე დაშვებისა თუ არდაშვების შესახებ.

აქ დამატებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ პრაქტიკული გაკვეთილების გარჩევის კონფერენციებზე, რომლებიც დირექტორის ან სათანადო საგნის მასწავლებლის თავმჯდომარეობით ტარდებოდა, მეტად სერიოზული ხასიათი ჰქონდა და მათ აუცილებლად უნდა დასწრებოდა მესამე კლასის ყველა აღსაზრდელი. უნდა ითქვას, რომ პრაქტიკანტის გაკვეთილების გარჩევას გულისხმიერად აწარმოებდნენ და ცდილობდნენ ყოველი გაკვეთილი ობიექტურად შეეფასებინათ, აღენიშნათ მისი როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარეები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. დ. სემიონოვი, რომელსაც ვაჟა ფშაველას საცდელი გაკვეთილის გარჩევაშიც მიუღია მონაწილეობა.

ალ. ნათაძის საინტერესო მოგონებით ირკვევა, რომ 1879 წელს გორის რაიონს კალია შესევია. კალიასთან საბრძოლველად მოსახლეობასთან ერთად მონაწილეობა მიუღია სემინარიის მასწავლებლებს და მოსწავლეებს, მათ შორის დ. სემიონოვს და არ. ქუთათელაძეს. ვაჟას განსაკუთრებით გაპოუჩენია თავი კალიების მოსპობის საქმეში და ამიტომ სემიონოვს მისთვის დაუვალებია საცდელი გაკვეთილის ჩატარება ამ თემაზე. ერთი კვირის შემდეგ ვაჟამ გაკვეთილი მისცა. „უფროსი კლასების მოწაფეები ყველანი იქ ვიყავით. ასისტენტებად იყვნენ: ფარნაოზ ნათიშვილი, მასწავლებელი პირველდაწყებითი სასწავლებლისა სემინარიასთან, არისტო ქუთათელაძე,[1] ქართული ენის მასწავლებელი სემინარიაში და თვითონ დირექტორი. მოწაფეები რეცენზენტების როლსა ვთამაშობდით და ყველას ხელში ქაღალდი და ფანქარი გვეჭირა შენიშვნების დასაწერად. არ გასულა სამი წუთი, რომ დირექტორი შემოვიდა და კლასში წესიერება დამყარდა... იგი მივიდა ვაჟასთან, რიღაც წასჩურჩულა და უბრძანა გაკვეთილი დაეწყო. გაკვეთილი ქართულ ენაზე იყო მიცემული. პირველი ნაწილი გაკვეთილისა თითქო წესიერად მიმდინარეობდა: ყოველი მეთოდური წესი იყო დაცული, ყველა დიდაქტიკური მო-

[1] როგორც აქედან ჩანს, პირველ ხანებში ასისტენტები ეწოდებოდა გაკვეთილზე დამსწრე მასწავლებლებს, ხოლო რეცენზენტები მოწაფეებს. შემდეგში ასისტენტები ყოველთვის მოსწავლეებია და ასრულებენ იმ მოვალეობას, რის შესახებაც ზევით უკვე გვქონდა ლაპარაკი.

ძღვრება შესრულებული... მეორე ნაწილი გაკვეთილისა კი ნამ-
დვილი „წამება“ იყო ვაჟასათვისაც და მოწაფეებისათვისაც. ...მოწა-
ფეები დაღალა, დაქანცა, თვითონაც დაიქანცა, ოფლი თქრიალით
ჩამოსდიოდა, დისციპლინა დაირღვა, თვალსაჩინო საგნები მიყარ-
მოყარა და კარგად დაწყებული საქმე უშედეგოდ გაათავა. გაკვეთი-
ლის შემდეგ ყველანი გარეთ გამოვედით, ამხანაგებს ხმა-კრინტი
არ დაგვიძრავს, რომ ისედაც გაბოროტებული ვაჟა არ გაგვეჯავ-
რებინა... დირექტორმა შენიშნა ყველა ეს და ვაჟა თავისთან წა-
იყვანა, ჩაი დაალევინა, ასაუზმა თავის ოჯახში. მალე ვაჟა კმაყო-
ფილი დაბრუნდა იქიდან. ჩვენც გულდამშვიდებით მოველოდით
საღამოს, როდესაც ვაჟას გაკვეთილი გარჩეული იქნებოდა დირექ-
ტორის თავმჯდომარეობით.

დადგა ეს დროც... ყველამ თავი მოვიყარეთ სკოლის დარბაზში.
დირექტორმა ჯერ ვაჟას მისცა წინადადება თვით მას აღენუსხა
თავის გაკვეთილის ნაკლულევანებანი. მერე ჯერი ჩვენზე მიდგა.
უნდა გეყურებინათ რა ქარ-ცეცხლში გაატარეს ამხანაგებმა ეს გაკ-
ვეთილი, რა კრიტიკის ხორხოშელა დააყარეს ჩვენს მომავალ სი-
ამაყეს ამ პაწაწინა ვაჟებმა. ლადო აღნიაშვილის სიტყვა ხომ მწა-
რეზე-მწარე იყო. ვაჟაც ცეცხლობდა, გული საგულეში აღარ ეტე-
ოდა... ყველას პასუხს აძლევდა, ყველას უმკლავდებოდა, მაგრამ
ამაოდ. დირექტორმა ცოტა ხნით შესწყვიტა კამათი, მოინდომა
კრიტიკის ჩანელება, განკიცხვის შთაბეჭდილების შესუსტება და გაკ-
ვეთილის ღირსებაზე დაგვაწყებინა ლაპარაკი. პირველად მე მკითხა:
მეც გაკვეთილის პირველს ნახევარს მივაქციე ყურადღება და ბევრი
კარგი მხარეები გადავუშალე კრებას ამ გაკვეთილის შესახებ. ...ფარ-
ნაოზ ნათიშვილმა და არისტო ქუთათელაძემ უქეს ვაჟას ქართული
ენის ცოდნა, ტერმინების გათვალისწინება და ერთხმად აღვნიშნეთ
ყველამ გაკვეთილის კეთილსინდისიერად შესრულება“[1].

პედაგოგიური პრაქტიკის გავლის ის წესი, რომელიც დ. სემი-
ონოვმა შემოიღო, გორის სამასწავლებლო სემინარიაში მისი წასვლის
შემდეგაც თითქმის უცვლელი დარჩა. ა. სლოვინსკი „თავის განმ-
არტებით ბარათში“ იმ ექსპონატების შესახებ, რომლებიც გო-
რის სამასწავლებლო სემინარიამ გაგზავნა პარიზის მსოფლიო გა-
მოფენაზე 1900 წელს, აღნიშნავს: „მესამე კლასის მოსწავლეთა პრაქ-
ტიკულ მეცადინეობას სწავლებაში ასახავს ალბომი № 12. გადადიან
რა ერთი სასწავლებლიდან მეორეში (რუსული, ქართული, სომხური
და თათრული) ყველა ისინი განურჩევლად ეროვნებისა, რიგრიგო-

---

[1]. ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1916, № 36.

ბით აძლევენ გაკვეთილებს თითოეულ სასწავლებელში. საშუალოდ ყოველ მოსწავლეზე 1898—99 წ. წ. მოდის 20 გაკვეთილი. ყოველი გაკვეთილის გარჩევა ხდება დაუყონებლივ ე. წ. დიდი დასვენების დროს თავმჯდომარის ხელ. სასწავლებლის მასწავლებელთა და ასისტენტების (რომლებიც პრაქტიკანტის ამხანაგებია) მონაწილეობით. გაკვეთილის გარჩევის ირგვლივ იწერება ოქმი, რომელსაც ადგენს თვით გაკვეთილის გადამცემი[1].

გაკვეთილის გარჩევა მიმდინარეობს შემდეგი გეგმით

ა. ტექნიკური მხარე

1. მიზანშეწონილად ჰქონდა თუ არა დრო დათმობილი გაკვეთილის სხვადასხვა ნაწილს.

2. ყველა მოსწავლე იყო თუ არა გამოკითხული და თანასწორად იყო თუ არა განაწილებული, პედაგოგიური თვალსაზრისით, კითხვები მოსწავლეთა შორის.

3. დათმობილი ჰქონდა თუ არა სათანადო ადგილი გუნდურ გამოთქმას.

4. შესაფერისად ექცეოდა თუ არა ყურადღება მოსწავლეთა მეტყველებას (არტიკულაცია, ლოგიკური მახვილი, ტონის ამაღლება და დადაბლება, ტემპი და პაუზები).

5. ზუსტი მითითებანი მოსწავლეთა არასწორი და არასრული პასუხებისა და მათი გამომწვევი მიზეზები.

ბ. მეთოდური მხარე

6. ჰქონდა თუ არა დათმობილი სათანადო ადგილი თვალსაჩინოებას ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

7. სათანადოდ სარგებლობდა თუ არა გაკვეთილის გადამცემი საკლასო დაფით.

8. ზუსტი აღნიშვნა მიმახვედრებელი კითხვებისა და მისი შედეგები.

9. მონდომებით სრულდებოდა თუ არა მოთხოვნა შეცდომების გასწორების შესახებ თვით მოსწავლეთა მიერ.

10. გაკვეთილის გადამცემის პირადი თავისებურებანი, რომლებიც აქვს მას საერთოდ და კერძოდ — მოცემულ გაკვეთილზე.

11. დისციპლინა.

---

[1] დ. სემიონოვის დროს ოქმს წერდა ის მოსწავლე, რომელსაც რიგით ამ საქმის შესრულება ევალებოდა.

12. ადგილი ჰქონდა თუ არა ინდივიდუალურ მიდგომას მოსწავლეთა პირად თავისებურებებისა და ხასიათისადმი.

13. პოზიტურა გაკვეთილის გადამცემისა და მოსწავლეებისა. პირობითი ნიშნები, რომლებიც სიტყვებს ენაცვლებიან. გარეგანი პირობები, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ მეცადინეობასთან.

14. რა შეცდომები მოუვიდა რუსულ ენაში გაკვეთილის გადამცემს.

15. გადაცემული გაკვეთილის შედარება წინათ გადაცემულ გაკვეთილთან.

16. შეგნებულობა მოსწავლეთა პასუხებში.

17. იყო თუ არა საჭირო ადგილობრივი ენის გამოყენება.

18. მითითებანი, რომლებიც მიეცა გაკვეთილის გადამცემს თვით გაკვეთილის დროს.

19. მიღწეულია თუ არა გაკვეთილის მიზანი"[1].

როგორც ვხედავთ, საცდელი გაკვეთილის გარჩევა შემდეგშიც დიდი ყურადღებით წარმოებდა. სემინარიას პედაგოგიურად კარგად დახელოვნებული ახალგაზრდები ამთავრებდნენ და მათი უმრავლესობა თავის საქმეს ღირსეულად ასრულებდა.

ამიტომ სავსებით სწორია და სამართლიანი სემინარიის ერთ-ერთი აღზრდილის სიტყვები: „დასაწუნი და გასაკიცხი ბევრი რამ იყო სემინარიის სწავლა-აღზრდის სისტემაში, მაგრამ ეს ჩაკეტილი სასწავლებელი კარგად აწრთობდა მასწავლებლად ახალგაზრდას— აუფლებდა მტკიცე ცოდნა-ჩვევებს მეთოდიკასა და პედაგოგიკაში, ამზადებდა მომავალი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის. პედაგოგიური პრაქტიკის საქმე სემინარიაში სერიოზულად იყო დაყენებული"[2].

ზევით ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რომ პრაქტიკანტი მოსწავლე რამდენიმე ხნის განმავლობაში ესწრებოდა დაწყებითი სკოლის მასწავლებელს და აკვირდებოდა მის მუშაობას, შემდეგ ადგენდა კონსპექტს, რომელსაც ნახულობდა დაწყებითი სკოლის მასწავლებელი და აძლევდა საცდელ გაკვეთილს. საცდელი გაკვეთილის გარჩევა კი ხდებოდა საგანგებო კონფერენციებზე ანუ შეკრებებზე როგორც სხვანაირადაც უწოდებდნენ ხოლმე. დაინტერესებულ პირს, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს ამგვარი მუშაობის შესახებ, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ დოკუმენტალური მასალები ამ საკითხებთან დაკავშირებით.

---

[1] Циркуляр по управлению Кавказским учебным округом за 1901 год. II, Приложения, Тифлис, стр. 23—25, შეადარეთ: სლოვინსკი—„Закавказская учительская (в гор. Гори) семинария на юбилейной выставке в Тифлисе осенью 1901 года", Тифлис, 1901, стр. 25—27.

[2] ბ. ჩიქობავა, მოგონებები, 1949, გვ. 84.

1. დაკვირვება მასწავლებლის მუშაობაზე

„ანგარიში

ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის III კლასის აღსაზრდელის სამსონ ბახტაძისა მის მიერ გაკვეთილებზე დასწრების შესახებ ქართულ დაწყებით სასწავლებელში 1895 წლის 27, 28 და 30 იანვარს.

27 იანვარი

1. გაკვეთილი

27 იანვარს 7 ს. 55 წ. მე წავედი ქართულ დაწყებით სასწავლებელში. როდესაც სკოლაში მივედი, მოწაფეები ჯერ კიდევ არ იყვნენ შეკრებილნი. 8 საათზე თითქმის ყველა მოსწავლემ მოიყარა თავი. რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა სასწავლებლის მასწავლებელი. მასწავლებლის კლასში შემოსვლისას მოწაფეები ადგნენ, მეცადინეობის დაწყებამდე ილოცეს, მასწავლებელს მიესალმნენ და თავიანთ ადგილებზე დასხდნენ. შემდეგ ბატ. მასწავლებელმა შეამოწმა მოწაფეების ტანსაცმელი და ხელები და ნახა რა ისინი წესრიგზე, დაურიგა რვეულები, რომლებიც სახლიდან მოეტანა.

რვეულების დარიგების დროს ბატ. მასწავლებელი შენიშვნებს აძლევდა იმ მოსწავლეებს, რომლებსაც შეცდომები დაეშვათ თავიანთ ნაწერებში, ამასთან ერთად ბატ. მასწავლებელმა დაავალა მოწაფეებს გადაესინჯათ რვეულები და გაესწორებინათ შეცდომები.

მისცა რა II და III განყოფილების მოწაფეებს დამოუკიდებელი სამუშაო, მასწავლებელმა უთხრა—I განყოფილების მოწაფეებს ამოეღოთ წიგნები „Родное слово“ 1-ლი წლისათვის.

I განყოფილების მოწაფეებს დაავალა წაეკითხათ თავისთვის მიცემული გაკვეთილი და გადავიდა III განყოფილების მოწაფეებთან, ამოხსნა მათთან ერთი ამოცანა და უბრძანა დაეწერათ ტექსტი და ამოხსნა ამ ამოცანისა, წინასწარ გააფრთხილა რა ისინი მოსალოდნელი შეცდომებისაგან ძნელ სიტყვებში.

III განყოფილების მოწაფეებისათვის დამოუკიდებელი სამუშაოს მიცემის შემდეგ, მასწავლებელმა მიმართა II განყოფილების მოწაფეებს და დაიწყო ამოცანა № 534. ის ამოხსნა გოლდენბერგის სახელმძღვანელოდან. მასწავლებელმა საგნობრივად გაარჩია აღნიშნული ამოცანა (произвел вещественный разбор) იმ მიზნით, რომ მოსწავლეებს გაეგოთ მნიშვნელობა თითოეული სიტყვისა. საგნობრივი გარჩევის შემდეგ მოსწავლეებმა მასწავლებლის ხელმძღვანელობით წაიკითხეს გუნდურად და ინდივიდუალურად ამოცანის ტექსტი, ხოლო შემდეგ მასწავლებელმა მოახდინა ლოგიკური გარ-

ჩევა ამოცანისა, რათა გაეგო რამდენად სწორად ესმოდათ ბავშვებს სიტყვების ერთმანეთთან დამოკიდებულება წინადადებაში, ამის შემდეგ მასწავლებელმა კვლავ წააკითხა ამოცანა ბავშვებს როგორც გუნდურად, ისე ინდივიდუალურად.

რადგანაც საგნობრივი და ლოგიკური გარჩევა ამოცანისა, მასწავლებლის ოსტატობის გამო, ძლიერ ნაყოფიერი იყო, ამიტომაც ბავშვებს მისი გადმოცემა არ გასჭირვებიათ. შემდეგ ბატ. მასწავლებელმა დაავალა II განყოფილების მოწაფეებს ამოეღოთ რვეულები და გადაეწერათ ამოცანის ტექსტი. მისცა რა დამოუკიდებელი სამუშაო II და III განყოფილების მოწაფეებს, მასწავლებელმა მეცადინეობა დაიწყო I განყოფილების მოწაფეებთან და დაავალა ეპასუხნათ გაკვეთილი. ყველა მოსწავლემ, გარდა ერთისა, გამოთქვა სურვილი ეპასუხნა გაკვეთილი. მასწავლებელმა ყველა მოსწავლეს გამოჰკითხა და კმაყოფილი დარჩა, ხოლო გაკვეთილის არმცოდნე ბავშვს საყვედური გამოუცხადა. ამის შემდეგ მასწავლებელმა I განყოფილების მოწაფეებთან გაარჩია რამდენიმე გამოცანა, რათა ბავშვებისათვის მიეცა სასარგებლო გონებრივი სავარჯიშო და საბაბი მოენახა საინტერესო საკლასო საუბრისათვის. ამის შემდეგ მასწავლებელმა ჩაატარა ბგერითი ანალიზი სიტყვისა „Загадка“, რის შემდეგაც მოსწავლეებს დაავალა ეს სიტყვა ჩაეწერათ თავიანთ რვეულებში.

ამდროისათვის II განყოფილების მოწაფეებმა დაამთავრეს თავიანთი სამუშაო. მასწავლებელმა უბრძანა მათ ერთმანეთისათვის გაეცვალათ რვეულები, ხოლო თვითონ თვალყურს ადევნებდა I განყოფილების მოწაფეებს, რომლებიც წერდნენ სიტყვას „Загадка“ და საჭიროების მიხედვით აძლევდა მათ შენიშვნებს.

შემდეგ მასწავლებელმა ბგერების მიხედვით გაარჩია გამოცანა „Срежу голову, выну сердце, дам пить, будет говорить“ და უბრძანა მათ გადაეწერათ ეს გამოცანა რვეულებში. შეცდომები, რომლებიც დაშვებული იყო II განყოფილების მოსწავლეთა რვეულებში, თვითონ მოსწავლეებმა გაასწორეს მასწავლებლის ხელმძღვანელობით. გაკვეთილის დასასრულს მასწავლებელმა უბრძანა მოსწავლეებს დაემთავრებინათ სამუშაო და გასულიყვნენ ეზოში. დასვენების დროს მასწავლებელი თვალყურს ადევნებდა ბავშვებს, რათა მათ წესიერება არ დაერღვიათ“[1].

---

[1] საქმე № 33, ფ. 5—6 (ამას მოსდევს მეორე და მესამე გაკვეთილების ასეთივე აღწერა).

II. გაკვეთილის კონსპექტი

„1886 წლის 2 ოქტომბერი
ქართული სკოლის პირველი განყოფილება
წერა-კითხვის გაკვეთილი
ახალი ბგერა „ვ“ სიტყვაში „იხვი“
ანალიზი და სინთეზი

მე რამდენიმე კითხვას მივცემ მოსწავლეებს საგან „იხვის“ შესახებ, რათა ჩემი კითხვების შემდეგ ბავშვებს შეეძლოთ მიპასუხონ, რომ იხვი შინაური ფრინველია. წინასწარ მივაქცევ მოწაფეების ყურადღებას სიტყვაზე „იხვი“ და მერე მე თვითონ ვამბობ მას გაგრძელებით „ი...ხ...ვ...ი“.

შემდეგ დავავალებ ბავშვებს წარმოსთქვან ეს სიტყვა როგორც გუნდურად, ისე ცალ-ცალკე.

მასწავლებელი. რამდენი ბგერაა ამ სიტყვაში?

მოსწავლე. ამ სიტყვაში ოთხი ბგერაა.

მასწავლებელი. რომელი ბგერაა პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეორე, პირველი და ა. შ.

მოსწავლე. ი...ხ...ვ...ი.. და ა. შ.

მასწავლებელი. ამ ბგერებიდან რომელი ბგერებია თქვენთვის ნაცნობი?

მოსწავლე. ი....ხ.

მასწავლებელი. რომელია ახალი ბგერა ამ სიტყვაში?

მოსწაულე. ვ.

მასწავლებელი. წარმოთქვით ის გუნდურად.

მოსწავლეები. (ამბობენ).

მასწავლებელი. ახლა მე თქვენ გეტყვით სიტყვებს და მონახეთ მასში ახალი ბგერა „ვ“ (თავი, კავი, თივა).

მოსწავლეები. (ნახულობენ).

მასწავლებელი. რომელ თქვენგანს შეუძლია დაასახელოს სიტყვა, რომელშიც იქნება ბგერა „ვ“?

მოსწავლეები. (ასახელებენ).

ასეთი ვარჯიშის შემდეგ დავავალებ მოსწავლეებს ნაცნობი ბგერებისაგან შეადგინონ შემდეგი სიტყვები: ავი, ავია, ევა, ევას“[1].

---

[1] საქმე № 265, ფ. 11. ამგვარი კონსპექტები მოიპოვება როგორც ამ საქმეში, ისე სხვა საქმეებში, ყველა საგანში, ზოგი ძალიან ვრცლად დაწერილი, ზოგიც მოკლედ. ზემომოყვანილი კონსპექტი წინასწარ წაკითხული აქვს მასწავლებელ კ. ხ. გარაყანიძეს.

III. საცდელი გაკვეთილის გარჩევის ოქმი

„1883 წლის 10 ნოემბერს შედგა მოწაფეთა კონფერენცია ბატ. ინსპექტორის თავმჯდომარეობით და პედაგოგიური საბჭოს წევრების — მასწავლებლების ნოვოსპასკის, პიასეცკის, სუდაკოვის, ველიბეკოვის და ქალბატონ სუდაკოვას თანდასწრებით პრაქტიკული გაკვეთილების გარჩევასთან დაკავშირებით, რომლებიც გადასცა გამოსაშვები კლასის მოსწავლე დ. ფირცხალავამ ქართული დაწყებითი სკოლის უმცროს განყოფილებაში.

თავისი ორდღიანი პრაქტიკის დროს ფირცხალავამ გადასცა ერთი ერთსაათიანი და ოთხი ნახევარსაათიანი გაკვეთილი. ერთსაათიანი გაკვეთილი მოანდომა არითმეტიკის სწავლებას, შეასწავლა ყოველმხრივ რიცხვი „16“, აწარმოებდა ამ რიცხვზე ყოველნაირ მოქმედებას, გადასწყვიტა ამოცანები შეკრებისა და გამოკლების შესახებ და გააცნო ბავშვებს არშინი და ვერშოკი. ერთი ნახევარსაათიანი გაკვეთილი მოანდომა წერა-კითხვის სწავლებას — შეასწავლა ახალი ბგერა და ასო „გ“. ორი ნახევარსაათიანი გაკვეთილი დაუთმო პირველდაწყებით კითხვას და ერთიც თვალსაჩინო სწავლებას. გაარჩია სურათზე „ძროხა“.

იმის შემდეგ, რაც პრაქტიკანტმა ილაპარაკა თავის მიერ ჩატარებულ მუშაობაზე, მისმა ასისტენტმა კერესელიძემ გამოთქვა შემდეგი შენიშვნები: 1. როდესაც პრაქტიკანტმა მისცა კითხვა ბავშვებს — რქის შიგნით არის რაიმე თუ ცარიელიაო, ბავშვებმა უპასუხეს, რომ რქის შიგნით ტვინია.

ამ შენიშვნაზე ბატ. ინსპექტორმა განაცხადა, რომ ამგვარი კითხვის დასმა სავსებით ზედმეტია. პირველ განყოფილებაში საგნები განხილულ უნდა იქნან მხოლოდ გარეგნული მხრივ.

2. „ძროხის სურათის გარჩევის შემდეგ უნდა ეჩვენებინა ხარის სურათიც და შემდეგ ეკითხა ბავშვებისთვის, თუ რა განსხვავებაა მათ შორის“.

ამის შესახებ ბატ. ინსპექტორმა განაცხადა, რომ ძროხისა და ხარის შედარება სავსებით შეუფერებელია.

3. „წერა-კითხვის სწავლების გაკვეთილზე პრაქტიკანტმა დაავალა მოსწავლეს წაკითხვა, მაგრამ რადგანაც იმ მოსწავლემ ვერ წაიკითხა ჩქარა, მაშინ მეორეს მისცა ეს დავალება, პირველი მოსწავლე კი უყურადღებო დასტოვა“.

ამაზე ბატ. სუდაკოვმა შენიშნა, რომ თუ ბავშვმა წვრილი შრიფტის გამო ვერ წაიკითხა წიგნში სიტყვა, მაშინ უფრო ძლიერს უნდა წავაკითხოთ, შემდეგ სუსტს, ან მოძრავ ასოებს უნდა მივმა-

რთოთ. შემდეგ ბატ. სუდაკოვმა შენიშნა, რომ აჯობებდა თუ პრაქტიკანტი უფრო დიდხანს შეჩერდებოდა ვერშოკზე და მიუთითებდა თვალით გაზომვის შესახებ.

დასასრულს, ბატ. ინსპექტორმა მიუთითა ქართული სკოლის ყველა პრაქტიკანტს, რომ საჭირო არაა ცალკეული თანხმოვანი ბგერის გუნდურად წარმოთქმა. პრაქტიკანტმა გაკვეთილები გადასცა საკმაოდ სწორად და სისტემის დაცვით.

საბჭომ პრაქტიკანტის გაკვეთილები ძლიერ დამაკმაყოფილებლად შეაფასა.

ოქმი დაწერა ი. ბახტაძემ"[1].

სემინარიის არქივში საცდელი გაკვეთილების კონსპექტებისა და პრაქტიკული გაკვეთილების გარჩევის მრავალი ოქმია დაცული. მათი საგანგებოდ შესწავლა ბევრი მხრივ არის საინტერესო, მაგრამ ეს ამჟამად ჩვენს მიზანს ცილდება[2].

სემინარიის პედაგოგიური კადრები

გორის სამასწავლებლო სემინარიის არსებობის იმ პერიოდში, რომელსაც ჩვენ ვეხებით (1876—1918), რამდენიმე დირექტორი და საკმაოდ ბევრი მასწავლებელი შეიცვალა. რასაკვირველია, ყველა ისინი ერთნაირი წონისა და ცოდნისა როდი იყვნენ. თავის საქმეს შესანიშნავად დაუფლებულ, განათლებულ და ჰუმანურ მასწავლებლებთან ერთად, ბევრი იყო დიდმპყრობელური სულით გაჟ-

---

[1] საქმე № 163, ფ. 19.

[2] ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ა. არსენიევის — „Педагогическая практика в дореволюционных учительских семинариях России" (ჟურნ. „Советская педагогика", 1939, № 9, გვ. 91—109). ავტორი სწორად შენიშნავს მთელ რიგ ნაკლოვანებას და ღირსებას, რაც პედაგოგიურ პრაქტიკას გააჩნდა რევოლუციამდელ სამასწავლებლო სემინარიებში. ამავე დროს წერილი დაზღვეული არ არის ლოგიკური წინააღმდეგობისაგან. კერძოდ სრულიად უმართებულოა ისეთი განზოგადება, რასაც ავტორი აძლევს სემინარიების მუშაობას ამ დარგში: „Учительская семинария, с большой тщательностью выполнявшая все условия хорошей ремесленной выучки, не решила ни одной задачи связи теории с практикой." (გვ. 93).

თავის სტატიის შემდეგ ნაწილში ავტორი ფლეროვის, ელნიცკის და სემენოვის სამასწავლებლო სემინარიებში მუშაობის მაგალითზე თვითონვე უჩვენებს, რომ მომავალი სახალხო მასწავლებლები მარტო „ხელოსნებად" როდი მზადდებოდნენ. ბევრი მათგანის შემოქმედებითი მუშაობის უნარს და პროგრესულ შეხედულებებს სწორედ სამასწავლებლო სემინარიებში ეყრებოდა საფუძველი.

ფ. ფ. სემიონოვი

არისტო კუთათელაძე

მიხეილ ყიფშიანი

ნიკო ლომოური

ღენთილი, თვითმპყრობელობის ერთგული, შავრაზმელი დირექტორები და მასწავლებლები, რომლებიც თავიანთ ნამდვილ ზრახვებს ხან ფარულად, ხან აშკარად და მოურიდებლად ამჟღავნებდნენ.

სემინარიაში სხვადასხვა დროს დირექტორობდნენ: ს. დ. დივარი (1876—1878), დ. დ. სემიონოვი (1878—1884), ს. ნ. სტრელეცკი (1884 — 1895), ა. ი. სლოვინსკი (1896 — 1901), მ. ა. მიროპიევი (1901—1908), ვ. მ. გრიგორიევი (1909—1910) და თ. ა. სმირნოვი (1910—1918).

დირექტორთა შორის ყველაზე ნათელ და ბრწყინვალედ განათლებულ პიროვნებას დ. დ. სემიონოვი წარმოადგენდა. გორის სამასწავლებლო სემინარიაში მისი 6 წლის მოღვაწეობა ყველაზე უფრო ნაყოფიერი და შესანიშნავი პერიოდი იყო. დ. სემიონოვმა სამასწავლებლო სემინარია ფეხზე დააყენა, მუშაობის სწორი გზა დაუსახა და ძირითად საგნებში დახელოვნებული მასწავლებლებით უზრუნველყო. მისი დირექტორობის დროს სემანარიაში შემოღებულ იქნა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენების სწავლება, გაიხსნა ე. წ. „თავრული განყოფილება", სახელმწიფო სტიპენდიატთა რიცხვი გაიზარდა 25-დან 50-მდე (შემდეგში 110-მდე), თითოეულ პანსიონერზე 100 მანეთის ნაცვლად 130 მანეთი დაწესდა, შესანიშნავად იქნა დაყენებული მოსწავლეთა პედაგოგიური პრაქტიკა და სხვ. ყოველივე ამან განსაზღვრა სემინარიის შემდგომი მუშაობა.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ დ. სემიონოვმა შესძლო მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის გულთბილი დამოკიდებულების დამყარება. იგი პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდა არარუსი წარმოშობის მოსწავლეებს, რომლებიც სემინარიის აღსაზრდელთა უმრავლესობას შეადგენდნენ, მათ ენას, ლიტერატურასა და კულტურას. ჩვენ ამ შრომის სხვადასხვა ადგილას ბევრი საბუთი მოვიტანეთ ამ შეხედულებათა ნათელსაყოფად. დამატებით აღვნიშნავთ ერთ ფაქტს, რომელიც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რა მზრუნველობით ეპყრობოდა სემიონოვი მოსწავლეთა მშობლიური ენის სწავლების უკეთ დაყენების საქმეს სემინარიაში.

1881 წლის 8 ივნისს დ. სემიონოვმა კერძო წერილი მისწერა ერთ-ერთ ქართველს „ქრისტეფორე იოსების-ძეს" (გვარი აღნიშნული არაა) და თხოვა: „რადგანაც მე არ ვიცი ქართული ენა იმდენად, რომ შემეძლოს შეფასება რამდენად დაუფლებულნი არიან ამ საგანს ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლეები, ამიტომ გთხოვთ როგორც კომპენტენტურ პირს, ძლიერ დაინტერესებულს სახალხო განათლების საკითხებით, დაესწროთ ქა-

ართულ ენაში გამოცდას, რომელიც შედგება მიმდინარე წლის 9 ივნისს დილის 10 საათზე"[1].

სწორედ ასეთი ხასიათისა და მოწინავე შეხედულებების გამო დ. დ. სემიონოვი უსაზღვროდ უყვარდათ მოსწავლეებს და უაღრესად დიდ პატივს სცემდნენ მას. დ. სემიონოვის შესახებ ჩვენ უფრო ვრცლად ზეგით გვაქვს საუბარი, ამიტომ აქ მასზე აღარ შევჩერდებით.

რაც შეეხება ს. დ. დივარისა და ვ. მ. გრიგორიევს, მათ შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვით, რადგანაც პირველმა თავისი საქმის სრული უვიცობა გამოამჟღავნა და ვერ შესძლო სემინარიის საქმის მოგვარება და ხელმძღვანელობა, ხოლო მეორეს ძლიერ ცოტა ხნით მოუხდა დირექტორობა და თავი არაფრით გამოუჩენია. ამ მხრივ ანგარიშგასაწევია მხოლოდ სტრელეცკის, სლოვინსკის, მიროპიევისა და სმირნოვის მოღვაწეობა სემინარიაში.

სოკრ. ძიმისტარიშვილი, რომელსაც განათლება გორის სამასწავლებლო სემინარიაში აქვს მიღებული, ა. სლოვინსკის შესახებ წერს: „იმ დროს სემინარიაში დირექტორად იყო თავისი რუსიფიკატორობით ცნობილი სლოვინსკი. ეს კაცი თავისი საქმიანობით ერთგვარ გაორებას წარმოადგენდა. იგი ჩინებული პედაგოგი იყო. მისი პედაგოგიური მოსაზრებანი და ნაბიჯები ასე კარგად გვახსოვს მაშინდელ მოწაფეებს, რომ მიკვირს კიდეც, როგორ შეეძლო ამ კარგ პედაგოგს ყოფილიყო ისეთი ღვარძლიანი და ბოროტი შავრაზმელი"[2].

ეს სიტყვები მეტნაკლებად გამოდგება სტრელეცკის, მიროპიევისა და სმირნოვის დასახასიათებლადაც. ოთხივე პიროვნება საუცხოოდ ფლობდა თავის საგანს, გააჩნდათ ნაბეჭდი შრომები, პედაგოგიურად ძლიერ დახელოვნებულნი იყვნენ, უდავოდ ჰქონდათ ორგანიზატორული ნიჭი და ხელმძღვანელობის უნარი, მაგრამ ამავე დროს ჰქონდათ პატარა ერებისადმი ღვარძლიანი და ზიზღით სავსე გული, რეაქციული მსოფლმხედველობა და იჩენდნენ თავიანთი უფროსების მიმართ გასაოცარ მლიქვნელობას.

კერძოდ სავსებით მოულოდნელი იყო ის მეტამორფოზა, რომელიც განიცადა სტრელეცკიმ. მას ჩვენი საზოგადოება კარგად იც-

---

[1] საქმე № 115, ფ. 12. მკითხველს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ეს ის პერიოდია, როდესაც იანოვსკის გააფთრებული იერიშები მიჰქონდა ქართული ენის წინააღმდეგ და მოითხოვდა სკოლებიდან მის განდევნას, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მისი სწავლების ძლიერ შეხღუდვას.

[2] მოგონებანი, 1934, გვ. 7.

ნობდა გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორად დანიშვნამდე როგორც ლიბერალური და შედარებით მოწინავე პედაგოგიური შეხედულებების მქონე პირს.

ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელი იაკობ გოგებაშვილი 1875 წელს „სოფლის მასწავლებელთა ყრილობის“ ზოგიერთ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წერდა: „იმდენს მისვლა-მოსვლაში, ლაპარაკში, სხდომებში, ხმების მოკრებაში, სამაგალითო გაკვეთილების მიცემაში კაცი ხედავს მხოლოდ ერთადერთს ნათელს წერტილსა: ეს ნათელი წერტილი გახლავთ უფ. დირექტორის სტრელეცკის კატეგორიულათ, გადაჭრით წარმოთქმული სიტყვები, რომ აქამდინაც სასოფლო სკოლებში სწავლა ქართულ ენაზედ მიდიოდაო და შეჰდგომმიაც ასრე უნდა წავიდესო“[1].

ქართველი საზოგადოება კმაყოფილი იყო ხონის სამასწავლებლო სემინარიაში სტრელეცკის დირექტორობითაც. ყოველ შემთხვევაში ასე გვიხატავენ მას მისი ყოფილი მოწაფეები ხონის სემინარიიდან.

ხონის სემინარიის[2] „პირველი დირექტორი იყო სერგი ნიკოლოზის-ძე სტრელეცკი, რომლის მიერ შემოღებული სასწავლებლის რეჟიმი არავის ჰბოძავდა: ის აძლევდა მოწაფეებს დიდ შეღავათსა და საშუალებას, რომ უკანასკნელთ, რაც შეიძლებ მეტი ემეცადინათ და თავისუფლად ესარგებლათ სასწავლებლის მდიდარი წიგნთსაცავით, რომ ჯეროვნათ განვითარებულიყვნენ და მომზადებულიყვნენ სახალხო მასწავლებლობისათვის. ის არათუ არ დევნიდა სასწავლებლიდან მშობლიურ ენასა და ელემენტს, არამედ აქეზებდა მოწაფეებს რომ საფუძვლიანად შეესწავლათ ქართული ენა... ის არ ახშობდა მოსწავლეებში ნაციონალურ ელფერს, პირიქით აფაქიზებდა მას, ახალისებდა მოწაფეებს და ატარებდა მათ ეროვნულ ტანსაცმელში, რასაც მე თვითონ მოვესწარი. „მე თქვენ გენდობით და თქვენც ეს ნდობა უნდა გაამართლოთ: იმოქმედეთ ისე, როგორც თქვენმა სინდისმა განსაჯოს, ხოლო თქვენი სინდისი ანგარიშს უნდა უწევდეს საზოგადოების აზრს და სასწავლებლის საალმზრდელო წესრიგს“,— ასე არიგებდა ხშირად მოწაფეებს და ამიტომაც იყო, რომ მის დროს მოწაფეები თავდადებით მეცადინეობდნენ“[3].

სტრელეცკი ძლიერ იყო დაახლოებული ქართველ საზოგადოებასთან. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ხონში ქართველი

---

[1] თხზულებანი, 1952, 1, გვ. 170.

[2] დაარსდა 1881 წელს.

[3] გ. ბოკერია, ხონის სამასწავლებო სემინარიის ცხოვრებიდან, გვ. 12 (გამოუქვეყნებელია. დაცულია საქართველოს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში).

ქალი — ოლღა ოქროპირის ასული ქუთათელაძე შეირთო ცოლად. სტრელეცკი ძალღონეს არ იშურებდა, რომ სემინარია მტკიცე საფუძველზე დაეყენებინა „ამ მხრივ დირექტორი სტრელეცკი ძლიერ დახელოვნებული და გამოცდილი კაცი იყო და პატივისცემაც დაიმსახურა საზოგადოებისა და მოწაფეებისა... კარგად ეპყრობოდა მასწავლებლებსა და მოწაფეებს... სემინარიაში ეწყობოდა სალიტერატურო და საცეკვაო საღამოები, რომლებზეც იწვევდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, ასე რომ სასწავლებელს ჰქონდა ოჯახური ხასიათი. ...პირველი წლების სემინარიის მოსწავლეები საუკეთესოდ მომზადებულები იყვნენ, ცხოვრებაც კარგად ჰქონდათ შესწავლილი და ძლიერ ბეჯითად მეცადინეობდნენ. ამნაირად სასწავლებელში მუშაობა და წესრიგი ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ როდესაც სტრელეცკი გადაიყვანეს გორის საოსტატო სემინარიაში და მის მაგიერ დანიშნეს სოკოლოვი, სასწავლებელმა სახე სრულიად შეიცვალა"[1].

მაგრამ ეს კარგი თვისებები, რომლებიც სტრელეცკის დადებითად ახასიათებს, გორის სამასწავლებლო სემინარიაში გადმოსვლის შემდეგ (1884 წ.) მან ვერ შეინარჩუნა. დ. სემიონოვის მიერ შესანიშნავად დაწყებულ საქმეს სტრელეცკიმ გაღრმავებისა და განვითარების გზა აღარ მისცა. ცხადია, ის ამ შემთხვევაში მთლიანად მოქცეული იყო კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის რუსიფიკატორ იანოვსკის გავლენის ქვეშ. მიხეილ ყიფიანის ინცინდენტთან დაკავშირებით დ. სემიონოვზე განაწყენებული იანოვსკი ყოველნაირად ცდილობდა სემიონოვისდროინდელი გონივრული სასწავლო რეჟიმი მკაცრი და ბიუროკრატიულ-პოლიციური რეჟიმით შეეცვალა. ამ საქმეში მისი მარჯვენა ხელი გამოდგა სტრელეცკი. პირველ რიგში მან იერიში მიიტანა ქართველი, სომხური და აზერბაიჯანული ენების წინააღმდეგ. სასწავლო გეგმიდან ამ საგნების ამოღება მას არ შეეძლო, მაგრამ მშობლიურ ენაზე მოსწავლეთა საუბარი კი სასტიკად აკრძალა, სულ ერთია — იქნებოდა ეს დერეფანში, სასწავლებლის ეზოში, სამზარეულოში, პანსიონში, თუ სხვაგან. ამ ნიადაგზე გაბშირდა მოსწავლეთათვის ყოფაქცევაში ნიშნის დაკლება, საკონდუიტო ფურცლებში საყვედურებისა და გაფრთხილებების შეტანა, ქალაქში გასელის ნებართვის მიუცემლობა და სხვა სახის სასჯელნი. იგი მასწავლებლებისაგან მოითხოვს საიდუმლო მეთვალყურე-

[1] ს. გ ო გ ლ ი ჩ ი ძ ე, მოგონებები, 1934, გვ. 2—3 (გამოუქვეყნებელია. დაცულია საქართველოს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში).

ობა დააწესონ მოსწავლეებზე მათი პოლიტიკურად კეთილსაიმედოების გამორკვევის მიზნით და სხვ.

სტრელეცკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ლოცვებზე მოსწავლეთა დასწრების საქმეს და სჯის იმათ, რომლებიც გულგრილ დამოკიდებულებას იჩენენ სარწმუნოებისადმი[1]. ემუქრება მასწავლებლებს, რომ „საბჭოს ზოგიერთი წევრი არ იცავს სიფრთხილეს და ამა თუ იმ მოსწავლეს აწვდის ცნობას იმის შესახებ, რაც ხდება პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე, ცალკეულ შეხედულებებს ამა თუ იმ წევრისას და ა. შ., ავიწყდებათ რა, რომ ყველაფერი, რაც სხდომაზე ხდება არის სამსახურებრივი საიდუმლოება, რომელიც მხოლოდ უფროსებმა უნდა იცოდნენ, ხოლო მოსწავლეებს კი უნდა ეცნობოთ მარტო დადგენილებანი პედაგოგიური საბჭოსი, ისიც მხოლოდ დირექტორის განკარგულების შემდეგ. გარდა ამისა, რომ ასეთი მოქმედებანი ეწინააღმდეგება ვალდებულებებს და ამხანაგურ მოვალეობას, მე ყველას ყურადღებას მივაქცევ ასეთ მოქმედებათა ძლიერ საშიშ შედეგებს თვით მთქმელისათვის, რადგანაც უეჭველია, რომ, თუ რომელიმე მოსწავლე გამოიჩენს მტრულ დამოკიდებულებას საბჭოს რომელიმე წევრის მიმართ და გამორკვევის შედეგად აღმოჩნდება, რომ ამ მტრობას საფუძვლად უდევს მოწაფის მიერ გაგებული პედსაბჭოს სხდომაზე თქმული ესა თუ ის ცნობაც, მაშინ ეჭვი არაა, პედსაბჭოს უმრავლესობისა და დირექციის აზრი ერთნაირი იქნება, რომ იმ პირს, რომელმაც ცნობა გადასცა მოსწავლეს, დაწესებულებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს“[2].

აქ საყურადღებოა არა ის, რომ სტრელეცკი მართალია და საბჭოს სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებანი კერძო გზით არ უნდა ეცნობოს მოსწავლეს, არამედ მისი ტონი და მუქარა მასწავლებლების მიმართ, რომელიც პოლიციელს უფრო შეეფერის, ვიდრე პედაგოგს.

არ გამართლდა ის იმედი, რასაც იაკობ გოგებაშვილი გამოთქვამდა სტრელეცკის შესახებ 1879 წელს „ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ უფ. სტრელეცკი შემდგომშიაც მტკიცედ ივლის იმ თავმოსაწონებელ გზაზე, რომელსაც იგი ეგრედ აშკარად დაადგა მასწავლებელთა კრების დროსა,[3] და რომელსაც ითხოვს უპირველესი საჭიროება ხალხის განათლებისა; ეცდება არამცთუ დაავიწყებინოს

---

[1] საქმე № 444, ფ. 57.

[2] საქმე № 471, ფ. 16.

[3] იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველოს მასწავლებელთა ყრილობა 1878 წელს.

ხალხს თავისი საკუთარი ღვიძლი ენა, არამედ თვითონაც შეისწავლოს იგი ენა და მით შეიქმნას უფრო გამჭრიახ მოჭირნახულეთ ხალხის განათლების ასპარეზზედა"[1].

პირიქით, იგი ადგილობრივ ენებს ისე გულმოდგინედ დევნიდა და ავიწროებდა, რომ იანოვსკი გორის სამასწავლებლო სემინარიის დათვალიერების შემდეგ ხაზგასმით აღნიშნავდა: „სიამოვნებით შევამჩნიე ის განსაკუთრებული სიბეჯითე, რომელსაც მიმართავს დირექტორი სტრელეცკი დაწყებითი სკოლების მოწაფე ინოროდცებს შორის სასაუბრო რუსული მეტყველების გასავითარებლად; კარგი მაგალითი არ დარჩება პრაქტიკანტებზე გავლენის გარეშე, რომელთაც დასჭირდებათ იმავე ხერხების გამოყენება სკოლებში, სადაც ისინი დაინიშნებიან"[2].

ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ რაში გამოიხატებოდა სტრელეცკის ეს განსაკუთრებული სიბეჯითე.

მისმა ბიუროკრატიულმა და სასტიკმა რეჟიმმა, რაც ნავარაუდევი იყო თვითმპყრობელობისადმი წრეგადასული ერთგულების გრძნობით, უარყოფითი კვალი დააჩნია სემინარიის ცხოვრებასა და მოსწავლეებს და პროგრესულ მასწავლებლობაში მისდამი უკმაყოფილება და სიძულვილი გამოიწვია[3].

სტრელეცკიზე არანაკლები რეაქციონერი იყო ა. სლოვინსკი. მან თავის გარშემო შემოიკრიბა ჯაშუშების მთელი ჯგუფი და გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს როგორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებს. იჩენდა დიდ სიძულვილს კავკასიის მკვიდრ ეროვნებათა ბავშვებისადმი და მშობლიური ენის როლის დამცირების მიზნით ხელს უწყობდა სემინარიაში ე. წ. „ბუნებრივი მეთოდის" (მუნჯური მეთოდის — მ. კ.) მტკიცედ დანერგვას, უმართებულოდ უწევდა ამ მეთოდს პოპულარიზაციას და მის გავრცელებას სახალხო სკოლებში.

სლოვინსკის წყალობით ქართულ, სომხურ და „თათრულ" (აზერბაიჯანულ — მ. კ.) დაწყებით სასწავლებლებში მეცადინეობა I გან-

---

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 1, 1952, გვ. 201.

[2] ციტირებულია ტრ ხუნდაძის შრომის მიხედვით: „ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში", 1951, გვ 211.

[3] აი როგორ ახასიათებს სემინარიის მოსწავლე გრიგოლ აფშინაშვილი სასწავლებელში გამეფებულ რეჟიმს თედო რახიკაშვილისადმი გაგზავნილ წერილში (1890 წ.) „სემინარიაზე გეტყოდი რასმე, მაგრამ რა საჭიროა: უარესობა, უარესობა და უარესობა, სხვა არაფერი. მუხრუჭი უფრო და უფრო გვიჭირებს.... გიორგაძეს ოთხი დაუწერა ყოფაქცევაში კრებამ, იმის გამო, რომ დირექტორმა „ივერიის" კითხვაში მოასწრო" (წერილები თედო რახიკაშვილისადმი, სოლომ. ყუბანეიშვილის რედაქციით და შენიშვნებით, 1937, გვ. 165. ცალკე ამონაბეჭდი).

ყოფილებაში, პირ ველი დღეებიდანვე მიმდინარეობდა „ბუნებრივი მეთოდით“. პირველი ცდა ამ მეთოდით რუსული ენისა და სხვა საგნების სწავლებისა დაიწყო 1897 წლის სექტემბრიდან სომხურ დაწყებით სასწავლებელში და მისი უპირატესობის დამტკიცება იკისრა მასწავლებელმა ტერ არუთინოვმა.

„О результатах занятий учителя Тер-арутюнова с учениками по „естественному методу“ Комиссия высказалась самым положительным образом[1]. Эти же ученики подвергались подобным экзаменам ещё ранее, в бытность их в I отд., два раза: в декабре 1897 г. и в мае 1898 г., — в последний раз в присутствии бывшего Попечителя Кавказского Учебного Округа К. П. Яновского и в присутствии родителей детей. О занятиях по „естественному методу“ в том же училище и об ответах детей сделан был отличный отзыв одним из педагогов С.— Петербургской дирекции народных училищ Г. Ивановым“[2].

სლოვინსკის აუტანელ რეჟიმს ხშირად გამოჰყავდა მოთმინებიდან როგორც მოსწავლეები, ისე მასწავლებლები, და ამ ნიადაგზე ინციდენტებიც ხდებოდა, მაგრამ მის გახმაურებას დირექტორი შეგნებულად ერიდებოდა.

პლ. ლეჟავა, რომელიც სლოვინსკის დროს სწავლობდა სემინარიაში, შემდეგ ფაქტს გადმოგვცემს: „სლოვინსკის თავის ირგვლივ შემოკრებილი ჰყავდა ჯაშუშების მთელი დასი. ამ დასს ხელმძღვანელობდა სამნეო ნაწილის გამგე, ძველი გაიძვერა და თაღლითი პიროვნება, ვინმე გოლუბიატნიკოვი. ეს გარემოება უაღრესად აღელვებდა მოსწავლე ახალგაზრდობას. ამას დაემატა ადმინისტრაციის განკარგულება პურის ულუფის წონით განაწილების შესახებ. უფროსი კლასის მოწაფეებმა, ბურჯანაძის და ღოღობერიძის ხელმძღვანელობით, მოაწყვეს საიდუმლო კრება-ქალაქს გარეთ. ამ კრებაზე გადაწყდა იმ ღამესვე მოეწყოთ საპროტესტო დემონსტრაცია.

ეს გადაწყვეტილება მოსწავლეებმა სისრულეში მოიყვანეს: ჩააქრეს სინათლე, ასტეხეს საშინელი ხმაურობა და ჩაამტვრიეს ფანჯრების მინები. თავგზააბნეულმა სლოვინსკიმ მაშინვე ნიკო ლომოურს გამოუძახა. ნიკო სლოვინსკის კაბინეტში გამოცხადდა. მას ფერი აღარ ედო. ცოფმორეულმა ნიკოს მიმართა:

---

[1] ამას ადგილი ჰქონდა 1899 წლის დეკემბერში.

[2] „Закавказская учительская семинария...,“ Тифлис, 1901, стр. 30—31.

ამ მეთოდისა და მასთან მოწინავე პედაგოგებისა და საზოგადო მოღვაწეების ბრძოლის შესახებ ვრცლად იხ. ტრ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, 1951, გვ. 109—137.

— იცოდით თქვენ თუ არა, რომ ეს ამბავი მოხდებოდა?

— აბა, საიდან მეცოდინებოდა, რატომ მაძლევთ ასეთ კითხვას?

— მე კი მგონია, — უპასუხა თურმე სლოვინსკიმ, — რომ თქვენ ეს ამბავი წინასწარ იცოდით.

მოთმინებიდან გამოსულმა ნიკომ სლოვინსკის სილა გააწნა. გოლუბიატნიკოვმა და ვერესოვმა ნიკოს ხელი მოჰკიდეს და გარეთ გამოიყვანეს. სლოვინსკიმ ეს შეურაცხყოფა ჩაყლაპა. მას არ უნდოდა, რომ ეს ინცინდენტი გახმაურებულიყო და იანოვსკის ყურამდე მიეღწია. ნიკო მეორე დღეს გაკვეთილებზე არ გამოცხადებულა. ყველა გრძნობდა, რომ ის სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდა. მაგრამ სლოვინსკიმ ამჯობინა, რათა სკანდალი სასწავლებლის კედლებს არ გასცილებოდა. როდესაც მესამე დღეს ნიკო სემინარიის ეზოში შემოვიდა მთელი მოსწავლე ახალგაზრდობა, მას ჩუმი მაგრამ ყველასათვის გასაგები ოვაციით შეხვდა"[1].

უარყოფითად ახასიათებენ სლოვინსკის, როგორც ადამიანს, სხვა ყოფილი მისი მოსწავლეებიც. იგი ჰუმანურობას მოკლებული პედაგოგი იყო და სემინარიაში სიყვარული არ დაუმსახურებია.

სულ სხვა ბუნებისა იყო სლოვინსკის შემცვლელი მ. ა. მიროპიევი. პირველ ხანებში თავს ისე აჩვენებდა თითქოს დიდი თაყვანისმცემელი ყოფილიყო თავისუფალი აზრისა, სიტყვისა და მოქმედებისა. მოსწავლეთა შორის აზრთა სხვადასხვაობა, კამათი და საკუთარი შეხედულებების ქონა მას თითქოს ბუნებრივად მიაჩნდა.

1901 წლის 7 დეკემბერს ის გორში ჩავიდა. მეორე დღეს სემინარიის ეკლესიაში მან წარმოთქვა, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისი „საპროგრამო სიტყვა", რომელშიც სხვათა შორის მოსწავლეებს ასე მიმართა: „ჩემს შესახებ პირდაპირ გეტყვით: მე უბრალო დ ი, ვფიქრობ, გულთბილი ადამიანი ვარ. ჩემთან ურთიერთობა შეუძლია ყოველ თქვენგანს ყოველ დროს. პირიქით, მე მიხარია კიდეც, როდესაც აღსაზრდელები მელაპარაკებიან თავიანთი გაჭირვებისა და გულისტკივილის შესახებ. ვიმედოვნებ, რომ ყოველი თქვენგანი ჩემში იპოვის თანამგრძნობელს.

...მე ვიცი, რომ თქვენს შორის შეიძლება წარმოიშვას კამათი, უთანხმოება და ჩხუბიც. ამის გარეშე შეუძლებელია ერთმანეთთან ასე ახლოს ცხოვრების დროს: И горшки в печке, нет-нет, да и стукнутся один о другой. მე არ ვფიქრობ, რომ თქვენ რაიმეს არ დააშავებთ. ჩემი აზრით, დანაშაულს არ ჩადის ისეთი კაცი, რო-

---

[1] პ. ლ ე ო ნ ა ვ ა, მოგონება ნ. ლომოურზე, 1944, გვ. 14—18 (გამოუქვეყნებელია, დაცულია საქართველოს სსრ სახ. განათლების მუზეუმში).

მელიც ან მთლად გაუნათლებელია და თავისი საკუთარი „მე“ არ გააჩნია, უუნაროა რაიმე ინიციატივის გამოჩენაში, ან თავზეხელაღებული გაიძვერა, რომელსაც ყოველთვის შეუძლია თავისი მოქმედების დამალვა, მიუხედავად იმისა, რომ თუნდაც მას რამდენიმე აღმზრდელი უყურებდეს.

მაგრამ ვისაც რა არ უნდა შეემთხვეს — დანაშაული ან უბედურება, — მე ერთ რამეს გთხოვთ: ქრისტიანებს — ქრისტეს გულისათვის, მაჰმადიანებს — მაჰმადის გულისათვის, — ტყუილს ნუ იტყვით!

ამასთან კიდევ ვიტყვი, რომ ჩემთვის განსხვავება არაა ეროვნებათა შორის. ჩემთვის არ არსებობს სომეხი, ქართველი, თათარი, რუსი, — ჩემთვის არსებობს მხოლოდ ერთი — აღსაზრდელი! და ვინც არ უნდა იყოს ის, თუ ცუდია სემინარია უნდა დატოვოს“[1].

მიროპიევმა სურვილი გამოთქვა აგრეთვე, რომ პედაგოგიურ პერსონალთან რაც შეიძლება მჭიდრო და გულთბილი დამოკიდებულება დაემყარებინა. მისმა სიტყვამ მსმენელებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. მაგრამ ეს იყო ძალიან კარგად გაკეთებული ნიღაბი, რომლის ქვეშ იმალებოდა დიდი ბიუროკრატი და მონარქისტი.

სემინარიაში ფეხის მოკიდების შემდეგ მიროპიევმა გული გაუწყალა მასწავლებლებს თვისი ათასგვარი და ზოგჯერ სულელური მოთხოვნილებითა და განკარგულებებით, რისთვისაც სპეციალური ჟურნალი ჰქონდა შემოღებული. ეს ჟურნალი მისთვის ფეტიშად იქცა და ყოველ მასწავლებელს აიძულებდა მის თხოვნასა და განკარგულებებზე ხელი მოეწერათ, თითქოს საქმეს წყვეტდა არა კეთილსინდისიერება და თავისი მოვალეობის შეგნება, არამედ ხელისმოწერა.

იგი იძლევა ბრძანებებს, წარმოუდგინონ პირადად მას საწერი თემების დასახელება, მოსწავლეთა წარმატების შედეგები, აცნობონ რომელი მოსწავლეები არღვევენ წესრიგს, ბრძანებას იძლევა დაესწრონ ლოცვას ეკლესიაში, თითქმის პირდაპირ დავალებას აძლევს მასწავლებლებს უჯაშუშონ მოწაფეებს და შედეგების შესახებ მოახსენონ მას.

მიროპიევის დასახასიათებლად ჩვენ რამდენიმე ამონაწერს მოვიტანთ მის განკარგულებათა ჟურნალიდან.

„ჩემს ყურამდე მოაღწია ცნობამ, რომ გუშინ ეკლესიაში ლოცვის დროს სემინარიის აღსაზრდელებმა ისეთი უწესოება გამოიწვიეს, რომ მღვდელი იძულებული შეიქნა დახმარებისათვის მიემართა სიმღერის

[1] საქმე № 753, ფ. 14, 20.

მასწავლებელ ბატ. გოგლიჩიძისათვის, რადგანაც მორიგე დამრიგებელი ბატ. ვერესოვი ეკლესიის ნაცვლად სამასწავლებლოში იმყოფებოდა. ყოველივე ამაში მე სამ გარემოებას მივაქცევ ყურადღებას: 1. აღსაზრდელები სათანადო პატივისცემას არ გრძნობენ ეკლესიისადმი, 2. მორიგე დამრიგებელი ვერესოვი საჭიროდ არ თვლის იყოს იქ, სადაც მისი აღსაზრდელებია, 3. იგივე ხელმძღვანელი საჭიროდ არ ცნობს მომახსენოს მე სემინარიაში მომხდარი უწესოების შესახებ", და აფრთხილებს ყველას ასეთი რამ შემდეგში არ განმეორდესო.

„პატივი მაქვს ვთხოვო სემინარიის ბატ. მოსამსახურეებს ხვალ 11½, საათზე გამოცხადდნენ სემინარიის ეკლესიაში წარმართულ იაპონიაზე რუსეთის გამარჯვებისათვის ლოცვის აღსავლენად". „პატივი მაქვს ვთხოვო ბატ. მოსამსახურეებს 6 ივლისს დღის 10 საათზე გორის საპოლკო ეკლესიაში დაესწრონ საქართველოს ეგზარხოსის არქიეპისკოპოს ნიკონის გარდაცვალებიდან 40-სადმი მიძღვნილ პანაშვიდს".

ამ თხოვნა-განკარგულებაზე მასწავლებელ ვ. პოლონსკის მიუწერია: „ხვალ, გორიდან გამგზავრების გამო, პანაშვიდს ვერ დავესწრები".

მიროპიევი ვერ იტანდა მასწავლებლების ჯგუფ-ჯგუფად თავმოყრას და მათ საუბარს, უფროსი და უმცროსი კლასების მოსწავლეთა ურთიერთმეგობრობას და უნტერ პრიშიბეევის მსგავსად ყოველ დღე გაიძახოდა: „დაიშალენით!"

ამასთან დაკავშირებით პირდაპირ ცინიკურად უნდა ჩაითვალოს ის განკარგულება, რომელიც მიროპიევმა მისცა მასწავლებლებს 1908 წლის 18 თებერვალს.

„თუ შენიშნული იქნება, რომ უფროსი კლასების მოსწავლეები განსაკუთრებულად მეგობრობენ უმცროსი კლასების მოსწავლეებთან, საჭიროა ტაქტიკურად გამოვარკვიოთ, რა აკავშირებთ მათ ერთიმეორესთან და ამავე დროს აცნობოთ ამის შესახებ ბატ. დირექტორს სემინარიისას, ხოლო თათრულ განყოფილებაში ბატ. ინსპექტორს.

არასოდეს და არაფერი არ უნდა დაუმალოთ დირექტორსა და ინსპექტორს აღსაზრდელების ცხოვრებიდან, განსაკუთრებით ისეთი, რასაც შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს"[1].

რასაკვირველია, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისადმი ასეთი დამოკიდებულება ხელს არ უწყობდა პედაგოგიური კოლექტივის

---

[1] საქმე № 793, ფ. 7, 15, 47 და ა. შ.

შემეიდროებას და სწავლა-აღზრდის საქმეში უკეთესი შედეგების მოპოვებას.

ბევრს ვერაფერს ვიტყვით სემინარიის დირექტორ თ. ა. სმირნოვზე (1910—1918). საერთო ხასიათით მისი ძუშაობა არაფრით განსხვავდებოდა სტრელეცკის, სლოვინსკის და მიროპიევის საქმიანობისაგან. ეს იყო სულით და გულით შავრაზმელი მონარქისტი, რომლისთვისაც მეფის, ტახტისა და ეკლესიის გარდა სხვა აოაფერი არ არსებობდა. ამასთან თავის დიდმპყრობელურ დამოკიდებულებას ხელქვეითებისა და მოსწავლეებისადმი არ ბალავდა და აშკარად ამჟღავნებდა. პირადად თავის საგნის, პედაგოგიკის, სწავლებაშიც მოისუსტებდა, რადგანაც, როგორც მოგონებებიდან ირკვევა, პედაგოგიკის გაკვეთილებზე ის მეფისა და ქრისტიანობის ყოვლისშემძლებლობის შესახებ უფრო მეტს ლაპარაკობდა, ვიდრე კომენსკისა და პესტალოცის შესახებ, უშინსკისა და მისი მოძღვრების შესახებ და ა.შ.

ჯაშუშები სმირნოვსაც ჰყავდა თავის გარშემო შემოკრებილი და მათი მეოხებით გებულობდა მოსწავლეთა სულისკვეთებას. ბ. ჩიქობავა, რომელიც გორის სამასწავლებლო სემინარიაში 1912 წელს შევიდა, გადმოგვცემს: „ყველაზე უფრო გვიმწარებდა ცხოვრებას ჯაშუშთა თვალთვალის ქვეშ მუდმივ ყოფნა; მასწავლებელთა დიდი ნაწილი, ზოგიერთი მოსწავლე, კანცელარიის მომუშავეები, მზარეულებიც კი — ყველა მზვერავის თვალებით გვიყურებდა, რათა დირექტორთან მიეტანათ ცნობები: რაზე ვლაპარაკობთ, რას ვკითხულობთ, რით ვსუნთქავთ. ამ ცნობების მიხედვით არკვევდნენ ჩვენი პოლიტიკური კეთილსაიმედოების საკითხს. საკმარისი იყო დაენახათ მოსწავლის ხელში წიგნი, რომელიც არ შედიოდა კლასგარეშე საკითხავად რეკომენდებულ წიგნთა სიაში, თუნდაც ის მეფის ცენზურის მაკრატლით ყოფილიყო გამოკრილი, რომ ამიერიდან იგი მოსწავლე „საეკვოთა“ კატეგორიისათვის მიეკუთვნებინათ“[1].

ახასიათებს რა საერთოდ სემინარიის მასწავლებლებს, იგივე ავტორი სმირნოვზე შემდეგს წერს: „არ გვიყვარდა სემინარიის დირექტორი, უპირველეს ყოვლისა, როგორც სემინარიაში ჟანდარმული რეჟიმის სულისჩამდგმელი, ღვთის მორწმუნე. პირწავარდნილი მონარქისტი, რომელსაც გულაჩვილებით ნეტარების ცრემლები მოადგებოდა ხოლმე თვალებზე, როდესაც იმპერატორს ახსენებდა. ის სწავლა-აღზრდას ღრმა რელიგიური გრძნობისა და მეფისადმი მონური ბორჩილების ჩვენში ჩანერგვას უსახავდა მიზნად. თვი-

[1] ბ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მოგონებები, 1949, გვ. 32—33.

თონ გვასწავლიდა პედაგოგიკას და მეტწილად ისე წარმართავდა თავის გაკვეთილს, რომ არსებითად ის საღვთო სჯულის დამატებითს მეცადინეობას წარმოადგენდა"[1].

მაგრამ ერთი რამ გადაჭრით შეიძლება ითქვას: მიუხედავად სტრელეცკის, სლოვინსკის, მიროპიეევის და სმირნოვის რეაქციული შეხედულებებისა და ბიუროკრატიზმისა, სემინარია მაინც საკმაო ცოდნას და პედაგოგიურ წრთობას აძლევდა ახალგაზრდებს. ეს უპირველეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ სემინარიაში სხვადასხვა დროს განათლებული და თავის საქმეს კარგად დაუფლებული მოწინავე პედაგოგები მასწავლებლობდნენ. ისინი ხელს უწყობდნენ მოსწავლეთა თვითგანვითარებას, ოფიციალური პროგრამების გვერდის ავლით ხშირად ესაუბრებოდნენ საჭირბოროტო საკითხებზე, აცნობდნენ ახალ იდეებს, მოსწავლეებში ნერგავდნენ ხალხისადმი სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის გრძნობას განურჩევლად ეროვნებისა.

ამ მოწინავე მასწავლებელთა რიცხვს ეკუთვნოდნენ ვ. ნ. პავლოვი, ა. ო. ჩერნიავსკი, ნ. ნოვოსპასკი, კ. ნ. მალინინი, მ. ი. რახუბოვსკი, პ. გ. პეტროვი და სხვ.

პავლოვი, ჩერნიავსკი და ნოვოსპასკი დ. დ. სემიონოვის ნაცნობ-მეგობრები იყვნენ და როგორც საუკეთესო მასწავლებლები მან მოიწვა გორის სამასწავლებლო სემინარიაში. პავლოვი ჯერ მასწავლებლობდა პეტერბურგის პირველ სამხედრო გიმნაზიაში, შემდეგ ყუბანის სამასწავლებლო სემინარიაში და ბოლოს გორის სემინარიაში. თავის „ანგარიშში" ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის მდგომარეობის შესახებ 1879 წელს, დ. სემიონოვი მას ასე ახასიათებს: „პავლოვი სულით და გულით თავის საქმეს ემსახურება და სრული ავტორიტეტით სარგებლობს როგორც თავის ამხანაგებში, ისე მოსწავლეებში. მისი პირადი ცხოვრება და სიტყვები, რომლებიც არ შორდება საქმეს, კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს აღსაზრდელების ზნეობრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, მომავალ სახალხო მასწავლებლებზე"[2].

ასევე დადებითად ახასიათებს ის მასწავლებელ ჩერნიავსკის: „გამართლებულად ჩაითვლება ბატ. ჩერნიავსკის დანიშვნა თათრული განყოფილების უშუალო ხელმძღვანელად. აღსაზრდელების მიმართ თავისი ჰუმანური დამოკიდებულებით, ტაქტით და მშობ-

---

[1] ბ. ჩიქობავა, მოგონებები, 1949, გვ. 40—41.

[2] საქმე № 51, ფ. 51.

ლიური სიყვარულით, მან მოკლე ხანში მოიპოვა ახალგაზრდა თაობარ მოსწავლეებში პატივისცემა და სიყვარული"[1].

ნიკოლოზ ილიას-ძე ნოვოსპასკის შესახებ ჩვენ ამ შრომის სხვადასხვა თავში გვაქვს ლაპარაკი და აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ მან გორის სემინარიაში 12 წლის მანძილზე მუშაობით (1880—1892) დიდი სიყვარული დაიმსახურა როგორც მასწავლებლებში, ისე მოსწავლეებში. ღრმად განათლებული და შესანიშნავად დახელოვნებული პედაგოგი იყო და მოსწავლეთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და მათ საფუძვლიან მომზადებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა[2].

საუკეთესო თვისებებით გამოირჩეოდნენ აგრეთვე მასწავლებლები კ. ნ. მალინინი, მ. რახუბოვსკი, პ. გ. პეტროვი და სხვ.

ბ. ჩიქობავას სიტყვით, „გარდა მალინინისა, სემინარიაში იყვნენ, მოწინავე პედაგოგები: ისტორიის მასწავლებელი მ. ი. რახუბოვსკი, რომელიც, როგორც თავისუფალი მოაზროვნე და არაკეთილსაიმედო პიროვნება, დასჯის მიზნით, უკრაინიდან გორში იყო გადმოგზავნილი. ბუნებისმეტყველების მასწავლებელი (მალინინის გადაყვანის შემდეგ) პ. გ. პეტროვი, ფართო გონებრივი ჰორიზონტის ადამიანი, რომელიც არ მალავდა ჩვენთან თავის სიძულვილს ბიუროკრატიული მთავრობისადმი და დასცინოდა რელიგიურ შეხედულებებს. დიდი იყო ამათი კეთილი გავლენა ჩვენზე, მოსწავლეებზეო"[3].

გორის სამასწავლებლო სემინარიაში და მასთან არსებულ დაწყებით სასწავლებლებში სხვადასხვა დროს შემდეგი ქართველი პედაგოგები მასწავლებლობდნენ: ფარნაოზ სიმონის-ძე ნათიშვილი (1876—

---

[1] საქმე № 51, ფ. 52.

[2] ნოვოსპასკის დამთავრებული ჰქონდა ტვერის სასულიერო სემინარია (1865 წელს) პირველი ხარისხის ატესტატით. გამოერიცხა სასულიერო წოდებიდან; ტვერის გიმნაზიაში ჩააბარა სათანადო გამოცდები და მიიღო სამაზრო სასწავლებლის მასწავლებლის წოდება. 1866 წლიდან ვიშნევოლოცკის სამაზრო სასწავლებელში ასწავლიდა ისტორიასა და გეოგრაფიას. 1871 წლიდან 1880 წლამდე მსახურობდა ყუბანის სამასწავლებლო სემინარიაში. 1880 წლის 12 ივლისიდან დაინიშნა ამიერკავკასიის (გორის) სამასწავლებლო სემინარიის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, სადაც დარჩა 1892 წლამდე (იხ. საქმე № 1638, ფ. 1, 2, 3).

[3] მალინინი 1902 წელს მოსკოვში მომხდარ სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებული იყო 6 თვით და „უმაღლესი ნება-სურვილით" განთავისუფლებულ იქნა ვადამდე ადრე. იხ. საქმე № 1596, ფ. 13. იგი იყო წევრი „სახალხო უნივერსიტეტების თბილისის საზოგადოების" გორის განყოფილებისა. კითხულობდა საჯარო ლექციებს სხვადასხვა საკითხებზე: გორის სამასწავლებლო სემინარიაში ასწავლიდა ბუნებისმეტყველებას 1907 წლიდან 1913 წლამდე.

1883), არისტო ვასილის-ძე ქუთათელაძე (1879—1881), მიხეილ ქაიხოსროს-ძე ყიფიანი (1881—1883), ნიკოლოზ იოსების-ძე ლომოური (1883—1915), კონსტანტინე ზურაბის-ძე გარაყანიძე (1883—1915), მღვდელი ლაზარე ალექსის-ძე ტურიაშვილი (1876—1896), სიმონ პავლეს-ძე გოგლიჩიძე (1891—1910), ლევან ქრისტეფორეს-ძე ყიასაშვილი (1893—1918), მიხეილ ყარამანის-ძე ზაალიშვილი (1901—1908), ვლადიმერ ვალერიანის-ძე ანდრონიკაშვილი (1913—1917), აპოლონ დავითის-ძე ცამციაშვილი (1879—1883), კირილე ივანეს-ძე არველაძე (1915—1918).

არ. ქუთათელაძის, მიხ. ყიფიანის და ნ. ლომოურის შესახებ ჩვენ ცალკე გვაქვს ლაპარაკი და აქ აღარაფერს ვიტყვით. დანარჩენთაგან აღსანიშნავია კ. ზ. გარაყანიძე, ლ. ქ. ყიასაშვილი და მ. ყ. ზაალიშვილი. პირველი ორი თავისი საქმის კარგი მცოდნენი იყვნენ და მოსწავლეებთან გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდათ. მ. ყ. ზაალიშვილი უმაღლესი განათლებით იყო და სემინარიაში ასწავლიდა ბუნებისმეტყველებას, ფიზიკას და სოფლის მეურნეობას, გამოქვეყნებული აქვს მთელი რიგი შრომებისა და სახელმძღვანელოებისა ქართულ ენაზე[1].

ილ. რუხაძე ამ მასწავლებლებზე თავის მოგონებაში წერს: „სემინარიაში, გარდა ნიკოსა, კიდევ ოთხი ქართველი მასწავლებელი იყო: გარაყანიძე, გოგლიჩიძე, ყიასაშვილი, ზაალიშვილი. ეს უკანასკნელი ახალი მოსული იყო, დანარჩენები დიდი ხნის მასწავლებლები იყვნენ. გარაყანიძე მთლიანი ფიგურა იყო, სუფთა წესიერი და ნიკოსთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. ყიასაშვილი და გოგლიჩიძე დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლები იყვნენ, მაგრამ პედსაბჭოს წევრებად ითვლებოდნენ. ყიასაშვილი მეტად უბრალო, გულღია კაცი იყო. მიხეილ ზაალიშვილს ნიკო მალე დაუმეგობრდა. ზაალიშვილს ორი ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული: აგრონომიული და იურიდიული. ნაკითხი იყო და ცოდნის პატრონი. მოწაფეებთანაც კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. .. ზაალიშვილის მოსვლის შემდეგ ნიკო უფრო გამაგრდა, რადგან ზაალიშვილი ნიკოს უშუალო გავლენის ქვეშ მოჰყვა და მას მედგრად უჭერდა მხარს.

---

[1] საზოგადო ზოოტექნია ანუ საკონლის მოვლა-მოშენება, 1890. საზოგადო მიწათ-მოქმედება, 1891. მეფუტკრეობა, 1897. მოკლე სახელმძღვანელო ბუნებისმეტყველებისა. 1917. ბუნებისმეტყველების მოკლე სახელმძღვანელო, ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია, 1918. მოკლე სახელმძღვანელო ბუნებისმეტყველებისა. ბოტანიკა, 1918 და სხვ. მ. ზაალიშვილს ეკუთვნის სასტიკი რეცენზია ლევიცკის წიგნზე „Курс русского языка для начальных училищ Закавказья“, ч. I, изд. 4-ое. იხ. საქმე № 867, ფ. 42—45.

ზაალიშვილი ქიმიას და მებოსტნეობას გვასწავლიდა და ბაღში პრაქტიკული მეცადინეობის დროს ბევრ სხვა საკირბოროტო კითხვებზედა გვესაუბრებოდა"[1].

სიმ. გოგლიჩიძე სემინარიაში სიმღერის მასწავლებლად მუშაობდა. იგი გაკვეთილებს აძლევდა გორის სასულიერო სასწავლებელშიც. მას კარგი დამოკიდებულება ჰქონდა მოსწავლეებთან და პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა[2]. სემინარიაში რუსულ და უკრაინულ სიმღერებთან ერთად ქართულ სიმღერებსაც ასწავლიდა.

საქმეში № 419 დაცულია „Список песен Закавказской учительской семинарии за 1891—92 г."

სასიმღერო რეპერტუარში 31 ნაწარმოებია შეტანილი. მათ შორის არის ორი ქართული სიმღერაც: „ჩუხჩუხით ჩამორბოდა" — სიტყვები ცაბელის, მუსიკა რატილისა და „ნანა" — სიტყვები წერეთლის, მუსიკა ბალანჩივაძისა.

გორის სამასწავლებლო სემინარიაში და მასთან არსებულ დაწყებით სასწავლებლებში მუშაობდნენ სომეხი და აზერბაიჯანელი მასწავლებლებიც, მაგრამ მათ დასახასიათებლად პედაგოგიური საბჭოს სხდომათა ოქმები მცირე მასალას იძლევა. ეს საკითხი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს, რაც ამჟამად ჩვენთვის წყაროების უქონლობის გამო შეუძლებელია.

რუსული ენის სწავლების მდგომარეობა

მდიდარი რუსული ენის შესწავლის მნიშვნელობა კარგად ჰქონდათ შეგნებული როგორც საქართველოს, ისე კავკასიის სხვა ერთა მოწინავე ადამიანებს. დიდი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვ. მუდამ აღნიშნავდნენ, თუ რაოდენ საჭირო და აუცილებელი იყო ყოველი ქართველისათვის რუსული ენის ცოდნა. იბრძოდა. რა ქართველი ხალხის რუსიფიკაციის წინააღმდეგ, იაკ. გოგებაშვილი ამასთან ერთად აღნიშნავდა: „ჩვენს ხალხს სურს იცოდეს რუსული ენაც. ეს სურვილი — უნდა მართალი ვთქვათ — იმდენად საგრძნობელია, რომ სახალხო სკოლა, რომელშიც რუსულს ენას

---

[1] ი. რ უ ხ ა ძ ე. მოგონება ნიკო ლომოურზე, 1944, გვ. 8—10 (დაცულია საქართველოს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში).

[2] ს. გოგლიჩიძის შესახებ, იხ. დ. სულიაშვილის „მოგონება ძველ გორზე", ლიტერატურის მატიანე, წიგნი 1—2, გვ. 18, 1940 წ.

ადგილი არ ექნება, ვერ მოიპოვებს ჩვენის ხალხის სრულს სიმჯა-ტიასა"[1].

ამავე დროს „სახელმწიფო ენის შესწავლა არა ხალხს არ მიაჩნია საშიშრად თავის ნაციონალურ არსებობისათვის. მკითხველს მოეხსენება, რომ ბევრმა კერძო პირმა იცის რამდენიმე ენა, მაგრამ ეს გარემოება არამც თუ არ ასუსტებს მათში მამულიშვილობას, არამედ კიდეც აძლიერებს. ხალხმაც შეიძლება მეტ-ნაკლებობით იცოდეს მთავარი ერის ენა, და ამავე დროს იგი მტკიცედ იდგეს ეროვნულ ენაზეც, მიისწრაფებოდეს ნაციონალურის იდეალებისაკენ. სახალხო სკოლა მაშინ ხდება საშიში, როცა საგნები ისწავლება არა დედა-ენაზე, არამედ სახელმწიფოზე"[2].

ჩვენი საზოგადოება მოითხოვდა სკოლებში საგნების ქართულ ენაზე სწავლებას, მაგრამ ამასთან ერთად მოითხოვდა რუსული ენისა და ლიტერატურის ღრმა და საფუძვლიან ცოდნასაც. ამ საგნების სწავლება დაფუძნებული უნდა ყოფილიყო პედაგოგიურად გამართლებულ პრინციპებსა და მეთოდებზე. თვითმპყრობელობას კი, დევნიდა რა მოსწავლეთა მშობლიურ ენას, რუსული ენის შესწავლის საქმეში ძალდატანების ელემენტი შეჰქონდა და სწავლა-აღზრდის პროცესს რუსიფიკაციის მიზნებს უქვემდებარებდა, თანაც რუსული ენის სიდიადეზე მიუთითებდა.

ვ. ი. ლენინი ამ გარემოებასთან დაკავშირებით ლიბერალების წინააღმდეგ მიმართულ სტატიაში წერდა: „ჩვენ თქვენზე უკეთ ვიცით, რომ ტურგენევის, ტოლსტოის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის ენა დიადია და მძლავრი ... და ჩვენ, რა თქმა უნდა, იმის მომხრენი ვართ, რომ რუსეთის ყოველ მცხოვრებს შესაძლებლობა ჰქონდეს შეისწავლოს დიადი რუსული ენა.

ჩვენ არა გვსურს მხოლოდ ერთი რამ: **იძულების** ელემენტი ... ჩვენ ვფიქრობთ, დიად და მძლავრ რუსულ ენას არ სჭირდება, რომ მას **ჯოხის შიშით** სწავლობდეს ვინმე"[3].

რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ გორის სამასწავლებლო სემინარიაში? როგორ ისწავლებოდა რუსული ენა?

იმ განსხვავებული პირობების გამო, რომელშიც გორის სემინარია იმყოფებოდა, სხვა სემინარიებთან შედარებით ზოგიერთ მნიშვნელოვან გადახვევას ჰქონდა ადგილი. სემინარიაში, სადაც მოსწავ-

---

[1] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, პროფ. გ. თავზიშვილის რედაქციით, 1940, გვ. 451.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 453.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 72, მეოთხე გამოცემა.

ლეთა უმრავლესობას ყოველთვის არარუსი წარმოშობის ახალგაზრდები შეადგენდნენ, ყველა საგანს რუსულ ენაზე სწავლობდნენ. სემინარია მიზნად ისახავდა ადგილობრივ მკვიდრთაგან მოემზადებინა სახალხო სკოლების მასწავლებლები. პედაგოგიური განათლება მათ უნდა მიეღოთ რუსულ ენაზე და მშობლიურ ენას გადიოდნენ როგორც კერძო საგანს. თავისი მიზნის მისაღწევად სემინარიას პირველ რიგში უნდა უზრუნველეყო ბავშვებისათვის ისე შეესწავლებინა რუსული ენა, რომ მათ თავისუფლად შესძლებოდათ ყველა საგნის ამ ენაზე შესწავლა. ამიტომ საჭირო შეიქმნა რუსული ენის გაკვეთილების რაოდენობის გაზრდა, რაც სემინარიაში დ. სემიონოვის ინიციატივით განხორციელდა. ეს ფაქტი აღნიშნულია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის 1880 წლის „ანგარიშში". „По русскому языку в трёх нормальных классах, вместо 10 уроков, назначено в неделю 15"[1].

ამავე მდგომარეობამ გამოიწვია პედაგოგიკისა და პრაქტიკული გაკვეთილების რიცხვის გაზრდა.

1879 წლის „ანგარიშში" დ. სემიონოვი წერს: „პედაგოგიკაში 5 გაკვეთილის ნაცვლად საანგარიშო წელს შემოღებული იყო 7 გაკვეთილი, რაც გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ადგილობრივი მკვიდრი ახალგაზრდები თავისუფლად ვერ ლაპარაკობენ რუსულად და მხოლოდ დიდი შრომის შემდეგ ეუფლებიან პედაგოგიკურ ტერმინოლოგიას... ამის გამო პედაგოგიკის მასწავლებელი ვერ დაკმაყოფილდება გაკვეთილების შინაარსის მარტო გადაცემით და უმთავრესად მიმართავს შტუდირებას დიდაქტიკური და პედაგოგიკური შინაარსის სახელმძღვანელოებისა, რომლებიც დაწყებით სასწავლებლებში იხმარება და რაშიც სემინარიისა და დაწყებითი სკოლების სხვა მასწავლებლებიც იღებენ მონაწილეობას თავიანთი სპეციალობის მიხედვით. ამავე მოსაზრებით პრაქტიკული მეცადინეობა დაწყებით სასწავლებლებში ნაცვლად 6-ისა, რასაც ინსტრუქცია ითვალისწინებს, 12 გაკვეთილით განისაზღვრება კვირაში — 10 გამოსაშვებ (მესამე) და 2 მეორე კლასში"[2].

სემინარიაში რუსული ენის გაკვეთილების რიცხვის ზრდასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი დირექტორის დროს ამ საგნის სწავლება არ იდგა ისეთ მაღალ დონეზე, როგორც დ. სემიონოვის დირექტორობისას. საქმე იმაშია, რომ დ. სემიონოვმა თა-

---

[1] Отчёт попечителя Кавказского учебного округа о состоянии учебных заведений за 1880 г., Тифлис, 1881, стр. 67.

[2] საქმე № 51, ფ 27.

ვის ირგვლივ შემოიკრიბა ნიჭიერი და დახელოვნებული რუსული ენის მასწავლებლები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ყუბანის სემინარიიდან გადმოყვანილი ნ. ნოვოსპასკი.

ნ. ნოვოსპასკიმ ძალიან გულთბილი დამოკიდებულება დაამყარა ადგილობრივი ენების მასწავლებლებთან და სულ მალე მოსწავლეების მხურვალე სიყვარულიც მოიპოვა. 1880 წლის 15 ოქტომბერს პედსაბჭოს სხდომაზე მან წაიკითხა მოხსენება „Записка о преподавании Русского языка в Закавказской учительской семинарии“, რომელშიც სხვათა შორის ამბობდა: „ბატონებო, იმედი მაქვს, რომ ყველანი თქვენ, ეროვნების განურჩევლად, მე გამიწევთ დახმარებას და მაშინ საქმეც კარგად წავა. თანხმობის შემთხვევაში ძალები იზრდება და მტკიცდება. განსაკუთრებით ძვირფასია ჩემთვის ადგილობრივი ენების მასწავლებელთა დახმარება. ჩემი გულწრფელი რწმენაა, რომ რუსული ენა და ადგილობრივი ენები მხარდამხარ მიდიოდნენ, როგორც მეგობრები და არა როგორც მეტოქეები. იმ ენების გრამატიკებშიც კი, რომლებიც შორიშორს დგანან ერთმანეთისაგან, მაინც უფრო მეტი სიახლოვეა, ვიდრე განსხვავება. როდესაც ყურადღებით და სერიოზულად ვსწავლობთ ერთ ენას, ამით ჩვენ ვიადვილებთ მეორე ენის შესწავლას. დეე ჩვენს აღსაზრდელებს უყვარდეთ თავიანთი მშობლიური ენა, ძვირფასად მიაჩნდეთ და ყურადღებით შეისწავლონ ის. მაგრამ დეე ისინი ასეთივე გულმოდგინებით მოეკიდონ რუსულ ენასაც, როგორც მდიდარი ლიტერატურის ენას, სახელმწიფო ენას, რუსეთის იმპერიის ყველა განათლებული ადამიანის ენას. დეე ისინი ნუ იუცხოვებენ ამ ენას, დეე რუსულ ენაზე მათ ილაპარაკონ არა უფრო ნაკლებ, ვიდრე მშობლიურზე, ილაპარაკონ არა იმისათვის, რომ ათვალწუნებით შეხედონ თავიანთ მშობლიურ ენას, არამედ რუსული ენის კარგად დაუფლების მიზნით“[1].

საქმისადმი ასეთმა გონივრულმა დამოკიდებულებამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა რუსული ენის ღრმად შესწავლას გორის სამასწავლებლო სემინარიაში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დ. სემიონოვის დირექტორობის პერიოდში მოსწავლეებს აკრძალული არ ჰქონიათ მშობლიურ ენაზე ლაპარაკი და არც ვინმე დაუსჯიათ ამისათვის, რასაც ხშირად ჰქონდა ადგილი შემდეგში. რუსული ენის შესწავლის დროს უგულებელყოფილი არ ყოფილა მშობლიური ენის როლი ამ საქმეში: გაკვეთილის ახსნის პროცესში ამ საგნის მასწავლებელი ხშირად მიმართავდა მოსწავლეთა მშობლიურ ენას და

[1] საქმე № 121, ფ. 51.

არ ერიდებოდა გაუგებარი სიტყვებისა და გამოთქმების დედაენაზე გადათარგმნას. ამ საქმეში რუსული ენის მასწავლებლებს დიდ დახმარებას უწევდნენ ადგილობრივი ენების მასწავლებლები. მოწაფეები შეგნებულად და სიყვარულით სწავლობდნენ რუსულ ენას და შესანიშნავ წარმატებებს აღწევდნენ.

რუსული ენის უკეთ დასაუფლებლად, გარდა გაკვეთილისა, მიღებული იყო სხვა ღონისძიებებიც. ამ საკითხთან დაკავშირებით სახელოვანი პედაგოგი დ. სემიონოვი წერდა: „ადგილობრივ მკვიდრ აღსაზრდელთა რუსულ სასაუბრო და სალიტერატურო ენაში გაწაფვის მიზნით, გაკვეთილიდან თავისუფალ დროს, ტარდებოდა შემდეგი ღონისძიებანი: ა) აღსაზრდელებს ვურჩევთ მორიგე აღმზრდელთან ილაპარაკონ მხოლოდ რუსულად; ბ) თვითონ აღსაზრდელებს ევალებათ, რაც შეიძლება ხშირად ილაპარაკონ ერთმანეთს შორის რუსულად; გ) უქმე დღეებში მორიგე აღმზრდელები ახალგაზრდებს უკითხავენ ლიტერატურული და პედაგოგიური შინაარსის სტატიებს; დ) პრაქტიკული გაკვეთილების გასარჩევ კონფერენციებზე, რომლებზეც წარმოებს აგრეთვე შეტუდირებული სახელმძღვანელოების შესახებ მოხსენებების გაკეთება, სემინარისტები ვალდებული არიან ზეპირად ილაპარაკონ და არა იკითხონ თავიანთ რვეულებში — საცდელი გაკვეთილების კონსპექტები. აგრეთვე ზეპირადვე გააკეთონ თავიანთი შენიშვნები და ვამოთქვან მოსაზრებანი ამხანაგების გაკვეთილებსა და საანგარიშო მოხსენებებზე; ე) საკუთარი ინიციატივით აღსაზრდელები აწყობენ ლიტერატურულ-პედაგოგიურ საუბრებს, რომლებიც იმაში მდგომარეობს, რომ ერთ-ერთი აღსაზრდელი წინასწარ, მასწავლებლის დახმარებით, წაიკითხავს და შეისწავლის რომელიმე ლიტერატურულ ან პედაგოგიკურ სტატიას და გადასცემს მის შინაარსს ამხანაგებს.

ასეთი წმინდა ზნეობრივი და არა იძულებითი ღონისძიებების წყალობით, სემინარიის აღსაზრდელებმა კარგად შეიგნეს რუსულ სასაუბრო მეტყველებაში ვარჯიშის აუცილებლობა და სარგებლობა»[1].

სულ სხვანაირ პოზიციას დაადგა ს. ნ. სტრელეცკი, რომელმაც შესცვალა დ. სემიონოვი 1884 წლის სექტემბრიდან. იმის მაგივრად, რომ განეგრძო და გაეღრმავებინა თავისი წინამოადგილის კეთილგონივრულად დაწყებული საქმე რუსული ენისა და ლიტერატურის შესწავლის დარგში, სტრელიცკიმ მოინდომა „ჯოხის შიშით“ ესწავ-

---

[1] საქმე № 51, ფ. 29 („ანგარიში ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის მდგომარეობის შესახებ 1879 წელს“).

ლებინა რუსული ენა ახალგაზრდობისათვის. პედსაბჭოს სხდომებზე იგი ხშირად აყენებდა საკითხს, რომ რუსული ენის დაუფლებას ხელს უშლიდა ბავშვების მიერ გაკვეთილებიდან თავისუფალ დროს მშობლიურ ენაზე საუბარი. იგი მასწავლებლებისაგან დაჟინებით მოითხოვდა, რათა მათ ყოველი ასეთი ფაქტი ეცნობებინათ მისთვის და „დამნაშავეები“ კი აუცილებლად დაესაჯათ ყოფაქცევაში ნიშნის დაკლებით და სემინარიიდან გარიცხვის დამუქრებით.

1885 წელს 10 ნოემბერს სტრელეცკის თავმჯდომარეობით შედგა სამასწავლებლო სემინარიის პედსაბჭოს სხდომა, რომელზეც შეფასდა მოსწავლეების ყოფაქცევა პირველი მეოთხედის მონაცემების მიხედვით. მოსწავლეებს ყოფაქცევაში დააკლდათ ნიშანი მშობლიურ ენაზე ლაპარაკისათვისაც: მოსამზადებელი კლასიდან — „გიორგაძეს, რომელიც მხოლოდ ერთხელ არის შემჩნეული ქართულ ენაზე ლაპარაკში, დაეწეროს ყოფაქცევაში — $4^1/_2$“, პირველი კლასიდან — „გოგიტიძეს, ღუდარევს, რაზიკაშვილს, ფალიაშვილს, მესროპოვს, ყანჩიველს დაეწეროს ყოფაქცევაში—4“ („За шум в классе и за разговор на туземном языке“).

მაგრამ დირექტორი არ ინდობდა არც რუსებს, რომლებიც ადგილობრივ მკვიდრთა ენაზე ლაპარაკობდნენ: „სმოლიაკოვს, კვალიაშვილს, ფურცელაძეს — დაეწეროს $4^1/_2$ (იმისათვის, რომ ერთხელ დაილაპარაკეს „ტუზემცების“ ენაზე“). „კოსტინს დაეწეროს ყოფაქცევაში ნიშანი 4 (ადგილობრივ მკვიდრთა ენაზე ლაპარაკისა და მეცადინეობაში გულგრილობისათვის)“[1].

სტრელეცკი ძლიერ შეშფოთებული იყო, რომ სემინარიაში არ წყდებოდა მშობლიურ ენაზე მოსწავლეთა საუბარი და იმავე სხდომაზე აღნიშნავდა: „მიუხედავად არა ერთი ჩაგონებისა და დასჯისა, მოსწავლეთა მიერ სემინარიის კედლებში ადგილობრივ მკვიდრთა ენაზე ლაპარაკი ნაცვლად რუსულისა, დღემდე არ წყდება. ის თხოვს საბჭოს ბატ. წევრებს მიაქციონ ყურადღება ამ მეტად სამწუხარო მოვლენის მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლის რუსული ენის შეთვისებას.

საბჭოს წევრების აზრით, ამ მართლაცდა სამწუხარო მოვლენის მიზეზი იმაშია, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავდათ მათდა უნებურად ჩვევა ილაპარაკონ თავიანთ ენაზე, მით უფრო, რომ სულ ბოლო დრომდე მათ არ ეკრძალებოდათ ადგილორივ ენებზე საუბარი სემინარიის კედლებში“[2].

---

[1] საქმე № 224, ფ. 81, 82.

[2] საქმე № 224, ფ. 82. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ სინამდვილეში საბჭოს ყველა წევრის აზრი როდი იყო, რომ მშობლიურ ენაზე ლაპაოაკი „მართლაც საავწუხარო მოვლეხაა“. ესაა აზრი იმ ბიუროკრატი მასწავლებლებისა. რომლებიც სტრელეცკის ირგვლივ იყვნენ დარაზმულნი. რაც შეეხება ნოვოსპასკის, ლომოურს და სხვებს, არ შეიძლება მათ ეს აზრი სწორად ჩაეთვალათ და სხდომაზეც ამ საკითხთან დაკავშირებით არაფერი უთქვამთ.

როგორც ვხედავთ, სტრელეცკი რუსულ ენასა და ადგილობრივ ენებს ერთმანეთს უპირისპირებს და ერთიმეორისათვის ხელისშემშლელად მიიჩნია, მაშინ როდესაც თავის დროზე ნ. ნოვოსპასკის სრულიად სხვანაირი შეხედულება ჰქონდა ამ საკითხზე და ამბობდა: „ჩემი გულწრფელი რწმენაა, რომ რუსული ენა და ადგილობრივი ენები მხარდამხარ მიდიოდნენ, როგორც მეგობრები და არა როგორც მეტოქეები“. მაგრამ იანოვსკის ერთგულმა დამქაშმა სტრელეცკიმ თავის „ბატონ-პატრონების“ საამებლად ისეთი კურსის გატარება დაიწყო, რომელიც ეროვნული შუღლის გაღვივებას უწყობდა ხელს და სწავლა-აღზრდის საქმეს სემინარიაში ძირს უთხრიდა.

სტრელეცკის არც მისი შემცვლელი ა. სლოვინსკი ჩამორჩებოდა. მისი აზრითაც მშობლიური ენის ცოდნა და ქართულ ენაზე ლაპარაკი ხელს უშლიდა რუსული ენის შესწავლას და ხშირად ხან ფარულად, ხანაც აშკარად ზიზღს გამოთქვამდა ადგილობრივი ენების მიმართ. ამას სავსებით ადასტურებს სოკრ. ძიმისტარიშვილის „მოგონება“, რომელშიც ავტორი წერს: „1901 წელს შემოდგომაზე სემინარიაში გვეწვია ოლქის ინსპექტორი ლოპატინსკი. ყველა გაკვეთილს დაესწრო. დაესწრო ქართულის გაკვეთილსაც. ლოპატინსკი ლინგვისტი იყო, მან გაიგო გაკვეთილის ღირსება და ჩვენ — მოსწავლეებსა და ნიკო ლომოურს — დიდი მადლობა გვითხრა. ორივემ — მან და სლოვინსკიმ — მადლობის ნიშნად მაგრად ჩამოართვეს ხელი ნიკოს. ლომოურს მოწყენა დაეტყო. ჩვენ მიზეზი ვკითხეთ. ჯგუფში სულ 5 ქართველი ვიყავით, იგი ყველას გვენდობოდა და გვითხრა: „თქვენ გგონიათ, იმ იუდის მადლობა გულწრფელი იყო (დირექტორზე თქვა) პირიქით, ამით ის უფრო აგვითვალწუნებს“.

სულ მალე მე პირადად განვიცადე ეს „ათვალწუნება“. ჩვენს დარბაზს და დირექტორის სამუშაო ოთახს ყოფდა პატარა ფართობი. აქ ლაპარაკი მომიხდა დარაჯთან (ქართველთან) წყლის თაობაზე. მან თავი იმართლა და ამრიგად ქართული ლაპარაკი ცოტა გაგვიგრძელდა. უცბად სლოვინსკის კაბინეტიდან კაკუნი მომესმა. იგი მეძახდა. განრისხებულმა გააღო ფანჯარა და შემომიტია: „მთელი საათობით ლაყბობ, მაგ რაღაც ძაღლურ ენაზე და ამიტომაცაა, რომ რუსულში არაფერი იცი! რა ნიშანი გაქვს რუსულში?“ მე სახტად დავრჩი. ვერაფერი გავიგე ბრაზისაგან, გავიგე მხოლოდ — რა ნიშანი გაქვსო, მეკითხებოდა. ოთხი-მეთქი, ვუთხარი. „შეუძლებელიაო“, გადაშალა უწყისი, მართლა „4“ მქონდა. აიღო კალამი და „ორად“ გადამისწორა ჩემი ოთხი. „ამიტომ ჰამთ ჩვენს პურს რომ იმ რაღაცა უბადრუკ ენაზე ილაყბოთ?“[1].

[1] „მოგონებები“, 1934, გვ. 16. (დაცულია საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში).

ასეთი იყო საქმის ვითარება საერთოდ დ. სემიონოვის დირექტორობიდან განთავისუფლების შემდეგ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შავრაზმელმა ინტრიგანებმა და პოლიტიკანებმა, რომლებიც რუსულ ენას „დათვურ სამსახურს“ უწევდნენ, ვერ შესძლეს ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ მოსწავლეთა შორის გამოეწვიათ გულგრილი განწყობილება დიდი რუსი ხალხის ენისადმი და ისინი ყოველთვის მონდომებულად სწავლობდნენ მას. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვით როგორც რუსული ენის, ისე სხვა საგნების მოწინავე და პროგრესულად მოაზროვნე რუს მასწავლებლებს, რომლებიც გულთბილ და ჰუმანურ დამოკიდებულებას ამყარებდნენ ყველა მოსწავლესთან განურჩევლად ეროვნებისა (ნოვოსპასკი, იტალინსკი, მალინინი, რახუბოვსკი და სხვ.). მათ შესძლეს სემინარიის აღსაზრდელებისათვის მიეცათ რუსული ენისა და ლიტერატურის მტკიცე და საფუძვლიანი ცოდნა, გამოემუშავებინათ მოსწავლეებში პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობა მდიდარი რუსული ენისა და ლიტერატურისადმი.

ამით აიხსნება, რომ გორის სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა სრულყოფილად ფლობდა რუსულ ენას, ხოლო ზოგიერთი მათგანი იმდენად მომზადებული იყო, რომ რუსული სახელმძღვანელოც კი შეადგინა და თავის დროზე ჩვენს სკოლებს შეძლებისდაგვარად შესაფერისი სამსახური გაუწია[1].

ქართული ენის სწავლება

გორის სამასწავლებლო სემინარიაში ქართული ენის სწავლების შემოღების შემდეგ ამ საგნის მასწავლებლებად იყვნენ: ა. ვ. ქუთათელაძე (1879—1881), მ. ქ. ყიფიანი (1881—1883), ნ. ი. ლომოური (1883—1915) და კ. ი. არველაძე (1915—1918). ეს უკანასკნელი 1918 წლიდან დირექტორად დაინიშნა და კვლავ განაგრძობდა მოღვაწეობას, მაგრამ რადგანაც ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის ისტორიას ჩვენ ვეხებით მხოლოდ 1876 წლიდან 1918 წლამდე, ამიტომ კ. ი. არველაძის მუშაობის შეფასება უფრო მიზანშეწონილია მოხდეს სამასწავლებლო სემინარიის არსებობის შემდეგ პერიოდში.

რაც შეეხება ა. ქუთათელაძეს, მ. ყიფიანს და ნ. ლომოურს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჩვენი საზოგადოება საკმაოდ კარგად იცნობს, მაინც საჭიროდ მიგვაჩნია მათი მოღვაწეობის მოკლე მიმოხი-

---

[1] ამათ რიცხვს ეკუთვნის ტ. დ. მამალაძე, რომელმაც სემინარია დაამთავრა დ. სემიონოვის დროს. მან გამოსცა სახელმძღვანელო: „Начальная практическая грамматика русского языка. Этимология“. Кутаис, 1910 г.

ლვა როგორც სემინარიის მასწავლებლებისა. ამისათვის ყველაზე საუკეთესო მასალას ქართული ენის პროგრამების ანალიზი და სემინარიის ყოფილ მოსწავლეთა მოგონებები წარმოადგენს. სამწუხაროდ, არქივში არ აღმოჩნდა არ. ქუთათელაძის, მ. ყიფიანის (აგრეთვე კ. არველაძის) მიერ შედგენილი პროგრამები ქართული ენისა. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ნ. ლომოური, რომლის პროგრამებიც სხვადასხვა წლებისა არქივშია დაცული. მიუხედავად ამისა, ა. ქუთათელაძის და მ. ყიფიანის შესახებ ჩვენ შეგვიძლია პრესისა და მოგონებების მიხედვით გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ.

ა. ვ. ძუთათელაძე. 1912 წელს არისტო ვასილის-ძე ქუთათელაძის გარდაცვალების გამო ჟურნ. „განათლება" წერდა: „ყველგან, სადაც კი გონებამ არგუნა მოღვაწეობა, არისტომ გამოიჩინა თავი ჭეშმარიტის მამობრივის მზრუნველობით მოწაფეთადმი, რის გამოც უკანასკნელთ მიჩნეული ჰყავდათ იგი თავის მესაიდუმლედ და მზრუნველ-მფარველად: არ ყოფილა შემთხვევა, რომ მოწაფეთ დაეფარათ რაიმე თავიანთი „არისტოსაგან" და არ გაიზიარებინათ საყვარელის მასწავლებლისათვის ყმაწვილური ჭირი და ლხინი. ამყარებდა რა ამგვარს განწყობილებაზეც მოწაფეებთან თავის მოღვაწეობას, განსვენებული არისტო მთელი თავის არსებით შეეცადა გადაეცა მათთვის როგორც ცოდნა სამშობლო ენისა, ისტორიის და მწერლობისა, ისე განუზომელი სიყვარული მამულისადმი, რომლითაც თვით იყო გამსჭვალული"[1].

მართლაც, ყველგან, სადაც კი არისტო ქუთათელაძეს მოუხდა მასწავლებლობა (გორისა და ხონის სამასწავლებლო სემინარიები, თბილისის ქართული გიმნაზია, თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი), მან თავისი ღრმა განათლებით, მოსწავლეებისადმი მშობლიური მზრუნველობით და გულთბილი დამოკიდებულებით შესძლო გულწრფელი სიყვარულისა და პატივისცემის მოპოვება.

არ. ქუთათელაძეს დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტი ქართულ-სომხური ენების განხრით. როდესაც გორის სამასწავლებლო სემინარიაში ქართული ენის სწავლება იქნა შემოღებული, მან განცხადებით მიმართა სემინარიის დირექტორს დ. დ. სემიონოვს და თხოვდა დაენიშნათ ის ქართული ენის მასწავლებლად. დ. სემიონოვი, თვითონ ღრმად განათლებული და სახელმოხვეჭილი პედაგოგი, ძალიან დაინტერესებული იყო, ამ საგნის მასწავლებლად თავის საქმის კარგად მცოდნე პედაგოგი დაენიშნა. სხვა მსურველებთან შედარებით (ალ. ჭი-

[1] „განათლება", 1912, № 10, გვ. 781.

ჭინაძე და შ. შიუკაშვილი) მან უპირატესობა მისცა არ. ქუთათელაძეს, მაგრამ მისი დანიშვნა მანამ არ გააფორმა, სანამ პირადად არ გაეცნო არ. ქუთათელაძეს და არ დარწმუნდა, რომ მისი სახით საქმე ჰქონდა საფუძვლიანად განათლებულ და მოწინავე მსოფლმხედველობის ადამიანთან. თვითონ დ. სემიონოვი არ. ქუთათელაძის მასწავლებლად დანიშვნასთან დაკავშირებით შემდეგს წერს: „მოვედი თუ არა ჩემს საოსტატო სამსახურის ადგილს, დავიწყე მეცადინეობა, რომ საოსტატო სემინარიაში ქართული ენის სწავლება განწესებულიყო და ეს სემინარიის წესდებაში და შტატშიც შევიდა. მაგრამ, რომ ამ ენის შესწავლისათვის ჯეროვანი მნიშვნელობა მიმეცა, ქართულის მასწავლებლად მოვიპატიჟე ახალგაზრდა კაცი, რომელსაც უნივერსიტეტში, აღმოსავლეთის ფაკულტეტზე, ჰქონდა სწავლა შესრულებული. სანამ საბოლოოდ დავამტკიცებდი იმას მასწავლებლად, დაწვრილებითი პროგრამა მოვთხოვე ქართულ და რუსულ ენაზედ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისა და რამდენჯერმე მქონდა იმასთან მუსაიფი იმ განზრახვით, რომ შემეტყო იმის მეცნიერებითი ცოდნანი და პედაგოგიური მომზადება“[1].

სემინარიაში ქართული ენის მასწავლებლად არ. ქუთათელაძე დანიშნულ იქნა 1879 წლის 12 სექტემბრიდან და მისვლისთანავე საუკეთესო დამოკიდებულება დაამყარა როგორც მოსწავლეებთან, ისე პედაგოგიურ კოლექტივთან. განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა ჰქონდა მას დ. სემიონოვთან.

არ. ქუთათელაძის მასწავლებლობის დროს მოსწავლე ლადო აღნიაშვილის ინიციატივით დაარსდა ხელნაწერი ჟურნალი „რიერაჟი“. ალ. ნათაძის სიტყვით, ჟურნალის გამოცემის განზრახვა არ. ქუთათელაძისა და დ. სემიონოვისათვის წინასწარ უცნობებიათ: „ქუთათელაძეს ისე გაუხარდა ეს ამბავი, რომ იმ წამსვე თუმნიანი ამოგვიყაჭა“.

ცხადია, სემინარიელ მოსწავლეთა ლიტერატურული საქმიანობის დაწყებაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ არ. ქუთათელაძეს მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა. ამით იყო გამოწვეული მისი სიხარულიც ხელნაწერი ჟურნალის „რიჟრაჟის“ დაარსების გამო.

სამწუხაროდ, ჩვენ არ გაგვაჩნია ა. ქუთათელაძის მიერ შედგენილი პროგრამა, რომ ამით საშუალება გვქონდეს წარმოვიდგინოთ, თუ რა მასალას და როგორი თანმიმდევრობით გადიოდა ის გო-

---

[1] გაზ. დროება, 1880, № 222.

რის სემინარიაში. მაგრამ მოსწავლეებისათვის მის მიერ გადაცემული ცოდნა, რომ საფუძვლიანი უნდა ყოფილიყო, შეიძლება დავასკვნათ იმ მუშაობით, რაც მან ხონის სამასწავლებლო სემინარიაში გასწია.

არ. ქუთათელაძე ხონის სამასწავლებლო სემინარიაში გორიდან 1881 წლის 1 ივლისიდან გადავიდა და იმავე წლის სექტემბერში მუშაობას შეუდგა[1].

მისი ყოფილი მოსწავლე ს. პ. გოგლიჩიძე ასე ახასიათებს არ. ქუთათელაძეს: „რამდენადაც მახსოვს ის პროგრამა, რომელიც მიცემული ჰქონდა ა. ქუთათელაძეს ქართულ ენაში, მას არ აკმაყოფილებდა. ამიტომ ის ორნაირ მასალას გადიოდა ჩვენთან. ერთს დავალებული პროგრამიდან და მეორეს კი — თავისით. შეიძლება სტრელეცკი ამჩნევდა ამას, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდა. როდესაც გაკვეთილზე მოვიდოდა (იგულისხმება დირექტორი სტრელეცკი — მ. კ.), მასწავლებელი არ. ქუთათელაძე საპროგრამო მასალის დამუშავებას განაგრძობდა: ლექსის, ან სტატიის ახსნა-განმარტება, კითხვა, გამოკითხვა და სხვ.

არ. ქუთათელაძემ ცოტ-ცოტობით ბლომად შეგვასწავლა მასალები საქართველოს ისტორიიდან, სიტყვიერებიდან, გრამატიკიდან და სხვ. მშვენიერად ვარჩევდით ჩვენი მწერლების სხვადასხვა თხზულებებს. ჩვენ დიდი სიამოვნებით ვმუშაობდით და ვასრულებდით დავალებას ამ ენაში. არ. ქუთათელაძემ შეგვასწავლა ჩვენი პოეტების ისეთი ლექსებიც, რომლებიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო დაბეჭდილი. მაგალითად: „ხანჯალი“, „დათვი და მელა“ და სხვ.“[2].

1884 წელს სტრელეცკი გორის სამასწავლებლო სემინარიაში გადაიყვანეს. ხონის სემინარიის დირექტორად დანიშნული პ. კ. სოკოლოვი წმინდა წყლის ბიუროკრატი და შავრაზმელი იყო. გამწვავდა ურთიერთობა დირექტორსა და მოსწავლეებს შორის. ამ უკანასკნელთ ენერგიულად უპერდნენ მხარს პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებლები ა. ქუთათელაძე, დ. აბდუშელიშვილი და სხვ.

„სოკოლოვმა პირველი დღიდანვე შემოიღო ენით გამოუთქმელი ბარბაროსული რეჟიმი[3], რითაც თავიდანვე შეეხუთა სული

---

[1] საქმე № 47, ფ. 18.

[2] „მოგონებები“, 1934, გვ. 4 (გამოუქვეყნებელია). „ხანჯალი“ დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული ლექსია, რომელიც მიმართული იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ხალხში არალეგალურად ვრცელდებოდა. დაწერილია 1882 წ. ხოლო მისი დაბეჭდვა მოხერხდა მხოლოდ 1905 წელს.

[3] სამწუხაროდ, ასეთივე „ბარბაროსული რეჟიმი“ დაამყარა სტრელეცკიმ გორის სემინარიაშიც.

როგორც ლიბერალურად აღზრდილ მოწაფეებს, ისე მასწავლებლებს. ამ გარემოებამ გამოიწვია საპროტესტო მოძრაობა მის წინააღმდეგ. მოძრაობას სათავეში ედგნენ უფროსი კლასის გაბედული მოწაფეები: მდინარაძე, კალაძე და ჩხენკელი. მათ კავშირი ჰქონდათ ა. ქუთათელაძესა და დ. აბდუშელიშვილთან და იმათი რჩევით მოქმედებდნენ"[1].

იმ მიზნით, რომ ახალი რეჟიმი დაუბრკოლებლად დაემყარებინა სემინარიაში და ყველა შიშის ქვეშ ჰყოლოდა, სოკოლოვმა ზემო დასახელებული მოსწავლეები სასწავლებლიდან გარიცხა. ამ ნიადაგზე სემინარისტებმა სოკოლოვს ცემეს. მომხდარ ინცინდენტთან დაკავშირებით „თბილისიდან ჩამოვიდნენ მზრუნველი იანოვსკი და მისი თანაშემწე კარავაევი — ადგილზე საქმის გამოსაძიებლად. ისინი მეტად მკაცრად მოეკიდნენ მასწავლებლებს — ქუთათელაძეს და აბდუშელიშვილს. აბდუშელიშვილი ასწავლიდა მათემატიკას, ქუთათელაძე კი — ქართულს, გეოგრაფიას და ისტორიას. ამ საგნებში ქუთათელაძე ძალიან დახელოვნებული იყო, მაღალგანათლებული და მეტად ნიჭიერი. ის ქართულ ლიტერატურას როგორც ახალს, ისე ძველს ძალიან ფართო მასშტაბით გადიოდა. აბდუშელიშვილი აგრეთვე მაღალი ცოდნით აღჭურვილი, მათემატიკისა და რუსული ენის საუკეთესო მცოდნე. ორივენი იყვნენ ხალხოსნური იდეებით გატაცებულნი და ამ იდეებს ავრცელებდნენ უფროს მოწაფეებში, რომლებთანაც გაბმული ჰქონდათ განუწყვეტელი ბეჭობა-ბაასი.

... მასწავლებელ ა. ქუთათელაძის გაძევებას (ამას ადგილი ჰქონდა 1884 წელს — მ. კ.) მოწაფეები მდუღარე ცრემლებით შეხვდნენ და ტირილით გამოეთხოვნენ მას; სახსოვრად კი მიუძღვნეს: ოქროს შანდალი, საწერელი და კალამი და ოქროს ვარაყიანი ყდით „ვეფხის ტყაოსანი"[2].

როგორც ამ მოგონებებიდან ჩანს, არისტო ქუთათელაძე ხონის სემინარიაში საკმაოდ ფართოდ გადიოდა ძველსა და ახალ ქართულ მწერლობას და ქართული ენის გრამატიკას. პედაგოგიურად ის ძალიან დახელოვნებული ყოფილა და მოსწავლეებთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონია. ცხადია, ასეთივე ხასიათისა უნდა ყოფილიყო მისი მასწავლებლობა გორის სემინარიაშიც. 1885 წლიდან 1906 წლამდე არ. ქუთათელაძე მასწავლებლობდა თბილისის ქართულ გიმნაზიაში და თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა პედაგოგმა. შემ-

---

[1] გ. ბ ო კ ე რ ი ა, ხონის სამასწავლებლო სემინარიის ცხოვრებიდან, გვ. 65 (გამოუქვეყნებელია).

[2] ი ქ ვ ე, გვ. 20.

დეგში მან გამოაქვეყნა მთელი რიგი სახელმძღვანელოებისა[1], რომელთაც ჩვენს სკოლაში საკმაო გავრცელება ჰპოვეს.

არ. ქუთათელაძემ გორის სამასწავლებლო სემინარიაში მხოლოდ ორი სასწავლო წელი დაჰყო (1879—80 და 1880—81), მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მან უაღრესად კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა სემინარიის მოსწავლეებზე.

მ. ძ. ყიფიანი. მიხეილ ქაიხოსროს-ძე ყიფიანი ცნობილი ქართველი ხალხოსანი და საზოგადო მოღვაწე ციმბირის გადასახლებიდან საქართველოში 1880 წელს დაბრუნდა და მასწავლებლობა დაიწყო თბილისის მეორე გიმნაზიაში. 1881 წელს არ. ქუთათელაძის ხონის სამასწავლებლო სემინარიაში გადაყვანის შემდეგ დ. დ. სემიონოვმა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე აღძრა შუამდგომლობა გორის სემინარიაში მ. ყიფიანის ქართული ენის მასწავლებლად დანიშვნის შესახებ. მიუხედავად იმ დიდი წინააღმდეგობისა[2], რომელიც გაუწია იანოვსკიმ სემიონოვის ამ სურვილს, 1881 წლის სექტემბრიდან მაინც მოსახერხებელი შეიქნა ყიფიანის მასწავლებლად დანიშვნა გორის სემინარიაში.

შესაძლებელია, ყიფიანს რეკომენდაცია გაუკეთა არ. ქუთათელაძემ, რომელიც მას უნდა ცნობოდა პეტერბურგში სწავლის პერიოდიდან (მ. ყიფიანი პეტერბურგში სწავლობდა ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, სამოცდაათიან წლებში). არ. ქუთათელაძე, რომელიც თვითონაც ხალხოსანი იყო, უეჭველია საუკეთესო დახასიათებას მისცემდა მ. ყიფიანს. ამით უნდა აიხსნას ის გასაოცარი სიმტკიცე, რომელიც გამოიჩინა დ. სემიონოვმა ამ საკითხში, არ შეუშინდა მ. ყიფიანის პოლიტიკურ წარსულს და თავდებადაც კი დაუდგა მას.

1881 წლის სექტემბრიდან მ. ყიფიანმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი სემინარიაში ქართული ენის სწავლების საქმეს. მან მასწავლებლობის შესანიშნავი უნარი გამოამჟღავნა და სულ მალე დიდი სიყვარული დაიმსახურა მოსწავლეთა შორის. ამავე დროს ყიფიანმა არალეგალური მუშაობა დაიწყო, ჩამოაყალიბა ხალხოსნური წრეები, რომლებშიც სემინარიელი ახალგაზრდებიც ბლომად მიიზიდა. ამ წრეებში ხდებოდა მოსწავლეთა მსოფლმხედველობის

---

[1] „პირველ დაწყებითი ქართული გრამატიკა" (პირველი გამოცემა 1868), „წყარო, ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი" (1 წიგნი, 1891), „წყარო" (ნაწ. II, 189-), ქართული ზმნების კლასიფიკაცია" (1897), „საზოგადო გეოგრაფია" (1908) და სხვ.

[2] უფრო ვრცლად ამ საკითხზე იხილეთ ჩვენი ნაშრომი: „დ. დ. სემიონოვის პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოში", თავი—დ. სემიონოვი და მ. ყიფიანი.

ჩამოყალიბება და მათში ხალხისადმი უანგარო სამსახურის გრძნობის გაღვივება.

ცნობილი ქართველი მწერლის სოფ. მგალობლიშვილის სიტყვით „მაშინდელი გორის ახალგაზრდობა ხალხოსნურ მოძრაობაში იყო ჩაბმული: სემინარიის მოსწავლენი როგორც ვაჟა, ისე სხვები, დაიარებოდნენ ხალხოსნების კრებაზე და ეცნობოდნენ ქართველი ხალხის ვითარებას, გლეხთა ცხოვრებას. რუსული თუ ქართული წიგნები ერთს ალაგას იყო მოგროვილი და მოსწავლე ახალგაზრდობას მიჰქონდა და კითხულობდა. მაშინდელი სემინარიის ადმინისტრაცია ხელს უწყობდა წიგნების კითხვასა. ვაჟა დაეწაფა წიგნების კითხვას, განსაკუთრებით ქართული ისტორიის მასალებს. ვაჟას ამ მიმართულებას დიდი ყურადღება მიაქცია მიხეილ ყიფიანმა, შემოიღო რეფერატების მომზადება და კითხვა საქართველოს ისტორიიდან. ამ რეფერატებს ამზადებდნენ და კითხულობდნენ თვით მოწაფენი"[1].

უეჭველია, ეს გარემოება მოსწავლეთა თვითგანვითარებას და გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას დიდად უწყობდა ხელს. შინაარსიანი და მიმზიდველი იყო მ. ყიფიანის გაკვეთილებიც, რასაც მოწმობს ზოგიერთი მისი ყოფილი მოწაფის მოგონება.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, არქივში დაცული არაა ქართული ენისა და ლიტერატურის ის პროგრამა, რომლითაც მ. ყიფიანი ასწავლიდა ამ საგნებს, მაგრამ ზოგადად ჩვენ შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ მაინც შესასწავლ საპროგრამო მასალებზე იმ წერილების მეოხებით, რომლებიც მ. ყიფიანის სემინარიაში მასწავლებლობას შეეხება.

1882 წელს გაზ. „შრომაში" დაიბეჭდა ხელმოუწერელი კორესპონდენცია, რომელიც გორის სემინარიაში ქართული ენის სწავლებას ეხება. გაზეთის რედაქცია კორესპონდენციის შინაარსს ასე გადმოგვცემს: „გორიდან გვწერენ, რომ აქაურის სამასწავლებლო სემინარიის ქართულის ენის მასწავლებელი კარგად ვერ ასწავლისო ქართულს ენას. ერთი წელიწადიაო თითქმის, რაც სემინარიაში ქართულს ენას ასწავლის, მაგრამ იმდენი გაუვლია, რასაც გამოცდილი მასწავლებელი ერთს გაკვეთილზედ მოასწრობდა: საქართველოს ისტორიიდან გაუვლია ექვსი თავი და ლიტერატურიდან ილია ჭავჭავაძის თხზულებანი გადაუთვალიერებია, მაგრამ ორივე საგანი

---

[1] ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, 1937.

ძლიერ შემოკლებით. მასწავლებელს სწავლებაში არავითარი სისტემა არა აქვს და არც შრომობს: არ მუშაობს. თუ გაკვეთილებს მოამზადებს, მოდის კლასში და თუ არა — არ მოდისო, თუ უკაცრავად არ ვიქნებით მასთან, ენაც სუსტად სცოდნია; ის იმართლებს თავს, მასალები არაფერი მაქვსო, მაგრამ ეგ ტყუილი გამართლებაა, — რატომ იმ მასალებით მაინც არ სარგებლობს, რომელნიც ხელში აქვს"[1].

კორესპონდენცია თავიდან ბოლომდე მოკორილია, ცილისმწამებლურ ხასიათს ატარებს და საქმის ვითარებას სწორად არ ასახავს. ჯერ ერთი უნდა ვიცოდეთ, რომ დ. სემიონოვი თავის გარშემო მცოდნე მასწავლებლებს იკრებდა და არ შეიძლება მას არ ცოდნოდა, თუ როგორ ასწავლიდა ამ საგნებს მ. ყიფიანი. ის რომ მისი მუშაობით კმაყოფილი არ ყოფილიყო, შეუძლებელია ეს არ გამომჟღავნებულიყო ყიფიანთან დამოკიდებულებაში, რომელიც მეტად გულთბილ ხასიათს ატარებდა. შემდეგ, ვინც ყიფიანის ენერგიას და საქმისადმი საერთოდ კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას იცნობს, წარმოუდგენელია დაიჯეროს მ. ყიფიანის ზარმაცობა და ის კურიოზული ბრალდება, რომ ყიფიანმა „ენა ცუდად იცისო".

ქართველი საზოგადოება მ. ყიფიანს იცნობდა, როგორც ღრმად განათლებულ, მოწინავე იდეების მატარებელ და უაღრესად კეთილსინდისიერ ადამიანს, რომელიც არაფერს არ იშურებდა ახალგაზრდების გათვითცნობიერებისა და ცხოვრებაში წარმატებებისათვის. შესანიშნავად იცოდა ყიფიანმა თავისი საგნებიც. სწორედ ამიტომ საზოგადოება აღაშფოთა გორელი კორესპონდენტის ცილისმწამებლურმა ბრალდებებმა ყიფიანის წინააღმდეგ.

იმავე გაზეთის მომდევნო ნომერში დაიბეჭდა „ჭ..."-ს (ილია ჭყონიას) ღია წერილი რედაქციისადმი. ამ წერილში ილ. ჭყონია წერს: „თქვენი გაზეთის 18 №-ში წავიკითხე შენიშვნა გორის სამასწავლებლო სემინარიაში ქართული ენის მასწავლებელზე. რადგან მე უფრო კარგად ვიცი, თუ რა მდგომარეობაშია ზემოხსენებულს სასწავლებელში ქართული ენა მ. ყ.[2] ხელში, ამიტომ საჭიროდ ვრაცხ ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ ამ საგანზედ". უარყოფს რა კორესპონდენტის ბრალდებას, რომ ყიფიანმა ცოტა მასალა გაიარაო, ავტორი განაგრძობს; „მე არ ვიცი, რომელს კლასში გაიარა მ. ყ. ზემოხსენებული საგნები, მაგრამ ამის სიმართლე რომ ნათლად გამოჩნდეს, მე ავიღებ III კლასს და ჩამოვთვლი, თუ რა გაიარეს ან ისტორიდან,

---

[1] გაზ. შრომა, 1882, № 18.

[2] მიხეილ ყიფიანი. მ. კ.

ან ლიტერატურიდან. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ III კლასში კვირაში ორი გაკვეთილია ქართულის ენიდგან და ამასთანავე უფრო ცოტა დრო მეცადინეობისა, ვინემ დაბალ კლასებში. ენკენისთვიდან აპრილის ნახევრამდის მ. ყ. მოასწრო ქართული ისტორიიდან, XI საუკუნის დამლევიდან, ე. ი. დავით III-დან რუსეთთან შეერთებამდის (მასალის გავლა — მ. კ.). ამასთანავე შეძლებისდაგვარად ვრცლად. უფრო შესანიშნავ პერიოდებზე (XII საუკ. და XIII საუკუნე) დიდხანს ჩერდებოდა და ვრცლად ლაპარაკობდა. ლიტერატურიდგან მ. ყ. მოასწრო: XII საუკუნის ლიტერატურა და იმ დროის წარმომადგენლების და გამოჩენილის მწერლების (შესწავლა — მ. კ.): შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი", „ვისრამიანი" რომანი სარგის თმოგველისა, პეტრიწის თხზულებები და სხვ. შეძლებისდაგვარად გაარჩია. შემდეგ XIII, XIV, XV და XVI საუკუნის ლიტერატურაზედ მოკლედ სთქვა, რადგან ამ დროს თვით პოლიტიკური მდგომარეობაც საქართველოისა ცუდი იყო. შემდეგ XVII, XVIII და XIX საუკუნეების ლიტერატურა კი უფრო ვრცლად გაარჩია. სხვათა შორის ვახტანგ VI, ანტონ I, საბა ორბელიანის და სხვების თხზულებებზე, რომელნიც ჩვენამდის მოვიდნენ, ვრცლად მოილაპარაკა. და ბოლოს გაარჩია: ნ. ბარათაშვილის, გ. ორბელიანისა და ი. ჭავჭავაძის თხზულებანი, როგორც მეცხრამეტე საუკუნის წარმომადგენლებისა.

აი ეს გაიარა მ. ყ. 7 თვის განმავლობაში III კლასში. როდესაც ახსნიდა რომელსამე პერიოდს ისტორიიდგან, მაშინვე იმ დროის ლიტერატურაზე დაიწყებდა ხოლმე ლაპარაკს და ასე წყობით გაათავა ზევით მოყვანილი პროგრამა.

...მ. ყ. თუ როგორ იცის ქართული ენა, მგონი ჩემზედაც და შენიშვნის ავტორზედაც უკეთ მკითხველმა საზოგადოებამ იცის. იქნება ენის ცოდნას ავტორი სხაპა-სხუპით ლაპარაკს ეძახის? ამაზედ კი უკაცრავად. მ. ყ. ლაპარაკობს დინჯად, გარკვევით, ისე როგორც შეჰშვენის მასწავლებელს"[1].

როგორც ამ წერილიდან ჩანს, მ. ყიფიანს III კლასში გაუვლია ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსი. მაგრამ რადგანაც სემინარიაში საქართველოს ისტორია არ ისწავლებოდა, ქართული ლიტერატურის გაკვეთილებზე მას საქართველოს ისტორიაც გაუვლია XII საუკუნიდან XVIII საუკუნის მიწურულამდე, ე. ი. საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე და განსაკუთრებით გაუმახვილებია ყურადღება მნიშვნელოვან პერიოდებზე. საქართველოს ისტორიის

[1] გაზ. შრომა, 1882, № 19.

ამა თუ იმ პერიოდის შესწავლის შემდეგ ის გადიოდა იმავე პერიოდის ლიტერატურის წარმომადგენლებს. ასე, მაგალითად: XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრების გაცნობის შემდეგ, ის ლიტერატურიდან გადის პეტრიწის[1] თხზულებებს, „ვისრამიანს„ და „ვეფხისტყაოსანს“. ქრონოლოგიური თანმიმდევრობა მწერლების შესწავლის დროს მ. ყიფიანს მეტნაკლებად დაცული უნდა ჰქონოდა. აღორძინების ხანის ლიტერატურიდან მას ყურადღება მიუქცევია. ს. ორბელიანის, ვახტანგ VI და ანტონ 1-ლისათვის. მე-19 საუკუნეში კი გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძისათვის.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოდასახელებულ მწერალთა გარდა მ. ყიფიანს სხვა მწერლებიც უნდა გაეცლო, კერძოდ XII საუკუნის წარმომადგენლები (ამაზე მიუთითებს ილ. ჭყონიას მიერ გამოყენებული სიტყვები „და სხვ“. თავის წერილში, რომელსაც ზევით შევეხეთ).

გაურკვეველი რჩება ასწავლიდა თუ არა მ. ყიფიანი ქართული ენის გრამატიკას, ან რა მდგომარეობა იყო ლიტერატურის შესწავლის მხრივ სხვა კლასებში (უფროსი მოსამზადებელი, I და II კლასები).

საერთოდ კი შეიძლება ითქვას, რომ ყიფიანის მასწავლებლობა გორის სემინარიაში ნაყოფიერი იყო და იგი ერთ-ერთ საყვარელ პედაგოგად ითვლებოდა. მან დიდად შეუწყო ხელი ზოგადი განათლების დონის ამაღლებას მოსწავლეთა შორის და ბევრ მათგანზე მოახდინა ღრმა გავლენა კეთილშობილურ მისწრაფებათა გამომუშავების საქმეში.

მ. ქ. ყიფიანი ხალხოსნური მუშაობისათვის პირდაპირ გაკვეთილზე დააპატიმრეს[2] 1883 წლის 4 მარტს. დ. სემიონოვის მითითებით რამდენიმე ახალგაზრდამ მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის სახელდახელოდ ფული შეაგროვა და გორის სადგურზე მ. ყიფიანს გადასცა.. დაპატიმრებული მ. ყიფიანი პირადად ინახულა დ. დ. სე-

---

[1] „იოანე პეტრიწი“ მეთერთმეტე საუკუნის გასულისა და მეთორმეტის დამდეგის მოღვაწეა (კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I. ტ. 1951, გვ. 265). როგორც ჩანს, მ. ყიფიანს პეტრიწი ძირითადად XII საუკ. მოღვაწედ მიუჩნევია.

[2] როგორც მოსწავლეთა მოგონებებით და თვით მ. ყიფიანის წერილით ირკვევა მ. ყიფიანი გაუცია სემინარიის მასწავლებელ ნ. გ. დიმიტრიევს, მასვე დაუბეზღებია უკრაინელი მელენჩუკიც, რომელსაც ქართველი ქალი ჰყავდა ცოლად და გორში ცხოვრობდა. გადასახლებაში, უსტკამენოგორსკში ყველანი ერთად მოხვდნენ.

მიონოვმა და მორალურად გაამხნევა. რამდენიმე ხნის შემდეგ მ. ყიფიანი უსტკამენოგორსკში გადაასახლეს, მაგრამ წერილობითი კავშირი გორთან არ გაუწყვეტია და ყოველთვის სიყვარულით იგონებდა მას[1].

ნ. ი. ლომოური. მ. ყიფიანის დაპატიმრების შემდეგ დ. სემიონოვმა გორის სამასწავლებლო სემინარიაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მოიწვია ცნობილი ქართველი ხალხოსანი მწერალი ნიკოლოზ იოსების-ძე ლომოური. ნ. ლომოური 32 წლის განმავლობაში (1883 წლის სექტემბრიდან 1915 წლის აპრილამდე) სემინარიაში ქართულ ენას ასწავლიდა და ამ ხნის მანძილზე მის ხელში მრავალრიცხოვანმა მოსწავლეებმა გაიარეს. ნ. ლომოურს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის სემინარიაში ქართული ენის სწავლების მაღალ დონეზე დაყენების საქმეში. შესანიშნავი პედაგოგი, უაღრესად განათლებული და არაჩვეულებრივად გულისხმიერი ადამიანი იყო ნ. ლომოური. ამიტომ სემინარიის ყველა მოსწავლეს, განურჩეველად ეროვნებისა, მისი დიდი პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა.

„არც ერთ მასწავლებელს ისე გულით არ ვცემდით პატივს და არ ვუყურებდით იმდენად სრული ნდობით,— წერს ბ. ჩიქობავა,— როგორც ლომოურს და განა მარტო ქართველი მოსწავლეები, რომლებსაც ქართულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა. თუმცა მათი მასწავლებელი არ იყო, მაგრამ რუსი, ბერძენი თუ სომეხი — ყველა სემინარიელი ხედავდა მასში საუკეთესო მეგობარ-აღმზრდელს, რომელიც უსათუოდ დაიცავდა თითოეული მათგანის ინტერესებს. მართლაც, არა ერთ მოსწავლეს გამოქომაგებია ნიკო და გადაურჩენია გარიცხვისაგან.

... ნიკო ლომოურის სპეტაკი პიროვნება, მისი დიდი ჰუმანიურობა, მშობლიური მოპყრობა და მზრუნველობა ხიბლავდა მოსწავლეებს, რითაც აიხსნება ის საგულისხმო ფაქტი, რომ ბევრი არაქართველი სემინარიელი ხალისით სწავლობდა მის საგანს — ქართულ ენას, რო-

---

[1] მ. ყიფიანის დასახასიათებლად მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს ის შეფასება, რომელიც მისცა მას დიდმა რუსმა მწერალმა ლ. ნ. ტოლსტოიმ. 1905 წელს ილია ნაკაშიძემ, მ. ყიფიანის მეშვეობით, ლ. ტოლსტოის გაუგზავნა წერილი საქართველოში რევოლუციური მოძრაობის შესახებ. საპასუხო წერილში ლ. ტოლსტოი ილ. ნაკაშიძეს წერდა: „ძვირფასო ილია პეტრეს-ძევ! დიდად გმადლობთ, რომ გამაცანით საყვარელი ადამიანი მ. ყიფიანი. გმადლობთ იმ გასაოცარი ცნობებისათვის, რომლებიც ყიფიანმა გადმომცა. ძალიან ვწუხვარ, რომ ყიფიანთან ხანმოკლე საუბარი მომიხდა“ (იხ. ვლ. ხამბახიძე, ილია ნაკაშიძე, 1947).

მელიც მათთვის სრულებით არ იყო სავალდებულო. ნიკო ყოველთვის სიამოვნებით ეგებებოდა არაქართველი მოსწავლის მიერ ქართულის შესწავლის სურვილის გამოთქმას. იგი იმისათვის ჩვეული მონდომებით და ხალისით ასწავლიდა არაქართველებს ჩვენს მშობლიურ ენას და ამით ქართველ და სხვა ეროვნებათა მოსწავლეებს შორის ურთიერთ პატივისცემისა და მეგობრობის ატმოსფეროს ქმნიდა"[1].

ქართული ენისა და ლიტერატურის ის პროგრამები, რომლებიც დაცულია სემინარიის არქივში, საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ რას ასწავლიდა ნ. ლომოური ქართული ლიტერატურიდან.

1883—84 სასწავლო წლის პროგრამა მესამე კლასისათვის ითვალისწინებდა შემდეგი საკითხებისა და მასალების შესწავლა-დამუშავებას.

„1. ქართული ანბანის წარმოშობა. ბროსეს, ჩუბინოვის და ჯანაშვილის შეხედულებანი ამ საკითხზე. დ. ბაქრაძისა და პროფ. ოქროშეედლიშვილის აზრი ამავე საკითხზე.

2. თქმულება წმ. ნინოს შესახებ. მისი შინაარსი და ავტორი. დრო ამ თქმულების დაწერისა.

3. „ქილილა და დამანას" მოთხრობები. ისტორიული პირობები, რომლებმაც გამოიწვიეს ამ წიგნის თარგმნა. შინაარსი ერთ-ერთი მოთხრობისა „ორი მტრედი". იდეა, ფორმა და ენა მოთხრობისა[2].

4. „დედა და შვილი". პოემის შინაარსი. ისტორიული პირობები, რომლებმაც გამოიწვიეს ის მოვლენა, რასაც ადგილი აქვს ამ პოემაში. მისი იდეა და ენა.

5. „ვეფხისტყაოსანი" — რუსთაველის პოემა. რამდენიმე სიტყვა თვითონ რუსთაველის შესახებ. პოემის შინაარსი და ენა; პოემის საუკეთესო ადგილები.

6. პოემა „დიმიტრი თავდადებული". დიმიტრი ისტორიული პიროვნებაა. პოემის შინაარსი. მისი იდეა. პოემის ლიტერატურული ღირსებანი.

7. ილ. ჭავჭავაძე. მოკლე ბიოგრაფია. „კაცია-ადამიანი", „გლახის ნაამბობი", „კაკო ყაჩაღი". შინაარსი და იდეები ამ ნაწარმოებებისა.

8. გრ. ორბელიანი. ბიოგრაფია. მიმართულება და ხასიათი მისი პოეზიისა. პოემა „სადღეგრძელოს" გარჩევა.

---

[1] მოგონებები, 1949, გვ. 52, 60.

[2] ნ. ლომოური „ქილილა და დამანას" იგავ-არაკებს მოთხრობებს უწოდებს.

9. ი. გოგებაშვილი. „დედაენისა“ და „ბუნებისკარის“ გარჩევა.

10. „განდეგილი“, პოემა ჭავჭავაძისა. შინაარსი პოემისა. მისი იდეა და ენა“[1].

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მესამე კლასში ქართულ ენას (ამ შემთხვევაში ფაქტიურად ლიტერატურას) მხოლოდ 2 საათი ჰქონდა დათმობილი კვირაში, არ შეიძლება რომ მასალა მცირედ მივიჩნიოთ. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ნ. ლომოურს პროგრამაში დიდი ადგილი დაუთმია ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებისათვის. „დედა და შვილის“, „დიმიტრი თავდადებულის“, „კაცია ადამიანის“, „გლახის ნაამბობის“, „კაკო ყაჩაღის“ და „განდეგილის“ შესწავლა საკმაო ფართო წარმოდგენას იძლეოდა ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობისა და მხატვრული ოსტატობის ნათელსაყოფად.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: ნ. ლომოურს ილიას ნაწარმოებები დაჯგუფებული აქვს თემატიკის მიხედვით: ეროვნული („დედა და შვილი“, „დიმიტრი თავდადებული“), ბატონყმური ცხოვრების ამსახველი („კაცია-ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“, „კაკო კაჩაღი“) და ფილოსოფიური („განდეგილი“)[2].

აქედან ყველაზე უფრო ვრცლად ბატონყმური ცხოვრების ამსახველი მასალებია წარმოდგენილი. ეს არც გასაკვირველია, რადგანაც ნ. ლომოური, როგორც ხალხოსანი, ღრმად განიცდიდა იმ ტანჯვა-ვაებას, რომელიც გამოიარა გლეხობამ ბატონყმობის დროს და რომელშიც ის ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც აღმოჩნდა. იგი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს ამ ნაწარმოებთა იდეებს და მოსწავლეებს აცნობდა, რომ ის დახასიათება, რომელიც მისცა ზაქრომ თავის ბატონს საერთოდ, ყველა მებატონეს შეეხებოდა:

მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,
ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი,
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა,
რომ მამაჩემი შებრალებოდა.
რა გავაგრძელო, თავადიშვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს?!..

შემდეგში ნ. ლომოურმა მესამე კლასის პროგრამა კიდევ უფრო გაამრავალფეროვანა. ზევით მოხსენებულ მასალებს დაუმატა ქარ-

---

[1] საქმე № 796, ფ. 78.

[2] „განდეგილი“ დაიბეჭდა 1883 წელს, თებერვალში (იხ. ივერია, № 2). იმავე წელსვე ნ. ლომოურმა ის პროგრამაში შეიტანა. საერთოდ ნ. ლომოური ი. ჭავჭავაძის დიდი თაყვანისმცემელი იყო.

თული ლიტერატურის პირველი პერიოდიდან ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების ცხოვრება და მოღვაწეობა, ისტორიიდან: დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ცხოვრება და მოღვაწეობა, აღორძინების ხანის მწერლობიდან: დავ. გურამიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი „დავითიანი“, მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურიდან გ. ერისთავი, ქართული თეატრის დაარსება, „ოთარაანთ ქვრივი“ და აკაკი წერეთლის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი ნაწარმოებების ხასიათი, მათი ხალხურობა და მუსიკალობა, პოემა „ნათელა“[1].

1911—12 სასწავლო წელს ნ. ლომოური სემინარიის პირველ კლასში „ბუნებისკარის“ მიხედვით ასწავლიდა და პროგრამაც ამ სახელმძღვანელოს მიხედვით აქვს შედგენილი. მაგრამ იმ არაქართველი მოსწავლეებისათვის, რომლებიც ქართულ ენას სწავლობდნენ, სახელმძღვანელოდ ი. გოგებაშვილის „დედა ენაა“ დასახელებული და მათთვის შემდეგი მასალებია გათვალისწინებული: „ცრუ“, „უსუნო ყვავილი“, „მოუფიქრებელი კითხვა“, „ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევს“, „კატა და ძეხვები“, „მუქარა“, „ერთგული პატარა ქალი“, „კეთილი ძმა“, „მეფე და მხატვარი“, „თაგვი, ვირთაგვა და ნიბლია“ (ზეპირად) და „სემინარიის შენობა და ჩემი დღე სემინარიაში“[2].

პროგრამებთან დაკავშირებით საინტერესოა ნ. ლომოურის ერთი ყოფილი მოსწავლის ილია რუხაძის „მოგონებიდან“ შემდეგი ადგილი მოვიყვანოთ: „ნ. ლომოური ქართული ენის მასწავლებლად იყო ქართველი მოწაფეებისათვის. კლასში მას კვირაში ორი-სამი გაკვეთილი ჰქონდა. მე მასთან ოთხი წელიწადი დავყავი, მოსამზადებელი კლასიდან უკანასკნელ კლასამდე და ყველა კლასში გაკვეთილები თითქმის ერთნაირი ხასიათისა იყო. ბუნებისკარი, სახარება, დაბადება. აი ჩვენი სახელმძღვანელო და საგანმანათლებლო წიგნები. ხანდახან გავიხსენებდით ა. ქუთათელაძის ქართულ გრამატიკას და დრო გამოშვებით ჩავიხედავდით.

... გაკვეთილები ქართული ენისა მიმდინარეობდა უმეტესად ბაასში: საუბარი ეხებოდა ჩვენს მოღვაწეებს. ნიკო განსაკუთრებული პატივისცემით და რაღაც მორიდებული სიყვარულით და აღ-

---

[1] საქმე № 1086, ფ. 9. აქ ჩვენ ვხელმძღვანელობთ 1911—12 სასწავლო წლის პროგრამით. ასეთივეა წინა წლების პროგრამებიც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირეოდენ განსხვავებებს. სახელმძღვანელოებად ნ. ლომოურს დასახელებული აქვს ი. გოგებაშვილის „ბუნებისკარი“ და პროფ. ალ. ხახანაშვილის „მე-19 საუკუნის ქართული სიტყვიერების ისტორია“, მაგრამ, ცხადია, მას სხვა წყაროებიც უნდა გამოეყენებინა.

[2] საქმე № 1086 ფ. 23.

ფრთოვანებით იხსენიებდა ყველას, ვისაც კი ჩვენი ქვეყნის მოღვაწედ თვლიდა.

ჩვენი მწერლების, მოღვაწეების, ისტორიული პირების გაცნობა — აი ნიკოს გაკვეთილების დედააზრი და შინაარსი. აქა-იქ რამდენიმე ლექსის შესწავლა, ზოგიერთი ნაწარმოებიდან მხატვრული ადგილების ამოწერა. გაკვეთილებზე წაგვიკითხა მისი ახლადდაბეჭდილი „ყოველ მხრიდან“ და „წუთისოფელი“. გზადაგზა ნიკო რუსეთის ლიტერატურის წარმომადგენლებსაც დიდი ხალისით გვაცნობდა: ბელინსკი, დობროლიუბოვი, პისარევი, ესენი ნიკოს მეტად ახლობელი მწერლები იყვნენ.

რამდენადაც მახსოვს ნიკოს ქართული გაკვეთილები ყოველგვარი პროგრამისა და გეგმის გარეშე იყო... ქართული ენის გრამატიკით შესწავლა ნიკოს არ სწამდა. ქართული ენა ცოცხალი ენიდან და მისი მწერლობიდან შეისწავლებაო, გვეტყოდა ნიკო. რომელიმე სიტყვის ან გამოთქმის სისწორის დასამტკიცებლად მოვიყვანდით ქუთათელაძის გრამატიკიდან მაგალითს, მაგრამ ხშირი იყო შემთხვევა, რომ ნიკო არ ეთანხმებოდა ქუთათელაძეს და სხვა ლიტერატურულ მაგალითებზე მიუთითებდა“[1].

რასაკვირველია, ის აზრი თითქოს ნ. ლომოური პროგრამისა და გეგმის გარეშე ასწავლიდა მოწაფეებს, მცდარია. ნ. ლომოურს ჰქონდა თავისი პროგრამა, მაგრამ იმის მიხედვით, თუ ვის დირექტორობის დროს უხდებოდა მას მასწავლებლობა, პროგრამა ხან ფართო ხასიათს ღებულობდა, ხანაც იზღუდებოდა, რადგანაც დირექცია ნ. ლომოურს ავიწროვებდა. ნ. ლომოურს ქართული ენის სწავლება მოუხდა სემინარიაში სემიონოვის, სტრელეცკის, სლოვინსკის, მიროპიევის, გრიგორიევისა და სმირნოვის დროს. გარდა სემიონოვისა, რომლის ხელმძღვანელობითაც ლომოურმა მხოლოდ ერთი წელი იმუშავა, სხვები როდი აძლევდნენ უფლებას ლომოურს ყოველთვის თავის შეხედულებით ემუშავა. ის ოფიციალურად ადგენდა პროგრამას, რომლის მტკიცედ დაცვას დირექცია სასტიკად ადევნებდა თვალყურს. მაგრამ ნ. ლომოური გაკვეთილებზე მაინც ახერხებდა პროგრამის გარეშე მასალებზე და სხვადასხვა თემებზე ელაპარაკა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მას ქართული ენის (რომელიც ამავე დროს ლიტერატურასაც მოიცავდა) პროგრამაში არსად დასახელებული არ ყავს ბელინსკი, დობროლიუბოვი, ნეკრასოვი, კოლცოვი და სხვა. მაგრამ მათ შესახებ ქართველ მოსწავლეებს ბევრს ელაპარაკებოდა. რაც შეეხება ქართველ მოღვაწეებს

---

[1] ი. რ უ ხ ა ძ ე, მოგონებანი ნ. ლომოურზე, 1944, გვ. 11—16 (გამოუქვეყნებელია).

და პატრიოტულ თემებს ნ. ლომოური, რასაკვირველია, ამათაც ვრცლად ეხებოდა, მაგრამ მეტისმეტად ძნელ პირობებში.

პლ. ლეჟავა, რომელიც სემინარიაში სწავლობდა (1897 წ.) წერს: „როდესაც პატრიოტულ თემებზე ჩამოვარდებოდა საუბარი, ნიკოს თვალები კარებისაკენ ჰქონდა მიპყრობილი. კლასის კარებში პატარა სარკმელი იყო გამოჭრილი. ჩვენ ამ სარკმელს საჯაშუშო ხვრეტილს ვეძახოდით. სემინარიის ადმინისტრაცია ამ სარკმელიდან აწარმოებდა დაზვერვას, თუ რა კეთდებოდა გაკვეთილზე. ნიკო გვაფრთხილებდა—თვალი გეჭიროთ სარკმელისაკენო. ჩვენ კი ვიმეორებდით ჩვენებურად გადაკეთებულ ფრაზას ანტიკური საბერძნეთის ისტორიიდან“: „ბიჭებო, გახსოვდეთ ხვრეტილი!“ („Царь, помни об афинянах“)[1].

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ნ. ლომოური ქართულ გრამატიკასაც სათანადო ყურადღებას აქცევდა და ბავშვებს ასწავლიდა. მაგალითად 1903—4 სასწავლო წელს, მას პირველი კლასის პროგრამაში ლიტერატურიდან შეტანილი ჰქონდა პუშკინის ლექსები: „ძეგლი“, „წინასწარმეტყველი“, ლერმონტოვის „ლოცვა“, „Когда волнуется желтеющая нива“, ი. ჭავჭავაძის: „განდეგილი“, „იანიჩარი“, ნეკრასოვის „დედის ცრემლები“, კოზლოვის „მწუხრის ზარი“, აგრეთვე კრილოვის იგავ-არაკები, ხოლო გრამატიკიდან: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მორისდებული, კავშირი.

პირველი კლასის იმ არაქართველი მოსწავლეებისათვის, რომლებიც ქართულ ენას სწავლობდნენ, ნ. ლომოურს საგანგებო პროგრამა აქვს შედგენილი, რომელშიც ფონეტიკიდან გათვალისწინებულია შემდეგი საკითხები: „არტიკულაცია ქართული ასო-ბგერებისა: თ, ფ, ყ, ძ, ჭ, წ, ჯ“, ხოლო გრამატიკიდან „უღვლილება დამხმარე ზმნისა „არის“. დასასრულ ამის ნათელსაყოფად, თუ რა ყურადღებას აქცევდა ნ. ლომოური გრამატიკას ჩვენ მოვიტანთ მის მიერ შედგენილ პროგრამას 1902—1903 სასწავლო წლისას. ეს პროგრამა იმითაც არის საყურადღებო, რომ გავითვალისწინოთ როგორ იცვლებოდა ლიტერატურული მასალის ხასიათი და რაოდენობა სხვადასხვა პერიოდში, რაც, როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, დამოკიდებული იყო იმ კურსზე, რომელსაც ესა თუ ის დირექტორი ატარებდა სემინარიაში.

უფროსი მოსამზადებელი კლასი

1. კითხვა, განმარტება და გადათარგმნა რუსულ ენაზე ევანგე-

---

[1] პ ლ. ლ ე ჟ ა ვ ა, მოგონება ნ. ლომოურზე, 1944, გვ. 10 (გამოუქვეყნებელია).

ლიედან მათეს სახარების 2, 5, 7, 13, 14, 15, 17, 20, 21, 22, 24 და 25 თავებისა.

2. კითხვა, განმარტება, შინაარსის გადმოცემა და გადათარგმნა რუსულ ენაზე შემდეგი სტატიებისა, რომლებიც მოთავსებულია ი. გოგებაშვილის „ბუნების კარის“ I ნაწილში: „ბეღურა“, „მერცხალი“, „ბულბული“, „გუჟული“, „არწივი“, „სირაქლემა“, „ძაღლი“, „მგელი“, „ლომი“, „სპილო“.

3. კრილოვის იგავებისა და ლექსების ზეპირად დასწავლა: „მგელი და წერო“, „სპილო და კოლო“, „მაიმუნი და სარკე“, „მაიმუნი და სათვალე“, „ჟრიჟინა და ჭიანჭველა“, „მგელი და მელა“, „მგელი და გუგული“, „მგელი და თაგვი“, „გაზაფხულის ჭექა-ქუხილი“ — ტიუტჩევისა, „გაზაფხული“—რ. ერისთავისა, „ბზობა“—რ. ერისთავისა, „აღდგომა“—რ. ერისთავისა, „მკა“ —რ. ერისთავისა, „ყურძენის კრეფა“—რაფ. ერისთავისა, „ზამთარი“—რ. ერისთავისა.

4. გრამატიკა, სინტაქსი. წინადადების განსაზღვრება. ქვემდებარე და შემასმენელი. მათი განმარტება. წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები: დამატებები და განმარტებითი სიტყვები. გარემოებანი: დროისა, ადგილისა, მიზეზისა, მიზნისა და ვითარებისა. გავრცობილი და გაუვრცობელი წინადადება. მარტივი და რთული. პიროვნული და უპიროვნო წინადადებები. ეთიმოლოგია. ქართული ანბანის ასოები. მათი დაყოფა ხმოვნებად და თანხმოვნებად. მარცვალი. ერთმარცვლიანი, ორმარცვლიანი და მრავლმარცვლიანი სიტყვები. მეტყველების ნაწილები: არსებითი სახელი. სულიერი, უსულო და გონებაში წარმოსადგენი საგნები. არსებითი სახელები ზოგადი, საკუთარი და კრებითი. სქესი. რიცხვი. ბრუნვები. ზედსართავი სახელი. ზედსართავი სახელები: ვითარებითი და მიმართებითი. ხარისხები: დადებითი, შედარებითი და აღმატებითი. მათი ბრუნება. ნაცვალსახელი. ნაცვალსახელთა ჯგუფები: პირისა, ჩვენებითი, კუთვნილებითი, მიმართებითი, კითხვითი, განსაზღვრებითი და განუსაზღვრელობითი. რიცხვითი სახელი. რაოდენობითი და რიგითი, წილადი და კრებითი. მათი ბრუნება. ზმნა. ცნება ზმნისა. დამხმარე ზმნის უღლება. ცნება მიმღეობისა, კავშირისა და თანდებულებისა.

პირველი კლასი

1. კითხვა, განმარტება და გადათარგმნა ევანგელიედან იოანეს სახარების 2, 5, 8, 10, 11, 12, 13, 15, 18 და 19 თავებისა.

2. კითხვა, განმარტება, გადათარგმნა და შინაარსის გადმოცემა შემდეგი სტატიებისა: „ფუტკარი“, „აბრეშუმის ჭია“, „ჭიანჭვე-

ლა“, „მაიმუნი“, „გაზაფხული“, „შემოდგომა“, „ზამთარი“, „წვიმა“, „ქარი“.

3. ზეპირად შესწავლა კრილოვის შემდეგი იგავებისა და ლექსებისა: „ვირი და ბულბული“, „Парнас“, „ძაღლი და გამელელნი“, „მგელი და გუგული“, „მგელი და ორბი“, „Василёк“, „ღრუბლები“, „სამშობლო ხევსურისა“ — რ. ერისთავისა, „კავკასიონის მთები“— გრ. ორბელიანისა, „ისწავლეთ ძენო“ — ვახტ. ორბელიანისა, „სწავლა მოსწავლეთა“ — დ. გურამიშვილისა.

4. გრამატიკა. მოსამზადებელ კლასში გავლილი მასალის გამეორება. გავრცობილი წინადადების გარჩევა. მთავარი და დამოკიდებული წინადადებები. ზმნა. კილო: თხრობითი და გაურკვეველი (неопределённое). სახე სრული და უსრული. დრო: აწმყო, წარსული, დიდიხნის წარსული და მომავალი. უღლება. წარმოდგენა ზმნისართისა და შორისდებულის შესახებ.

მეოთხე კლასი

1. კითხვა, გამეორება და რუსულ ენაზე გადათარგმნა შესაქმედან (из книги Бытия) შემდეგი თავებისა: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 და 9.

2. კითხვა, განმარტება, გადათარგმნა და შინაარსის გადმოცემა შემდეგი სტატიებისა, რომლებიც „ბუნების კარის“ მეორე ნაწილშია მოთავსებული: 1. ქართლის ეთნოგრაფიული აღწერა: ქართლის ჰავა, ნიადაგი, მდინარეები, ქართლის მოსახლეობა. მთავარი საქმიანობა: მიწათმოქმედება. 2. კახეთის ეთნოგრაფიული აღწერა. ნიადაგი, მდინარეები, კახეთის მოსახლეობა. მთავარი საქმიანობა: მიწათმოქმედება. 3. იმერეთის ეთნოგრაფიული აღწერა. ჰავა, ნიადაგი, მდინარეები, მოსახლეობა, მთავარი საქმიანობა.

3. ზეპირად შესწავლა კრილოვის შემდეგი იგავებისა და ლექსებისა: „Парнас“, „Василёк“, „წინასწარმეტყველი“—პუშკინისა, „წინასწარმეტყველი“ — ლერმონტოვისა, ილ. ჭავჭავაძის თარგმანი. „ლოცვა“—ლერმონტოვისა, „ძეგლი“—პუშკინისა, „დავითის ფსალმუნი“, „მონასტერი მყინვარზე“ — ილ. ჭავჭავაძისა.

4. გრამატიკა. განმეორება წინაკლასებში გავლილი ყველა მასალისა. ზმნიზედა დროისა, ადგილისა, ვითარებისა, მიზეზისა, მიზნისა. ფანდებული. თანდებულები, რომლებიც გამოყენებულია არსებითი სახელთან ერთად და ცალკე. კავშირი და შორისდებული.

მესამე კლასი

1. კითხვა, განმარტება და გადათარგმნა დავითის შემდეგი ფსალმუნებისა: 1, 2, 3, 4, 6, 8, 9, 10, 12, 14, 16, 17, 18 და 20.

2. კითხვა, განმარტება, გადათარგმნა და შინაარსის გადმოცემა „ბუნების კარის“ მეოთხე ნაწილში მოთავსებული შემდეგი სტატიებისა: 1. ქართული ანბანის შესახებ, 2. ქრისტეს კვართის შესახებ. 3. წმ. ნინო და ქართველთა მონათვლა. 4. საეკლესიო-საღვთისმეტყველო წიგნების მთარგმნელები: ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. 5. დავით აღმაშენებელი, ისლამისაგან ქრისტიანობის დამცველი.

განმეორება ყველა ლექსისა, რომლებიც მოსწავლეებს უსწავლიათ I და II კლასებში.

4. გრამატიკის მთლიანად განმეორება“[1].

ამ პროგრამაში სამი მხარე იპყრობს ჩვენს ყურადღებას: 1. გრამატიკა ფართოდ არის წარმოდგენილი, 2. რელიგიური მასალები ჭარბადაა მოცემული და 3. ქართული ლიტერატურული მასალები, წინა პროგრამებთან შედარებით გაღარიბებულია.

რელიგიური მასალების პროგრამაში ჭარბად წარმოდგენა დირექტორ მ. ა. მიროპიევის მოთხოვნით უნდა აიხსნებოდეს (ასეთივე ხაზს სლოვინსკიც ატარებდა). ჩვენ ზევით უკვე ვაჩვენეთ, თუ რა ღვთისმორწმუნეობას და ეკლესიისადმი ერთგულებას იჩენდა მიროპიევი ამ საკითხში[2]. როგორც ჩანს, ნ. ლომოური იძულებული გახდა მის მიერ ოფიციალურად წარდგენილ პროგრამაში ამ საკითხებისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცია. ამით აიხსნება ქართულიდან რუსულ ენაზე სათარგმნელი სავარჯიშო სამუშაოების შერჩევის ხასიათიც (სახარება, დაბადება, დავითის ფსალმუნები).

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული „ქართული ენა“, ისე ფართოდ აღარაა გაგებული, როგორც ეს ჰქონდათ ა. ქუთათელაძეს, მ. ყიფიანს და თვითონ ნ. ლომოურს წინა და მომდევნო პერიოდში, როდესაც ქართული ენის პროგრამაში შეტანილი იყო საკმაოდ ვრცელი კურსი ქართული ლიტერატურიდან და საქართველოს ისტორიიდან.

გამორიცხულია შ. რუსთაველი, დ. გურამიშვილი, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ილ. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვ., რომელთაც მანამდე სიყვარულით ასწავლიდა ნ. ლომოური. მაგრამ, ჩვენ მოგვეპოვება სარწმუნო ცნობა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ნ. ლომოურს ოფიციალურად წარმოდგენილი პროგრამის გარდა ჰქონდა მეორე პროგრამაც ქართულ ენაში. დირექციისაგან მალულად იგი ბავშვებს მეორე პროგრამიდანაც ასწავლიდა.

---

[1] საქმე № 420, ფ. 80—82.

[2] იხ. ამ შრომის ერთი თავი „კადრები“, გვ. 60—75.

სოკრ. ძიმისტარიშვილი, რომელიც სემინარიაში 1900-დან 1903 წლამდე სწავლობდა, შემდეგს გადმოგვცემს: „ქართულის პროგრამა წერა-კითხვის შესწავლით და რამდენიმე იგავ-არაკის გაზეპირებით აჭიოწურებოდა. მაგრამ მასწავლებელი — ჩვენი დიდი მეგობარი — ნიკო ლომოური მოსწავლეთა ქართულში მომზადების მიხედვით ადიდებდა პროგრამას, ცხადია, ნამდვილად — კონტრაბანდად. ჩვენ საკმაო კარგად გავიარეთ ქართული ლიტერატურის ისტორია და სამოქალაქო ისტორიის მთავარი მომენტები მაინც"[1].

თ. სმირნოვის დროსაც ნიკო ლომოური ქართული ენის პროგრამას (ქართულ ენას, ქართულ ლიტერატურას და საქართველოს ისტორიას) ვრცლად გადიოდა. ბ. ჩიქობავას სიტყვით, „ლიტერატურის გაკვეთილებზე ნიკო ლომოური ფართოდ აშუქებდა ნაწარმოებში მოცემულ ეპოქებს და ისტორიულ ფაქტებს. ზედმიწევნით იცოდა საქართველოს ისტორია და ისე ცხოველად და მხატვრულად მოჰყვებოდა ისტორიულ ამბებს თავისი მშვენიერი ქართულით, რომ თითქოს თვითონ მათი უშუალო მონაწილე ყოფილიყო და ამას მარჯვედ და ლოგიკური თანმიმდევრობით ჩააქსოვდა ხოლმე ნაწარმოების გარჩევაში. წარსულ დროთა საგმირო საქმეებს, ჩვენ მამა-პაპათა და სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილთა საქმეებს მკაფიო ფერებით ისეთი სიცხადით ხატავდა, რომ წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

განა შეიძლება ნიკო ლომოურის ყოფილ მოსწავლეს დაავიწყდეს ვაჟა ფშაველას „ბახტრიონის", ილია ჭავჭავაძის „ქართვლის დედის", „დიმიტრი თავდადებულის", აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავის", „ნათელას", „ბაში-აჩუკის" შესწავლისას მისი დიდებული მასწავლებლის სულის ამამაღლებელი სიტყვები ქართველთა გმირობაზე და სამშობლოს სიყვარულზე!

... ისეთი გულისტკენით და შთაგონებით გადმოგვცა ნიკო ლომოურმა სახელგანთქმული ქართველი პოეტის დავ. გურამიშვილის „ქართლის ჭირის" გარჩევის დროს მე-18 საუკუნის დასაწყისში ფეოდალთა აღვირახსნილობით გამოწვეული საქართველოს დაბეჩავება, რომ უდიდესი გულის წყრომითა და სიძულვილით აგვავსო მაღალი წოდების მიმართ, რომელიც მოკლებული იყო ეროვნულ შეგნებას. ამასთანავე მთელი არსებით განგვაცცდევინა დიდი მამულიშვილის — დავით გურამიშვილის პატრიოტული სულისკვეთებით ნაკარნახევი მწარე სიტყვების სიმართლე და ძალა"[2].

---

[1] მოგონებები, 1934, გვ. 14.

[2] მოგონებები, 1949, გვ. 67—68.

შესანიშნავი იყო ნ. ლომოური როგორც პედაგოგი: დინჯი, მოსწავლეებთან აუღელვებელი და გულისხმიერი, მკაფიოდ მეტყველი და საგნის ღრმად მცოდნე, რომელსაც იშვიათად, თუ ვინმე შეედრებოდა გაკვეთილის გადაცემაში. „მის ყოფილ მოსწავლეებს არასოდეს არ დაავიწყდებათ ნიკოს მომხიბვლელი ბაასი დახვეწილი, ჯავარიანი, სადა ქართულით, რომელიც გაღღენთილი იყო ძარღვიანი და ხატოვანი ქართლური კილოს სურნელებით. ორატორის მანერები არ ჩვეოდა, ხოლო მისი ყოველი თქმა გულწრფელი და შთამაგონებელი იყო თავისი შინაგანი განცდით, რითაც ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელებზე. თითქოს საგანგებოდ შერჩეული სიტყვებით ლაპარაკობსო, მკაფიო ქართულის ნაჭედ წინადადებათა თავისუფალ ნაკადად დინება დიდ ძალასა და სილამაზეს აძლევდა მის მეტყველებას“[1].

ნ. ლომოურის ღვაწლი როგორც მოსწავლეთა მოსიყვარულე აღმზრდელისა და ქართული ენის მასწავლებლისა დაუვიწყარია სემინარიელთა ცხოვრებაში. თავისი სიცოცხლის ყველაზე ნაყოფიერი წლები მან ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს მოანდომა და მათ გულში წარუშლელი კვალი დასტოვა.

დასასრულ, ერთ საკითხსაც გვინდა შევეხოთ. ნიკო ლომოურს ქართველი საზოგადოება იცნობს, როგორც ნიჭიერ ხალხოსან მწერალს, რომელმაც იშვიათი რელიეფურობით დაგვიხატა ჩვენი გლეხების ტანჯული ყოფა-ცხოვრება. მაგრამ არსად ცნობილი არაა, რომ მას პირადად მონაწილეობა მიეღოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ არალეგალურ მუშაობაში. ყოველ შემთხვევაში აქამდე გამოქვეყნებულ მოგონებებში მის შესახებ და ოფიციალურ დოკუმენტებში, რომლებიც ხალხოსნების მუშაობას შეეხება, მისი გვარი არსად ნახსენები არაა.

როგორც ამჟამად ირკვევა, ნ. ლომოური აქტიურად მონაწილეობდა მოსწავლეთა შორის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული ლიტერატურის გავრცელებასა და მათ შორის რევოლუციური სულისკვეთების გამომუშავებაში.

ამის მკაფიო დამადასტურებელია გორის სამასწავლებლო სემინარიის ყოფილი მოსწავლის ილია რუხაძის „მოგონების“ ერთი ეპიზოდი.

„ერთხელ ნიკო ლომოურმა ჩუმად გამიხმო, მითხრა თავისი მისამართი და დამიბარა სახლში. კვირა დღე იყო. დიდი განცდებით მივუახლოვდი მისი ბინის კარებს და გაუბედავად შევეხე მას. კა-

[1] ბ. ჩიქობავა, მოგონებები, 1949, გვ. 61—62.

რები გამიღო ნიკომ და მიმიპატიჟა. რამდენიმე ახლად გამოსული წიგნი მომცა გადასათვალიერებლად. ცოტა სიჩუმის შემდეგ ბაასი გამართა. ბაასის საგანს რატომღაც თედო რაზიკაშვილი შეადგენდა. თედოზე იმ დღეს ბევრი მელაპარაკა, დამაინტერესა და ძალიან მომინდა თედოს ნახვა-გაცნობა. მაშინ თედო ხელთუბანში ცხოვრობდა. მეორე კვირას მე ხელთუბანში ამოვყავი თავი და თედოს მივადექი. თედო ეზოში საქმიანობდა, მიმიპატიჟა, კარგად ვისაუზმეთ, შემსვა ცხენზე და გამომაგზავნა. თან ერთი პატარა წიგნი მომცა —„ოთხი ძმა“ —წაიკითხე და შენს ამხანაგებსაც წააკითხეო. ამის შემდეგ თედო ხშირად ჩამოგვიქროლებდა თავისი იოროლა ცხენით, მოაგდებდა ცხენს ფანჯარასთან, გამოგვიძახებდა, შემოგვიგდებდა ქართულ წიგნს და გაჰქროლავდა ხელთუბნისაკენ“[1].

ვფიქრობთ, ეს ეპიზოდი საყურადღებოა და მნიშვნელობა აქვს ნ. ლომოურის ბიოგრაფიისა და მისი მსოფლმხედველობის გასათვალისწინებლად. და თუ იგი ხალხისანთა არალეგალურ წრეებში მომუშავედ არსად არ ჩანს, ეს აიხსნება იმით, რომ, როგორც ეტყობა, ის ძალიან კონსპირატულად მუშაობდა და გორში მომუშავე ხალხისანთა წრეებიც უაღრესად უფრთხილდებოდნენ მის დასახელება-გამჟღავნებას, როგორც საუკეთესო ქართველი მასწავლებლის, საზოგადო მოღვაწის და სამასწავლებლო სემინარიაში ერთადერთი დასაყრდენი პირისას. აქ მხედველობაში, ალბათ, წარსულის გამოცდილებაც იყო მიღებული, კერძოდ, მ. ქ. ყიფიანის სემინარიაში დაპატიმრების ფაქტი.

წერითი სამუშაოები

წერით სამუშაოებს, მის ხარისხს და მრავალფეროვნებას სემინარიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა დ. დ. სემიონოვის დროიდან. მოსწავლეებისაგან ლამაზ კალიგრაფიასთან ერთად მოითხოვდნენ აზრის ზუსტად და მკაფიოდ გადმოცემას, მსჯელობის ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბებას და თხზულების ნაწილთა შორის პროპორციის დაცვას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: წერითი სამუშაოები ახლდა არა მარტო ისეთ საგნებს, როგორიც არის რუსული ენა და ლიტერატურა, ადგილობრივი ენები (ქართული, სომხური, აზერბაიჯანული) და მათემატიკა, არამედ პედაგოგიკას, ისტორიას, გეოგრაფიას, ბუნებისმეტყველებას და სხვა საგნებსაც. ამ შემთხვევაში მოსწავლეებს ე. წ. „ვადიანი სამუშაოები“ ეძლეოდათ და ის კლასში არ სრულდებოდა, მაგრამ

[1] ილ. რ უ ხ ა ძ ე, მოგონებანი ნ. ლომოურზე, 1944, გვ. 6—8.

მათი განხილვა გულდასმით წარმოებდა და დიდ როლს თამაშობდა მოსწავლეთა წერითი კულტურის ამაღლების საქმეში.

ხასიათის მიხედვით წერითი სამუშაოები შეიძლება გაიყოს სამ ძირითად ჯგუფად: საკლასო-სავარჯიშო, საგამოცდო-საკონტროლო და საშინაო ანუ ვადიან წერით სამუშაოებად. რუსულ ენასა და ლიტერატურაში წერითი სამუშაოების სახეები და სამუშაოთა რაოდენობა თითოეულ მოსწავლეზე მეოთხედი ფურცლების ძიხედვით (количество работ одного ученика в четвертях листа по классам) ასეთ სურათს იძლეოდა ა. სლოვინსკის დირექტორობის დროს (1895—1902):

სამუშაოთა სახეები	უმცროსი ნოსაბ. კლასი	უფროსი ნოსაბ. კლასი	I	II	III
1. კარნახი . .	15	14	25	6	—
2. შინაარსის გადმოცემა .	15	8	—	—	—
3. გრამატიკული ვარჯიშობანი . .	24	12	9	—	—
4. თხზულებანი:					
ა) საშინაო განსაზღვრულ დროში წარმოსადგენად .	—	12	11	14	1
ბ) საკლასო	—	—	—	4	2
5. საგამოცდო სამუშაოები (სხვადასხვა სახისა)	8	6	20	17	4
6. ლექსებისა და სხვათა მახსოვრობით წერა . . .	19	—	—	—	—
7. ლექსებისა და სხვა მასალების ალბომი	36	38	28	15	—
8. ერთ-ერთი სახელმძღვანელოს გარჩევა[1]	—	—	—	—	6
9. სუფთა წერა[2] . .	15	11	—	—	—

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, კარნახს, შინაარსის გადმოცემას და გრამატიკულ გარჩევებს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა უმცროს მოსამზადებელ, უფროს მოსამზადებელ და I კლასებში, თხზულებათა წერას, რომელთაგან დიდი ნაწილი ვადიანი იყო და შინ სრულდებოდა უფროს მოსამზადებელ, I და II კლასებში; საგამოცდო წერებს (ეს იგივე საკონტროლო წერაა) ყველა კლასში ექცევა

[1] იგულისხმება წერილობითი გარჩევა. ამავე დროს მკითხველს გვინდა მოვაგონოთ, რომ სახელმძღვანელოების გარჩევა დ. სემიონოვის დროს ხდებოდა II კლასში, შემდეგ ეს წესი შეცვლილა და III კლასში გადაუტანიათ.

[2] Закавказская учительская семинария..., Тифлис, 1901, стр. 77—78.

სათანადო ყურადღება, მაგრამ I და II კლასებში ყველაზე დიდი რაოდენობით ტარდებოდა.

ცალ-ცალკე რომ შევაჯამოთ სხვადასხვა სახის წერითი სამუშაოების რაოდენობა, რაც სასწავლო წლის მანძილზე მოდიოდა რუსულ ენასა და ლიტერატურაში — თითოეულ მოსწავლეზე, ასეთ სურათს მივიღებთ:

I. უმცროსი მოსამზადებელი კლასი (ამ კლასში მხოლოდ მაჰმადიანი ბავშვები სწავლობდნენ)	132
II. უფროსი მოსამზადებელი კლასი	101
III. პირველი კლასი	93
IV. მეორე კლასი	56
V. მესამე კლასი . . .	13

დიდი ნაწილი ამ წერით სამუშაოებიდან დათმობილი ჰქონდა სპეციალურ ალბომში ლექსებისა და სხვა მასალების გადაწერას, რაც, როგორც ჩანს, ლამაზი კალიგრაფიის გამომუშავებას ემსახურებოდა. შემდეგ, თხზულებათა წერა უმთავრესად ხდებოდა საშინაო დავალების სახით და არა კლასში. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: III კლასში თითოეულ მოსწავლეზე მოდის 13 წერითი სამუშაო. აქედან: თხზულება — 3, საგამოცდო (საკონტროლო) წერა — 4 და სახელმძღვანელოს წერილობითი გარჩევა — 6. წერითი სამუშაოების მცირე რაოდენობა სხვა კლასებთან შედარებით მესამე კლასში იმით აიხსნება, რომ გამოსაშვები კლასის მოსწავლეთა მუშაობის ძირითადი ცენტრი პრაქტიკულ მეცადინეობაზე იყო გადატანილი.

თხზულებათა ხასიათი ასეთია: „შრომის მნიშვნელობა ცხოვრებაში“, „ხასიათი და ჯიუტობა“, „ოჯახი და სკოლა ადამიანის აღზრდის საქმეში“, „ცხოვრება და სკოლა“ და სხვ. (II კლასი), „ასოთშეერთებისა და მარცვალთშეერთების საშუალებების (მეთოდების — მ. კ.) არსი და მათი ნაკლოვანებანი“, „დისციპლინის როლი დაწყებით სკოლებში და საერთოდ ადამიანის ცხოვრებაში და მისი მნიშვნელობა“ და სხვ. (III კლასი).

დაწყებითი სკოლების სახელმძღვანელოების წერილობით გარჩევაში გვხვდება: „Курс русского языка“ — ლევიცკისა, „Русская речь“—ვოლპერისა, „Русский букварь“ —ვახტეროვისა, „Русское слово“—ი. გოგებაშვილისა, „Азбука“ — ბუნაკოვისა და სხვ.[1]

---

[1] А. Словинский, Закавказская учительская семинария..., Тифлис, 1901, стр. 79—80.

ადგილობრივ ენასა და ლიტერატურაში (ქართული, სომხური, აზერბაიჯანული) წერით სამუშაოებს ეკავათ გვერდების შემდეგი რაოდენობა (Число страниц в четвертях листа):

	ენების დასახელება	უმცროსი მოსამზ. კლასი	ეფორეული მოსამზ. კლასი	I	II	III
I	ქართული ენა .	—	19	50	14	14
II	სომხური ენა .	—	21	—	—	14
III	თათრული (აზერბაიჯანული)	29	42	37	22	18

ამასთან დაკავშირებით სლოვინსკი შენიშნავს: „Учителя местных языков стремились установить связь между своим предметом и другими предметами преподавания, как-то: Законом божиим, русским языком, педагогикой и т. д. С этой целью на уроках туземных языков назначались самостоятельные сочинения (на местных языках) или переводы с русского языка на туземный и наоборот“[1].

ზევით ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ წერითი სამუშაოები რუსულის, ქართულის, სომხურის, აზერბაიჯანულის და მათემატიკის გარდა ტარდებოდა სხვა საგნებშიც, კერძოდ, პედაგოგიკაში. სლოვინსკის სიტყვით, „მესამე კლასის აღსაზრდელები პედაგოგიკის გაკვეთილზე ეცნობიან გამოჩენილი პედაგოგების (კომენსკი, ლოკი, რუსო, პესტალოცი, ფრებელი, დისტერვეგი, უშინსკი, პიროგოვი და სხვ.) ნაწარმოებებს და სასწავლო ოლქის სახელმძღვანელო ცირკულარებს. საკლასო მეცადინეობა ღრმავდება მოსწავლეთა განსაკუთრებული თხზულებებით, უმთავრესად დამოუკიდებელი კითხვისა და ნაწილობრივად თავიანთი პირადი პედაგოგიური დაკვირვებების საფუძველზე“[2].

საწერი თემები (განსაკუთრებით ვადიანი) მოსწავლეებს მრავალფეროვანი სახით და კარგად მოფიქრებული გეგმით ეძლეოდათ. ჩვენ აქ ნიმუშად მოვიტანთ III კლასის მოსწავლე მაღრაძის თხზულების გეგმას[3].

კონსტანტინე დიმიტრის-ძე უშინსკი

მოკლე გეგმა

ა. მისი ცხოვრება, პედაგოგიური მოღვაწეობა, მთავარი პრინციპები და მათი მნიშვნელობა.

[1] Закавказская учительская семинария..., Тифлис, 1901, стр. 87.

[2] იქვე, გვ. 19.

[3] თხზულება დაწერილია 1900—1901 სასწავლო წელს.

I. შესავალი. უშინსკის ბიოგრაფიის მნიშვნელობის შესახებ.

II. უშინსკის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ბ. მთავარი პედაგოგიური აზრები უშინსკის სტატიებიდან:

I. პედაგოგიური ლიტერატურის სარგებლიანობის შესახებ. საზოგადოებრივ აღზრდაში ხალხურობის შესახებ. შრომის ფსიქიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. საზოგადოებრივი აღზრდა ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიასა და ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში. წერილები შვეიცარიიდან სამასწავლებლო სემინარიების შესახებ.

II. უშინსკი პიროგოვის პედაგოგიური შეხედულებების შესახებ.

III. მიზანი და დანიშნულება უშინსკის კაპიტალური შრომისა: „ადამიანი, როგორც აღზრდის საგანი“.

IV. უშინსკის აღზრდისა და სწავლების სისტემა.

გ. დასკვნა:

უშინსკის აღზრდის სისტემის მნიშვნელობა. უშინსკი, როგორც უპირველესი რუსი პედაგოგი და სახალხო მასწავლებელი“[1].

ასეთივე სახით იწერებოდა თემები სხვა საგნებშიც. მათ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ მოსწავლეთა განვითარების საქმეში. ამას ადასტურებს გორის სამასწავლებლო სემინარიის აღზრდილი ბ. ჩიქობავაც თავის „მოგონებაში“.

„მეტად უწყობდა ხელს ჩვენში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების დანერგვას, ეგრეთ წოდებული, „ვადიანი სამუშაოები“. ყოველი ორი კვირის განმავლობაში უნდა დაგვეწერა საკმაოდ ვრცელი თხზულება (დაახლოებით ერთი რვეული) ამა თუ იმ საგანში (ლიტერატურაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში, ბუნებისმეტყველებაში...) მოცემულ თემაზე.

საგნის მასწავლებელი მოგვცემდა თემას, დაასახელებდა საჭირო ლიტერატურას, დამუშავების პროცესში გვიწევდა კონსულტაციას და მტკიცედ მოითხოვდა ჩვენგან დანიშნულ ვადაზე თხზულების ჩაბარებას. ამ თხზულებებს მასწავლებლები ისე გულდასმით ასწორებდნენ, როგორც საკლასო წერითს ნამუშევრებს და ხშირად შესაფერ რეცენზიებსაც ურთავდნენ. „ვადიანი სამუშაოების“ შესრულება ყველა მოსწავლისათვის სავალდებულო იყო და სემესტრული ნიშნების გამოყვანის დროს მასწავლებელი მხედველობაში ღებულობდა მოსწავლის „ვადიანი ნამუშევრების“ ხარისხს. ხალისით და მონდომებით ვასრულებდით „ვადიან სამუშაოებს“, საკითხების საფუძვლიანად გაშუქების მიზნით ფართოდ ვეცნობოდით სათანადო ლიტე-

---

[1] ა. სლოვინსკი, იგივე წიგნი. გვ. 25.

რატურას, ვაწარმოებდით დაკონსპექტებას, დათეზისებას, საყურადღებო ადგილების ამოწერას, ერთი სიტყვით, ვეჩვეოდით წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობას. სანამ მასწავლებელს ჩავაბარებდით ჩვენს თხზულებებს, ვუკითხავდით ერთმანეთს და უნდა შეგეხედათ, რა კმაყოფილების გამომეტყველებით და თავმომწონედ კითხულობდა ავტორი თავის ნამუშევარს თან ასახელებდა იმ წიგნებს, რომლებიც გამოიყენა, რაც კლასგარეშე კითხვის ძლიერ სტიმულს გვაძლევდა. ზოგიერთი საკითხის გარკვევაში წავედაევებოდით ავტორს, გაიმართებოდა ცხარე კამათი და ამრიგად ვვარჯიშობდით მსჯელობაში"[1].

წერითი სამუშაოების ასეთი სერიოზული დამოკიდებულებით აიხსნებოდა, რომ სემინარიის კურსდამთავრებულნი კარგად იყვნენ დაუფლებულნი წერის კულტურას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოსვლის შემდეგ ბევრმა მათგანმა შესძლო საინტერესო ნარკვევებისა და ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალების გამოქვეყნება კრებულში „Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа", რომელთაც კავკასიის სასწავლო ოლქი სცემდა.

დასასრულ, ჩვენ გვინდა შევეხოთ რუსული ასოების გამარტივებული შრიფტის შემოღების საკითხს. რაში მდგომარეობდა ის?

სოკრ. ძიმისტარიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „სემინარიამ ჩემს დროს აწარმოა ცდა რუსული დამწერლობის რეფორმაზე. სემინარიამ შემოიღო დიდი ასოების, როგორც განსაკუთრებული მოხაზულობის ნიშნების ნაცვლად, წესი გადიდებული უბრალო ასოების ხმარებისა (П-ს მაგივრად—п, Б-ს მაგივრად—б და ა.შ.). ვწერდით არა Богородский, არამედ—богородский). ეს შრიფტი სამოსწავლო ოლქმა მოიწონა და ხმარების ნებართვა მისცა სემინარიას. შესაძლოა ამ გაუბრალოებულ დამწერლობას მართლაც მოქალაქეობრიობა მოეპოვებინა, მაგრამ იგი ახალმა დირექტორმა (სლოვინსკის შემდეგ მიროპიევი იყო დირექტორად. მ. კ.), რომელიც გაჯავრებული იყო სლოვინსკიზე, მოსვლისთანავე მოსპო"[2].

ცდა რუსული შრიფტის გამარტივების შესახებ, როგორც ჩანს, მანამდისაც წარმოებდა. მაგალითად, სტრელეცკი თავის დაწერილ ანგარიშებში ბევრგან ხმარობს ამ გამარტივებულ შრიფტს. მაგრამ სემინარიაში მისი გამოყენება ოფიციალურად ნებადართული იქნა 1898 წლიდან. შრიფტზე მუშაობდა განსაკუთრებული კომისია და

---

[1] მოგონებანი, 1949, გვ. 36—37.

[2] მოგონებანი, 1934, გვ. 11.

შემდეგ კი მთლიანად სემინარიის პედაგოგიური საბჭო, რომელმაც მოიწონა საბოლოო სახე გამარტივებული რუსული დამწერლობისა. ა. სლოვინსკის მის ღირსებად მიაჩნია:

„а) этот шрифт не страдает излишней величиной букв, как шрифты некоторых других образцов;

б) имеет весьма небольшой наклон, что, не вредя правильности русского письма, благоприятствует чёткости его и отвечает письменным навыкам некоторых кавказских народов;

в) отличается отсутствием всех тех придатков и завитков в буквенных начертаниях, которые, не увеличивая чёткости письма, напрасно увеличивают труд пишущего;

г) шрифт этот не слишком растянут, не слишком сжат;

д) не заключает в себе особых заглавных букв: этим упрощается как обучение письму, так и самое письмо, а равно облегчается и чтение"[1].

გამარტივებული რუსული შრიფტის შემოღება მიზნად ისახავდა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში ადგილობრივ მკვიდრთათვის რუსული წერა-კითხვის დაუფლების გაადვილებას.

აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ქართული დამწერლობა პირდაპირია და არა დახრილი.

ამ საკითხის ამგვარი გადაჭრა, ვფიქრობთ, დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის გავლენასაც უნდა მიეწეროს. ი. გოგებაშვილი თავგამოდებულად იცავდა პირდაპირ ხელს არა მარტო ქართულის, არამედ რუსული დამწერლობისათვისაც. ჯერ კიდევ 1886 წლის გაზ. „დროების" № 252-ში გაილაშქრა ი. გოგებაშვილმა ირიბი ხელის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ, 1894 წელს სპეციალურ სტატიაში „Нормальное письмо" იგი წერდა: „В Западной Европе и России в течение целых столетий косое письмо признавалось более удобным, изящным и гигиеничным и царило безраздельно во всех школах и семьях. Прямое—же письмо считалось просто невозможным во всех отношениях. Едва ли не одни только грузины являлись в этом вопросе еретиками и не только не верили в непогрешимост педагогического догмата о безусловных преимуществах косого письма, но упорно держались прямого начертания букв, находя его более красивым, лёгким и здоровым... Столетния усилия не могли их заставить отказаться от своего излюбленного верти-

[1] Закавказская учительская семинария..., Тифлис, 1901, стр. 97.

кального письма и подчинить свой алфавит наклонному начертанию... Кто мог думать, что в самом близком будущем маленькие Закавказские еретики в каллиграфии окажутся правыми, а большие ортодоксалисты Европы ошибающимися... Не подлежит никакому сомнению, что прямое письмо в близком будущем воцарится во всех школах"[1].

თავი რომ დავანებოთ საკითხის პრინციპულ მხარეს, ფაქტად რჩება მაინც, რომ გორის სამასწავლებლო სემინარიამ გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი ადგილობრივი ენების დამწერლობასთან ერთგვარი დაახლოებისა ტექნიკური თვალსაზრისით — რუსულ გამარტივებულ შრიფტს მისცა ძალიან მცირე დახრილობა და ამით დაუახლოვა პირდაპირ ხელს, ხოლო დიდი ასოები (Прописные буквы), რომლებიც კერძოდ ქართულში არ არის, შესცვალა პატარა ასოების გადიდებული ფორმატით. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, გამარტივებულ შრიფტს მხოლოდ რამდენიმე წელიწადს ჰქონდა მოპოვებული უფლება სემინარიაში გამოყენებისა. ა. სლოვინსკის შემცვლელმა მ. მიროპიევმა მისი ხმარება სასწავლებელში მოსვლისთანავე აღკვეთა.

რაც შეეხება გრიგორიევს, რომელიც მხოლოდ ერთ სასწავლო წელს (1909—1910) იყო დირექტორად, მან ნება დართო ცდის სახით შემოეღოთ პირდაპირი ხელი, რასაც მოითხოვდა სემინარიის მასწავლებელთა საგანგებო კომისია. 1909 წლის 15 დეკემბრის სხდომაზე ამ კომისიამ, რომელიც შედგებოდა მასწავლებლების ზუბკოვის, კოკოლევსკის, მალინინის, ლიუტოსტანსკის, ტერ-არუთინოვის, პოპოვის, ყიასაშვილის და სხვებისაგან, მოისმინა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ვ. კარპოვის მოხსენება პირდაპირი ხელის სასარგებლოდ. კარპოვს ენერგიულად დაუჭირეს მხარი მალინინმა, ყიასაშვილმა და ლიუტოსტანსკიმ. წინააღმდეგ გაილაშქრეს არუთინოვმა და ზუბკოვმა. გაცხოველებული კამათის შემდეგ კომისიამ მიიღო ასეთი დადგენილება: „Решение вопроса о прямом и косом письме в комиссии приняло следующую форму: признавая теоретически имения преимущества прямого письма над косым и не отрицая достоинства, присущия последнему, комиссия, в виду убедительности опытов для всех, постановила, учредить таковыя при семинарии с 1 сентября 1910 года: учителю татарского при Закавказской учительской семинарии училища Мухтарову предложено заняться производством опытов над косым письмом, строго придерживаясь всех прин-

---

[1] Я. Гогебашвили, Нормальное письмо, Тифлис, 1894, стр. 5—6.

ципов последнего; учителю первого класса русского двухклассного училища, Л. Х. Киясову предложено ввести прямое письмо в первом отделении с января месяца 1910 года"[1].

რა ბედი ეწია ამ ცდას, ან რა შედეგები მოიტანა მან სემინარიაში, ამჟამად გამოურკვეველია.

ინტერესს არ იქნება მოკლებული წერითი ნამუშევრების გასწორების წესსაც შევეხოთ. ამ საკითხში ყველა მასწავლებელს თავისი შეხედულება და გასწორების ხერხები და პირობითი ნიშნები გააჩნდა.

1893 წლის 17 სექტემბრის სხდომაზე პედაგოგიურმა საბჭომ შემოიღო ერთნაირი პირობითი ნიშნები წერით ნამუშევრებში დაშვებული შეცდომების აღსანიშნავად და დააკანონა ზოგიერთი ტექნიკური წესი წერითი სამუშაოს შესრულების დროს[2].

პედაგოგიური საბჭოს მიერ მოცემული პროექტი ასეთი სახისა იყო:

1. მოსწავლის ყოველი წერითი ნამუშევარი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, თუ წინა სამუშაოს უკვე უკავია ნახევარი გვერდი ან მასზე მეტი.

2. მინდორში (არშიაზე) აღინიშნება სამუშაოს შესრულების დრო და ადგილი სიტყვით: „სახლში" ან „კლასში"[3]. სამუშაოს დასახელების წინ იწერება ნომერი.

3. ნამუშევრის გასწორება ხდება შესრულებული სამუშაოს ქვევით, ამასთან გაუკეთდება წარწერა: „ნამუშევრის გასწორება".

4. V ნიშანი აღნიშნავს კალიგრაფიულ შეცდომას, რომელიც დაშვებულია ან ცალკე ასოს დაწერაში, ან სიტყვაში. მისი გასწორება ხდება არშიაზე, სათანადო ადგილას. ასო ან სიტყვა იწერება სამჯერ.

5. V ნიშანი მიუთითებს გამოტოვებას. გამოტოვებული სიტყვა იწერება სათანადო ადგილას, არშიაზე, ერთხელ.

6. — ნიშანი აღნიშნავს ორთოგრაფიულ შეცდომას. ასეთი შეცდომები მასწავლებლის მიერ აღინიშნება ციფრებით. დაშვებულ შეცდომებს მოსწავლე სწორი ხაზით წერს „ნამუშევრის გასწორებაში". თუ შეცდომა სიტყვაშია, ის უნდა დაიწეროს გასწორებული სახით სამჯერ, ან ცალკე, ან სხვა სიტყვებთან ერთად.

---

[1] საქმე № 1025, ფ. 3.

[2] პროექტი შემუშავებული იყო რუსული ენის მასწავლებელ ალექსანდრე დანიელის-ძე იტალინსკის მიერ. იტალინსკი სემინარიაში მასწავლებლად 1893 წლის 20 აგვისტოდან დაინიშნა.

[3] როგორც ჩანს, საკლასო და საშინაო წერითი სამუშაოები ერთ რვეულში სრულდებოდა.

თუ შეცდომა სასვენ ნიშნებშია, მაშინ სათანადო ნიშნით ერთხელ დაიწერება ერთი წინადადება, ხოლო ორჯერ, თუ შეცდომა წინადადებებს შორის არის.

თუ შეცდომა სიტყვის გადატანაშია, მაშინ სიტყვა დამარცვლილი სახით დაიწერება სამჯერ. გამოყოფილი მარცვლები უჩვენებს, თუ საიდან შეიძლება სიტყვის გადატანა წერის დროს.

გადაწერა ყოველი გასწორებული შეცდომისა, „ნამუშევრების გასწორებაში" ხდება ახალი სტრიქონიდან, რომელიც შესაბამისი ციფრით უნდა იწყებოდეს.

7. ——— ნიშანი გვიჩვენებს სტილისტიკურ შეცდომას. ეს შეცდომაც მასწავლებელმა ციფრით უნდა აღნიშნოს. სტილისტიკური შეცდომა გასწორდება ერთხელ, სათანადო ციფრის აღნიშვნით.

8. თუ მოსწავლემ შეცდომა „ნამუშევრის გასწორებაში" დაუშვა, მისი გასწორება ხდება არშიაზე, სათანადო ადგილას.

9. შეცდომის გასწორება მოსწავლის მიერ ხდება მაშინვე, როგორც კი რვეულს მიიღებს.

10. ის მოსწავლეები, რომლებსაც სურთ დამოუკიდებლად გაასწორონ შეცდომები, ოდნავ გახაზავენ შეცდომით დაწერილ ასოს ან სიტყვას და ზევიდან დააწერენ მათ სწორ ფორმას და არა არშიაზე"[1].

ამ ღონისძიებათა გატარებამ ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ სემინარიის ერთისა და იმავე საგნის სხვადასხვა მასწავლებელი ერთნაირ პირობით ნიშნებს მიმართავდნენ წერითი ნამუშევრების გასწორების დროს. ამიტომ მოსწავლეებს დრო აღარ ეკარგებოდათ შემდგომ კლასებში გადასვლისას სხვა მასწავლებლის ახალ პირობით ნიშნებს გასცნობოდნენ.

კლასგარეშე კითხვა. ბიბლიოთეკა. ლიტერატურული დილები

გორის სამასწავლებლო სემინარიაში სერიოზული ყურადღება ექცეოდა მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვას. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ხშირად ირჩეოდა ეს საკითხი და სათანადო ღონისძიებები ისახებოდა. მაგრამ თუ სემინოვის დროს კლასგარეშე კითხვის მიზანი მოსწავლეთა გონებრივი ჰორიზონტის გაფართოება, მხატვრული გემოვნების გამომუშავება და ცალკეულ საგნებში გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავება იყო, შემდეგში კლასგარეშე კითხვას თვითმპყრობელობისადმი ერთგულების გრძნობის აღზრდაც დააკისრეს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამგვარი ლიტერატურის შერჩევასთან ერთად მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ

[1] საქმე 471, № ფ. 17.

წაეკითხათ მსოფლიო და რუსული ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენელთა მხატვრული ქმნილებანიც.

ს. სტრელეცკი 1890 წლის „ანგარიშში“ აღმზრდელობით საკითხებთან დაკავშირებით წერდა: „აღსაზრდელებში პატრიოტული გრძნობის განვითარებისათვის მიმდინარეწელ საც მთავარი ყურადღება ექცეოდა იმას, რომ მათ ჰქონდეთ საკმაოდ სწორი წარმოდგენა იმ მდგომარეობის შესახებ, რომელშიც იმყოფებოდა კავკასია რუსების მფლობელობის დამყარებამდე და ყველა იმ კეთილსასურველ ცვლილებებზე, რომლებიც მოხდა რუსული მმართველობის შედეგად, რომ ისინი გაცნობოდნენ რუსეთის ისტორიის საამაყო ფურცლებს და აგრეთვე რუსეთის კოლოსალურ სიდიადესა და სიმდიდრეს.

ამ მიზნის მისაღწევად, გარდა საუბრებისა, გამოყენებულია სათანადო თხზულებების კლასგარეშე წაკითხვა. გარდა ამისა რუსული ენის მასწავლებლები მოწაფეთა ყურადღებას, როგორც ახსნითი კითხვის გაკვეთილებზე, ისე სალიტერატურო საღამოებზე უმთავრესად ამახვილებენ იმ ნაწარმოებებზე, რომლებიც გაჟღენთილია ტახტისა და სამშობლოსადმი უდიდესი ერთგულებით („სამშობლოს სიყვარულისა და ეროვნული სიამაყის შესახებ“ — კარამზინისა, „რუსეთი“ ნიკიტინისა, „მოქალაქე მინინი“ — ზაგოსკინისა“)[1] და ა. შ.

სამასწავლებლო სემინარიის დამრიგებლები თითოეული კლასისათვის ცალ-ცალკე ადგენდნენ სიას რეკომენდებული ლიტერატურისას, რომელსაც უნდა გასცნობოდნენ მოსწავლეები.

1887 წლის 23 თებერვალს დამრიგებლების კომისიამ თავის სხდომაზე კლასგარეშე კითხვის დარგში შემდეგი წესი შეიმუშავა: განსაზღვრა თითოეული კლასისათვის წასაკითხი მასალა, რომელიც გაჰყო ორ ნაწილად: სავალდებულოდ და არასავალდებულოდ. წიგნების სია უნდა გამოკრულიყო ყოველ კლასში თვალსაჩინო ადგილას. როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო ლიტერატურის წაკითხვა-შეთვისების შემოწმება ტარდებოდა დამრიგებლების მიერ თავიანთი სპეციალობის მიხედვით ამნაირად: არა სავალდებულო მასალისა — ზეპირი გამოკითხვით, ხოლო სავალდებულოსი — წერილობითი ანგარიშის სახით. წაკითხულის შემოწმება მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს წარმოებდა. ახალი წიგნები აღსაზრდელებს მიეცემოდათ მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც წარმოადგენდნენ მასწავლებლის წერილს წინათ წაკითხულის შემოწმების შესახებ[2].

სანიმუშოდ ჩვენ აქ მოვიყვანთ სიას იმ წიგნებისას, რომლებიც

---

[1] საქმე № 581, ფ. 62.

[2] საქმე № 224, ფ. 135.

უნდა წაეკითხათ საავალდებულო სახით 1887 წლის თებერვლიდან სასწავლო წლის დამთავრებამდე უფროსი მოსამზადებელი კლასის მოსწავლეებს. სიაში დასახელებულია: 1. ჟუკოვსკი — თხზულებათა კრებული I, II, III და IV ტომი; 2. კოლცოვი — ლექსები; 3. რადოჟენსკი — სამშობლო (სტატიების კრებული); 4. „იასნაია პოლიანა"-დან (მოთხრობები); 5. აფანასიევი — საბავშვო ზღაპრები; 6. დეფო — „რობინზონ კრუზო"; 7. დალი — სურათები რუსი ბავშვების ცხოვრებიდან; 8. მაინ რიდი — მოთხრობები; 9. ტოლსტოი — ყრმობა (მოთხრობები ბავშვებისათვის); 10. ჟიულ ვერნი — „კაპიტან გრანტის თავგადასავალი"; 11. პუშკინი — „კაპიტანის ქალიშვილი", 12. ტურგენევი — „ბირიუკი"; 13. გოგოლი — „რუსული ბიბლიოთეკა"; 14. პუშკინი I და II ტომი (სასკოლო გამოცემა); 15. ანენსკაია — „რობინზონი"; 16. ტური — „კატაკომბები"; 17. ერშოვი — „კონიოკ გორბუნოკ"; 20. ბიჩერ - სტოუ — „ბიძია თომას ქოხი"; 21. ნიკიტინი — ლექსები და ა. შ.[1]

დამრიგებელთა კომისიის გადაწყვეტილებით თითოეულ აღსაზრდელს ამ სიიდან უნდა მისცემოდა ერთი-ორი თხზულება, რომელთა ირგვლივაც მკითხველ-მოსწავლეს უნდა შეესრულებინა პატარა წერითი სამუშაო. გარდა ამისა მოსწავლეებს ეძლეოდათ სია არასავალდებულო ლიტერატურისა, რომელიც სურვილის მიხედვით უნდა წაეკითხათ.

ასეთივე სიები ცალ-ცალკე იყო შედგენილი I, II და III კლასების აღსაზრდელებისათვისაც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დამრიგებლები და ცალკეული საგნის მასწავლებლები ზუსტად ამოწმებდნენ მოსწავლეთა მიერ წაკითხული წიგნების გაგება-შეთვისების ხარისხს და ყოველთვის აძლევდნენ მათ სათანადო რჩევა-დარიგებას.

აღსაზრდელების ლიტერატურით მომარაგება ძირითადად ხდებოდა სემინარიის ბიბლიოთეკით, რომელიც ორი განყოფილებისაგან შედგებოდა: ერთს ეწოდებოდა ფუნდამენტალური და მეორეს — მოსწავლეთა ბიბლიოთეკა. ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა მომსახურებას მარტოოდენ მასწავლებლებს უწევდა და სემინარისტებს იქიდან წიგნებით სარგებლობის უფლება არ ჰქონდათ.

1906 წელს ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში ირიცხებოდა სხვადასხვა სახელწოდების 2577 წიგნი. ეგზემპლართა რაოდენობა აღწევდა 4788-ს. მოსწავლეთა ბიბლიოთეკაში — 2526 სახელწოდების წიგნი, 3594 ეგზემპლა-

---

[1] საქმე № 224, ფ. 136.

რის რაოდენობით[1]. რაც შეეხება ქართულ წიგნებს, მას მოსწავლეები შოულობდნენ თავის ნაცნობ-მეგობრებისაგან და ფარულად კითხულობდნენ.

საერთოდ კლასგარეშე კითხვას, როგორც სოკრ. ძიმისტარიშვილი გადმოგვცემს, სემინარიაში „ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეკავა. საგნის მასწავლებელი ადგენდა შესაფერისი წასაკითხი წიგნების სიას თვითეული კურსისათვის ცალკე. ისაზღვრებოდა დაახლოებით დრო, როდის უნდა წაკითხულიყო მოცემული ლიტერატურა. აღსაზრდელები ვალდებული იყვნენ წაკითხული ლიტერატურიდან გაეკეთებინათ ამონაწერები თავისი შეხედულების მიხედვით. მასწავლებელი ასეთ საერთო რვეულებს უთუოდ გადახედავდა და ხელს მოაწერდა“[2].

ასეთი წესი კლასგარეშე კითხვის საქმეში ჯერ კიდევ ადრე იქნა შემოღებული. მაგალითად, 1884 წლის 4 და 8 თებერვლის სხდომაზე საგანგებო კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა კლასგარეშე კითხვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, დაადგინა:

„1. აუცილებელია თითოეულმა მოსწავლემ შემოიღოს რვეული, რომელშიც უნდა ჩასწერონ წაკითხული წიგნების სახელწოდებანი. ამავე რვეულში აღინიშნება წაკითხულის შემოწმებაც. მხოლოდ შემოწმების შემდეგ შეიძლება მიეცეს მოსწავლეს სხვა წიგნი. ეს რვეულები უნდა ინახებოდეს სემინარიაში აღსაზრდელის სწავლის მთელ პერიოდში.

2. მოწაფეთა მიერ ჟურნალებში წაკითხული სტატიების სათაურები შეტანილ უნდა იქნეს რვეულში.

3. თითოეულმა მასწავლებელმა უნდა შეადგინოს სარეკომენდაციო წიგნების სია (კლასების მიხედვით). სია უნდა ინახებოდეს საკლასო ჟურნალთან ერთად.

4. ის წიგნები, რომლებიც შეტანილი არაა სიაში, მოწაფეებს შეიძლება მიეცეთ სათანადო საგნის მასწავლებლის რეკომენდაციით.

5. მოსწავლეთა მიერ წაკითხულის შემოწმება ხდება საგნის მასწავლებლის მიერ კლასის დამრიგებლის (наставник) თანდასწრებით[3].

როგორც ზევით აღვნიშნეთ, აღსაზრდელების წიგნებით მომარაგება უმთავრესად სემინარიის ბიბლიოთეკიდან ხდებოდა. „მაგრამ, ბ. ჩიქობავას სიტყვით, აქედან წიგნებით სარგებლობის მხრივ მოს-

---

[1] საქმე № 931, ფ. 24.

[2] მოგონებები, 1934, გვ. 11 (გამოექვეყნებელია).

[3] საქმე № 471, ფ. 78.

წავლეები მეტად შეზღუდული ვიყავით. ბიბლიოთეკაში იყო ორი განყოფილება: მოსწავლეთა წიგნებისა და ფუნდამენტალური; მოსწავლეთა განყოფილება, შედარებით ფუნდამენტალურთან, ძალზე ღარიბი იყო, ჩვენ კი მხოლოდ მოსწავლეთა განყოფილებიდან გვაძლევდნენ წიგნებს წასაკითხავად. ამ წესმა ჩვენში შექმნა ისეთი განწყობილება, რომ ფუნდამენტალური განყოფილების ყოველი წიგნი ჩვენს თვალში შარავანდედით იყო მოსილი, სიბრძნის ბეჭედს ატარებდა. ამიტომ ხიფათსაც არ ვერიდებოდით და ყოველმხრივ ვცდილობდით ფუნდამენტალური განყოფილების წიგნები ჩაგვეგდო ხელში, და კიდევაც ვაღწევდით საწადელს — ნამუსიანად ვიპარავდით იქედან წიგნებს, ნამუსიანად-თქვა ვამბობ, რადგანაც წაკითხვის შემდეგ ისევე მალვით ვდებდით მათ თავის ადგილას"[1].

მიუხედავად იმისა, რომ არარეკომენდებული ლიტერატურის კითხვა სასტიკად იყო აკრძალული, მოწინავე მასწავლებლები მაინც არ გაურბოდნენ ასეთი წიგნების დასახელებას და მოსწავლეებს ურჩევდნენ მათ წაკითხვას. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცნობილი ქართველი მასწავლებელი და მწერალი ნიკო ლომოური.

„რუსული ლიტერატურის თაყვანისმცემელი ნიკო ლომოური, — წერს ბ. ჩიქობავა, — გვითითებდა კლასგარეშე საკითხავ რუსულ წიგნებს და დრო გამოშვებით, გაკვეთილის მასალასთან დაკავშირებით, ჩამოაგდებდა ხოლმე საუბარს წაკითხულის ირგვლივ. ხშირად მოგვისმენია ნიკოსაგან ამგვარი გასაუბრების დროს ბელინსკის, ჩერნიშევსკის, გერცენის შეხედულებები ხელოვნებაზე, ხალხისადმი სამსახურზე, სამშობლოს სიყვარულზე, რაც გარკვეულ მიჯნას ავლებდა ჩვენს შემეცნებაში მეფის რუსეთსა და მოწინავე დემოკრატიულ იდეების მატარებელ რუსეთს შორის, ჰქმნიდა ჩვენში იმის შეგნებას, რომ დიდი რუსი ხალხი, მისი საუკეთესო შვილები იბრძოდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, იბრძოდნენ როგორც სოციალური, ისე ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის"[2].

ამ მცირე მიმოხილვის შემდეგაც კი შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ კლასგარეშე კითხვამ დიდი როლი ითამაშა საერთოდ განათლებული სემინარიელების აღზრდის საქმეში. სასწავლო მასალის შეთვისებასთან ერთად ისინი ახლოს გაეცნენ რუსთაველის, ს. ორბელიანის, დ. გურამიშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, პუშ-

---

[1] მოგონებები, 1949, გვ. 83.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 72—73.

ჟინის, გრიბოედოვის, გოგოლის, შექსპირის, გოეთეს და სხვ. პოეტურ მემკვიდრეობას და გულით შეიყვარეს ისინი.

გორის სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლეები დიდმნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით აწყობდნენ ლიტერატურულ დილა-საღამოებს, რომლებიც სემინარიის მასწავლებელთა ხელმძღვანელობით ტარდებოდა. მაგალითად, 1879 წლის გაზ. „Обзор"-ის 24 თებერვლის ნომერში დაბეჭდილია ვრცელი კორესპონდენცია გრიბოედოვის გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული დილის შესახებ. ეს ლიტერატურული დილა სემინარიის მოსწავლეებს ჩაუტარებიათ იმავე წლის 30 იანვარს. სხვათა შორის ამ თარიღისადმი მიძღვნილ დილაზე, მომხსენებლებს ხაზი გაუსვამთ იმ მჭიდრო ურთიერთობისათვის, რომელიც არსებობდა გრიბოედოვსა და მოწინავე ქართველ მოღვაწეებს შორის, იმ გულწრფელი სიყვარულისათვის, რომლითაც უყვარდა გრიბოედოვს საქართველო.

1909 წელს სამასწავლებლო სემინარიამ გორის ქალთა გიმნაზიისა და ვაჟთა პროგიმნაზიის მოსწავლეებთან ერთად ჩაატარა საზეიმო სხდომა დიდი რუსი მწერლის ნ. ვ. გოგოლის დაბადებიდან ასი წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით.

ასეთ საზეიმო ლიტერატურულ დილებთან ერთად გორის სამასწავლებლო სემინარიაში საკმაოდ ხშირად იმართებოდა მოსწავლეთა ლიტერატურული წრის შეკრებებიც, რომლებზეც სემინარისტები კითხულობდნენ რეფერატებს სხვადასხვა საკითხებზე. ეს გარემოებაც ხელს უწყობდა მოსწავლეთა გონებრივ განვითარებას და აჩვევდა მათ საზოგადოებრივ ასპარეზზე საქმიანობას. ასეთ მუშაობას საფუძველი დ. სემიონოვის დროს ჩაეყარა. ერთ-ერთი ყველაზე უფრო მხურვალე მონაწილე მოსწავლეთა ლიტერატურული საქმიანობისა იყო რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნ. ნოვოსპასკი.

ალ. გარსევანიშვილის სიტყვით „ნოვოსპასკი იშვიათი მასწავლებელი იყო, გაკვეთილების გარდა, როცა პანსიონში მორიგეობდა, მოწაფეებს უხსნიდა ხოლმე სხვადასხვა ლიტერატურულ საკითხებს. ამ გარემოებამ ის შედეგი მოიტანა, რომ სემინარიის მოწაფენი, შედარებით ჩვენთან, გიმნაზიის მოსწავლეებთან, ლიტერატურულად უფრო განვითარებულნი იყვნენ. მათ უყვარდათ წიგნების კითხვა. ბევრს მათგანს წაკითხული ჰქონდა უკეთესი ნაწარმოებები რუსული და ევროპული მწერლობიდან"[1].

---

[1] ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ეკა-ფშაველა, 1937, გვ. 145.

6. ნოვოსპასკის დავალებით სემინარიის მოსწავლეს ლუკა რაზიკაშვილს (მომავალ დიდ პოეტს ვაჟა ფშაველას) დაუწერია რეფერატი: „ლექსი მერანი", როგორც ბარათაშვილის მსოფლმხედველობის გამომხატველი". ყოველგვარი მასალა რომანტიზმის შესახებ ლ. რაზიკაშვილისათვის მასწავლებელს მიუცია. ვაჟას რეფერატი წაუკითხავს სემინარიის დარბაზში. მის მოხსენებას, გარდა მოსწავლეებისა, გორის საზოგადოების ნაწილიც დასწრებია. რეფერატის დამთავრების შემდეგ ნოვოსპასკის ასეთი სიტყვით მიუმართავს: „ძვირფასო ლუკა! კერძოდ შენ და საერთოდ შენს ტოლ-ამხანაგებს ამ კრებაზე წრფელ მადლობას გიცხადებთ იმ ღვაწლისათვის, რომელიც ჩემს წინაშე მიგიძღვით.

თქვენ, გამონაკლისს გარდა, დიდი ხალისით ასრულებდით ჩემს თხოვნას: სწერდით თემებს ქართული მწერლობიდან, არჩევდით როგორც პოეტურ, ისე პროზაულ ნაწარმოებებს. ამ საშუალებით მე ცოტად თუ ბევრად გავეცანი თქვენს ლიტერატურას. მეც გშველოდით შესაფერი მასალების მიწოდებით სხვადასხვა საკითხების გასაშუქებლად. აი ამ გარემოებამ ერთმანეთთან შეგვაკავშირა, ძოსპო ჩვენ შორის ოფიციალური დამოკიდებულება.

მე აღტაცებული ვარ ძველი ქართული ლიტერატურით, რომელსაც ამბავენებდნენ გენიალური შოთა და ნამდვილი რეალისტი დ. გურამიშვილი. რაც შეეხება თანამედროვე ქართულ მწერლობას,— იგი მე მიმაჩნია რუსული ლიტერატურის უმცროს დად. ასეთივე აზრი გამოვთქვი 1882 წელს იმ სადილზე, რომელიც კურსდამთავრებულ სემინარიელთა პატივსაცემად გამართა შიო დავითაშვილმა[1] გიმნაზიელ გარსევანიშვილის ბაღში.

ნოვოსპასკი აპირებდა კლასიდან გასვლას, მაგრამ ვაჟას თხოვნით იგი კარებთან გაჩერდა.

— ძვირფასო დამრიგებელო! — მიმართა მას ვაჟამ: რუსული ენის მასწავლებელთა შორის თქვენ იშვიათ მოვლენას წარმოადგენთ.

---

[1] თვითონ დავითაშვილი ამ ფაქტთან დაკავშირებით წერს: „1882 წელს მე და საკალაკო სასწავლებლის მასწავლებულმა კოტე გვარამაძემ სემინარიის კურსდასრულებულებს სამშვიდობო სადილი გავუმართეთ ბაღში, ჩემი ბინის გვერდით. მოვიწვიეთ დირექტორი სემიონოვი და ყველა მასწავლებლები, მღვდლის გარდა.

ყველა თამამად ალაპარაკდა. წარმოითქვა მრავალი გულახდილი სიტყვა, განსაკუთრებით სახალხო მასწავლებელთა მნიშვნელობა - მოვალეობის შესახებ, რომლებიც მოწოდებული არიან იმუშაონ სოფლის სიბნელეში, დაბეჩავებული მშრომელი კლასის სასარგებლოდ". (ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, 1933, გვ. 83—84).

ამ სადილს დაესწრო თბილისის კლასიკური გიმნაზიის უფროსი კლასის მოსწავლე ალ. გარსევანიშვილი (შემდეგში ცნობილი ქართველი პედაგოგი).

ვაჟა ფშაველა

ალექსანდრე ნათაძე

ივანე ავალიშვილი

თქვენ ხართ პედაგოგი, მრავალი ცოდნით შეიარაღებული და ამავე დროს მოწაფეებთან გაქვთ ჰუმანიური დამოკიდებულება. ამიტომ ყველას უყვარხართ. თქვენ დიდი როლი შეასრულეთ ჩვენი განვითარების პროცესში. ამას სიკვდილამდე არ დავივიწყებთ. ჩემი ამ. ხანაგების სახელით გიძღვნით წრფელ მადლობას.

ამხანაგებო და მოქალაქენო! ვაშა ჩვენს ძვირფას მასწავლებელს!

— ვაშა, ვაშა!— გაიმეორა დამსწრე საზოგადოებამ და ყოველ-მხრიდან ტაშისცემა ატყდა.

ასე დასრულდა ლიტერატურული კრება"[1].

ეს ვრცელი ამონაწერი ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ალ. გარსევანიშვილის მოგონებიდან იმისათვის მოვიყვანეთ, რომ გვეჩვენებინა, თუ რა სახის მუშაობა ტარდებოდა სემინარიაში და თანაც წარმოგვედგინა, თუ რა გულთბილი დამოკიდებულება არსებობდა მასწავლებელ ნოვოსპასკისა და მოსწავლეებს შორის, თუ რა ნაყოფიერი იყო ზოგიერთი უაღრესად განათლებული და ჰუმანისტი მასწავლებლის მუშაობა ამ მხრივ.

სამწუხაროდ, შემდეგში ასეთი მუშაობა ადრინდელი ცხოველმყოფელობით აღარ წარმოებდა, მაგრამ კარგი და გამოცდილი მასწავლებლების მეოხებით დროდადრო ლიტერატურული დილა-საღამოების მოწყობა და რეფერატების კითხვა ისევ ეწყობოდა.

პანსიონერები და მათი ცხოვრება

გორის სამასწავლებლო სემინარიის გახსნასთან ერთად 1876 წელს დაარსდა ეგრეთ წოდებული „ქრისტიანული პანსიონი", ხოლო სემინარიასთან „თათრული განყოფილების" ჩამოყალიბების შემდეგ 1879 წელს გაიხსნა „თათრული პანსიონიც".

პანსიონების განცალკევებულად არსებობას საფუძვლად წმიდა რელიგიური მოსაზრება ჰქონდა: „ქრისტიანულ პანსიონში" ცხოვრობდნენ ქრისტიანული სარწმუნოებისადმი მიკუთვნებული სხვადასხვა ეროვნების ბავშვები, ხოლო „თათრულ პანსიონში" სხვადასხვა ეროვნების მაჰმადიანი ახალგაზრდები როგორც სუნიტური, ისე შიიტური მოძღვრებისადმი მიკუთვნებულნი.

სემინარიის პირველი „დებულებით" სახელმწიფო ხარჯზე უნდა ყოფილიყო 25 აღსაზრდელი. აი სწორედ ეს აღსაზრდელები შეადგენდნენ პანსიონერთა ბირთვს. მაგრამ „დებულების" მიხედვით სემინარიაში სასწავლებლად და პანსიონში საცხოვრებლად შეიძლებოდა მიღებულიყო: „ერობების, ქალაქისა და სოფლის საზოგადო-

---

[1] ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი. ვაჟა-ფშაველა, 1937, გვ. 151—152.

ებების, კერძო პირების სტიპენდიატები, აგრეთვე თავის ხარჯზე მყოფი აღსაზრდელები". ასეთ შემთხვევაში საზოგადოებები სემინარიას ურიცხავდნენ ფულს იმ რაოდენობით, რაც სახელმწიფო ხარჯზე მყოფი თითოეული პანსიონერისათვის იყო განკუთვნილი წელიწადში.

1877 წლის „უწყისში მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ სემინარიაში" შემდეგ ცნობებს ვხვდებით: „მოსწავლეები სულ —52. მათ შორის: მოსამზადებელ კლასში —16; პირველ კლასში —27; მეორეში —9. მათგან: პანსიონერი —31; მომსველელნი —21.

31 პანსიონერიდან სახელმწიფო ხარჯზე იყო —19; ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოებისა —7; მთიელთა მმართველობის სტიპენდიატი —1; დაღესტნის ოლქის სტიპენდიატი —1; თავის ხარჯზე მყოფი —2"[1].

სხვათა შორის, გორის სამასწავლებლო სემინარიაში თავის სტიპენდიატები ჰყავდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასაც".

1879 წლის 11 ივნისს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ილ. ჭავჭავაძის ხელმოწერით სემინარიის დირექტორს გაუგზავნა თხოვნა ეცნობებინათ რა პირობებით ხდებოდა სტიპენდიატების მიღება. იმავე წლის სექტემბერში სემინარიაში ჩარიცხულ იქნენ ამ საზოგადოების პირველი სტიპენდიატები (დ. ფურცელაძე, ვ. ჭილაძე, ე. ოდიშელიძე, ო. კვიჟინაძე, დ. კერესელიძე და ტ. კონსტანტინოვი). 1880 წლის შემოდგომაზე მათ თხოვეს დ. სემიონოვს აღეძრა შუამდგომლობა „საზოგადოების" წინაშე მათთვის წიგნების გაგზავნის შესახებ. მათ შორის დასახელებულია ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი" (5 ცალი) და „დედა ენა"(1 ც.)[2]

დ. დ. სემიონოვის დროს მისი მეცადინეობით სახელმწიფო ხარჯზე მყოფთა რიცხვი გაიზარდა 25-დან 50-მდე, ხოლო თითოეული პანსიონერისათვის წლიურად განკუთვნილი 100 მანეთის ნაცვლად დაწესებულ იქნა 130 მან.

ამის შესაბამისად: „წესებსა და პროგრამებში ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში შემსვლელთათვის" პანსიონერების შესახებ ვკითხულობთ: „სემინარიაში სახელმწიფო ხარჯზე მიიღება 50 ქრისტიანი აღსაზრდელი და 40 მუსულმანი, ამასთან სახელმწიფო სტიპენდიატების — ქრისტიანებისა და მუსულმანებისათვის იქმნება ცალ-ცალკე პანსიონი"[3].

---

[1] საქმე № 20, ფ. 27.

[2] საქმე № 61, ფ. 7, 8, 9. 1876 წელს გორის სემინარიაში მიღებული ვაჟა ფშაველა ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების სტიპენდიატი იყო.

[3] საქმე № 121, ფ. 135.

პანსიონერებისათვის არსებობდა განსაკუთრებული რეჟიმი და დღის განრიგი, რომელსაც ისინი უნდა დამორჩილებოდნენ და ძირითადად სემინარიის არსებობის მანძილზე ცვლილება არ განუცდია. მაგრამ ხაზგასმით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დ. სემიონოვის დირექტორობის დროს (1878—1884 წ.) პანსიონერ მოსწავლეებს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს გასულიყვნენ ქალაქად და დაუბრკოლებლად ენახათ თავიანთი ნათესავები და ნაცნობ-მეგობრები.

ს. სტრელეცკიმ, ა. სლოვინსკიმ, შემდეგ მ. მიროპიევმა და თ. სმირნოვმა ისეთი პირობები და რეჟიმი შეუქმნეს პანსიონერებს, რომ მათ დიდ აღშფოთებასა და სიძულვილს იწვევდა სემინარიის ზემოდასახელებულ დირექტორებისადმი.

1878 წლის „ანგარიშში", რომელიც დ. სემიონოვმა გაუგზავნა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს, პანსიონში არსებული დღის რეჟიმის შესახებ, ნათქვამია:

„ყოველდღიური განაწილება მეცადინეობისა და დასვენების საათებისა პანსიონერებისათვის განსაზღვრულია შემდეგნაირად:

„1. 6 საათზე დილისა აღსაზრდელები უნდა ადგნენ, წესრიგზე მოიყვანონ ტანსაცმელი და აალაგონ ქვეშაგები.

2. 7 საათზე აღსაზრდელები ასრულებენ საერთო ლოცვას.

3. 7 საათსა და 15 წუთზე აღსაზრდელები სვამენ ჩაის.

4. დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 1 საათსა და 20 წუთამდე მეცადინეობენ კლასებში.

5. 1 საათსა და 30 წუთზე სადილობენ.

6. 2-დან 4 საათამდე მეცადინეობისაგან თავისუფალი დრო აქვთ.

7. 4-დან 5 საათსა და 30 წუთამდე უნდა იმუშაონ ანსახელოსნოში ან ბაღში.

8. 5 საათსა და 30 წუთიდან 6 საათამდე მეცადინეობისაგან თავისუფალი დრო აქვთ.

9. 6 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე ამზადებენ გაკვეთილებს.

10. 7 საათსა და 30 წუთზე მიდიან სავახშმოდ.

11. საღამოს 7 საათსა და 45 წუთიდან 9 საათსა და 45 წუთამდე ამზადებენ გაკვეთილებს.

12. საღამოს 9 საათსა და 45 წუთზე მოსწავლეები ასრულებენ საღამოს ლოცვას.

13. საღამოს 10 საათზე წვებიან დასაძინებლად"[1].

---

[1] საქმე № 26, ფ. 41.

პანსიონერთა მეცადინეობის განრიგი განკუთვნილი იყო 14—15-დან 20 წლის ასაკის მოსწავლეებისათვის. ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში შემსვლელთათვის გამოცემულ „წესებსა და პროგრამებში“ ვკითხულობთ: „როგორც სემინარიაში, ისე თათართა განყოფილებაში მიიღებიან ახალგაზრდები 16-დან 20 წლის ასაკისა.

სემინარიაში შესვლის გასაადვილებლად იმ ადგილობრივ მკვიდრთათვის, რომლებიც სუსტად ფლობენ რუსულ ენას, სემინარიასთან არსებობს: ა) განსაკუთრებული უფროსი მოსამზადებელი კლასი, რომლებშიც მიიღებიან ახალგაზრდები 15-დან 17 წლისა, ბ) უმცროსი მოსამზადებელი კლასი, საგანგებოდ თათრებისათვის, სადაც მიიღებიან თათარი ბავშვები 14—15 წლისა“[1].

დაახლოებით ასეთივე დარჩა პანსიონერთა დღის განრიგიც შემდეგ წლებშიც. უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა მდგომარეობა გვქონდა ამ მხრივ, ჩვენ მოვიყვანთ უფროსი მოსამზადებელი კლასის მოსწავლე გ. რომანენკოს წერით ნამუშევარს, რომელიც ქართულად არის შესრულებული 1900 წლის 28 ოქტომბერს: „სამუშაო № 10. „Как мы проводим день“ (ყველა ნამუშევრის სათაური რუსულადაა წარმოდგენილი).

„ჩვენა ვდგებით დილით ექვს საათზედ. ვიცვამთ და ვიბანთ პირსა. შვიდზე ვლოცულობთ და ამის შემდეგ ვსვამთ ჩაისა. რვა საათიდგან იწყება საკლასო სწავლა, რომელიც გრძელდება ხან ორ საათამდის, ხანაც სამ საათამდის. შემდეგ სწავლისა ვსადილობთ, მერმე ნახევარ საათს ვისვენებთ. შემდეგ ვსწავლობთ მუზიკას, ვგალობთ საერო და საეკლესიო საგალობლებსა; ამნაირად გრძელდება შვიდ საათამდის. აქედან იწყება საღამოს მეცადინეობა, რომელიც გრძელდება რვა საათამდის. რვა საათზე ვისვენებთ და ამ დროს ვსვამთ ჩაისა; ჩაის შემდეგ ისევ გრძელდება საღამოს მეცადინეობა, რომელიცა თავდება ათი საათის ნახევარზე. ამის შემდეგ არის საღამოს ლოცვა და მერე მივდივართ საწოლ ოთახებში დასაძინებლად“[2].

[1] საქმე № 121, ფ. 139.

[2] Закавказская учительская семинария на юбилейной выставке в Тифлисе осенью 1901 г. ექსპონატი № 20. (Местные языки во всех классах в работах учеников—русских). აქ წარმოდგენილია წერითი ნამუშევრები ოცი მოსწავლეებისა, რომლებიც ერთ-ერთ ადგილობრივ ენას — ქართულს, სოხუურს ან ახეობაიჯანულს — სწავლობდნენ. ქართულის მასწავლებლად იყო ნიკო ლომოური.

რომანენკოს (უფროსი მოსამზადებელი კლასი), სუსანინის (I კლასი) და ჩერნიავსკის (II კლასი) „ქართული ენის რვეულები“ საიუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო, როგორც სანიმუშონი. „Как мы проводим день“ რომანენკოს რვეულიდან არის მოყვანილი. ექსპონატი № 20 ინახება ი. გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკაში.

როგორც ვხედავთ, მეცადინეობისა და დასვენების საათების განაწილება ძირითადად დამაკმაყოფილებლად არის მოცემული: გონებრივ მუშაობას ფიზიკური მუშაობა ენაცვლება, მეცადინეობით და შრომით პანსიონერები, შეიძლება ითქვას, ნორმალურად იყენენ დატვირთულნი (აქ ჩვენ მხედველობაში არ ვღებულობთ „დილისა და საღამოს ლოცვებს“, რომლებიც ყველა სასწავლებელში სავალდებულოდ იყო მიჩნეული თვითმპყრობელობის დროს და მოსწავლეებს მისგან თავი ჰქონდათ მობეზრებული).

მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, დღის განრიგს პანსიონერებისათვის სხვადასხვა ღირებულება ჰქონდა ერთი მხრივ დ. სემიონოვისა, და მეორე მხრივ სხვების დირექტორობის დროს. მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს დ. სემიონოვის დირექტორობისას მოსწავლეები თავის შეხედულებისამებრ იყენებდნენ, ისინი არ იყენენ შეკვიწროებულნი დირექციისა და მორიგე მასწავლებლის მიერ. პირიქით, დ. სემიონოვი ყოველმხრივ ხელს უწყობდა მოსწავლეთა თვითმოქმედებას და აქტიურობას, აძლევდა მათ საშუალებას სურვილისამებრ დაესვენათ. დ. სემიონოვს უყვარდა ასეთ საათებში მოსწავლეებში გარევა, მათთან ერთად მღეროდა, სიამოვნებით ადევნებდა თვალყურს ბავშვების თამაშს, ესაუბრებოდა მათ სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე და თავისი კეთილშობილებით და ადამიანობით აღმზრდელსა და აღსაზრდელებს შორის ქმნიდა ნდობის იმ ატმოსფეროს, რომლის გარეშეც შეუძლებელია ჭეშმარიტი აღზრდა.

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და მთარგმნელი ვ. ავალიშვილი, რომელიც სემინარიაში დ. სემიონოვის დროს სწავლობდა, შემდეგს გადმოგვცემს: „საღილის შემდეგ, როდესაც ჩვენ ვისვენებდით, ე. ი. არა ვსწავლობდით და ზოგნი ვსეირნობდით ბაღში, ზოგნი ეზოში ვბურთაობდით და ზოგნი ვმღეროდით, ის (დ. სემიონოვი — მ. კ.) სულ ჩვენთან იყო: ან ჩამოერეოდა მომღერლებში და მღეროდა, ან ბაღის ჩარდახში ისვენებდა. ჩვენც ამ დროს გარსშემორტყმული ვუსმენდით იმის ტკბილ საუბარს“[1]. პანსიონში გაკვეთილების მომზადების ან ძილის დროსაც არ ეშინოდათ მათ დირექციის მიერ მოგზავნილი ლაქია-მასწავლებლებისა, რომლებიც ხშირ-ხშირად ჩხრეკდნენ პანსიონერთა პირად ნივთებსა და კარადებს და გულმოდგინედ ზვერავდნენ, თუ რას აკეთებდნენ მოსწავლეები. ჯაშუშობა-მეთვალყურეობის ასეთ სისტემას გასაქანი დ. სემიონოვის შემდეგ მიეცა.

---

[1] ვ. ავალიშვილი, მოგონებები (გამოუქვეყნებელია), 1935 წ., გვ. 30.

ს. სტრელეცკიმ სემინარიაში სასტიკი რეჟიმი დაამყარა. 1885 წლის 10 სექტემბრის პედსაბჭოს სხდომის ოქმში ვკითხულობთ: „ბატ. დირექტორი თხოვს საბჭოს განუმარტოს მას, თანახმად სახალხო განათლების სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულარისა, წარმოებს თუ არა მეთვალყურეობა მოსწავლეებზე და თუ წარმოებს ვის მიერ და როგორი.

როგორც საქმიდან გამოირკვა, ასეთ მეთვალყურეობაში სემინარიის გახსნის დროიდან დღემდე, პოლიციის მხრივ, საჭიროება არ ყოფილა. ბატ. დირექტორი მაინც თხოვს ყველა დამრიგებელს ყოველნაირი შემთხვევა, თუნდაც უმნიშვნელო, აცნობონ დირექტორს საქმის სერიოზულობის გამო“[1].

იმავე სხდომაზე დირექტორმა ს. სტრელეცკიმ გააფრთხილა დამრიგებელი, რომ სემინარიიდან „მოწაფეების გაშვება, თუნდაც მცირე დროით წარმოებდეს ბილეთებით, რომლებშიც აღნიშნული უნდა იყოს: სად და რამდენი ხნით მიდის მოსწავლე სასწავლო დაწესებულებიდან“.

ასეთი მდგომარეობა შემდეგშიც გაგრძელდა. სემინარიის რეაქციონერი დირექტორები ყოველ ღონისძიებას მიმართავდნენ, რათა მოსწავლეებსა და მასწავლებელთა შორის ჯაშუში მეთვალყურენი გაეჩინათ და ყოველ უმნიშვნელო შემთხვევაშიც კი პანსიონერთა ჩხრეკას ახდენდნენ.

ბენ. ჩიქობავა, რომელიც გორის სემინარიაში თ. სმირნოვის დირექტორობის დროს სწავლობდა (1912 — 13 წ.) აღნიშნავს: „დაზვერვა-გაჩხრეკის საფრთხე ყოველთვის თან გვდევდა. გვჩხრეკდნენ დაწოლის შემდეგ. ამოგვიყრიდნენ ყველაფერს, რაც კი გვქონდა ჩვენს პატარა კარადებში, რომლებიც სასთუმლებთან გვედგა და თვალგაცეცებით გასინჯავდნენ. ჩხრეკის დროს ადგომის უფლება არ გვქონდა, სულგანაბულები უნდა ვწოლილიყავით ლოგინში. იშვიათად გაჩხრეკდნენ ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს. ჩვეულებრივ მასობრივად გვჩხრეკდნენ, რასაც ჩვენ ხუმრობით „თევზაობას“ ვეძახდით, და ამას რეგულარული ხასიათი არ ჰქონდა — ზოგჯერ მეორე-მესამე ღამეს კვლავ გვეწვეოდნენ „მეთევზეები“, მაგრამ ისეთი პერიოდებიც იყო, რომ მთელი თვე და მეტიც ძილს არ გვიფრთხობდნენ, რაც დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა ცნობებს მიაწვდიდნენ დირექტორს მისი დამქაშები.

საგულისხმო ის იყო, რომ ჩვენი საყვარელი მასწავლებელ-აღმზრდელების ნ. ლომოურის, კ. პ. მალინინის, მ. ი. რახუბოვსკის,

---

[1] საქმე № 224, ფ. 36.

პ. გ. პეტროვის პანსიონში მორიგეობის დროს არც ერთხელ არ ჩატარებულა ჩხრეკა. ცხადია, ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა — ამათ თავისიანებად არ თვლიდნენ პოლიტიკური რეჟიმის გამტარებელი სემინარიის მესვეურები, უნდობლად უყურებდნენ. სამაგიეროდ ჩვენ სიყვარულით შევცქეროდით ამ ალმზრდელებს. თუ ისინი იყვნენ მორიგეებად, თავს თავისუფლად ვგრძნობდით, მათი მითითებებით ეკითხულობდით გარეშე წიგნებს, გულღიად ეუზიარებდით მათ ჩვენს ჰაბუკურ ფიქრებს და განცდებს ცხოვრებისა და წაკითხული ლიტერატურის ირგვლივ"[1].

ამას კიდევ ზედ ერთვოდა ის გასაოცარი შეზღუდვა, რაც არსებობდა კლასგარეშე ლიტერატურის კითხვის დარგში. თუ რომელიმე მოსწავლეს შეამჩნევდნენ ან შეისწრებდნენ არარეკომენდებული წიგნის კითხვაში, მისი სემინარიაში დარჩენის ბედი ბეწვზე ეკიდა. მაგრამ მოსწავლე პანსიონერები სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ „აკრძალული ხილის" გემოს გასაცხობად. გაშლილ სახელმძღვანელო წიგნში დებდნენ პატარა ფორმატის სხვა წიგნებს და გატაცებით კითხულობდნენ. თუ ნებადაურთველი წიგნი დიდი ტანისა იყო, მას ნაწილ-ნაწილად შლიდნენ და ისე დებდნენ სახელმძღვანელოებში, რათა დირექციის ყურადღება ამით შეესუსტებინათ და თავი ისე მოეჩვენებინათ, თითქოს გაკვეთილების მომზადებით ყოფილიყვნენ გართულნი. როგორც ბენ. ჩიქობავა გადმოგვცემს, ასეთი ხერხის მსხვერპლი კინალამ გამხდარა მოსწავლე ე. ხუციშვილი, რომელიც ალ. ფრონელის „1812 წლის კახეთის აჯანყებას" ისეთი გატაცებით კითხულობდა თურმე, რომ ველარ შეემჩნია, თუ როგორ წამოადგა თავზე სემინარიის შავრაზმელი დირექტორი თ. სმირნოვი. ნიკო ლომოურის საქმეში ჩარევამ გადაარჩინა ხუციშვილი სემინარიიდან გარიცხვას[2].

იყო კიდევ ერთი გარემოება, რაც მოსწავლე-პანსიონერთა დიდ გულისწყრომასა და ხშირ უკმაყოფილებას იწვევდა. ეს იყო პანსიონერთა კვების საკითხი. ჯერ კიდევ სემინარიის პირველი დირექტორის სპ. დივარის დროს (1876—1878) ქართულ პრესაში არა ერთხელ აღინიშნა, რომ მოსწავლეებს პანსიონში ცუდად კვებავდნენ და ნახევრად აშიმშილებდნენ.

1877 წლის გაზ. „დროებაში" (№ 196) ბარველი აღნიშნავდა, რომ გორის სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლე პანსიონერები კვების მხრივ ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიანო. როგორც კო-

---

[1] ბ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მოგონებები, 1949, გვ. 34—35.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 74.

რესპონდენტი გადმოგვცემს, ბავშვებს მისთვის განუცხადებიათ: „ცოტა პური და შეჭამადი გვეძლევა, მაგრამ რაც გვეძლევა, იმის ნახევარსაც არ გვაღირსებენ ჩვენი მოსამსახურეები: თითო შაგირდს გარდაწყვეტილი აქვს დღიური საზრდო ორი გირვანქა პური: ერთი გირვანქა სადილზედ და ნახევარ-ნახევარი ვახშამ-საუზმეზედ. ამას გარდა უნდა იყოს სუპი ან ბორში და ქაში, ან კარტოფილი, ან შემწვარი ხორცი და ანუ სხვა რამე, მაგრამ ამ შეჭამადს სუყოველთვის ორ-ორ თავად აქცევენ: წვენს ცალკე მოუტანენ და ხორცს რვა მისხალზე ნაკლებს ცალკე. ხორცი ოცდაათი შაგირდისათვის ოც გირვანქამდის მოაქვთ, მაგრამ აქედგან მხოლოდ სამს გირვანქას გვაძლევენ ყველას. თუ შეეჩივლეთ დირექტორს ან ზედამხედველს, ჩვენვე გაგვამტყუნებენ, თუ არა და ვართ მშიერნიო“.

იმავე წელს „ივერიის“ კორესპონდენტი დაჯდებაშვილი გორიდან იტყობინებოდა, რომ „სახელმწიფო ხარჯზედ მიღებულნი, ისე იკვებებიან, რომ არავინ იცის რას ჭსჭამენ და რას ჭსმენ. ამ საგანზედ ყურადღება არ არის მიქცეული. ამ შკოლის გამგებელი სასადილო ოთახში ძალიან იშვიათად შევა. ...შეგირდები ნახევარზედ მშიერები არიან“[1].

პანსიონერების ცუდი კვების შესახებ ხშირად იწერებოდა თბილისის რუსულ პრესაშიც. ამ საყვედურების გამო ს. დივარისა და ზოგიერთი მასწავლებლის ხელმოწერით 1877 წლის „თბილისის მოამბეში“ (№ 265) დაიბეჭდა თავის გასამართლებელი წერილი, რომელშიც უტიფრად აცხადებდნენ: „თუ ყმაწვილები მშივრები ყოფილიყვნენ, მაშინ ისინი, აუცილებლად ავად გახდებოდნენ და ისეთი მხიარული სახე არ ექნებოდათ, როგორც ახლა აქვთო“.

ამ თავის მართლებამ გამოიწვია ს. მესხის მკაცრი საპასუხო წერილი გაზ. „დროებაში“ (1877, № 10), რომელშიც მთელი რიგი ფაქტებით კვლავ დასტურდებოდა, რომ მოსწავლეებს ცუდად კვებავდნენ.

გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორად დ. დ. სემიონოვის დანიშვნის შემდეგ (1878 წლის აგვისტო) პანსიონერთა კვების საქმე შესამჩნევად გაუმჯობესდა. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ დ. სემიონოვის მოთხოვნით თითოეული პანსიონერის შესანახი ხარჯი წელიწადში 130 მანეთამდე გაიზარდა. მეტი ყურადღება ექცეოდა საკვები პროდუქტების შერჩევას და მათ მაღალხარისხოვნად შემზადებას.

---

[1] ივერია, 1877 წ., № 41.

კვების ნიადაგზე უკმაყოფილებას შემდეგშიც ჰქონდა ადგილი. დამრიგებელთა 1897 წლის 19 ნოემბრის სხდომის ოქმში ეკითხულობთ: „კომისიამ განიხილა მეორე კლასის მოსწავლე კირილოვის საკითხი, რომლის შესახებაც დამრიგებლების პიასეცკის და სუდაკოვის მიერ მოხსენებული იყო, რომ კირილოვმა სამზარეულოში მორიგეობის დროს გადაჭრით განუცხადა აღმზრდელს: მოტანილი პური ცუდია და იძულებულია მხოლოდ დილის ჩაისათვის მიიღოს"[1]. სემინარიის დირექცია (დირექტორი ა. სლოვინსკი) ძლიერ უკმაყოფილო იყო მოსწავლეთა ასეთი გამოსვლებით და კომისიას ამგვარი დადგენილება გამოატანინა: „რადგანაც კირილოვი უკანასკნელ ხანებში ცუდად იქცეოდა, მისი დასჯის საკითხი განხილულ იქნეს პედსაბჭოს სხდომაზე". მანვე დააყენა საკითხი, თუ რანაირად „შეიძლება შეიზღუდოს როგორც მორიგეების, ისე ყველა მოსწავლის ზედმეტი პრეტენზიები პურისა და სხვა პროდუქტების კეთილხარისხოვნების შესახებ". იმის ნაცვლად, რომ დირექციას ეზრუნა კვების საქმის გაუმჯობესებისა და მაღალხარისხოვანი პროდუქტების შეძენისათვის კომისიას ასეთი უცნაური დადგენილება გამოატანინა: „Дежурный ученик должен заявлять о неудовлетворительности хлеба и продуктов не в форме одной претензии, а напротив, он должен ясно и точно указать как недостатки, так и желаемыя качества и, кроме того, найти средства, как заменить, в пределах сметы, бракуемые продукты; если не принимается хлеб, по заявлению дежурного ученика, последний всё-таки отвечает за то, будет ли в достаточном количестве и по сходной цене доставлен новый хлеб, соответственно дневной смете, утверждённой Г. Попечителем округа из пределов которой никто не может выйти"[2].

ამ დადგენილებით ყველაფერი მორიგე მოსწავლეს ეკისრებოდა და, ბოლოსდაბოლოს, დირექციის ნაცვლად ის უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი პანსიონერთა წესიერი კვებისათვის!...

რასაკვირველია, ამის განხორციელება არც ერთ მორიგე მოსწავლეს არ შეეძლო და საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულებით ა. სლოვინსკისა და მის შემდეგ დანიშნულ დირექტორებს სურდათ მოსწავლე პანსიონერებისათვის ხმის ამაღლების საშუალება არ მიეცათ.

---

[1] საქმე № 569, ფ. 23.
[2] საქმე № 569, ფ. 26.

თავისთავად ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ პანსიონერთა ცხოვრებასა და კვების საქმეს ყოველთვის კეთილსინდისიერად როდი ეპყრობოდნენ.

სემინარიასა და პანსიონში შემოღებული წესრიგის დარღვევისათვის მოსწავლე სემინარისტებს ედებოდა სხვადასხვა სასჯელი: საყვედური, გაკვეთილების შემდეგ სემინარიაში დატოვება, საჯარიმო ჟურნალში დამნაშავის გვარის შეტანა, ყოფაქცევაში ნიშნის დაკლება, ამხანაგებისაგან გამოყოფა, კარცერში დაპატიმრება და სემინარიიდან გარიცხვა სხვა სასწავლებელში შესვლის უფლებით ან ამ უფლების გარეშე. პანსიონერები დამატებით ისჯებოდნენ შვებულების აღკვეთით ან პანსიონიდან გარიცხვით[1].

ამ სასჯელთაგან ძალიან იშვიათად იყო გამოყენებული სასჯელის უკიდურესი ზომა—სემინარიიდან გარიცხვა; თუმცა პედსაბჭოს სხდომებზე ზოგიერთი მასწავლებელი ან დირექტორი აყენებდა საკითხს ამა თუ მოსწავლის გარიცხვის შესახებ ზოგჯერ შედარებით უმნიშვნელო დანაშაულისათვისაც კი.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმო ფაქტს გადმოგვცემს ბენ. ჩიქობავა თავის „მოგონებაში". 1912—14 წლებში სემინარიაში სწავლობდა ვლ. ვასილენკო, რომლისთვისაც ამხანაგებს მეტ სახელად კობზარი შეერქმიათ, რადგანაც გატაცებული ყოფილა უკრაინული სიმღერებით, ლექსებით, განსაკუთრებით ტარას შევჩენკოს პოეზიით. „სემინარიის ადმინისტრაცია კარგი თვალით არ უყურებდა ვასილენკოს მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი მორიგი ჩხრეკის დროს უპოვნეს ხელნაწერად უკრაინული ლექსები. ეს მცირე დანაშაული როდი იყო სემინარიის მესვეურთა თვალში, მაგრამ ამის გახმაურება მათთვის არ იქნებოდა ხელსაყრელი და გაჩერება არ ჩიეს, ხოლო ლექსები წაიღეს, ვასილენკოზე კი მეთვალყურეობა გააძლიერეს".

ერთ დღეს ვასილენკო გორში ნასვამი ენახათ. პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე ამის საბაბით დაისვა მისი გარიცხვის საკითხი. მეორე კლასის დამრიგებელს გ. ნ. ვენცელოსცევს სიმთვრალესთან ერთად ვასილენკოსათვის ბრალად დაუდვია, რომ ის „ლაზღანდარაა, შემოიკრებს ხოლმე ამხანაგებს, წამოიწყებს უკრაინულ სიმღერებს და მთელი საათობით მღერიანო". ვასილენკოს წინააღმდეგ გამოსულან აგრეთვე სხვებიც, მათ შორის საღვთო სჯულის მასწავლებელი და დირექტორი თ. სმირნოვი. პედსაბჭოს სხდომაზე მოუსმენიათ ნ. ლომოურის სიტყვაც ამ საკითხთან დაკავშირებით. მას შემდეგ

---

[1] საქმე № 274, ფ 94, 95.

განუცხადებია: „კოლეგებმა დაახასიათეს მოსწავლე ვასილენკო... ჩემი დაკვირვებით კი იგი არაა ცუდი ყოფაქცევისა. მე, როგორც აღმზრდელი, ვაცხადებ, რომ პანსიონში ჩემი მორიგეობის დროს ვასილენკოს ერთხელაც არ გამოუვლენია უდისციპლინობა. თქმა არ უნდა, თუ მართლაც დალეული უნახავთ, გასაკიცხია ეს მისი საქციელი. მაგრამ გარიცხვა მაინც გაუმართლებელი იქნება. ყმაწვილი უკრაინიდან აქ ჩამოსულა სწავლის მიღების წყურვილით. უკვე სამი წელიწადია ჩვენთან სწავლობს. ხაზინას ხარჯი აქვს გაღებული მისი სწავლისათვის და ქუჩაში გავაგდოთ იმის გამო, რომ შემთხვევით დაულევია, არც სამართლიანი იქნება და არც სწორი სახელმწიფოს ინტერესების თვალსაზრისით“[1].

ცხარე კამათის შემდეგ ნ. ლომოურს თავისი დალაგებული და პედაგოგიურად სავსებით გამართლებული მოსაზრებების წამოყენებით ვასილენკო გარიცხვისაგან გადაურჩენია. მის მიმართ მხოლოდ საყვედურის გამოცხადებით დაკმაყოფილდნენ.

სემინარია მოსწავლე პანსიონერებს სახელმძღვანელოებით უფასოდ ამარაგებდა. სემინარიის არქივში დაცულია მოსწავლეთა სხვადასხვა წლების ხელწერილები სახელმძღვანელოების მიღების შესახებ. რუსულ სახელმძღვანელოებთან ერთად ქართულიც არის დასახელებული. მაგალითად, 1887 წლის 2 სექტემბერს სემინარიის პირველი კლასის მოსწავლე ივ. ბიბიევს მიუღია „Учебник по грузинскому языку Каландаришвили“ (sic)[2]. დ. მელიას (1893 წ.) ქართულ ენაში ა. ქუთათელაძის „გრამატიკა“ და ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“, ივანიუკს—ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“, აკიროვს—ი. გოგებაშვილის „დედა ენა“, ა. თოიძეს—„ბუნების კარი“ და ა. ქუთათელაძის „გრამატიკა“ და ა. შ.

სემინარიის მიწის ნაკვეთი და სახელოსნო

გორის სამასწავლებლო სემინარიაში დიდი ყურადღება ექცეოდა მოსწავლე-აღსაზრდელთა მიერ მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანისა და მოვლის შესწავლას და სახელოსნო საქმის (ручной труд) ცოდნას.

სემინარიის გახსნიდან 1888 წლამდე სემინარიას ჰქონდა ძალიან პატარა მიწის ფართობი, რომელზეც აწარმოებდა სხვადასხვა ცდას. 1887 წელს სტრელეცკიმ სახალხო განათლების სამინისტროს წინა-

---

[1] მოგონებები, 1949, გვ. 57 — 58.

[2] საქმე № 466, ფ. 80.

შე აღძრა საკითხი მიწის უფრო დიდი ფართობის გამოყოფის შესახებ. იმავე წლის 4 დეკემბერს სახალხო განათლების სამინისტრომ აცნობა სტრელეცკის, რომ სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა ნება დართო მისცემოდა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიას მიწის ფართობი 1 დესეტინა 1770 კვადრატული საჟენი, მასზე მებაღეობასა და მებოსტნეობაში პრაქტიკული მუშაობის ჩასატარებლად[1].

მაგრამ ამ ფართობის მიღება არც ისე ადვილი გამოდგა. მიწაზე, რომელიც სემინარიას გამოუყვეს, პრეტენზიას აცხადებდნენ გორში მდგარი სამხედრო ნაწილები, სახელდობრ, მე-2 ბატარეა და აგრეთვე 38-ე საარტილერიო ბრიგადის მე-5 ბატარეა. 1888 წლის მარტში სამხედრო ნაწილთა უფროსების განკარგულებით სამუშაოდ არ დაუშვეს ის მუშები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ მიწის ფართობის შემოკავება. იმ საჩივრების შედეგად, რაც მოჰყვა პოლკოვნიკ სვიშჩევის ზემოაღნიშნულ განკარგულებას, 1888 წლის 10 აპრილს კავკასიის სამხედრო ოლქის თბილისის საინჟინერო დისტანცია ატყობინებდა მე-5 ბატარეის უფროსს, რომ მიწის ფართობი „1 დესეტინა 1770 კვადრატული საჟენი", რომელიც გამოყოფილი აქვს სემინარიას და რომელსაც იყენებდა აქამდე ბატარეა, კანონიერად გადაეცა სასწავლებელს და თქვენი მხრივ არავითარ ხელის შეშლას ადგილი არ უნდა ჰქონდესო[2].

სემინარიის ახლად მიღებული მიწის ფართობი მდებარეობდა მდ. მტკვრის ნაპირას და მისი მორწყვა ხდებოდა მომიჯნავე მიწებიდან, რომლებიც სარგებლობაში ჰქონდათ ადგილობრივ მცხოვრებლებს. მიწის ფართობი ათ ნაწილად უნდა გაყოფილიყო. პირველ ნაწილზე მოთავსებული უნდა ყოფილიყო 32 სკის ბუკი, მეორე დათმობილი უნდა ჰქონოდა ბოსტანს, მესამე—ვაზს, მეოთხე—სანერგეს, მეხუთე—სათბურს, მეექვსე—საცდელ ნაკვეთს, მეშვიდე—სარდაფიან სახლს, მერვე—თუთის პლანტაციას, მეცხრე—სხვადასხვა ნაგებობას და მეათე—ყვავილნარს[3].

1891 წელს მოსწავლეები ბაღში შემდეგ სამუშაოებს ასრულებდნენ: „სემინარიის აღსაზრდელები მეცადინეობდნენ სოფლის მეურნეობის შემდეგ დარგებში: მემინდვრეობასა, მებოსტნეობასა, მებაღეობასა, მევენახეობასა, მეყვავილეობასა, მეაბრეშუმეობასა, და მეფუტკრეობაში. ეს მეცადინეობა წარმოებდა თეორიული და პრაქ-

---

[1] საქმე № 342, ფ. 1.
[2] იქვე, ფ. 93.
[3] საქმე № 322, ფ. 60.

ტიკული ხაზით და ტარდებოდა გაკვეთილების შემდეგ, ყოველ დღე, საღამოს 4-დან 6 საათამდე, 1 ლი მარტიდან 1 ივნისამდე, ე. ი. საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებიდან საზაფხულო გამოცდებამდე. ამ მეცადინეობებში, გარდა მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობისა, მონაწილეობდა სემინარიის ყველა აღსაზრდელი გამოუკლებლად. მეაბრეშუმეობასა და მეფუტკრეობაში კი მეცადინეობდნენ მარტო მე-2 და მე-3 კლასების აღსაზრდელები»[1].

ბაღის საბოლოო დაყოფა ნაწილებად ფაქტიურად მოხდა 1893 წლის შემოდგომაზე ლ. ქ. ყიასაშვილის მიერ და ამ გაყოფას მან საფუძვლად დაუდო 1888 წელს მასწავლებელ სოკოლოვის მიერ შედგენილი გეგმა, მცირეოდენი შესწორებებით. 1901 წლისათვის ბაღში იყო 104 სხვადასხვა ჯიშის ხეხილი და 26 ჯიშის სხვადასხვა ბუჩქი და მრავალწლიანი მცენარე. ხეხილის მოვლას და საერთოდ ბაღში მუშაობას ხელმძღვანელობდა ლ. ქ. ყიასაშვილი (მანამდე მასწავლებელი ნ. ა. დიმიტრიევი). სემინარიაში ბუნებისმეტყველების მასწავლებლად მ. ყ. ზაალიშვილის დანიშვნის შემდეგ (1901 წ.) ამ მუშაობას ის ხელმძღვანელობდა ლ. ყიასაშვილთან ერთად[2].

ბაღში მოსწავლეები პრაქტიკულად სწავლობდნენ მყნობის სხვადასხვა ხერხებს, ხეხილის მოვლას და ძის მავნებლებთან ბრძოლას, სხვადასხვა ბოსტნეულის მოყვანის ეფექტურ საშუალებებს და სხვა.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ სემინარია ბაღში დამზადებული მაღალხარისხოვანი თესლეულით უფასოდ ამარაგებდა კერძო პირებს, მასწავლებლებს და მოსწავლეებს, რომლებიც საგაზაფხულო არდადეგებზე სახლში დაბრუნებულნი, საკუთარ ნაკვეთებზე თესდნენ ბოსტნეულს და გულდასმით აკვირდებოდნენ, თუ რა შედეგებს იძლეოდა თითოეული ჯიში სხვადასხვა მხარესა და სოფლებში.

ასე, მაგალითად, 1897 წლიდან 1901 წლამდე 440 პირს მიეცა $10^1/_2$ ფუთი თესლი. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე 1900 წელს თბილისში ექსპერტთა კომიტეტმა დადებითი შეფასება მისცა სემინარიის მუშაობას ამ დარგში და აღნიშნა: „Особого внимания заслуживают быстрые успехи хозяйства семинарии (с 1895 г.), введённая раздача семян, в широком размере ученикам для хозяйства их родителей и местному населению, а также саженцев, прекрасный и целесообразный по отноше-

---

[1] საქმე № 416, ფ. 59 „Отчёт заведывающего садом при Закавказской учительской семинарии за 1891 год".

[2] ა. სლოვინსკი, „Закавказская учительская семинария на юбилейн. выставке," Тифлис, 1901, გვ. 110.

ниію к данной местности, выбор сортов и вполне правильная номенклатура их"[1].

გარდა ამისა, სემინარიამ თავის საცდელ ნაკვეთზე 1892 წელს დათესა ბამბა და აწარმოა მასზე დაკვირვება, ხოლო 1897—98 სასწავლო წლიდან ფართოდ მოჰკიდა ხელი .მეაბრეშუმეობის შესწავლას. მოსწავლეები გადიოდნენ როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კურსს, გამოჰყავდათ აბრეშუმის ჭია, სწავლობდნენ მათ წესიერ გამოკვებას და არდადეგების დროს თავიანთ მშობლიურ სოფლებში აწარმოებდნენ მეაბრეშუმეობის დარგის განვითარებისადმი მიმართულ ყოველგვარ სამუშაოს.

საკმაო ყურადღება ექცეოდა სემინარიაში სახელოსნო საქმიანობასაც. აღსაზრდელები სწავლობდნენ წიგნების აკინძვას, ხარატობას და დურგლობას; ამზადებდნენ სხვადასხვა სისტემის ბუკებს ფუტკრისათვის, სკამებს, მაგიდებს, აწარმოებდნენ ინვეტარის შეკეთებას და ა. შ.

სახელოსნო საქმიანობისათვის გამოყოფილი იყო ცალკე ოთახი, რომელშიაც 12 სადურგლო დაზგა იდგა ყველა საჭირო იარაღებით. მეცადინეობას 1894 წლიდან უსასყიდლოდ ხელმძღვანელობდა მასწავლებელი კ. ზ. გარაყანიძე, ოსტატი-დურგლის დახმარებით. ამ უკანასკნელს ჯამაგირი ეძლეოდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბაღში და სახელოსნოში სემინარიის მოსწავლეები ბევრ საინტერესო საქმეს ეუფლებოდნენ და შემდეგში სათანადოდ იყენებდნენ როგორც პირად ცხოვრებაში, ისე სახალხო სკოლებში მოსწავლე ბავშვებისა და მათი მშობლებისათვის სასარგებლო ცოდნის მისაწოდებლად.

სემინარიის კურსდამთავრებულ ახალგაზრდებს ცალკე ნიშნები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში და სახელოსნო საქმიანობაში, რომლებიც მათ ჰქონდათ შესწავლილი, არ ეწერებოდათ, მაგრამ ატესტატებში კი აღნიშნული იყო, რომ სხვა საგნებთან ერთად აღსაზრდელები სწავლობდნენ სოფლის მეურნეობას და სახელოსნო საქმეს.

სემინარიის ურთიერთობა კურსდამთავრებულ აღსაზრდელებთან

გამოცდების შემდეგ კურსდამთავრებულ ახალგაზრდებს სემინარია აჯილდოებდა ფულადი სახსრებით. სემინარიის პირველ ბიუჯეტში სპეციალურად იყო გათვალისწინებული 100 მანეთი „კურს-

[1] ა. სლოვინსკი, „Закавказская учительская семинария...", Тифлис, 1901, გვ. 109.

დამთავრებულთა დასაჩუქრებისათვის"[1]. შემდეგში 1895 წლიდან ფულადი ჯილდო შეიცვალა წიგნებით და ისეთი ნივთებით, რომლებიც მომავალ სახალხო მასწავლებელს გამოადგებოდა თავის საქმიანობაში. საჩუქრები ეძლეოდა ყველა კურსდამთავრებულს და მოსწავლეთა შორის გარჩევას ადგილი არ ჰქონია. საჩუქარი მოსწავლეს ეძლეოდა აგრეთვე კლასიდან კლასში გადასვლის დროსაც.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა მიერ საჩუქრად მიღებული წიგნები მომავალი სახალხო მასწავლებლის პირადი ბიბლიოთეკის საფუძველს წარმოადგენდა. მაგალითად, 1899 წელს ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა ქართველმა მიიღო: 1. საზოგადო და რუსეთის ისტორია — ბელიარმინოვისა; 2. სანიმუშო პროგრამა საგნებისა დაწყებითი სკოლისათვის; 3. ფუტკარი და მისი ცხოვრება — ბუტლეროვისა; 4. ბუნებისმეტყველების კურსი — მიხაილოვისა; 5. ნარკვევები სახალხო განათლების შესახებ საფრანგეთში — იტალინსკისა; 6. სადღესასწაულო-საზეიმო დღეები — თ. სმირნოვისა; 7. სამი ოქმი გაკვეთილების გარჩევის შესახებ — ს. ტერ-არუთინოვისა; 8. ანგარიში მეაბრეშუმეობაში მუშაობის შესახებ—პოლევსკისა; 9. კ. დ. უშინსკი — სიტყვა იტალინსკისა; 10. ა. ს. პუშკინის რჩეული თხზულებანი — ტიხომიროვის გამოცემა; 11. ა. ს. პუშკინის პორტრეტი; 12. ევანგელიე — რუსულ ენაზე; 13. სიტყვიერების თეორია — ბელოსოვისა; 14. რუსული გრამატიკა — ანტონოვისა; 15. ილუსტრირებული ლექსიკონი საზოგადოებრივი ცნობებისა — ელპესი, სოვორინის გამოცემა; 16. ნ. ვ. გოგოლის თხზულებანი, მე-14 გამოცემა, რედაქცია ნ. ტიხონრავოვისა; 17. ადამიანი, როგორც აღზრდის საგანი — კ. დ. უშინსკისა; 18. „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე" — ლომანისა; 19. ყოველდღიური ცხოვრების ეთიკა — ნეზავისიმისა; 20. რუსი მწერლები — ოსტროგორსკისა; 21. მეცადინეობის გეგმა ერთკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლისა სამი წლის კურსით — ა. ჩიბანისა; 22. რუსული პედაგოგიკა — დემკოვისა; 23. აღზრდის მეცნიერება — ა. ბენისა; 24. საიუბილეო კრებული ისტორიულ-ლიტერატურული სტატიებისა პუშკინის შესახებ — ნ. ი. რომანოვისა; 25. საიუბილეო ალბომი პოეტის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით — მარქსის გამოცემა; 26. ა. ს. პუშკინის თხზულებანი — ქართულ ენაზე. გარდა ამისა, იმავე მოსწავლეს II კლასიდან III კლასში გადასვლის დროს მიეცა ვიოლინო[2].

---

[1] საქმე № 1, ფ. 7.

[2] Циркуляр по управлению Кавказским учебным округом за 1901 год. XI, Приложения, Тифлис, 1901 стр. 30.

კურსდამთავრებული ახალგაზრდების შესახებ სემინარიის დირექციას მიმოწერა ჰქონდა კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოსთან სამსახურში მათი მოწყობის შესახებ, ხოლო ადგილებზე დანიშვნის შემდეგ სემინარია სახალხო სკოლების დირექტორებს თხოვდა ცნობებსა და დახასიათებებს მისი აღზრდილების საქმიანობის, ბეჯითობა უნარისა და წარმატებების შესახებ. დირექციები, როგორც წესი, ასეთ ცნობებს სემინარიას ყოველთვის უგზავნიდნენ და ამის საფუძველზე საანგარიშო მოხსენებებში დირექტორები განსაკუთრებით აღიშნავდნენ წარჩინებულ მასწავლებლებს. მაგალითად, 1890 წლის სემინარიის მუშაობის „ანგარიშში" სტრელეცკი წერდა: „იმ 145 მასწავლებლიდან, რომლებიც სემინარიამ გამოუშვა და ამჟამად მსახურობენ, მათი უფროსების შეხედულების მიხედვით, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პედაგოგიურ მუშაობაში, შემდეგმა პირებმა: ... თბილისის დირექციაში: დუშეთის დაწყებითი სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწე ბართლომე ხუციშვილმა, სიღნაღის მაზრის ველისციხის სასოფლო სკოლის გამგე იოსებ სიდამონ-ერისთავმა, თელავის მაზრის ყვარლის სასოფლო სკოლის მასწავლებელმა სპირიდონ მათიკაშვილმა, დუშეთის მაზრის ახალგორის სასოფლო სკოლის მასწავლებელმა სპირიდონ გელაშვილმა, თბილისის მაზრის მარტყოფის სასოფლო სკოლის მასწავლებელმა ექვთიმე ამირაჯიბმა, ახალქალაქის მაზრის ქილდის სასოფლო სკოლის მასწავლებელმა ნიკოლოზ ჯავახიშვილმა, თბილისის მაზრის ნორიოს სასოფლო სკოლის მასწავლებელმა გიორგი ფარადაშვილმა და ა. შ.

ქუთაისის დირექციაში: ხონის ორკლასიანი სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწე ისაკ ნუცუბიძემ და ხორგის ორკლასიანი ნორმალური სასწავლებლის მასწავლებელმა გიორგი ავთანდილოვმა"[1].

სემინარიის კურსდამთავრებულებთან ურთიერთობასა და კავშირს დასაწყისი დ. სემიონოვმა მისცა. დ. სემიონოვი ამ შემთხვევაში ეყრდნობოდა დიდი რუსი პედაგოგის კ. უშინსკის შეხედულებებს, რაც გამოთქმული იყო მის სტატიაში „Проект учительской семинарии", რომელშიც წერდა: „Определённых на постоянные места воспитанников своих семинария не должна оставлять своими попечениями. Через училищное начальство и через непосредственную переписку с своим бывшим воспитанником должна она получать извещения как о том, как помещены её воспитанники, так и об их поведении и результатах их деятельности. Попечительство своё выпущенным воспитанникам, кроме того

[1] საქმე № 381, ფ. 4.

семинария может оказывать: 1) денежными поддержками в первое время, если это окажется необходимым; 2) небольшими денежными пособими в несчастных случаях; 3) протекцией[1] при каких—нибудь неприятных столкновениях, в которых не будет виноват сам воспитанник; 4) рассылкой в новь выходящих книг и учебных руководств и пособий, с которыми семинария сочтёт необходимым познакомить приходских учителей. Словом, семинария должна не только вложить в своих воспитанников благороднейшие педагогические стремления, но и суметь поддержать эти стремления, в какую бы глушь судьба не забросила её воспитанников"[2].

თავისთავად ცხადია, რომ სემინარიელებთან ურთიერთობას მათთვის დიდი ზნეობრივი და გამამხნევებელი მნიშვნელობა ჰქონდა და ენერგიას მატებდა ახალგაზრდა მასწავლებლებს უფრო მონდომებით ემუშავნათ და არ შეშინებოდათ სიძნელეებთან ბრძოლისა. პროფ. ე. ნ. მედინსკის სამართლიანი შენიშვნით, უშინსკის ეს შეხედულებანი, რომლებიც პრაქტიკულად გორის სამასწავლებლო სემინარიაშიც ხორციელდებოდა, ძვირფასია და ამჟამადაც გარკვეული სარგებლობის მოტანა შეუძლია.

ყოფილ აღსაზრდელებთან ურთიერთობის მეოხებით სასწავლო დაწესებულებას საშუალება ეძლევა ობიექტური წარმოდგენა იქონიოს მის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ და ყურადღება გაამახვილოს იმ ნაკლოვანებებზე, რასაც ადგილი ჰქონია სწავლა-აღზრდის პროცესში და რაც მკაფიოდ გამომეღავნდება კურსდამთავრებულის დამოუკიდებელი მუშაობის დროს. სუსტი მხარეების შესწავლის შემდეგ უფრო ადვილი ხდება მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა და მუშაობაში მეტი წარმატების მოპოვება.

გორის სამასწავლებლო სემინარია 1905 წლის რევოლუციის პერიოდში

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღებას გორის სამასწავლებლო სემინარიაში საფუძველი სასწავლებლის დაარსების პირველ წლებშივე ჩაეყარა. 1877 წელს ცნობილმა ქართველმა ხალხოსანმა შიო დავითაშვილმა სამასწავლებლო სემინარიაში მოა-

---

[1] პროტექცია აქ „გამოსარჩლების" სახით არის ნაგულისხმევი.

[2] К. Д. Ушинский, Собрание сочинений, т. 2, 1948, стр. 549. უშინსკის სიტყვით, სემინარიელებთან ურთიერთობის ასეთი წესი არსებობდა ედინბურგის სამასწავლებლო სემინარიაშიც.

წყო წიგნების საამკინძაო სახელოსნო, რამაც მას საშუალება მისცა რევოლუციური მუშაობა ფართოდ გაეშალა სემინარიელებსა და მასწავლებლებს შორის. იგი მოსწავლეებს ამარაგებდა არალეგალური ლიტერატურით და, როგორც მისი მოგონებიდან ირკვევა, სისტემატურად ეწეოდა პროპაგანდას მეფის მთავრობის წინააღმდეგ. დ. სემიონოვის დირექტორობის დროს, რომელიც შ. დავითაშვილს ხელს არ უშლიდა ასეთი მუშაობის ჩატარებაში, მოსწავლეთა გათვითცნობიერება და რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალვა კიდევ უფრო წარმატებით მიმდინარეობდა[1]. მას შემდეგ კი, რაც სემინარიაში ქართული ენის მასწავლებლად მ. ქ. ყიფიანი დაინიშნა, მოსწავლეთა მოწინავე ნაწილი აქტიურად ჩაება არალეგალურ ხალხოსნურ წრეებში და დიდი გატაცებით დაეწაფა რევოლუციურ იდეებს. შემდეგში ს. სტრელეცკისა და ა. სლოვინსკის დირექტორობის დროს ამგვარი მუშაობა მეტ-ნაკლებად ყოველთვის წარმოებდა, მაგრამ ფართო გასაქანი მას არ მისცემია, რადგანაც სემინარიის ბიუროკრატიული ადმინისტრაცია მ. ყიფიანის დაპატიმრებისა და ციმბირში გადასახლების შემდეგ (1883 წ.) გაორკეცებულ სიფხიზლეს იჩენდა და მოსწავლეებს სასტიკ მეთვალყურეობას უწევდა. მიუხედავად ამისა, რევოლუციური მუშაობა სემინარიელთა შორის სავსებით მაინც არასოდეს არ შეწყვეტილა.

სოკრ. ძიმისტარიშვილი, რომელიც გორის სამასწავლებლო სემინარიაში 1900 წელს შევიდა, შემდეგ საინტერესო ფაქტს გადმოგვცემს: „პოლიტიკურად ჩვენ ჩამორჩენილები ვიყავით. ... მიუხედავად ამისა 1902—1903 წლებში მოძრაობის შუქი ჩვენც შეგვეხო. ძლივს მოვახერხეთ მე და ილია რუხაძემ „გლეხი კაცის ისტორიის“ წაკითხვა. ბოკლის „ინგლისის კულტურის ისტორია“ თავის სქელტანიანობით საქმეს გვიჭირვებდა. ამ დროს ჩვენამდის „ისკრამაც“ მოაღწია. გორის მახლობლად მასწავლებლად იყო თედო რაზიკაშვილი. იგი ხშირად ჩამოდიოდა გორში. რამდენიმე ქართველმა მოსწავლემ გავიცანით. თედო ხან შეზარხოშებული, ხან კიდევ თავმოქთვრალებული საღამოს 9—10 საათზე სემინარიის ფანჯარასთან ცხენს მოაგდებდა და დაიძახებდა: „ჰა, ბიჭო, ეს დედაშენმა გამოგიგზავნაო“ და შეკრულ „ისკრის“ ნომერს გადმოგვიგდებდა. ... 1903 წლის პირველ მაისს, გაფიცული მუშებისა და სტუდენტების სოლიდარობის ნიშნად, გადავწყვიტეთ, ჩვენც გავფიცულიყავით.

---

[1] მასწავლებელთაგან შ. დავითაშვილთან ძალიან დაახლოებული იყვნენ ფ. ნათიშვილი, კ. ურუსოვი, საფარ ველიბეკოვი და სხვ., რომლებიც რევოლუციურ ლიტერატურას გატაცებით ეწაფებოდნენ (იხ. იგივე წყარო, გვ. 80).

მშვენიერი დილა იყო. ჩაის შემდეგ იმის ნაცვლად, რომ კლასებში შევსულიყავით, ავიღეთ ქუდები და ქუჩაში გავედით. სულ მალე პოლიცია გადაგვეღობა წინ. მაგრამ დახეთ ადმინისტრაციის თაღლითობას! უცბად იქვე გამოცხადდნენ ეკონომი გოლუბიატნიკოვი და მასწავლებელი პოლევსკი და პოლიციას განუცხადეს, რომ მოწაფეები დირექციის ნებართვით მიდიან „მაისობაზე". პოლიცია მოგვეშვა და ჩვენც მართლა მაისობა გამოგვიეიდა"[1].

მაგრამ სემინარიელთა გამოფხიზლებასა და ამოძრავებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას.

1905 წლის ამბებმა უდიდესი ბიძგი მისცა საერთოდ ახალგაზრდობაში და, კერძოდ, მოსწავლე ახალგაზრდობაში, მოწინავე რევოლუციური იდეების ფართოდ გავრცელებას. მეფის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა, რომ რევოლუციური ბრძოლის ტალღებს არ შეეღწია სკოლის კედლებში, რათა ამით გზა დაეხშო ახალგაზრდებისათვის შეერთებოდნენ მათი მამებისა და დედების, უფროსი და-ძმებისა და მეგობრების თავგანწირულ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

მაგრამ მიუხედავად ამ ცდისა რევოლუციურმა სულისკვეთებამ ისე, როგორც რუსეთის მთელს იმპერიაში, მძაფრი გამოხმაურება ჰპოვა კავკასიისა და საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობაშიც. მოსწავლეები უერთდებოდნენ გაფიცულ მუშებსა და გლეხებს, მათთან ერთად აწყობდნენ დემონსტრაცია-მანიფესტაციებს, მოითხოვდნენ მთელი რიგი რეფორმების გატარებას სასწავლებლებში და განათლების დარგში მოკალათებულ შავრაზმელ-მონარქისტთა გადაყენებასა და სკოლებიდან გაძევებას.

დიდი რევოლუციური გამოსვლებით აღინიშნა მოსწავლეთა ცხოვრება ქ. გორშიც. არ დარჩენილა გორის არც ერთი სასწავლებელი, რომ მას რაიმე მხრივ მონაწილეობა არ მიეღო რევოლუციურ მოძრაობაში. ამ მხრივ გამონაკლისს არც გორის სამასწავლებლო სემინარია შეადგენდა.

შემდეგში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ნ. თ. რუდოლფი ეხებოდა რა 1905 წლის რევოლუციის გავლენას სასკოლო ცხოვრებაზე, სინანულით და ღვარძლიანად წერდა: „რაც შეეხება 1905—1907 წლების მოძრაობის გავლენას სასკოლო ცხოვრებაზე, ამას ადგილი ჰქონდა სწავლების ყველა საფეხურზე, მაგრამ უმთავრესად, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდო-

[1] მოგონებანი სწავლა-აღზრდის შესახებ, 1934 (გამოუქვეყნებელია. დაცულია სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში).

ბის პოლიტიკაში ჩათრევით და სკოლაში „ქუჩის“ ფართოდ შეპრით. არც ერთ ქვეყანაში არ შეიძლება აღვნიშნოთ ისეთი მომენტები, როდესაც საშუალო სკოლის მოსწავლე თავისი პირდაპირი მოვალეობის — სწავლის — გარდა, გატაცებული ყოფილიყო ამა თუ იმ პლატფორმის ინტერესებით.

„ქუჩამ“ თავისი გამხრწნელი გავლენით, „მოპოლიტიკოსე მოღვაწეებმა“ თავიანთი „credo“-თი: „რამდენადაც უარესია,მით უკეთესია“, ეგრეთწოდებულ განმათავისუფლებელი მოძრაობის დღეებში, უკანა რიგში დააყენა ის ინტერესები, რაც ითვალისწინებს ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდას მკაცრი მორალის, ეკლესიისადმი სიყვარულის და მეფისა და სამშობლოსადმი ერთგულების ნიშნით. სკოლა „შრომის ტაძრიდან“ გადაიქცა საეჭვო ექსპერიმენტების ობიექტად. გარედან დაიწყო ის მუშაობა, რომელმაც. დიდად სამწუხაროდ, სათანადო არახელსაყრელ პირობებში, ბევრ შემთხვევაში გამოიწვია სკოლის „დანგრევა“, — ის „დანგრევა“, რომელიც ქარიშხლის ძალისა იყო და საქმისათვის, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის დამღუპველი იყო, ისე როგორც დამღუპველია ყოველი სახალხო უბედურება“[1].

მეფის ერთგული დამქაშის ამ სიტყვებში კარგად ჩანს, თუ რამდენად მძლავრი გამოძახილი ჰპოვა 1905 წლის რევოლუციურმა მოძრაობამ მოსწავლეთა შორის. აქტიური მონაწილეობა მიიღეს დემონსტრაციებში გორის სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლეებმაც. სემინარიის დირექტორად იმ დროს იყო მ. ა. მიროპიევი, უაღრესად ცბიერი კაცი, რომელიც წლების მანძილზე თავს ისე აჩვენებდა მოსწავლეებს და მასწავლებლებს თითქოს დიდი ჰუმანისტი და ლიბერალურად მოაზროვნე იყო. სინამდვილეში მონარქისტული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული და თვითმპყრობელობის ერთგულ აგენტად ითვლებოდა. ეს სავსებით გამომჟღავნდა 1905 წლის მარტში, როდესაც გორში უაღრესად დაძაბული მდგომარეობა შეიქნა. მისი საიდუმლო მიმართვები კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ მ. რ. ზავადსკისა და გორის პოლიციის უფროსისადმი ნათლად გვიჩვენებს მის შიშსაც და სიძულვილსაც, რაც გამოწვეული იყო რევოლუციური მოძრაობის აღმავლობითა და გაფართოებით.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ მ. მიროპიევის საიდუმლო მოხსენებებში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს სემინარიაში სრული

---

[1] Обзор деятельности Кавказского учебного округа 1908—1912 г. г Тифлис, 1914 г., стр. 1.

სიწყნარე სუფევდა და მხოლოდ გარეშე ელემენტები არღვევდნენ წესრიგს და არ აძლევდნენ სემინარისტებს ნორმალური მეცადინეობის საშუალებას. ამას ის თავის განსაკუთრებულ დამსახურებად თვლის, მაგრამ ამბების განვითარებამ ცხადყო, თუ რამდენად ცდებოდა მ. მიროპიევი, ან უფრო სწორად, რამდენად ყალბ ინფორმაციას აწვდიდა ის თავის უშუალო უფროსებს მოსწავლეთა განწყობილების შესახებ.

ამ მხრივ ძალიან საინტერესოა გაცნობა ერთი დოკუმენტისა, რომელიც პირად წერილს წარმოადგენს და გამოგზავნილია ბათუმიდან 1905 წლის 27 თებერვალს. წერილი (ლია ბარათი) მიმართულია სემინარიის პირველი კლასის მოსწავლე ფილიპე ალექსის-ძე ჩოჩიასადმი, დაწერილია რუსულ-ქართულად და იმავე დროს ზოგიერთი ქართული სიტყვა და წინადადებები რუსული ასოებითაა გადმოცემული, ხოლო რუსული კი — ქართული ასოებით.

„Милый друг Филипп!

Здравствуй. Наконец то собрался писать к тебе. Очень рад слышать от тебя, что у вас в училище ნახევარი დემოკრატებია. Мы, братец, подали инспектору свои требования, на которыя инспектор не согласился и мы решили бастовать. Уже неделя прошла — со дня забастовки, а ответа от попечителя всё нет.

Кажется, училище закрыто до 1 сентября. Надеюсь Гамеиღვიძებт и не предадитесь Саукуно сну. Машь. ხ.....ფე. მომიკითხეთ ყველა ამხანაგები და პუსტ პრიტიანეტ ვას ტა ბაგნიტიჩესკაია სილა, რომელიც პრიტიაგივაეტ ტისიაჩი ხალხი“[1].

ამ წერილს ადრესატამდის არ მიუღწევია, ის დირექტორის ხელში მოხვდა და საქმეში იქნა ჩაკერებული. ეს საბუთი იმის დამადასტურებელია, რომ მ. მიროპიევმა კარგად იცოდა რა სულისკვეთებით და განწყობილებით იყვნენ გამსჭვალული სემინარიის მოსწავლეები, მაგრამ საქმის ნამდვილი ვითარება, სანამ გამოუვალ მდგომარეობაში არ ჩავარდა, თავის უშუალო უფროსებისათვის არ უცნობებია.

1905 წლის მარტში გორში დაიწყო დიდი გამოსვლები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მასში მონაწილეობას იღებდნენ მუშები, გლეხები, წვრილი ხელოსნები და ქალაქის სხვა მცხოვრებლები. დემონსტრაციებს უერთდებოდნენ გორის სხვადასხვა სასწავლებლის მოსწავლეები. განსაკუთრებით აქტიურობდნენ გორის სა-

[1] საქმე № 79, ფ. 45.

სულიერო და საქალაქო სასწავლებლების მოსწავლეები. შემდეგ ამ მოძრაობამ დიდი გამოძახილი ჰპოვა გორის სამასწავლებლო სემინარიაში და ანასტასიას სახელობის ქალთა პროგიმნაზიაში. ეს მოძრაობა თებერვალში დაიწყო. 1905 წლის 27 თებერვალს გაზ. „მოგზაურმა“ შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „ქ. გორიდან ადგილობრივ გაზეთებს ატყობინებდნენ, რომ 21 თებერვალს ადგილობრივი სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებს თავის მთავრობისათვის სხვადასხვა მოთხოვნები წარუდგენიათ, რის გამო სწავლა შეწყვეტილა. დიდი აღელვება ყოფილა აგრეთვე სამოქალაქო სასწავლებელში და დედათა გიმნაზიაშიც“.

1905 წლის 12 მარტს ბ. მიროპიევი სასწავლო ოლქის მზრუნველს სწერდა: „ვიღებ რა მხედველობაში, ერთი მხრივ იმ გარემოებას, რომ ბევრ სასწავლო დაწესებულებაში ამჟამად ხდება სამწუხარო უწესოებანი და უჰსგავსო გაფიცვები, მეორე მხრივ იმ გარემოებას, რომ როგორც ჩემდამი დაქვემდებარებულ სემინარიაში, ისე გორის ანასტასიას სახელობის ქალთა პროგიმნაზიაში მოსწავლეებს ჯერჯერობით მშვენივრად უპირავთ თავი, მე პატივი მაქვს უმორჩილესად ვთხოვო თქვენს აღმატებულებას უარი არ გვითხრას ჩავატაროთ გადასაყვანი რეპეტიციები და გამოსაშვები გამოცდები დასახელებულ სასწავლო დაწესებულებებში აღდგომის შემდეგ იმ ვარაუდით, რომ ყოველგვარი მეცადინეობა დამთავრებულ იქნეს 15 მაისისათვის ან უფრო ადრეც, თუ თქვენ ამას საჭიროდ ცნობთ თბილისის სასწავლებლებისათვისაც. სხვა მიზეზები ჩემი ამგვარი თხოვნისა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი მოსწავლეები დიდი ხანია განიცდიან სულიერ ბრძოლას იმასთან დაკავშირებით, რომ ერთი მხრივ გაფიცულ მოსწავლეებს სურთ ისინი თავიანთ მხარეზე გადაიბირონ და მეორე მხრივ იმასთან დაკავშირებით, რასაც ჩვენ მათ ვურჩევთ და შთავაგონებთ“[1].

მაგრამ ამ მიმართვის გაგზავნიდან სწორედ ორი დღის შემდეგ გორში გაიმართა ისეთი დემონსტრაცია, როგორიც მანამდე არ ენახათ ადგილობრივი სასწავლებლის არც ერთ მესვეურს და თვითმპყრობელობის სხვა წარმომადგენლებს. დემონსტრაციაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს იმ მოსწავლეებმაც, რომელთაც მიროპიევის სიტყვით „მშვენივრად ეჭირათ თავი“. 14 მარტს გორის თითქმის ყველა სასწავლებლის მოსწავლემ შესწყვიტა მეცადინეობა და შეუერთდა დემონსტრანტებს, რომლებიც ქუჩაში მიტინგებს აწყობდნენ და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ სიტყვებს ამ-

[1] საქმე № 79, ფ. 31.

ბობდნენ. სემინარიასთან ახლოს, საარტილერიო მოედანზე, მოხდა შეტაკება დემონსტრანტებსა და სამხედრო პატრულებს შორის. სროლის დროს მოკლეს ერთი თორმეტი წლის ბავშვი, ხოლო თერთმეტი დასჭრეს, რომელთაგან ორი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ეს იყო პირველი სისხლიანი დემონსტრაცია გორში. მღელვარებამ უდიდეს დაძაბულობას მიაღწია. მეცადინეობის გაგრძელება სასწავლებლებში შეუძლებელი შეიქნა. სემინარიის დირექტორმა ოლქის მზრუნველს იმავე დღეს დაწვრილებითი მოხსენება გაუგზავნა. როგორც პირველ მიმართვაში, ისე აქაც, მიროპიევი ერთგული დარჩა მის მიერ არჩეული ხაზისა: თითქოს სემინარიაში სიწყნარე და წესრიგი ყოფილიყო და მხოლოდ სხვებს შეეშალოთ მათთვის ხელი მეცადინეობის ჩატარებაში. ცხადია, მასამით უნდოდა თავისი ავტორიტეტი აემაღლებინა რეაქციონერ მმართველთა შორის, რათა უფრო მაღალი კარიერის მიღწევისა და წარმატებების მოპოვების საშუალება ჰქონოდა. მაგრამ 14 მარტის მის მიმართვაში უკვე საკმაოდ ჩანს შეშინებული ბიუროკრატის ტონი. აი როგორ აშუქებს ის 14 მარტის ამბებს: „მივიღე რასხვადასხვა მხრიდან ცნობები, რომ 14 მარტს მოხდება დიდი არეულობა გორის საქალაქო სასწავლებელში, მე გუშინ საღამოს გამოვუძახე არეულობის ორ მეთაურთაგანს და ვცდილობდი მათზე მომეხდინა ზეგავლენა. იმათ მე ბომცეს სიტყვა, რომ არავითარ უწესოებას არ მოახდენდნენ. დღეს მე, სემინარიის კლასის დამრიგებლის გარაყანიძის თანხლებით, მეცადინეობის დაწყებამდე მივედი საქალაქო სასწავლებელში, თავი მოვუყარე ყველა მოსწავლეს, რომლებიც ზოგიერთ კლასში სანახევროდაც არ მოსულიყვნენ და ვცდილობდი, სხვებთან ერთად, მათ დამშვიდებას. მეცადინეობა დაიწყო კარგად, მაგრამ პირველი გაკვეთილის დამთავრებისთანავე სასწავლებლის გარშემო თავი მოიყარეს სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებმა, რომელთა შორის ცოტა როდი იყვნენ სასულიერო სემინარიის მოსწავლეები და გიმნაზიელები. მალე სასწავლებლის ორივე მხარეს შეჯგუფდა ორი ბრბო, რომლთაც უერთდებოდა სხვადასხვა ბნელი პირები და მთვრალი კინტოები. ბრბომ მოითხოვა მეცადინეობის შეწყვეტა და უნდოდა მინების ჩამტვრევა, მაგრამ ეს არ დააშვებინეს ჩემ მიერ ქუჩაში დაყენებულმა მსახურებმა (прислуга). რადგან მეცადინეობის გაგრძელების საშუალება არ იყო, მე ებრძანე, შეეწყვიტათ მისი ჩატარება. საქალაქო სასწავლებლის ის მოსწავლეები, რომლებიც მეცადინეობაზე არ გამოცხადნენ, შეუერთდნენ ბრბოს. სასწავლებლიდან გასვლა მე შემეძლო მხოლოდ უკანა მხრიდან, რითაც ვისარგებლე, რათა ამის შესახებ მეცნობებინა

პოლიციისათვის, რადგანაც ბრბო სასწავლებლიდან გარედ არავის არ უშვებდა. შევიარე რა ბატ. მაზრის უფროსთან, მაშინვე წავედი ქალთა პროგიმნაზიაში, რომლის მოსწავლეთა ბედი ძლიერ მაწუხებდა. თუმცა ჩემი თხოვნით პროგიმნაზიასთან განლაგებული იყვნენ პოლიციელები და მანამდე საქალაქო სასწავლებელში ყოფნის დროს პროგიმნაზიაში კაცი მყავდა გაგზავნილი ამბის გასაგებად, მაინც მე თვითონ წავედი იქ და შევეჩეხე ბრბოს, რომელსაც წითელი დროშა მოჰქონდა. ეს ბრბო შედგებოდა ზევით აღნიშნული ელემენტებისაგან. მთლიანად მთავარი ქუჩა, რომელზედაც იმყოფება პროგიმნაზია, ძლიერ აღელვებული იყო. პროგიმნაზიაში მივედი დიდი დასვენების დროს. მე ისინი დავამშვიდე და მეცადინეობა შევაწყვეტინე სამი დღით, რადგანაც სამი დღის შემდეგ გორში კაზაკები მოვლენ და შემოღებული იქნება გაძლიერებული დაცვა. მე თვითონ, მამაკაც პერსონალთან ერთად, გამოვიყვანე გოგონები ბრბოსაგან დაშორებით, რითაც ავაცილე მათ სხვადასხვა შეურაცხყოფა. სემინარიაში დაბრუნების შემდეგ, მე აქაც შევწყვიტე მეცადინეობა, რადგან ვიცოდი, რომ ბრბო აქეთკენაც მოდიოდა. მეცადინეობაზე მყოფი სემინარიელების დანახვა კიდევ უფრო გააშმაგებდა გამხეცებულ ბრბოს და ამიტომ მე ვბრძანე დაეკეტათ შიგნითა დარბაზები და ჭიშკარი. ვუბრძანე ესევე გაეკეთებინათ თათართა განყოფილებაშიც. ჩემი განკარგულების შესრულებისთანავე მოვიდა ბრბო და ჩაამტვრია ყველა მინა თათართა განყოფილების ქვემო სართულში და საღვთო სჯულის მასწავლებლის რაშიდ ბეგ ეფენდიევის ბინაში. ეს ბრბო მოდიოდა რა სემინარიისაკენ, იმუქრებოდა, რომ დაამტვრევდა ყველაფერს, მაგრამ ამ დროს მოუსწრო სამხედრო პატრულმა, რომელმაც ხელი შეუშალა მათ ამ საქმეში. ბრბოს სურდა თავს დასხმოდა ჯარისკაცებს და ცდილობდა მის გარშემორტყმას, მაგრამ პატრულებმა დაიწყეს სროლა, რის შედეგადაც ბრბოში არიან მოკლულები და დაჭრილები. ბრბო გაიფანტა და ჯერჯერობით ჩვენ გადავრჩით დარბევას. რა იქნება ხვალ, არ ვიცით. ამ ამბოხების დროს დააპატიმრეს საქალაქო სასწავლებლის ორი მოსწავლე, როლებიც გარიცხული იქნებიან სკოლიდან, როგორც კი მათ გვარებს გავიგებთ.

ვაჯამებ რა ყველა ზემოთქმულს, მე უწესოების მთავარ დამნაშაველებად ვთვლი მოსწავლეებს გორის სასულიერო სასწავლებლისას, რომელიც სამ კვირაზე მეტია არ ღებულობს გადამწყვეტ ზომებს წესიერების აღსადგენად და ბუნტარების ქ. გორიდან გასასახლებლად, თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხულ მოსწავლეებს, თბილისელ გიმნაზიელებს, რომლებიც ბლომად ცხოვრო-

ბენ გორში და საქალაქო სასწავლებლის ზოგიერთ მოსწავლეს, რომელთაც მე აქამდე მამაშვილურად ვეპყრობოდი, მაგრამ ამის შემდეგ სასწავლებელი მათ უნდა მოეპყრას მკაცრად იმისდა მიხედვით, თუ რა მონაწილეობა მიიღეს არეულობაში"[1].

ამ მოხსენებაში აღნიშნული ზოგიერთი მომენტის უკეთ გასაგებად საჭიროა შემდეგი გარემოება გავითვალისწინოთ. გორის ანასტასიას სახელობის ქალთა პროგიმნაზია, რომელიც სახელოვანი პედაგოგის დ. დ. სემიონოვის ინიციატივით იყო დაარსებული, სამასწავლებლო სემინარიის მზრუნველობაში იმყოფებოდა. დ. სემიონოვი სამასწავლებლო სემინარიის დირექტორობის გარდა (1878—1884) ქალთა პროგიმნაზიის მოსწავლეთა მშობლების კრებამ ერთხმად აირჩია სასწავლებლის სამზრუნველოს პირველ საპატიო თავმჯდომარედ და ამ მოვალეობას ის უსასყიდლოდ ასრულებდა პეტერბურგში სამსახურში გადასვლამდე. დ. სემიონოვის შემდეგ ეს ტრადიცია დამკვიდრდა და გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორი ამავე დროს ქალთა პროგიმნაზიის საიზრუნველოს თავმჯდომარედ ითვლებოდა. შემდეგში კავკასიის სასწავლო ოლქის მზუნველმა მ. ზავადსკიმ მიროპიევს, როგორც მის ერთგულ კაცს, უფრო მეტი უფლებები მისცა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ის გორის ყველა სასწავლებლის „ზედამხედველ-მზრუნველის" რწმუნებით აღჭურვა. ამით აიხსნება, რომ იგი აქტიურად ერევა სხვა სასწავლებლების შინაურ საქმეებში და მათ ხელმძღვანელებს რჩევა-მითითებებს აძლევს, თუ რა ღონისძიება უნდა გაატარონ „წესრიგის" აღსადგენად. რაც შეეხება მიროპიევის განცხადებას, რომ ქალთა პროგიმნაზიაში მეცადინეობა იმის გამო შეწყდა, რომ გარედან მოსულმა „ბრბომ" შეუძლებელი გახადა სწავლის ჩატარებაო, სიმართლეს მოკლებულია, რადგანაც ქალთა სასწავლებელში ბლომად იყვნენ რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული მოსწავლე გოგონები, რომლებიც მეცადინეობის შეწყვეტასა და დემონსტრანტებთან შეერთებას მოითხოვდნენ. ამით აიხსნება, რომ მიროპიევმა მოითხოვა პროგიმნაზიიდან გაერიცხათ მოსწავლე ქალები კაპანაძე, ჯულაბოვა (ჯულაბაშვილი) და აბუევა (აბუაშვილი), როგორც არეულობის ინიციატორნი პროგიმნაზიის მოსწავლეთა შორის. 1905 წლის 24 მარტს პროგიმნაზიის მოსწავლეების მშობელთა კრებაზე, რომელმაც

---

[1] საქმე № 79, ფ. 24—25. ამ დემონსტრაციის შესახებ იხილეთ აგრეთვე 1905 წლის „მოგზაური", № 10, გვ. 142. გაზეთის ცნობით, დემონსტრანტებს საარტილერიო მოედნის ახლო დახვდა შეიარაღებული სალაშათების ჯგუფი, რომელმაც, თვით ჩვეულებრივი „разойтись" უთქმელად ხალხს რამდენჯერმე ესროლა.

დაადგინა განეახლებინათ შეწყვეტილი მეცადინეობა 28 მარტიდან, გამოცხადნენ ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი ჯულაბაშვილი და იურიევის უნივერსიტეტისა — ონიაშვილი, რომელთაც უნდოდათ სიტყვებით გამოსვლა, მაგრამ მიროპიევთან ინცინდენტის გამო ეს ვერ მოახერხეს. ამ კრების შესახებ თვითონ მიროპიევი ზავადსკის აცნობებდა: „თუმცა მშობელთა კრებაზე არც ერთ დამსწრეთაგანს არ გამოუთქვამს სურვილი მეცადინეობის შეწყვეტის სასარგებლოდ, მაგრამ მე სხვა მხრივ მაქვს ცნობები, რომ ყველას როდი გაუხარდა მეცადინეობის განახლება. და თუ მათ თავი შეიკავეს ასეთი აზრების გამოთქმისაგან, ეს იმიტომ, რომ მე ჩემს სიტყვაში, სხვათა შორის, განვაცხადე: თუ პროგიმნაზიაში მოხდება არეულობანი და მოსწავლეები გაიფიცებიან, მე მაშინ, რადაც არ უნდა დამიჯდეს, მივაღწევ პროგიმნაზიის უფროსი კლასების დახურვას და მის გადაკეთებას ისეთ სასწავლებლად, სადაც იქნება 4 ან 3 წლიანი სწავლების კურსი. ამბობდნენ, ამ განცხადებამ ძლიერ შეაკავა მშობლები გამოსვლებისაგან. გამოდგება თუ არა ეს განცხადება შემაკავებელ სტიმულად თვითონ მოსწავლე გოგონებისათვის, რომელთა შორის ბევრია არასაიმედონი, არ ვიცით.... თუ ეს ზომა საკმარისი არ იქნება, მე მაშინ დაბეჯითებით გთხოვდით, სამუდამოდ დაგეხურათ დამნაშავე უფროსი კლასები“[1].

14 მარტს გორში ჩატარებულმა მოსწავლეთა დემონსტრაციამ, რომელშიც სამასწავლებლო სემინარიის ბევრი მოსწავლეც იღებდა მონაწილეობას და რის შესახებაც მიროპიევი შეგნებულად დუმს, დიდი შეშფოთება გამოიწვია რეაქციულად განწყობილ მასწავლებელთა და სასწავლებლების ხელმძღვანელთა შორის. მიროპიევს სასწრაფოდ უგზავნიდნენ კერძო წერილებს და თხოვდნენ რჩევა-დარიგებას. ერთ-ერთ წერილში, რომელიც ქალთა პროგიმნაზიის რომელიღაც მასწავლებელს ეკუთვნის (ხელმოწერა გაურკვეველია), ვკითხულობთ:

„დიდად პატივცემულო მიხეილ ალექსის-ძევ! ჩემ მოვალეობად ვთვლი გაცნობოთ, რაც ვიცი დღევანდელი დღის შესახებ (ლაპარაკია 14 მარტის ამბების შესახებ — მ. კ.): ლოცვის დაწყებამდე მოვიდა ტერ-მინასოვი და გადმოგვცა თქვენი განკარგულება და გაფრთხილება მოწაფეებისადმი, რომ მათ არ შეშინებოდათ ხმაურობისა და ყვირილისა, რადგანაც პროგიმნაზიას დაიცავენო. მეორე გაკვეთილზე გალერეიაში მყოფი ბავშვები, ანტონოვა და შიხშახევა შიშით შემოცვივდნენ და გვარწმუნებდნენ, რომ ბიჭების ბრბო

[1] საქმე № 79, ფ. 50—51.

ეზოში შემოვიდა და დაიმალა სასწავლებლის სარაიაშიო". შემდეგ, გადმოცემულია, რომ ის (წერილის ავტორი — მ. კ.) გააფრთხილეს, თითქოს მოსწავლე ბიუები აპირებდნენ მთლიანად პედპერსონალის ამოხოცვას. დასასრულ ცნობის მიმწოდებელი ისტერიკული ტონით კითხულობს: „რა ვქნათ? რანაირი ზომები მივიღოთ? სად არიან გოროდოვოები? ამბობენ, ისინი გაიქცნენ, როცა ბრბო მოგვეჭრა; რაღას უყურებდნენ ისინი? ვერ შესძლეს პატარა მოსწავლე ბიუების შეკავება! ... — ყველაფერი ეს საშინელია და სამწუხარო"[1].

მ. მიროპიევს სასწავლებლებში გაჩენილი ჰყავდა ჯაშუშები, რომელთაგანაც საიდუმლო ცნობებს ღებულობდა პოლიტიკურად არასაიმედო მოსწავლეებისა და მათ მიერ აშკარად გამოთქმული აზრების შესახებ. მაგალითად, მარტის დღეებში მას მიუღია პატარა ფორმატის ორი ფურცელი, რომლებიც შეიცავს დიბეზღებითი ხასიათის ჩანაწერებს. მათში აღნიშნულია რამდენიმე მოწაფის გვარი, რომელთაც კითხვის ნიშნები უზის და ცალკეული გამოთქმები. როგორც ჩანს, ჯაშუშს არ ნდომებია თავისი ვინაობის გამხელა და ამიტომ ხელი იმდენად შეცვლილი და გაკრულია, რომ ძალიან ძნელად იკითხება. ვიღაცას უცდია მოწოდებული ცნობების ამოკითხვა-გაშიფვრა და ამოუწერია ცალკეული გამოთქმები: „Грозили разорвать портрет царя". „Мы им покажем". „Студента обучают бомбам", „Грозят сделать то, что в тат. Семинарии" და სხვ.[2]

14 მარტის დემონსტრაციასთან დაკავშირებით მოკლულ პირთა დასაფლავებაში, საერთოდ გორელმა მოსწავლეებმა და განსაკუთრებით პროგიმნაზიის მოსწავლე ქალებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს. სამგლოვიარო პროცესიამ მძლავრი დემონსტრაციის სახე მიიღო. მიროპიევი ადევნებდა რა თვალყურს პროგიმნაზიის მოსწავლეებს, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს წერდა: „რაც შეეხება პოლიტიკურად არასაიმედო მოსწავლეებს, მათი რიცხვი არის 5; მათ ნება მისცეს თავს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ იმ პირთა დემონსტრაციულ დასაფლავებაში, რომლებიც მოკლულ იქნენ შეიარაღებულ ძალებთან შეტაკების დროს ქ. გორში, 14 მარტს. ეს დასაფლავება მოაწყო საიდუმლო რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც მოერეკებოდა ხალხს. განსვენებულთა კუბოები დაფარული იყო წითელი მატერიით. ბევრი რევოლუციური სიტყვა ითქვა. მოსწავლე ქალთაგან ზოგს მიჰქონდა გვირგვინები, ზოგსაც

---

[1] საქმე № 79, ფ. 20.

[2] იქვე, ფ. 42—43.

მოკლული ბიბის კუბო. ყველაზე აქტიურ როლს როგორც ამ და, საფლავებაში, ისე მოსწავლე მეგობრების წაქეზებაში გასაფიცად, თამაშობენ, რამდენადაც მე ვიცი, მეექვსე კლასის მოსწავლე ქალები ჯულაბოვა და აბუევა.

არ მინდა რა ამ ეამად გავამწვავო მდგომარეობა, რათა შენარჩუნებულ იქნეს მთლიანად პროგიმნაზია, მე მაინც არ შემიძლია დავუშვა, რომ ესენი და მათი მსგავსი მოსწავლე ქალები კვლავ დარჩნენ ამ სასწავლებელში. ამიტომ ვფიქრობ, თუ თქვენი აღმატებულება თანახმა იქნება მოიწონოს ეს აზრი, გავრიცხო ისინი სასწავლო წლის ბოლოს, თუ მანამდე კვლავ ცუდი რამ არ ჩაიდინეს"[1].

ასე ერთგულ დარაჯად ედგა თვითმპყრობელობას შავრაზმელი მიროპიევი. მისივე მითითებით, რომელიც მან გაუგზავნა გორის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორ ნ. ნ. პოგორელოვს, სკოლიდან გარიცხულ იქნენ: ბაგრატ ელიოზიშვილი (მეორე კლასის პირველი განყოფილება), ლეონტი ქურდოვანიძე, გიორგი მაჰავარიანი, თედო გაფრინდაშვილი, ლავრენტი უნაფქოშვილი (მეორე კლასის მეორე განყოფილება) და ნესტორ მინდელი, ნიკოლოზ ჯავრიშვილი და მიხეილ ტატიშვილი (მესამე კლასი)[2].

დაწვრილებით, თუ რა ხდებოდა გორის სამასწავლებლო სემინარიაში 1905 წლის გაზაფხულის პერიოდში, მიროპიევი არაფერს ამბობს. პირიქით საქმის ვითარება თავის საიდუმლო მოხსენებებში, რომელთაც ის სასწავლო ოლქის მზრუნველს უგზავნიდა, ისე ჰქვს წარმოდგენილი, თითქოს სემინარიელები, მომავალი სახალხო მასწავლებლები, რევოლუციური მოძრაობისაგან შორს იდგნენ და მხოლოდ თბილისიდან ჩამოსული „საეკვო ელემენტები" და გორის სხვა სასწავლებლების ბუნტარი-მოსწავლეები უშლიდნენ მათ ხელს ნორმალურ მეცადინეობაში. რასაკვირველია, ეს ყველაფერი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, სიცრუეს წარმოადგენდა და მიზნად ისახავდა უფროსებისათვის ისე ეჩვენებინა თავი, რომ მხოლოდ მიროპიევია ერთადერთი, რომელმაც შესძლო რევოლუციური მოძრაობის გავლენისაგან დაეფარა სემინარიელები და ამით პატივი და დიდება მოეპოვებინა, თავისი ავტორიტეტი, როგორც მეფის ერთგული დამქაშისა აემაღლებინა.

სინამდვილეში, გორის სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლეთა უმრავლესობა რევოლუციური სულისკვეთებით იყო გამსჭვალული და სულით და გულით თანაუგრძნობდა თვითმპყრობელობის წინა-

---

[1] საქმე № 79, ფ. 51—52.

[2] ი ბ ვ ე, ფ. 40; საქმე № 892, ფ. 1—2.

აღმდეგ მიმართულ ყოველ გამოსვლას. თუ რა ღრმა ფესვები ჰქონდა გადგმული რევოლუციურ იდეებს სემინარიელთა შორის და რა სიძულვილით უცქეროდნენ ისინი მეფის მთავრობასა და მისი პოლიტიკის ცხოვრებაში გამტარებლებს, საკვლევით ცხადად გამოჩნდა სემინარიელების საზაფხულო არდადეგებიდან გორში დაბრუნების შემდეგ. 1905 წლის შემოდგომაზე მოსწავლე სემინარიელების გამოსვლებმა ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ მიროპიევი იძულებული შეიქნა, ყველაფერი შეულამაზებლად მოეხსენებინა უფროსებისათვის, თუმცა ერთ შემთხვევაში, რომელზეც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, თავის წინანდელი ხაზისათვის არც მაშინ უღალატნია.

ოქტომბერ-ნოემბერში გორის რევოლუციურად განწყობილი მოსწავლეების მოძრაობას სათავეში სამასწავლებლო სემინარია და მისი მოსწავლეები მოექცნენ. არ ჩატარებულა მოსწავლეთა არც ერთი დემონსტრაცია-მიტინგები, რომლებზეც სემინარიელები აქტიურად არ გამოსულიყვნენ. ისინი მოითხოვდნენ სწავლის შეწყვეტას, გაფიცულ მუშებთან შეერთებას და, პირველ რიგში, ყველა იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, რასაც დემონსტრანტები ადგილობრივ ხელისუფლებას უდგენდნენ.

1905 წლის 24 ოქტომბერს, დილით ადრე, სემინარიის სამასწავლებლოში მორიგე დამრიგებელმა კარპოვმა ნახა დაბეჭდილი პაკეტი, რომელშიც აღმოჩნდა სემინარიელთა პეტიცია დირექტორის სახელზე. ამ პეტიციაში მოსწავლეები წერდნენ: „იმის გამო, რომ პროგრამები და უფლებები ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიისა შეზღუდულია, ჩვენ აღსაზრდელებმა დავადგინეთ მეცადინეობის შეწყვეტა და მოვითხოვთ შემდეგი მუხლების დაკმაყოფილებას:

1. სემინარიის 3 კლასის კურსდამთავრებულთ, რომელთაც სურთ სამასწავლებლო ინსტიტუტში შესვლა, ნება დაერთოთ სათანადო კლასში უგამოცდოდ შესვლისა. აგრეთვე უნდა გაფართოვდეს სემინარიაში სწავლების კურსი ორი კლასის დამატებით, რის დამთავრების შემდეგაც, მოსწავლეებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ უგამოცდოდ შევიდნენ უმაღლეს პედაგოგიურ კურსებზე, ან სხვა სპეციალურ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში. სემინარიაში საავალდებულო საგნებად უნდა იქნეს შემოღებული: ფილოსოფია, პოლიტეკონომია, კანონთმცოდნეობა, ფსიქოლოგია და ლოგიკა ფართო მოცულობით, ქიმია, კოსმოგრაფია და ერთ-ერთი ახალი უცხო ენა.

2. ფართო ნიადაგზე უნდა დადგეს ადგილობრივი ენების სწავლება გაკვეთილების რიცხვის გადიდების გზით და ამ ენების სწავლების კურსში სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიის შეტანით.

3. შემოღებულ უნდა იქნეს ბერძნული ენის სწავლება.

4. ამხანაგური სასამართლოს მოწყობა — მხოლოდ ამორჩეულ მოსწავლეთაგან, — რომელიც გაარჩევს ამხანაგებს შორის მომხდარ გაუგებრობას.

5. შერეული კომისიის ჩამოყალიბება მასწავლებელთა და მოსწავლეთაგან, — თანაბარი რაოდენობით, — რომელიც გაარჩევს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის მომხდარ გაუგებრობებს.

6. ცენზურის მიერ ნებადართული წიგნების თავისუფალი კითხვის უფლება ყველა ენაზე, გამოცდილი პედაგოგების ხელმძღვანელობით.

7. ნება-სურვილით მუსიკის შესწავლა იმ მოსწავლეთათვის, რომელთაც ამის უნარი არა აქვთ.

8. უფლება თავისუფლად წასვლისა სემინარიიდან არასამეცადინო დროს.

9. სემინარიის კურსდამთავრებულებს უნდა მიეცეთ სათანადო ტანსაცმელი სახელმწიფო ხარჯზე.

10. გაუდიდდეთ ხელფასი სოფლის მასწავლებლებს და მიეცეთ უფლება ისარგებლონ პრივილეგიებით სახელმწიფო სამსახურში, რათა ამაღლდეს მათი ავტორიტეტი საზოგადოებაში"[1].

მიროპიევმა ეს პეტიცია განსახილველად წარადგინა სემინარიის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე იმავე წლის 26 ოქტომბერს. სანამ განხილვას შეუდგებოდნენ, მანამდე მან აღნიშნა, რომ არდადეგებიდან დაბრუნების შემდეგ მოსწავლეები დიდ მღელვარებას განიცდიან, რაც გამოწვეულია რევოლუციონერებთან მათი მჭიდრო ურთიერთობით. ბევრ მოსწავლეს მეცადინეობის განახლება არ სურდა, 23 ოქტომბერს, მიროპიევის სიტყვით, 300—400 კაცისაგან შემდგარი „ბრბო" მოვიდა სემინარიაში და მოითხოვა მეცადინეობის შეწყვეტა. ასეთ ვითარებაში პედაგოგიური საბჭო შეუდგა პეტიციის მუხლობრივ განხილვას. პედაგოგიურმა საბჭომ უარყო მე-3, მე-4, მე-8 მუხლები — პედაგოგიური მოსაზრებით, მე-9 მუხლი უსახსროების გამო. დანარჩენი მუხლების მოთხოვნები პედაგოგიურმა საბჭომ მეტ ნაკლებად მისაღებად ცნო და დაადგინა სათანადო შუამდგომლობის აღძვრა ზემდგომი ორგანოების წინაშე[2].

სემინარიის დირექტორმა მიროპიევმა თავი მაინც ვალდებულად ჩასთვალა ამ პეტიციისა და მოსწავლეთა გაფიცვის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებინა გორისა და დუშეთის მაზრებში საგანგებო რწმუნებით მივლინებულ გენერალური შტაბის პოლკოვნიკ ვ. ა. ალფტანისათვის.

---

[1] საქმე № 903, ფ. 71.

[2] ი ქ ვ ე, პედაგოგიური საბჭოს სხდომათა საოქმე წიგნი, ფ. 63—70.

„24 ოქტომბერს სემინარიის აღსაზრდელებმა გადმომცეს პეტიცია, რომლის ასლიც ამასთან ერთად გეგზავნებათ და განაცხადეს, რომ ისინი იძულებულნი არიან გაიფიცონ სამი დღით. იძულებას ისინი იმაში ხედავენ, რომ ადგილობრივი საქალაქო სასწავლებლის მოწაფეები ემუქრებიან მათ ცემით თუ არ გაიფიცებიან და აგრეთვე იმაშიც, რომ გაფიცვაში ისინი ხედავენ თავიანთი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისინი აკუთვნებენ პეტიციის პირველ მუხლს. ...მეცადინეობა 24 ოქტომბერს გაფიცვის გარეშეც შეუძლებელი შეიქნა, რადგანაც დილიდანვე მოსული საქალაქო სასწავლებლის მოწაფეთა ბრბო, რომელსაც შეუერთდნენ ქუჩის ბიჭები, მოითხოვდა მეცადინეობის შეწყვეტას და ქუჩაში გამოსვლას.

გაფიცვა ჩემდამი დაქვემდებარებულ სემინარიაში მიმდინარეობდა ზომიერად და წყნარად, ყოველგვარი უწესოებისა და ბატ. მოსამსახურეთა რაიმე შეურაცხყოფის გარეშე, ასე, რომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ უწესოებაში იყო წესიერება“[1].

პოლკოვნიკ ალფტანისადმი გაგზავნილ ამ მიმართვაში ორი მომენტია აღსანიშნავი: მიროპიევი მოსწავლეთა გაფიცვის ერთ-ერთ ძიზეზად ასახელებს იმ გარემოებას, რომ სემინარიელებს გარეშე პირები ცემით ემუქრებიან. ამდაგვარი რამ პეტიციაში საბუთად მოყვანილი არაა და შეიძლება ან რომელიმე მოსწავლის კერძო აზრს წარმოადგენდეს, ან თვითონ დირექტორის მიერ იყოს შეთხზული. მეორეც. თუმცა მოსწავლეები გაიფიცნენ მაგრამ, მიროპიევის სიტყვით, „ამ უწესოებაში იყო წესიერება“. როგორც ჩანს, ამით მას კიდევ ერთხელ უნდოდა ხაზი გაესვა იმ გარემოებისათვის, რომ სემინარიელები სხვებთან შედარებით წესიერები არიან და ეს თითქოს მისი „კეთილი ზეგავლენის“ შედეგი ყოფილიყო.

მაგრამ ფაქტები სულ სხვას ამბობენ. სემინარიელებმა 23 და 24 ოქტომბერს მეცადინეობა შეწყვიტეს. ასეთივე შემთხვევას ადგილი ჰქონდა 13 და 20 ნოემბერს. მღელვარება და მანიფესტაციების რიცხვი გორში ყოველდღიურად მატულობდა.

1905 წლის 22 ნოემბერს მ. მიროპიევი იძულებული შეიქნა პედაგოგიური საბჭოსათვის მოეხსენებინა: „14 ნოემბერს სემინარიისა და თათრული განყოფილების აღსაზრდელები, 13 კაცის გამოკლებით, თვითნებურად წავიდნენ გორის მოსწავლეთა მიტინგზე, რომელსაც ესწრებოდნენ გარეშენიც: მუშები, თბილისელი მოსწავლეები, სტუდენტები და სხვ. ამ მიტინგის თავმჯდომარედ იყო სემი-

[1] საქმე № 892, ფ. 3—4.

ნარიის მესამე კლასის აღსაზრდელი შარიქაძე. ამ მიტინგის დადგენილება ჩემთვის ცნობილი შეიქნა გაზ. „ვოზროჟდენიეს“ 16 ნოემბრის ნომრით, სადაც დაახლოებით ეს იყო ნათქვამი: „ქ. გორის მოსწავლეებმა დაადგინეს გააძევონ ამიერკავკასიის სამასწავლებლო და ქალთა გიმნაზიის დირექტორი ბ. მიროპიევი“... ამ დადგენილების მოტივად ის იყო დასახელებული, რომ მე მოსწავლეებს არ ვაძლევ საშუალებას დაესწრონ მიტინგებს და აგრეთვე ის, რომ ჩემი ინიციატივით, ქალთა გიმნაზიის საბჭომ წინადადებით მიმართა ჯულაბოვას და კაპანაძეს დასტოვონ გიმნაზია, რაც საბჭოს ზოგიერთმა წევრმა გარეშე პირებს აცნობეს. ეს გახდა მიზეზი ზემოაღნიშნული დადგენილების გამოტანისა. ...მოსწავლეებმა პანსიონიდან უნებართვოდ სიარული დაიწყეს არა მარტო დღისით, არამედ გვიან საღამოთიც. მათი სახლში შეკავება და წესიერ ფორმებში ჩაყენება უკვე შეუძლებელია. საკლასო გაკვეთილები ამ ბოლო დროს თავის დროზე არ იწყება, რადგანაც მოსწავლეებს არ სურთ დანიშნულ საათზე გამოცხადდნენ. შაბათს, მე-2 კლასის მოსწავლეები არ დასწრებიან საღვთო სჯულის გაკვეთილს. 20 ნოემბერს ლოცვაზე გამოცხადდა მხოლოდ 14 კაცი.

ქრისტიანულ პანსიონში უკვე მკვეთრად ჩამოყალიბდა ორი პოლიტიკური პარტია: სოციალ-დემოკრატებისა და ფედერალისტებისა, რომელთა შორის მიმდინარეობს გაცხოველებული კამათი... თვით მუსულმანებიც კი წითელი ლენტებით დადიან ნიშნად მოპოვებული თავისუფლებისა.... 20 ნოემბერს სემინარიასთან კვლავ მოვიდა ბრბო წითელი დროშებით. სემინარიის აღსაზრდელები შეუერთდნენ მათ და ერთმა მათგანმა მე-3 კლასის მოსწავლე ღუდუშაურმა წარმოსთქვა რაღაც სიტყვა ქართულ ენაზე. სიტყვის შინაარსი მე არ ვიცი, რადგანაც მორიგე დამრიგებელმა ბ. კარპოვმა ქართული არ იცის. ბრბომ ხელში აიტაცა ღუდუშაური. შემდეგ ყველა აღსაზრდელი როგორც ქრისტიანული, ისე თათრული განყოფილებისა, გაემართა სახალხო მიტინგზე, რომელსაც 5000 კაცი ესწრებოდა“[1].

ასეთი გამწვავებული ვითარების გამო მიროპიევმა მოითხოვა სემინარიაში მეცადინეობის შეწყვეტა, რასაც ის წინად კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. ბოლო მოეღო „წესიერ უწესოებას“ და სემინარიელთა „თავის მშვენივრად დაპერას“. პირიქით, მიროპიევი იძულებულია აღიაროს, რომ მოსწავლეთა საქალაქო მიტინგმა, რომელსაც სემინარიის მესამე კლასის მოსწავლე შარიქაძე თავმჯდო-

---

[1] საქმე № 903. ფ. 75—81. ეს ერის პედსაბჭოს სხდომის საინტერესო ოქმი, რომელშიც მიმოხილულია რევოლუციური მოძრაობის გავლენა სემინარიელებზე.

მარეობდა, დაადგინა მისი გორიდან გაძევება, როგორც „ცუდი მოქალაქისა“. ყველა მისი წინანდელი მოხსენებები და საიდუმლო მიმართვები, რომლებშიც ის შენიღბვით თავის განსაკუთრებულ დამსახურებაზე მიუთითებდა სემინარიაში წესრიგის შენარჩუნების საქმეში, ტყუილი აღმოჩნდა. გორის სამასწავლებლო სემინარიის აღსაზრდელებმა, ქალაქის სხვა სასწავლებლების მოსწავლეებთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღეს რევოლუციურ მოძრაობაში და ხელი შეუწყვეს მოსახლეობაში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული გამოსვლების გაძლიერებას. ეს გამოსვლები კი სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა. ამიტომ მიროპიევის წინადადების თანახმად პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა: „შეწყდეს მეცადინეობა როგორც სემინარიაში, ისე დაწყებით სასწავლებლებშიც, დაიხუროს პანსიონი და ბავშვები გაიგზავნონ სახლებში, სადაც მათ მშობლები უფრო დაიცავენ თავიანთ ოჯახებში, ვიდრე ჩვენ, ისეთ რევოლუციურ ქალაქში, როგორიც არის გორი“.

დეკემბერში რუსეთის მთელს იმპერიაში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულმა ბრძოლამ გააფთრებული ხასიათი მიიღო. 9 დეკემბერს მოსკოვში შეიარაღებული აჯანყება დაიწყო, მაგრამ ცარიზმმა ცეცხლითა და მახვილით შესძლო აჯანყების ჩაქრობა“. „1905 წლის დეკემბრის აჯანყება რევოლუციის უმაღლესი წერტილი იყო. დეკემბერში მეფის თვითმპყრობელობამ დაამარცხა აჯანყება. დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ დაიწყო მობრუნება რევოლუციის თანდათანი უკანდახევისაკენ. რევოლუციის აღმავლობა შეიცვალა მისი თანდათანი შენელებით.

მეფის მთავრობა ისწრაფოდა გამოეყენებინა ეს დამარცხება ამისათვის, რომ საბოლოოდ გაენადგურებინა რევოლუცია. მეფის ჯალათებმა და პოლიციელებმა გააჩაღეს თავიანთი სისხლიანი მუშაობა. პოლონეთში, ლატვიაში, ესტონეთში, ამიერკავკასიაში, ციმბირში სასტიკად მძვინვარებდნენ დამსჯელი ექსპედიციები“[1].

რეაქცია თანდათან ძლიერდებოდა. ასეთი ვითარების გამო გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექციამ შესძლო მეცადინეობის განახლება. 1906 წლის დასაწყისში, ზურგგამაგრებულმა მიროპიევმა სემინარიაში სასტიკი ბიუროკრატიული რეჟიმი დაამყარა და პედანტური სიზუსტით ატარებდა ცხოვრებაში კავკასიის სასწავლო ოლქის ყოველ მითითებას.

1907 წლის „ანგარიშში“, რომელიც მიროპიევმა წარუდგინა სასწავლო ოლქის მზრუნველს, იგი უკვე კმაყოფილებით აღნიშნავდა:

---

[1] საკავშირო კომუნისტური პარტიის ისტორია, მოკლე კურსი, 1952, გვ. 102.

„იმ არეულობას, რასაც ადგილი ჰქონდა 1905 წელს ადგილობრივ რევოლუციონერთა ტერორისტული მოქმედების შედეგად, რომლებიც სემინარიაში იკრებოდნენ, წელს ადგილი არ ჰქონია. სამხედრო წესების შემოღებასთან დაკავშირებით ადგილობრივ მოსახლეობაში მნიშვნელოვანი სიმშვიდეა: შეწყდა მასობრივი რევოლუციური მიტინგები, აღსაზრდელებს არავინ არ ემუქრებოდა და არ აიძულებდა მონაწილეობა მიეღოთ უწესოებაში, ამიტომ სემინარიის ცხოვრება 1906 წელს სავსებით ნორმალურად მიმდინარეობდა"[1].

მაგრამ მიროპიევი ცდებოდა. გორის სამასწავლებლო სემინარიის აღსაზრდელთა რევოლუციური სულისკვეთების დათრგუნვა ვერც საერთოდ გამეფებულმა რეპრესიებმა, ვერც მიროპიევის სიმკაცრემ ვერ შესძლო. ამიტომაც იყო, რომ სემინარიის კედლებიდან გამოსულმა ბევრმა სახალხო მასწავლებელმა შემდეგ წლებში მხურვალე მონაწილეობა მიიღო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ახალი ძალით გაჩაღებულ ბრძოლაში და თავისი მოვალეობა ხალხის წინაშე პირნათლად მოიხადა.

სემინარიის ევაკუაცია გორიდან პირველი მსოფლიო ომის დროს

1914 წელს დაწყებულმა მსოფლიო ომმა და კავკასიის ფრონტზე თურქეთის წინააღმდეგ რუსეთის ჯარის სამხედრო ოპერაციების გაძლიერებამ გამოიწვია სიძნელეები მთელ რიგ დაწესებულებათა ნორმალურ მუშაობაში. ამასთან დაკავშირებით აღძრულა საკითხი ზოგიერთი დაწესებულების ევაკუაციის შესახებ უფრო უშიშარ ადგილზე.

1914 წელს 20 დეკემბერს კავკასიის არმიის შტაბიდან, გენერალ-მაიორ რიაბიკის ხელმოწერით, გორის გარნიზონის უფროსმა მიიღო ცნობა, რომ მთავარსარდალმა ნება დართო დაწესებულებათა და მოსამსახურეთა ოჯახების ნაწილობრივი ევაკუაციის შესახებ ამიერკავკასიიდან. ეს ფაქტი გორის გარნიზონის უფროსმა საიდუმლოდ აცნობა სამასწავლებლო სემინარიის დირექტორს თ. სმირნოვს[2]. იმავე დღეს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა რუდოლფმა თბილისიდან დეპეშა გაუგზავნა სმირნოვსა და ვაჟთა გიმნაზიის დირექტორს მ. ზაალიშვილს: „პირველ რიგში ევაკუაციაში გაგზავნეთ პანსიონი, საქმეები, აგრეთვე სემინარიისა და ორივე გიმნაზიის მო-

[1] საქმე № 934, ფ. 24.
[2] საქმე № 1170, ფ. 1.

სამსახურეები ხუტორ სიმანოვსკში, ყუბანის ოლქში. ელოდეთ ადმინისტრაციის განკარგულებას"[1].

21 დეკემბერს რუდოლფი მეორე დეპეშით ატყობინებდა სმირნოვს, რომ ევაკუაცია შეეხება მარტო სემინარიას, ხოლო ორივე გიმნაზია ადგილზე რჩება. სმირნოვს განკარგულების მიღებისთანავე ყოფ. ეკატერინოდარში გაუგზავნია წინასწარ, პირობების გასაგებად, მასწავლებელი კრიჟანოვსკი, რომელიც სემინარიის დირექციას 24 დეკემბერს აცნობებდა, რომ რადგანაც ეკატერინოდარის სამასწავლებლო სემინარიის პანსიონი გადატვირთულია მოსწავლეებით, ამიტომ კერძო ბინებზე ცხოვრება მოგვიხდებაო.

სემინარიის ევაკუაცია დაგვიანდა რამდენიმე დღით, რამაც გამოიწვია რუდოლფის განმეორებითი განკარგულება სმირნოვისადმი: „მოვითხოვ დაუყოვნებლივ წაიყვანოთ პანსიონი. წასვლის საათი მიდეპეშეთ". ხოლო 1914 წლის 30 დეკემბერს ასეთი მიმართვა გაუგზავნა სემინარიის დირექტორს:

„თქვენდამი დაქვემდებარებული სემინარიის მეცადინეობა უნდა მოაწყოთ ყუბანის პირველ სამასწავლებლო სემინარიის შენობაში, მეორე ცვლაში. არავითარ შემცირებას სწავლების მოცულობის მხრივ ადგილი არ უნდა ჰქონდეს და მეცადინეობა უნდა დაიწყოს 7 იანვარს ჩვეულებრივი წესით. გამოსაშვები კლასის პრაქტიკულ მეცადინეობას ჩაატარებთ ქალ. ეკატერინოდარის ერთ-ერთ დაწყებით სკოლაში... მეცადინეობის ორგანიზაციის ყოველგვარ საკითხსა და პანსიონის ცხოვრების მოგვარების შესახებ, ეკატერინოდარში ჩასვლისთანავე, ჩამოაყალიბეთ კომისია ადგილობრივი სამასწავლებლო სემინარიის დირექტორისა და ყუბანის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორის შემადგენლობით და ყველა საკითხზე ითათბირეთ ერთად"[2].

1915 წლის იანვრის პირველ რიცხვებში გორის სემინარიის უფროსი კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები ეკატერინოდარში ჩავიდნენ. გორში დარჩა „თათრული" დაწყებითი სასწავლებელი და რუსული ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი.

ამ სასწავლებლებს ხელმძღვანელობას ლევან ქრისტეფორეს-ძე ყიასაშვილი უწევდა.

1915 წლის 9 იანვარს ყიასაშვილი დეპეშით თხოვდა ეკატერინოდარში გადასულ სმირნოვს ნება დაერთო მუხტაროვისათვის, რომ

---

[1] საქმე № 1170, ფ. 3. ორივე გიმნაზიაში იგულისხმება გორის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები. ამ უკანასკნელის დირექტორად იყო მ. ნ. ხაალიშვილისა.

[2] საქმე № 1170, ფ. 2.

მას რუსული დაწყებითი სასწავლებლის ერთი კლასი ემეცადინებინა. იმავე წლის 17 იანვარს მან აცნობა სემინარიის დირექტორს, რომ სასწავლო ოლქის მზრუნველი გორში 20 იანვრიდან 7 მარტამდე აწყობს სემინარიის კონსერვირების კურსს (Курсы консервирования) და უმჯობესია ეს კურსები „თათრულ განყოფილებაში" მოეწყოსო. თავის პასუხში სმირნოვმა ყიასაშვილს დაავალა ემოქმედნა საკუთარი შეხედულებებისამებრ. გორის სამასწავლებლო სემინარია ეკატერინოდარში დარჩა სასწავლო წლის დამთავრებამდე.

ქართული ენის მასწავლებელი ნიკო ლომოური სემინარიას უუბანში არ გაჰყოლია: ის ავადმყოფობდა და იმავე წლის აპრილში გარდაიცვალა, რასაც სმირნოვს დეპეშით ატყობინებდნენ ეკატერინოდარში.

1915 წლის საზაფხულო არდადეგების შემდეგ სემინარიამ ისევ გორში განაახლა მეცადინეობა. 1915—16 სასწავლო წელი გორის სამასწავლებლო სემინარიამ თავის ძველ ბინაში დაიწყო.

სემინარიის ევაკუაცია გორიდან გამოწვეული იყო არა იმდენად რეალური საფრთხით, რაც საომარ მოქმედებას შეიძლება მოჰყოლოდა, არამედ პანიკითა და ნერვიულობით, რომლითაც შეპყრობილი იყვნენ მეფის მთავრობის ადგილობრივი მესვეურები. რუსეთის ჯარის გამარჯვებებმა და წინსვლამ კავკასიის ფრონტზე დაბნეულობასა და შიშს ნიადაგი გამოაცალა და გორის სამასწავლებლო სემინარიას საშუალება მისცა ომის პირობებშიც შედარებით ნორმალური მეცადინეობა კვლავ განეგრძო.

სემინარიის არსებობის უკანასკნელი წელი

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია კიდევ ერთ წელს განაგრძობდა არსებობას და მუშაობას იმ სახით, რასაც პირველად დამტკიცებული „დებულება" ითვალისწინებდა; მაგრამ სკოლების ნაციონალიზაციის საკითხთან დაკავშირებით გამოწვეული მთელი რიგი გაუგებრობანი სემინარიის ნორმალურ მუშაობას აფერხებდა და სასწავლებლის ცხოვრებაში ნერვიულობა შეჰქონდა.

1917 წლის 3 ოქტომბერს რუსული ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებლის ზედამხედველი ლ. ყიასაშვილი დირექტორს თ. ა. სმირნოვს აძლევს განცხადებას, რომელშიც თხოვს განკარგულებას, მიუთითონ მას „რომელ ენაზე ასწავლოს სასწავლებელში"[1].

---

[1] საქმე № 1268, ფ. 5.

1917 წლის 12 ოქტომბერს თ. სმირნოვმა აცნობა კავკასიის სასწავლო კომისარიატს, რომ მას მოუვიდა კონფლიქტი საშუალო სასწავლო დაწესებულებათა გაეროვნების ჩამტარებელ კომიტეტთან და ითხოვა გაეთავისუფლებინათ ის სემინარიის დირექტორობიდან[1].

იმავე წლის 16 ოქტომბერს სმირნოვმა სასწავლო ოლქის კომისარიატში ასეთი შეკითხვა გაგზავნა: „1. შეეხება თუ არა ნაციონალიზაცია წელს ამერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიას (ეროვნული შემადგენლობა უფროსი მოსამზადებელი კლასისა: ქართველი 7, რუსი 5, ბერძენი 10, მუსულმანი 4, სომეხი 3, ოსი 1. ეროვნული შემადგენლობა მთელი სემინარიისა: ქართველი 25, ბერძენი 25, რუსი 26, სომეხი 12, მუსულმანი 57. სხვა ეროვნებათა — 5).

2. რა უფლებითაა აღჭურვილი გორის სასწავლო კომიტეტი სკოლების ნაციონალიზაციის დარგში სემინარიის მიმართ"[2].

ამ შეკითხვაზე სემინარიის დირექტორს აცნობეს, რომ „ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის ნაციონალიზაცია არ შედის გორის სასწავლო კომიტეტის კომპენტენციაში. საკითხი სამასწავლებლო სემინარიების ნაციონალიზაციის შესახებ ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი, მაგრამ უახლოეს ხანში ამ საკითხზე მოსალოდნელია განკარგულება".

1917—18 სასწავლო წელი სემინარიაში თ. ა. სმირნოვმა ჩაატარა. 1918 წლის 21 აგვისტოს თ. სმირნოვი ისევ დირექტორის მოვალეობას ასრულებს და კირილე ივანეს-ძე არველაძეს ავალებს მოიწვიოს პედაგოგიური საბჭოს სხდომა და ჩაატაროს ის. მაგრამ ახალი სასწავლო წლიდან (1918 წ. სექტემბერი) სემინარიაში ძირფესვიანი ცვლილება მოხდა: სმირნოვის ნაცვლად დირექტორად დაინიშნა კ. არველაძე, „თათრული განყოფილება" თავის შტატით აზერბაიჯანში გადავიდა, რუსული ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი გაუქმდა, ყველა საგნის სწავლება ქართულ ენაზე დაიწყო. სასწავლო გეგმაში შევიდა მთელი რიგი ახალი საგნები („კანონის მეცნიერება", ლოგიკა, ფსიქოლოგია, ხოლო „ქართული ენა" სასწავლო გეგმაში წარმოდგენილ იქნა ამ სახით „ქართული ენა და სიტყვიერება"), პროგრამებმაც დიდი ცვლილება განიცადეს, ხოლო ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიამ მიიღო ოფიციალური სახელწოდება „გორის სამასწავლებლო სემინარიისა".

---

[1] საქმე № 1265, ფ. 741.
[2] საქმე № 1262, ფ. 54.

*
*

მენშევიკების ბატონობის წლებში გორის სამასწავლებლო სემინარია დაკნინების გზას დაადგა. სემინარიას სრულებით არ გააჩნდა მუშაობის ნორმალური პირობები. მისი წესიერ კალაპოტში ჩაყენება შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკარების შემდეგ. აღნიშნული სასწავლო დაწესებულება პედაგოგიური სასწავლებლის სახელწოდებით ამჟამადაც განაგრძობს არსებობას და დაწყებითი სკოლებისათვის ამზადებს საფუძვლიანად მომზადებულ ახალგაზრდა პედაგოგებს, რომლებიც ენერგიას არ იშურებენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ნორჩი თაობის აღსაზრდელად.

გორის სამასწავლებლო სემინარიის მნიშვნელობა და როლი სახალხო მასწავლებლების მოამზადების საქმეში

გორის სამასწავლებლო სემინარია პირველი სემინარია იყო, რომელიც გაიხსნა ამიერკავკასიაში. მის მიზანს შეადგენდა ამიერკავკასიის მკვიდრი ერების—ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელების და აგრეთვე ამიერკავკასიაში მუდმივად მცხოვრები რუსი ახალგაზრდების სახალხო მასწავლებლებად მომზადება და დაწყებითი სკოლების რამდენადმე მაინც კადრებით უზრუნველყოფა. ამ მხრივ გორის სემინარიამ თავისი 42 წლის არსებობის მანძილზე მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა და საკმაოდ დახელოვნებული მასწავლებლები გამოუშვა, რომელთა რიცხვი 700-ს აღემატება.

ბევრმა მათგანმა სახალხო მასწავლებლობის გარდა თავი გამოიჩინა ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ასპარეზზე საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში და აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში. ამ მხრივ საკმარისია დავასახელოთ, კერძოდ, ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, რომლებმაც განათლება გორის სამასწავლებლო სემინარიაში მიიღეს: ვაჟა ფშაველა, ლადო აღნიაშვილი, ალექსანდრე ნათაძე, ვანო ავალიშვილი, ნიკო რაზიკაშვილი (ბაჩანა), თედო რაზიკაშვილი, ვანო გიუნაშვილი, ტარასი მამალაძე, ნიკო ჯანაშია, თეოფილე ხუსკივაძე და სხვ., რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ რა როლი შეასრულა სემინარიამ ახალგაზრდების გათვითცნობიერებისა და მომზადების საქმეში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კავკასიაში არსებულ ყველა სამასწავლებლო სემინარიისაგან განსხვავებით—გორის სემინარია მრავალეროვანი იყო, ზოგჯერ იქ თავს იყრიდა 20-ზე მეტი ეროვნე-

ლადო აღნიაშვილი

ნიკო რაზიკაშვილი

თედო რაზიკაშვილი

ნიკო ჯანაშია

ბის მოსწავლეები, რომელთა შორის უმრავლესობას მაინც ყოველთვის წარმოადგენდნენ ქართველები, რუსები, სომხები და აზერბაიჯანელები. ეს მდგომარეობა, მიუხედავად თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული და სხვადასხვა ერთა შორის სიძულვილის ჩამოგდების პოლიტიკისა, ხელს უწყობდა ქართველ, რუს, სომეხ, აზერბაიჯანელ და სხვა ეროვნების ახალგაზრდებს შორის ურთიერთგაცნობის, პატივისცემის, სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობის გამომუშავებას.

გორის სამასწავლებლო სემინარიაში შემოღებული და შედარებით მტკიცე საფუძველზე იქნა დაყენებული ქართული, სომხური და აზერბაიჯანული („თათრული") ენების სწავლება—1879 წლიდან, რაც განახორციელა დიდი რუსი პედაგოგის კ. დ. უშინსკის ნიჭიერმა მოწაფემ და მეგობარმა დ. დ. სემიონოვმა, რომელმაც შესანიშნავად დაასაბუთა სემინარიებში მოსწავლეთა მშობლიური ენების სწავლების აუცილებლობა.

კარგად მომზადებული კადრების მეოხებით, რომლებიც სემინარიაში ხშირად წამყვან ბირთვს შეადგენდნენ, სემინარიაში საერთოდ სწავლა-აღზრდის საქმე სათანადო სიმაღლეზე იდგა, რასაც ხელს უწყობდა არა იმდენად მეფის მთავრობისა და კერძოდ კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოს კურსი განათლების დარგში, არამედ იმ მოწინავე და პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებელთა უანგარო მუშაობა, რომელთაც კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ საზოგადოების, ხალხის ინტერესები გადაუდებლად მოითხოვდა ყველა ახალგაზრდის, განურჩევლად ეროვნებისა, მოწინავე იდეებით აღზრდას. ასეთ მუშაობას სემინარიის მასწავლებლები აწარმოებდნენ სემინარიის არსებობის მთელ მანძილზე, ხშირად თავიანთვის სახიფათოდაც. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. დ. სემიონოვი, ვ. ნ. პავლოვი, არ. ქუთათელაძე, ნ. ნოვოსპასკი, მ. ქ. ყიფიანი, ნ. ლომოური, კ. ნ. მალინინი, მ. ი. რახუბოვსკი, პ. გ. პეტროვი და სხვ. ამ მასწავლებელთა მუშაობას სემინარიაში უაღრესად კეთილისმყოფელი გავლენა ჰქონდა მოსწავლეთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე და მათში ხალხისადმი გულწრფელი სამსახურისა და სიყვარულის გრძნობის გამომუშავებაზე.

გორის სამასწავლებლო სემინარიაში განსაკუთრებულ სიმაღლეზე იდგა მოსწავლეთა პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარების საქმე, რომლის წესებიც და სახელმძღვანელო მითითებებიც შეიმუშავა დ. დ. სემიონოვმა (1879 წ.) კ. დ. უშინსკის პედაგოგიურ შეხედულებათა საფუძველზე.

ეს საქმე იმდენად კარგად იყო დაყენებული, რომ დ. სემიონოვის შემდეგაც მტკიცედ იქნა შენარჩუნებული, რამაც უზრუნველყო პედაგოგიურად დახელოვნებული კადრების გამოშვება.

ის მეთოდები, რომლებსაც იყენებდნენ სემინარიაში სწავლა-აღზრდის დროს, მრავალფეროვანი იყო, მაგრამ ადგილი ჰქონდა უვარგისი ე. წ. „მუნჯური მეთოდის“ გამოყენების საკმაოდ ფართო ცდასაც (ა. სლოვინსკის დროს). სამწუხაროდ, სემინარიის კურსდამთავრებულმა ზოგიერთმა მასწავლებელმა სცადა ამ მეთოდით მუშაობა სახალხო სკოლებში და სავალალო შედეგი მიიღო. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სემინარიის კურსდამთავრებულთაგან ასე ბრმად მიმდევარი ამ მეთოდისა და შეზღუდული მსოფლმხედველობისა, შედარებით მცირე იყო.

გორის სამასწავლებლო სემინარიის ინიციატივას მიეწერება, რომ სემინარიაში პრაქტიკულად იქნა გადადგმული ნაბიჯი რუსული ასოების გამარტივებისა და მისთვის პირდაპირი სახის მიცემისა, რაც ჩვენში დიდი ქართველი პედაგოგის ი. ს. გოგებაშვილის გავლენას უნდა მიეწეროს.

გორის სემინარიას, კავკასიის სხვა სამასწავლებლო სემინარიებს შორის დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული. კერძოდ ქუთაისის (ხონის) და ერევნის სამასწავლებლო სემინარიები ხშირად მიმართავდნენ მას პროგრამებისა და ზოგიერთი სხვა საკითხების შესახებ და საჭირო ახსნა-განმარტებებს ღებულობდნენ. სემინარიასთან გახსნილმა „თათრულმა განყოფილებამ“ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების მაჰმადიანი ბავშვების აღზრდასა და მასწავლებლებად მომზადების საქმეს.

მომავალი სახალხო მასწავლებლების პრაქტიკულ ცხოვრებაში მომზადების მიზნით სემინარიასთან არსებობდა ბაღი და სახელოსნო. სემინარიელი მოსწავლეები აქ გულდასმით სწავლობდნენ სოფლისმეურნეობის სხვადასხვა დარგებს და ამ ცოდნას შემდეგ ავრცელებდნენ თავიანთ საცხოვრებელ და სამუშაო ადგილებში. სწავლობდნენ აგრეთვე ხელოსნობის სხვადასხვა სახესაც (დურგლობას, ხარატობას, წიგნის ამკინძაობას და სხვ.).

გორის სამასწავლებლო სემინარიამ მოსწავლეებს ჩაუნერგა სიყვარული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი საქმიანობისა. არდადეგების პერიოდში მათ ეძლეოდათ დავალება დაწვრილებით აღეწერათ თავიანთი სოფელი, მისი წარსული და აწმყო, ზნე-ჩვეულებანი, მეურნეობის მთავარი დარგები, აგრეთვე შეეგროვებინათ ფოლკლორი მასალები და სხვ. ზოგიერთი მათგანი იმდენად კარგად იყო შესრულებული, რომ გამოქვეყნების ღირსიც გახდა (უმთავრესად იბე-

ქდებოდა კრებულში „Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа“). სემინარიის დამთავრების შემდეგაც ახალგაზრდა მასწავლებელთაგან ბევრი ისევ განაგრძობდა ამ საქმიანობას და პედაგოგიურ დარგსა და მეცნიერებას საკმაო სამსახური გაუწია.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გორის სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებულთაგან ზოგიერთმა ორიგინალური სახელმძღვანელოებიც კი გამოაქვეყნა ქართული და რუსული ენებისა— სახალხო სკოლებში გამოსაყენებლად (ალ. ნათაძე, ვლ. აღნიაშვილი, ტარ. მამალაძე და სხვ.).

სახელმძღვანელოების შედგენისას ისინი საკმაოდ ეყრდნობოდნენ სემინარიაში შეძენილ პედაგოგიკურ და მეთოდიკურ ცოდნა-ჩვევებს.

გორის სამასწავლებლო სემინარიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახალხო მასწავლებლების მომზადების საქმეში და მისი მუშაობის ზოგიერთი მხარე, უდავოდ, უფრო სპეციალური შესწავლის ღირსია.

ლიტერატურა და წყაროები

გორის სამასწავლებლო სემინარიის არქივის გარდა გამოყენებულია შემდეგი ლიტერატურა და წყაროები:

1. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20 (მეოთხე გამოცემა).
2. ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 13.
3. საკავშირო კომუნისტური პარტიის ისტორია, მოკლე კურსი, 1952.
4. К. Д. Ушинский, Собрание сочинений, т. I, 1948. Редакционная коллегия А. М. Еголин, Е. Н. Медынский и В. Я. Струминский.
5. К. Д. Ушинский, Собрание сочинений, т. 5, 1949.
6. Д. Д. Семёнов, Избранные педагогические сочинения, 1953 г.
7. Я. Гогебашвили, Нормальное письмо, Тифлис, 1894.
8. Ш. И. Ганелин, Е. Я. Голант, История педагогики, Москва, 1940.
9. Педагогика, под редакцией проф. И. А. Каирова, Москва, 1948.
10. Сборник распоряжений напечатанных в циркулярах по управлению Кавказским учебным округом. Третье пятилетие— 1877—1881. Тифлис, 1891.
11. Отчёт попечителя Кавказского учебного округа о состоянии учебных заведений за 1880 год, Тифлис, 1881.
12. Циркуляр по управлению Кавказским учебным округом за 1901 год. Приложения, Тифлис, 1901.
13. А. Словинский, Закавказская учительская (в г. Гори) семинария на юбилейной выставке в Тифлисе осенью 1901 года. Тифлис, 1901.
14. Отчёт о состоянии учебных заведений Кавказского учебного округа за 1908 год. Тифлис, 1909.
15. Н. Ф. Рудольф, Обзор деятельности Кавказского учебного округа 1908—1912 г. г. Тифлис, 1914.

16. Н. В. Зикеев, Деятельность Д. Д. Семёнова в Кубанской Учительской Семинарии. Журн. Советская педагогика, 1946, № 4—5.

16-а. А. М. Арсеньев, Против идеализации учительских семинарий, Журн. Советская педагогика, 1947 № 12.

17. А. П. Цулукидзе, Врачи — грузины XIX столетия, Тбилиси, 1948.

18. Газ. „Кавказ", 1884, № 140.

19. კ. დ. უშინსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, I, 1948. პროფ. დ. ლორთქიფანიძის რედაქციით და შესავალი წერილით.

20. ი. გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, ტ. I, 1910.

21. ი. ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, პროფ. გ. თავზიშვილის რედაქციით, 1938.

22. ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, პროფ. გ. თავზიშვილის რედაქციით, II, 1940.

23. ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, I, 1952, გ. თავზიშვილის და დ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით. ტექსტი დასაბეჭდად მომზადებულია ზ. კიკნაძის და ვ. ქაჯაიას მიერ.

24. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951.

25. გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში 1801—1870. თბილისი. 1948.

26. დ. ლორთქიფანიძე, სწავლების პრინციპები, ორგანიზაცია და მეთოდები, 1951.

27. ტრ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, 1951.

28. ბ. პ. ესიპოვი და ნ. კ. გონჩაროვი, პედაგოგიკა, 1950, სოხუმი.

29. შ. დავითაშვილი, ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, 1933.

29-ა. ვლ. ზამბახიძე, ილია ნაკაშიძე, 1947.

30. ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1937.

30-ა. წერილები თ. რაზიკაშვილისადმი, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით და შენიშვნებით, 1937.

31. ს. ყუბანეიშვილი, ვაჟა ფშაველა, 1937.

32. სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, ვ. ქაჯაიას რედაქციით, 1953.

33. მ. კეკელიძე, დ. დ. სემიონოვის პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოში, 1954.
34. დროება, 1875, № 65.
35. დროება, 1876, № 11.
36. დროება, 1877, № 4, № 59, № 196.
37. დროება, 1878, № 7.
38. დროება, 1879, № 119.
39. დროება, 1880, № 222.
40. ივერია, 1877, № 10, № 16, № 41.
41. შრომა, 1882, № 18, № 19.
42. ივერია, 1895, № 143.
43. ივერია, 1902, № 246.
44. მოგზაური, 1905, № 7, № 10.
45. განათლება, 1912, № 10.
46. სახალხო ფურცელი, 1915, № 282.
47. თეატრი და ცხოვრება, 1916, № 36.
48. ლიტერატურის მატიანე, 1940, წიგნი 1—2
49. ვ. ავალიშვილი, მოგონებანი, 1935 (გამოუქვეყნებელია).
50. ნ. ჯანგველაძე, პედაგოგიური განათლება საქართველოში (ხელნაწერი).
51. ს. ძიმისტარიშვილი, მოგონებები, 1934 (გამოუქვეყნებელია).
52. ს. გოგლიჩიძე, მოგონებები, 1934 (გამოუქვეყნებელია).
53. პლ. ლეკავა, მოგონება ნ. ლომოურზე, 1944 (გამოუქვეყნებელია).
54. ილ. რუხაძე, მოგონებანი ნ. ლომოურზე, 1944 (გამოუქვეყნებელია).
55. გ. ბოკერია, ხონის სამასწავლებლო სემინარიის ცხოვრებიდან, 1945 (გამოუქვეყნებელია).
56. ბ. ჩიქობავა, მოგონებები, 1949 (გამოუქვეყნებელია).

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა 3
2. გორის სამასწავლებლო სემინარიის დაარსება 5
3. გორის სამასწავლებლო სემინარია მისი არსებობის პირველ წლებში (1876—1878 წ წ.) 12
4. დ. დ. სემიონოვი—გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორი . . 18
5. სემინარიასთან არსებული დაწყებითი სასწავლებლები 28
6. მოსწავლეთა კონტინგენტი. სწავლების კურსის ხანგრძლიობა. სასწავლო წელი. გაკვეთილების ხანგრძლიობა. გამოცდების წესი. შეფასების ნიშნები 32
7. სემინარიის სასწავლო გეგმები და პროგრამები 41
8. სემინარიელთა პედაგოგიური პრაქტიკა . . 47
9. სემინარიის პედაგოგიური კადრები 60
10. რუსული ენის სწავლების მდგომარეობა 75
11. ქართული ენის სწავლება 82
12. წერითი სამუშაოები 104
13. კლასგარეშე კითხვა. ბიბლიოთეკა. ლიტერატურული დილები 112
14. პანსიონერები და მათი ცხოვრება 119
15. სემინარიის მიწის ნაკვეთი და სახელოსნო 129
16. სემინარიის ურთიერთობა კურსდამთავრებულ აღსაზრდელებთან . . . 132
17. გორის სამასწავლებლო სემინარია 1905 წლის რევოლუციის პერიოდში 135
18. სემინარიის ევაკუაცია გორიდან პირველი მსოფლიო ომის დროს . . 152
19. სემინარიის არსებობის უკანასკნელი წელი 154
20. გორის სამასწავლებლო სემინარიის მნიშვნელობა და როლი სახალხო მასწავლებლების მომზადების საქმეში 156
21. ლიტერატურა და წყაროები 160

რედაქტორი ვ. ძაკაია
ტექრედაქტორი ხ. ლორთქიფანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/III-55 წ., ანაწყობის ზომა 6×10, ქაღალდის ზომა 60×92, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 10,25, სააღრ.-საგ. 9,55, საავტორო 9,28.

უე 02056. ტირაჟი 2.000. შეკვ. № 2143.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობებისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა მთავარ სამმართველოს სტამბა № 2, თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5

Типография № 2 Главного управления по делам полиграфической промышленности, издательств и книжной торговли Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.